

მ. შაბაძე

# მედი გინესი

სსრკ-ის,  
ქვეყნის,  
შექმის

8 Ⴆ 1

899.962.1.092 [ერისთავი, Ⴆ]

ე 78Ⴆ

რაფიელ ერისთავის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, დღემდე არ არსებობდა მონოგრაფიული გამოკვლევა-წინამდებარე შრომა მიზნად ისახავს მკითხველს შედარებით სრულად გააცნოს მწერლის ბიოგრაფია, საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მრავალმხრივი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

## ა ვ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ

რაფ. ერისთავის შემოქმედების მეცნიერულ გაშუქებას დიდი მნიშვნელობა აქვს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საყურადღებო პრობლემების გადასაწყვეტად, ხოლო მისი შემოქმედებითი პროდუქციის მართებული გაანალიზებისათვის აუცილებელია მწერლის დრამაშინაარსიანი ხანგრძლივი ცხოვრებისა და მრავალფეროვანი შემოქმედების დაუზარელი შესწავლა.

სამწუხაროდ, დღემდე მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი ჩვენი კულტურის დიდი მოამაგის რაფიელ ერისთავის ცხოვრება-მოღვაწეობა და შემოქმედება, რომლის სახელს დიდი ილია და აკაკი სიამოვნებით რაცხდნენ ერის მოჭირნახულეთა შორის, როგორც ძლიერ მცირე იყვნენ ცარისტული მონობის შავბნელ დროს.

რაფ. ერისთავის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას დიდად შეუწყო ხელი პროფ. შ. რადიანის რედაქციით გამოცემულმა მწერლის თხზულებათა ოთხტომეულმა (1935—38 წწ.), რომელიც ამჟამად უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

მწერლის შესახებ დღემდე გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებსა და გამოკვლევებში ბიოგრაფია ფრაგმენტულადაა გაშუქებული, ხოლო შემოქმედებიდან უმთავრესად განხილულია ლექსები. რაც შეეხება რაფ. ერისთავის პროზას, დრამატურგიას, პუბლიცისტურ წერილებს, მის მოღვაწეობას რუსულ პრესაში, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

ჩვენ შევეცადეთ შეგვესო ეს ხარვეზი. პირველწყაროების გამოყენებამ საშუალება მოგვცა უფრო სრულად წარმოგვედგინა მისი ბიოგრაფიის საინტერესო მხარეები და ზოგი რამ ახლებურად აგვეხსნა მისი შემოქმედებიდან. ცალკეული ლექსების ახალმა ინტერპრეტაციამ, მოთხრობების, დრამატული თხზულებებისა და რუსულ პრესაში დაბეჭდილი წერილების ანალიზმა გაგვიადვილა რეკოლუციამდელი კრიტიკის მკლარ შეხედულებათა უარყოფაც.

## შესავალი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი სახის კულტურულ-საზოგადოებრივი საქმიანობა, რომელშიც რაფ. ერისთავს თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას. სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის სამოცზე მეტი წლის მანძილზე მისი აქტიური მონაწილეობით აღმოცენდნენ ამ საუკუნის ქართული კულტურის წამოწყებანი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების საქართველოს განყოფილება, უურნალ-გაზეთები: „კავკაზი“, „ცისკარი“, „დროება“, „ივერია“, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული თეატრი, და როცა საზოგადო საქმიანობას სათავეში ჩაუდგა გამათავისუფლებელი იდეებით აღჭურვილი ქართველი ინტელიგენციის ახალი თაობა ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის მეთაურობით, რაფ. ერისთავი უყოყმანოდ გაჰყვა ცხოვრების ახალ დინებას.

რაფ. ერისთავის შემოქმედებითი მეგყვიდრეობა მრავალმხრივია; იგი იყო პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ლექსიკოლოგი. დიდი ამაგი დასდო მან ქართულ კულტურას გაზ. „კავკაზში“ თანამშრომლობის წლებშიც. მწერლის მოღვაწეობის ასეთი მრავალფეროვნება ჩვენი მაშინდელი საზოგადოებრივი-ცხოვრებით იყო გაპირობებული. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებდა აკაკი წერეთელი, როცა შენიშნავდა: „რაფიელი ეკუთვნის მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს. ეს დრო ჩვენში დიდი მარტოხელობის დრო იყო და... რა საოცარი, შესანიშნავიც... იყვენ მარტოხელა მუშა... მისი ნაშრომი მთას ვერ წარმოგვიდგენს და მისი ნაღვაწი ზღვას, მაგრამ თუ ამას ათასგვარ წვრილმან ნასაქმარს ერთმანეთს შეუხორცებთ, მაშინ კი მთაც გამოვა და ზღვაც. სწორედ ამ თვალით



უნდა უყურებდეთ ზოგიერთ მესამოცე წლების მოღვაწეებს და მათ რიცხვში რაფიელ ერისთავსაც“.

რაფ. ერისთავმა ახალი თემებითა და მოტივებით გაამდიდრა ეროვნული ლიტერატურა, შექმნა თავისი ლიტერატურული სკოლა. რაფ. ერისთავის თხზულებებმა მთელი ქართველი ხალხის სიყვარული დაიმსახურა; მისი სახელი განსაკუთრებით პოპულარული გახდა პოეზიამ, საკმარისია ამ მხრივ აღვნიშნოთ, რომ იგი არის ავტორი ლექსისა „სამშობლო ხევსურისა“, მაგრამ იგი, როგორც ცნობილია, არა ნაკლები ოსტატობით წერდა მოთხრობებს, პიესებს, ნარკვევებს, ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებს, კითხულობდა ლექციებს ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე, ეწეოდა მეტად ნაყოფიერ ლექსიკოლოგიურ მუშაობას. ყველაფერი ეს ცხადად წარმოგვიდგენს მის კოლოსალურ ენერჯიას, ცოდნასა და ინტერესის მასშტაბს. რაფ. ერისთავი ტიპიური სამოციანელი, ფართო-საზოგადოებრივი დიაპაზონის მქონე, მებრძოლი პატრიოტი მწერალია.

სამწერლო მოღვაწეობა რაფ. ერისთავმა მე-19 საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო. მისმა ხალხურ კილოზე დაწერილმა ლექსებმა ხელი შეუწყო ქართული ლიტერატურისა და ენის დემოკრატიზაციას.

„ცისკრის“ გამოცემამდე რამდენიმე წლით ადრე და შემდეგაც იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა რუსულ პრესაში. რაფ. ერისთავის მოღვაწეობა გაზ. „კავკაზში“, განსაკუთრებით იმ ხანებში, როცა არ არსებობდა სისტემატური ქართული პრესა, ხელს უწყობდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას. რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში რაფ. ერისთავმა მკვეთრად გაილაშქრა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. ცნობილია, თუ როგორი მხატვრული განზოგადება ჰპოვა ამ საკითხებმა შემდგომ, მწერლის ლექსებსა, მოთხრობებსა და დრამატულ ნაწარმოებებში.

[რაფ. ერისთავმა ბატონყმური რეჟიმის სულის შემხუთავ პირობებში აღიმალა ხმა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ და პირველი გამოცხადება საუკუნეობით ჩაგრულ ყმა გლეხს] (1857 წ.). ქართველ სამოციანელებთან ახლო თანამშრომლობამ კიდევ უფრო სრულყოფილი გახდა რაფ. ერისთავის სამწერლო პროდუქცია. მისი

შემოქმედება ხალხთა მეგობრობისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მებრძოლი იდეებით გაიმსჭვალა.

იგი მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან ერთად დაუღალავად იღწოდა ენის სიწმინდისა და ქართული კულტურის ეროვნული თვითმყოფობისათვის.

დიდა რაფ. ერისთავის დამსახურება ქართულ საბავშვო ლიტერატურაში. „ბუნების კარისა“ და „დედა ენის“ არცერთი გამოცემა არ გამოდიოდა რაფიელის შესანიშნავი ლექსების გარეშე. მის საბავშვო ლექსებზე ქართველი საზოგადოების სახელოვანი თაობები აღიზარდა.

მწერალმა დიდი ღვაწლი დასდო ქართულ თეატრსა და დრამატურგიას. რაფიელის კომედია-ვოდევილები ათეული წლების განმავლობაში არ ჩამოსულან ქართული თეატრების სცენიდან. იგი კომედია-ვოდევილის ჟანრის ერთ-ერთი დამწყები და დამამკვიდრებელია ქართულ დრამატურგიაში.

ქართველი სამოციანელები რაფიელ ერისთავს მართებულად თვლიდნენ თავიანთ სახელოვან წინამორბედად. რაფიელ ერისთავის მოღვაწეობას ილია ჭავჭავაძე ასეთ შეფასებას აძლევდა: „რაფ. ერისთავმა ორმოცდაათიან წლების ხანაში დაიწყო თავისი მოღვაწეობა. ჯერ ბატონყმობის [გადაეარდნის] ჩუჩუნიც არსად იყო, რომ კაცთმოყვარემ გულმა პოეტისამ იგრძნო უსამართლობა მისი და ყმა-დედა აჩვენა მსაჯულთან: „სხვა რად ჰბატონობს ჩემსა ნაშობსაო“... ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის. რაფიელ ერისთავამდე ეს მწვავე ჩივილი ყმობით გაუპატიურებულ ღმრთის კერძო ადამიანისა არავის გაუთვალისწინებია, არავის უკითხავს თავის-თავისათვის ეს მართლადა ჰეინესი არ იყოს „დაწყებული საკითხი“: ერთის ნაშობს მეორე რად ჰბატონობს. „ვისი უპყრია ძალი“?“.

აკაკი წერეთელი რაფ. ერისთავის შესახებ ამავე აზრს ავითარებს, როცა იგი 60-იანი წლების წინამორბედთა შემოქმედებას განიხილავს: „ჯერ მესამოცე წლების მოღვაწეები არსადა სჩანდნენ, მაგრამ პირველი ბიჯი კი მათკენ იყო მიმართული და ერთი გამაცხოველებელი წვერთავანი იყო რაფ. ერისთავი“.

დიდ შეფასებას აძლევდნენ რაფიელ ერისთავის სამწერლო მოღვაწეობას გიორგი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ვანო მაჩაბელი და სხვა გამოჩენილი ქართველი მწერლები, რომელნიც რაფიელ ერისთავს სამოციანელთა წინამორბედად თვლიდნენ და შემაერთებელ ხიდს უწოდებდნენ ნ. ბარათაშვილს, გ. ერისთავსა და სამოციანელებს შორის.

რაფ. ერისთავის ღვაწლი ქართული კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში არასწორად იყო გაგებული. სოციოლოგიზმის პოზიციებიდან მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასებამ მის როლს ჩვენი კულტურის ისტორიაში ღირსეული ადგილი ვერ მოუხანა. ამ გარემოებას თავის დროზე ხელი შეუწყო კ. აბაშიძის მკდარმა შეხედულებამაც. კ. აბაშიძე აღნიშნავდა, რომ, მართალია, რაფ. ერისთავის მოღვაწეობა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი კულტურის ისტორიაში, მაგრამ მას ბედმა არ არგუნა მესვეურობა, ვინაიდან იგი ილიას და აკაკის დროს მოღვაწეობდა და ამიტომ მათ ფრთებს ქვეშ დარჩა უბრალო რიგით მუშაკად. რაფიელი რომ სხვა დროს დაბადებულყო, მას დიდი სახელი დარჩებოდაო. ამიტომ კ. აბაშიძე რაფ. ერისთავს განიხილავდა არა როგორც დამოუკიდებელი სიტყვისა და ორიგინალური შემოქმედების მქონე მწერალს, არამედ როგორც ილიასა და აკაკის ეპიგონს.

XIX საუკუნის ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ბუმბერაზ მოღვაწეებს ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს რაფიელ ერისთავი სახელოვან წინამორბედად და ერთგულ თანამებრძოლად მიაჩნდათ. სამწუხაროდ, ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ დავიწყებას მისცა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ეს მართებული შეხედულებები რაფ. ერისთავის საზოგადოებრივ ღვაწლსა და ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე. ამასთან დაკავშირებით, ვაკვირვებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ როცა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გ. ერისთავის შემდეგ სამოციანი წლების მწერლებამდე მარტო ლ. არდაზიანი და დ. ჯონქაძე წამოწეული, რაფიელ ერისთავი მხოლოდ 70—80-იანი წლების პერიოდის ლიტერატურული ნიმუშებითაა განხილული. ამით იჩრდილება ის დიდი ღვაწლი, რაც რაფ. ერისთავმა დასდო ქართულ კულტურას 50—60-იან წლებ-

ში. რაფ. ერისთავი ქართულ ლიტერატურაში გ. ერისთავის რეალისტური ტრადიციების გამგრძელებელია და სამართლიანობა მოითხოვს. როცა 50-იანი წლების კრიტიკული რეალიზმის წინამორბედებს ვიხილავთ, რაფ. ერისთავი ლ. არდაზიანის, დ. ჭონქაძის და ზ. ანტონოვის გვერდით იყოს მოხსენიებული.

ბატონყმობისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა ქართულ ლიტერატურაში გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ამ საქმეს სათავეში ჩაუდგებოდნენ რუსეთიდან დაბრუნებული დიდი ქართველი მოღვაწეები. პირველი ნაბიჯი, ამ მიმართულებით, აღნიშნავდა აკ. წერეთელი, უკვე გადადგმული იყო რაფიელ ერისთავისა და მისი დროის სხვა მოღვაწეთა მიერ. თერგდალეულთა პროგრესულმა იდეებმა ახალი გაგება მისცა ამ საქმიანობას, რამაც დააჩქარა რეფორმა და მისი გატარება საქართველოში.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან რაფ. ერისთავი ფხიზლად იდგა ქართველი ხალხის ინტერესების დაცვის სადარაჯოზე და უმწიკვლოდ ემსახურებოდა შშობელი ხალხის საუკეთესო მომაჯალს.

ԱՆՈՅՆՈՒՄ

ԲՆ

ԴՈՒՅՆՈՒՄ



## წინაპართა ისტორიული წარსულიდან

რაფიელ ერისთავი იმ ზვიად ერისთავთა შთამომავალია, რომელთა ფეოდალური სამფლობელო საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში. არაგვის ერისთავები ქართულ ისტორიულ წყაროებში პირველად 1398 წლით დათარიღებულ მცხეთის გუჯრის მხედრულ-მინაწერებში იხსენიებიან. 1439 წლის გერგეტის სამების „სულთა მატჩიანეში“ ერისთავად დასახელებულია მიქაი შაბურძიძე<sup>1</sup>. შაბურძიძეთა ერისთავობის შესახებ ცნობებს ვხვდებით აგრეთვე ქართლის ცხოვრებასა და განახლებულ წილკნელი სარგოს გარიგების წიგნში.

სხვა წყაროებში არაგვის ერისთავად დასახელებული არიან ვანათიდან მოსული წარჩინებული გვარის სიღამონიძენი. არაგვის ერისთავთა წინაპრებად ვახუშტი ბატონიშვილი და ბერი ეგნატაშვილი ასახელებს თქმურმანიძეს და ქარმეულს. მწერლის და ბარბარე ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ „არაგვის ერისთავები ჩერქეზიდან გადმოსული გვარად დუდარიკოენი არიანო“.

გიორგი ბრწყინვალეს დროის ერისთავთა საგვარეულო მატჩიანეში აღნიშნულია, რომ გორიდან ოსების განდევნისათვის ბრძოლაში გიორგის ქსნისა და არაგვის ერისთავებიც დაუხმარებია, მაგრამ რაღაც გაუგებრობის გამო მათ შორის ლომისის მთაზე სისხლისღვრა მომხდარა. ამის შემდეგ, XVI საუკუნის დამდეგამდე ქვეყნის სახელმწიფო ცხოვრებაში არაგვის ერისთავებს ვერ ვხვდებით. არაგვის ხეობაში რამდენიმე საერისთაოა, ეს საერისთაოები XVI საუკუნის დასაწყისიდან ერთიანდებიან.

<sup>1</sup> თ. უორდანი, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 202—203.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1862 წ., № 1.

პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები სიღამონიძენი ნუგზარის ხელმძღვანელობითა და ქსნის ერისთავების მხარდაჭერით, იმორჩილებენ ხევის ერისთავ თექთურმანიძეებს, ბაზალეთის ტბის ვაკეში მცხოვრებ ბაზალიძეებს და ხელში იგდებენ მთელი არაგვის ხეობის გამგებლობას. 1559 წელს ნუგზარ ერისთავს მეფე სიმონის წყალობით მიუღია ერისთავობა<sup>1</sup>. ამ დროს არაგვის საერისთავოს საზღვრებია: დასავლეთით — ქსნის საერისთავო, სამხრეთით — მუხრან ბატონის სამფლობელო, აღმოსავლეთით — ფშავი და კახეთი, ხოლო ჩრდილოეთით — ხევსურეთი დარიალის კარით. საერისთავოს სახელოსნო და საბაჟო ცენტრებია დუშეთი, ყინვანი, ანანური.

არაგვის საერისთავოს გეოგრაფიული მდებარეობის გამო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-საქართველოს სამხედრო და ეკონომიური ურთიერთობისათვის. 1604—1605 წწ. რუსეთის ტახტის მპყრობელმა ბორის თევდორეს ძემ საგანგებო ელჩები გამოგზავნა საქართველოში (მიხეილ ტატიშჩევი და ანდრია ივანოვი), ამავე ელჩების მეშვეობით რუსეთის მეფემ ნუგზარ არაგვის ერისთავს (გიორგი სააკაძის სიმამრს) საგანგებო სიგელები და საჩუქრები გამოუგზავნა თხოვნით, ალექსანდრე კახთა მეფესთან მიმავალი ელჩები გაეტარებინა.

ნუგზარი 1618 წელს გარდაიცვალა. ერისთავობა ჩაიბარა მისმა ძემ ბაინდურმა, ხოლო 1620 წელს გიორგი სააკაძის მხარდაჭერით ერისთავობა ნუგზარის ძმამ ზურაბმა მიიღო. ეს ის ზურაბია, რომელიც გიორგი სააკაძესთან ერთად 1623 წელს მეთაურობდა ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველებს, 1626 წლამდე ქართლს ფაქტიურად ზურაბი და გიორგი სააკაძე მართავენ. მათ შორის მტრობა ჩამოვარდნილა. ზურაბი თავის სიმამრს თეიმურაზ მეფეს მიემხრო და ბაზალეთის ომში დაამარცხეს გიორგი სააკაძე. ზურაბი საშიში ძალა გახდა სამეფო კარისათვის, და 1630 წელს მეფემ საფურცლში ღალატით მოაკვლევინა.

არაგვის საერისთავოს 1630—1635 წლებში განაგებდნენ ზურაბის ძმა დათუნა, ხოლო შემდეგ ქართველი ხალხის საამაყო შვილი

<sup>1</sup> რაფ. ერისთავის წერილები მ. ბროსესადმი, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. IX, გვ. 414, 1955 წ.



ზაალი; რომელმაც ბიძინა ჩოლოყაშვილთან, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებთან ერთად 1659 წელს თავი დასდო სპარსელთა ბატონობისაგან კახეთის გათავისუფლებისათვის, რომელიც ბახტრიონის ციხის აღებით დაიწყო. ამ ბრძოლებმა უკვდავყო არაგვის ერისთავთა სახელოვანი შვილის ზაალ ერისთავის სახელი. ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ეს ბრწყინვალე ეპოპეა შესანიშნავად ასახა აკაკი წერეთელმა თავის „ბაში-აჩუქში“, ხოლო ვაჟა-ფშაველამ „ბახტრიონში“. ზაალ ერისთავის წამებით სიკვდილის შემდეგ (1660 წ.), არაგვის საერისთავოს ჯერ ოთარი, ხოლო შემდეგ რევაზი განაგებდა. 1687 წელს, როცა რევაზი გარდაიცვალა, ერისთავობდა ოთარის ძმა იასონი, 1688 წლიდან 1696 წლამდე გიორგი ოთარის ძე. 1696 წლიდან 1723 წლამდე ბაინდურ რევაზის ძე, ხოლო 1723 წლიდან ოთარ გიორგის ძე.

1724 წელს ქართლი ოსმალებმა დაიპყრეს, ხოლო კახეთში სპარსელები თარეშობდნენ, გახშირდა ლეკთა ავაზაკური თავდასხმები ჩრდილოეთიდან. მეფე ვახტანგ მეექვსის რუსეთში წასვლის შემდეგ არაგვის საერისთავოს გამგებელს ოთარს უცდია საერისთავო რუსეთისათვის შეეერთებინა, რის გამოც თავისი ძმა რომანოზი თერგის გუბერნატორთან დახმარებისათვის გაუგზავნია. შემდეგ კი თვითონვე დარიალთ რუსეთში წავიდა და 1725 წელს ასტრახანში ვახტანგის აშალას შეუერთდა. 1725 წლის 7 იანვარს თერგზე გადასული ოთარ ერისთავი ატყობინებდა პეტრე პირველს, რომ „ჩემი ძმა რომანოზ ხელმწიფის სამსახურზედ არს. მეცა აქ თერგზედ ხელმწიფის საფარველს შემოვფარეო“<sup>1</sup>.

1731 წლიდან არაგვის ერისთავია ბარძიმი (რომელიც ვახტანგის ამაღლაში იყო და 1729 წ. დაბრუნდა რუსეთიდან). 1739 წელს რუსეთიდან უკან დაბრუნებულმა ქსნის ერისთავმა შანშემ შური იძია. ბარძიმზე—გადასწვა და გაანადგურა ანანურის ციხე-სიმაგრე და ბარძიმი შვილებით ამოსწყვიტა, ხოლო საგვარეულოს უახლოეს მემკვიდრეს სარიდანს თვალები დათხარეს და საგვარეულოდან გააძევეს. ქვრივმა დედამ თვალებდათხრილი სარიდანი შინდისში გადამა-

<sup>1</sup> Броссе, Переписка грузинских царей..., С. П., 1861, стр. 177.

ლა. შთამომავლობის გაგრძელებისათვის ცოლად შერთო რატიშვილის ასული, რომელთანაც შეეძინა ვაჟი ბეჟანი.

1741 წელს ნადირშაჰმა ერისთავად დანიშნა ბეჟანი (სარიდანის ძმა), მაგრამ არაგვის საერისთავოს გაუქმება და ერისთავთა დაქსაქსვა გადაწყვიტა 1743 წლის გლეხთა აჯანყებამ. გლეხებმა ამოწყვიტეს და გადაწვეს ბეჟანისა და მისი ძმის ოტიას ოჯახები, თანაც მეფე თეიმურაზს შეუთვალეს: „თქვენს მეტი ბატონი არ გვინდაო“<sup>1</sup>. აღნიშნული ფაქტი იმის საბაზი იყო, რომ თეიმურაზს თავისი სურვილი შეესრულებია და არაგვის საერისთავო გაუქმებია. მართლაც, 1743 წლიდან არაგვის საერისთავოს გამგებლობა ერეკლე მეორემ ჩააბარა ჯიმშერ ჩოლოყაშვილს (1743 — 1756 წ. წ.)<sup>2</sup>. მაგრამ, ოფიციალურად არაგვის საერისთავო ერეკლე მეორემ გააუქმა და ჩამოართვა მათ წოდება „არაგვისა“ 1760 წელს, როცა ქართლ-კახეთის სამეფო გაერთიანდა. 1783 წელს ერეკლე II მიერ პეტერბურგში გაგზავნილ თავადთა სიაში არაგვის და ქსნის ერისთავები მოხსენებულია „არაგვის“ და „ქსნის“ გარეშე. ამასავე ადასტურებს ერეკლე მეფის შვილის მირიანის ჩვენებაც და 1785 წლის თავადაზნაურთა კრებისა და საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო კრების გადაწყვეტილებაც<sup>3</sup>.

ერეკლე მეორემ არაგვის საერისთავოს გაუქმებასთან ერთად უფლება არ მისცა მათ თავიანთ საერისთავოში ცხოვრებისა და კახეთში მიუჩინა ბინა. ერეკლე II ეს გადაწყვეტილება იმ პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა, რომელსაც ქართველი მეფეები, უკანასკნელად კი თეიმურაზი და ერეკლე აწარმოებდნენ საქართველოს პლიტიკური გაერთიანებისათვის.

არაგვის საერისთავოდან გადმოხვეწილ ბეჟან ერისთავს დიდი ტანჯვა-წამება გადაუტანია, სანამ მისი თვალეზღობილი მამა კახეთს შეაფარებდა თავს. ამ ხნის განმავლობაში ბეჟანიც წამოიზარდა. სულ ახალგაზრდას თავი გამოუჩენია ქისტებისა და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებში, რისთვისაც მისთვის ერეკლე მეორეს სოფელი ქისტაური (ადრე მუქიეთად წოდებული) უბოძებია. აი რას წერს

<sup>1</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქართლის ცხოვრება, გვ. 361.

<sup>2</sup> თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 534.

<sup>3</sup> საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 2, № 1792.

ბეჟან ერისთავი მთავარმართებელ-ერმოლოვს თავის ცხოვრების შესახებ:

„როდესაცა უბედურის შემთხვევის გამო გადმოვიხვეწეთ სამკვიდრებელისა ჩვენისა მამულის არაგვიდამ და გარდმოვცვივდით მამაჩემი და მე მცირე წლოვანი კახეთსა მასა და ვცხოვრობდით უკანასკნელის ცხოვრებით, ათსა წელიწადსა ვიზრდებოდით ქვეყნის მოწყალებით. მაშინ შევბრალდით მეფეს ირაკლის და გავვიჩინა მღღევარის საზრდელი ვიდრე სიკვდილამდე მამისა ჩემისა სარიდანი-სა. მამის გარდაცვალების შემდეგ ვიწყე ერთგული სამსახური მეფისა ჩემისა, რომელმაც ერთგულებისათვის მიბოძა კახეთის დიამბეგობა და ჯამაგირი ყმა საყოფელი. კიდევ განვაპრაველ სამსახური და ვიმსახურე სისხლის დაქცევით, რომელსაც წინაშე სამჯერ დავიქერ. ასეთი ერთგული სამსახურისათვის მიბოძა ჯილდოთ ნასოფლარი, ცაღრიერი და ყოვლითურთ უშენი ქისტაური. ვიწყე იმდღიდან ვიდრე აქამდე ყოვლისა შრომით და ღწვითა. ავაშენე ესე სოფელი. ხუთმეტრი სული ლეკთაგან და მიხსნია; მომიყვანია და დამისახლებია; ათი კომლი თავადთა და აზნაურთაგან მიყიდია, ათი კომლი ჩემის დედისა და ჩემის მეუღლის ნამზითვია...“<sup>1</sup>

სხვა საბუთში — „ანდერძი ბეჟან ერისთავისა“ ვგებულობთ, თუ როგორ მდგომარეობაში ყოფილა ლეკების მიერ განადგურებული, ნასოფლარად ქცეული, ქისტაური. „ცარიელი და უშენი, კაცის ხელითა ნაშრომი აღარ იპოვებოდის-რა, გარდა ოთხი კოშკისა, რაც ლეკების სადგური იყო“<sup>2</sup>, აქვე ჩამოთვლილია ქისტაურელ მოსახლეთა გვარები. ესენია: მირიანაშვილები, ალექსიშვილები, თეზიკაშვილები, მთიულიშვილები, ქოჩიაშვილები, თათულაშვილები, კვიტაშვილები, ჩანთელიშვილები, ფეიქრიშვილები, ფერუშუზაშვილები, პეტროზაშვილები, დემეტრეს შვილი სოსია, ლოცაბერიძე ბერუა და სხვა. ბეჟანს „ნადვორნი“ სოვეტნიკის ტიტული მიუღია; იგი ღებულობდა პენსიას 690 მან; რაოდენობით, რომელიც მემკვიდრეობით

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, რეფერისთავის ფონდი, № 1.

<sup>2</sup> იქვე, № 3.

გადაეცა მის შვილებსა და შვილიშვილებს. ბეჟანს სამი შვილი ჰყავდა: რაფიელი (მწერლის პაპა), გიორგი და იოსები; რაფიელი გარდაიცვალა 1823 წელს<sup>1</sup>.

არაგვის ერისთავთა კახეთში გადასახლების შესახებ ვრცლად მოგვითხრობს რაფიელ ერისთავის და, მწერალი ქალი ბარბარე ჭორჯაძე, რომელიც ერისთავების კახეთში გადასახლების ერთ-ერთ მიზეზად ქსნისა და არაგვის ერისთავებს შორის ქიშპობას ასახელებს<sup>2</sup>.

ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ არაგვის ყოფილი ერისთავები დაჟინებით ცდილობდნენ არაგვზე თავიანთი ბატონობის აღდგენას, რისთვისაც შექმნდათ საჩივრები უმაღლეს ორგანოებში და მოითხოვდნენ მთავრობის წოდების დაბრუნებას. ამის თაობაზე შედგენილი „საქმე წოდების არაგვის ერისთავობის ძიებისა“, რომელსაც მივაკვლიეთ საქართველოს ცენტრალურ არქივში — 300 გვერდს შეიცავს, იგი იწყება 1803 წელს — ბეჟან სარიდანის ძის და მისი ბიძაშვილის გენერალ-ლეიტენანტ სტეფანე ერისთავების განცხადებებით — არაგვის მამულზე მემკვიდრეობის უფლებისა და წოდების „არაგვის“ დაბრუნების შესახებ. აქვეა გავლენიანი თავადებისა და მაღალი სამღვდელოების პირთა ჩვენებები და განმარტებები, რომ ბეჟანის და სტეფანეს წინაპრები ნამდვილად ფლობდნენ არაგვის საერისთავოს. საჩივრები და ძიება არაგვის წოდების დაბრუნების შესახებ გრძელდებოდა წლების განმავლობაში მთავრობის ყველა ინსტანციაში, ვიდრე 1828 წელს პეტერბურგიდან მთავრობის უმაღლესი სენატის უარყოფითი პასუხი არ მიიღეს<sup>3</sup>.

რაფ. ერისთავს შემდეგ თვითონ უმუშავია არაგვის ერისთავთა გენეალოგიაზე, რომელიც თავის დროზე შეადგინა რაფ. ერისთავის პაპამ ბეჟან ერისთავმა და წარდგენილი ჰქონდა სადავო ადგილებისა და „არაგვის“ წოდების დასაბრუნებლად. აღნიშნული გენეალოგია „სქემა არაგვის ერისთავთა შთამომავლობისა“ 1849 წლის 25 დეკემბერს გაუფზავნია რაფ. ერისთავს მ. ბროსესათვის პეტერბურგში;

<sup>1</sup> საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 2, საქმე № 578.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1862 წ. № 1.

<sup>3</sup> საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 2, საქ. № 1792.

მაგრამ იგი ერისთავების საგვარეულო შთამომავლობის ყველა შტო-  
ებისათვის არ არის სრული და ზუსტი. საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში მოიპოვება ერეკლე მეორეს  
მიერ გაცემული წყალობის სიგელი, რომელშიც ჩამოთვლილი სახე-  
ლები: (სარიდანი, ბეჟანი, რაფიელი) ემთხვევა გენეალოგიაში მოხსე-  
ნებულ რაფ. ერისთავის ახლო წინაპრებს. ამის მიხედვით რაფ. ერის-  
თავის საგვარეულო გენეალოგია ასე წარმოგვიდგება: ნუგზარ ერის-  
თავი — დათუნა — იასონი—რევაზი—სარიდანი — ბეჟანი — რაფი-  
ელი — დავითი — რაფიელი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ რაფიელ ერისთავის მიერ შედგენილ არაგ-  
ვის ერისთავთა გენეალოგიას — მისივე განმარტებით.

„განმარტება სქემამასა: ანბანი აჩვენებს წესსა, თუ რომელი,  
რომელს შემდეგ იყო ერისთავად. — ჭვარი ჰნიშნავს პირთა აწ მყოფ-  
თა ცოცხალთ. ა. ერისთავი ნუგზარ, რომელმან წელსა 1559-სა მიიღო  
ნამსახურობისათვის პაპისა თვისისა ერისთაობა არაგვისა ბრძანები-  
თა და დამტკიცებითა მეფისა სვიმონისათა. ეს სია მამრობითის სქე-  
სისა არის, ხოლო მდედრობითის სქესისა არა გვაქვს. სოფრონ არხი-  
მანდრიტი დავით გარეჯის მონასტერშია ბერათ. — დავით, ვამიყის  
შვილი, რუსეთს გადაჰყოლია მეფე ვახტანგს, სტეფანეც იქ გაზდილა  
და ღენერალ ლეიტენანტი იყო რომ გარდაიცვალა, შემდეგი აღარა  
უწყვი რა მისი ვინაობისა. ხოლო მყოფი პეტერბურღს დიმიტრის  
მამა-შვილიანობა არ უწყვიდი.“


## ოჯახური გარემო. ყრმობა. სიზავუკა

ერისთავების ოჯახი, როგორც ძველი საქართველოს მდიდარი  
ისტორიული ტრადიციების მატარებელი და არაგვის ერისთავთა  
შთამომავალი, მალე ცნობილი გამხდარა კახეთშიც.

ბეჟან ერისთავი ერეკლე მეფის ერთგული მოსამსახურე და კა-  
ხეთის მდივანბეგია. იგი მოწმეა პატარა კახის გმირული ბრძოლები-  
სა, კრწანისის ტრაგედიისა; ბოლოს, 1798 წელს, მისი გარდაცვალე-  
ბისა და ერეკლეს ცხედრის თელავიდან მცხეთაში გადასვენებისა,

სქემა არაგვის ერისთავთა შთამომავლობისა

0



როგორც მისი საპატიო დამტკიცებელთაგანი. ბეჟანის შვილები — იოსები, გიორგი, რაფიელი (მწერლის პაპა), სარიდან, აგრეთვე თავის დროის ცნობილი, საპატიო მამულიშვილები არიან. უმცროსმა შვილმა სარიდანმა სასულიერო განათლება მიიღო და დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა სოფრონ არხიმანდრიტის სახელით<sup>1</sup>.

მწერლის პაპა რაფიელ ბეჟანის ძე ერისთავი, აგრეთვე, ერეკლე მეფის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობის მომსწრეა. საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII დროს იგი სამხედრო სამსახურშია. რუსეთის მმართველობის დამკვიდრების შემდეგ რუსებთან ერთად მონაწილეობდა თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში. 1804 წელს იბრძოდა ყარსის ფრონტზე, სადაც რაფიელმა განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა, რაც აღნიშნულია სარდალ ვოლკონსკისადმი მიწერილ საგანგებო ბრძანებებში<sup>2</sup>.

რაფიელს ორი ვაჟი ჰყავდა — ივანე და დავითი. მამა რაფიელისა — დავით ერისთავი დაბადებულა 1799 წელს. ორივე ძმები სამხედრო სამსახურში იყვნენ. ივანე ოსმალების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში დაღუპულა. დავითს ადრევე დაუწესებია თავი სამხედრო სამსახურისათვის და უპატრონოდ მიტოვებულ მამულისათვის მოუყიდია ხელი.

1820 წლის 19 იანვარს დავით ერისთავმა იქორწინა ნინო ავთანდილის ასულ ამილახვარზე (სოფ. ჭალის მიძინების ღვთისმშობლის ეკლესიაში)<sup>3</sup>. მწერლის დედა—ნინო ავთანდილის ასული ამილახვარი სათნო ხასიათის, ნათელი ბუნებისა და ძველებური განათლების კვალობაზე, ქართული ენის კარგი მცოდნე, შვილების შესანიშნავი აღმზრდელი ყოფილა.

დავით რაფიელის ძე ერისთავი განთქმული ყოფილა პურადობით და სტუმართმოყვარეობით. რაფიელი და მისი დაი მწერალი ქალი ბარბარე ჯორჯაძისა ხშირად იგონებენ მამას, როგორც შვილების დიდ

<sup>1</sup> რაფ. ერისთავის წერილები მ. ბროსესადმი, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. IX, გვ. 414, 1955 წ.

<sup>2</sup> საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 3, საქმე № 2616.

<sup>3</sup> საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 489, საქმე № 5517.

მოსიყვარულეს და გულისხმიერ აღმზრდელს. დავითი განათლებული ქართველი თავადი ყოფილა. მას იმ დროისათვის საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკაც ჰქონია ქისტაურში. მარი ბროსე კმაყოფილებით ივონებს დავით ერისთავის ოჯახში გატარებულ დღეებს. იგი გარდა მისი გულუხვი სტუმართმოყვარეობისა განცვიფრებულა, როცა ხელნაწერებთან ერთად რაფ. ერისთავის მამის — დავითის ოჯახში უპოვნია ნაბეჭდი წიგნების მთელი თარო<sup>1</sup>.

რაფიელის მშობლებს ოთხი შვილი ჰყავდათ, ორი ვაჟი და ორი ქალი: რაფიელი, იოსები, ბარბარე და ანა. რაფიელი პირველი შვილი იყო თავისი მშობლებისა და ამიტომ პაპის სახელი უწოდეს.

[რაფიელ დავითის ძე ერისთავი დაიბადა 1824 წლის 21 აპრილს (9 აპრილს ძველი სტილით) გორის მაზრაში, სოფელ ქალაში] და მონათლულია 1825 წლის პირველ აპრილს.

რაფ. ერისთავის ძმა იოსები 4 წლით უმცროსი იყო რაფიელზე. გადმოგვცემენ, რომ იოსები თავისებური, ანჩხლი ხასიათის კაცი ყოფილა და ყველაფერში განსხვავდებოდა რაფიელისაგან. იგი ერთხანს რაფიელთან ერთად სწავლობდა თბილისში, გიმნაზიის მესამე კლასიდან გამოვიდა და მამის მამულში დაბრუნდა. 1862 წელს დავით ერისთავს მისთვის ჩაუბარებია თავისი მამულის გამგებლობა. იოსებ (სოსიკო) მათ ტყე-მამულებში „ნავთის ძიების“ საქმეებში გაება, ოჯახის შემოსავლის მთელი თანხა (რაფიელის წილი) ამ საქმეს შეაღია, მაგრამ აქედან მოგება ვერ ნახა და გულდაწყვეტილი წერდა რაფიელს ზუგდიდში „ლამის სომხების ხელში ჩავარდეთო“. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ დოკუმენტებში ვრცლადაა ლაპარაკი დავით ერისთავის ოჯახის მდგომარეობაზე. (იხ. სოსიკო ერისთავის წერილები რაფიელისადმი № 112). იოსების პირველი ცოლი იყო დარია, ალექსანდრე ყაზბეგის და.

დავითის მესამე შვილია ბარბარე (1833—1895 წწ.) ცნობილი მწერალი ქალი ბარბარე ჭორჭაძისა, უფრონალ „ცისკარის“ ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, „მამათა“ ბანაკის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ახალგაზრდა ბარბარე მიათხოვეს სოფ. გრემში მცხოვრებ

<sup>1</sup> «Кавказ», 1849, № 49.



თავად ზაქარია ჯორჯაძეს, რომელიც ჯერ სამხედრო კარიერისათვის ემზადებოდა, შემდეგ მომრიგებელ-მოსამართლედ მუშაობდა. ბ. ჯორჯაძეს სამი შვილი ჰყავდა: მანანა, ნოშრევანი და მიხეილი. თავის შვილებს ბარბარე უშუალოდ თვითონ ზრდიდა და მათ სამშობლო ქვეყნისადმი სიყვარულს უნერგავდა. მამის ოჯახში შეისწავლა ბარბარემ კრა-კერვა, ხელსაქმე, აქვე მიიღო მან ძველებური შინაური სწავლა-განათლება. ბარბარე თავისი ქმარშვილით ხშირი სტუმარი ყოფილა ძმისა რაფიელის ქუთაისსა და ზუგდიდში სამსახურის წლებში.

რაფიელის მეორე და, უმცროსი ანა (1833—1878) მეტად სათნო, გამრჯე, განათლებული და მტკიცე ხასიათის ქალი ყოფილა. აღსანიშნავია, რომ მის შესახებ ლიტერატურაში ძალზე ძუნწი ცნობები მოიპოვება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბარბარე და ანა ერთად ეწაფებოდნენ თვითგანათლებას მამის ოჯახში. ანა კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატურას და საქართველოს ისტორიას. იგი გათხოვდა ყვარელში თავად ნიკოლოზ ზურაბის ძე კავკავაძეზე 1847 წელს და ადრე დაქვრივდა<sup>1</sup>. რაფიელი ანას უსაყვარლესი ძმა ყოფილა. მიკვლევულია ანას რამდენიმე ბარათი, რომელიც მას ზუგდიდში გაუგზავნია ძმისათვის. ისინი მეტად გულთბილადაა დაწერილი, სადაც რაფიელს თავის „სულიერ მამას“ უწოდებს (რაფ. ერისთავის ფონდი № 213). ანას ქმარი თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში დაიღუპა, რის შემდეგ ქვრივი ქველმოქმედთა წრეში ჩაწერილა, ხოლო 1877 წ. თურქეთის ბრძოლის ველისაკენ გამგზავრებულა, როგორც მოწყალების და. ამავე წლის 7 მაისს არდაგანში ჩასულა. მისთვის 60 დაქვრივი ჩაუბარებიათ. ანას თავისი გულისხმიერებით მალე დაუმსახურებია საერთო პატივისცემა და სიყვარული. 1878 წ. ფრონტზე ტიფი შეყრია და 18 აპრილს გარდაცვლილა, დასაფლავებულია არდაგანში. დის გარდაცვალების გამო რაფ. ერისთავმა დროებაში წერილი დაბეჭდა, რომელშიც ჩაუერთო უფროსი დის ბარბარეს მეტად მგრძნობიარე ლექსი, დაწერილი ანას ტრალიკულ თავგადასავალზე.

ანას ლიტერატურულ განათლებას თავის დროზე განცვიფრება-

<sup>1</sup> ნ. ზ. კავკავაძე სამხედრო პირი იყო. მსახურობდა სამხედრო გუბერნატორად დალესტინის ოლქში. იგი ი. კავკავაძის ნათესავი და ახლო მეგობარი იყო.

ში მოუყვანია მარი ბროსე, რომელიც 1847 წელს სექტემბერში იმ-  
ყოფებოდა კახეთში და როგორც საპატიო სტუმარი დაეით ერისთავს  
თავის ოჯახში მიუწვევია. ბროსე დაწვრილებით გადმოგვცემს იმ  
ზრუნვის შესახებ, რაც დაეით ერისთავმა და მისმა ახალგაზრდა  
ვაჟმა — ნიკიერმა რაფიელმა გამოიჩინეს მისდამი. მ. ბროსე  
საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „დაეითის ახლად გათხოვილმა ახალგაზ-  
რდა ქალმა; თავად ჰაუკჰაიმის მეუღლემ, მიაგმო ჩემთვის უცნობი  
ახალი რომანის შინაარსი, მგონი ბარამიანი. ეს ქალი დაჯილდოვებუ-  
ლია დიდი ჰკუთით და ადამიანს ყოველმხრივ უქმნის კარგ წარმოდგე-  
ნას ქართველ ხალხზე. მასთან საუბრისას ლიტერატურის შესახებ  
მე დაეინახე, რომ იგი გაცილებით უფრო განსწავლული იყო ქართუ-  
ლი კულტურის საქმეებში, ვიდრე მე და წაეკითხა თავის ენაზე უდი-  
დესი ნაწილი წიგნებისა, რომელიც მე ვაგონილი არ მქონდა, მას  
ისინი არა მხოლოდ წაეკითხა, არამედ დაეხსომებია და მასზე  
მსჯელობდა საქმის დიდი ცოდნით. მე დიდი მადლობელი ვარ იმ პა-  
ტივისცემისა, რომელიც მან გამიწია იმით, რომ არ დამიძალა და  
გულწრფელად მესაუბრა წვრილმანი საკითხების შესახებაც კი, რაც  
მეტად იშვიათია ამ ქვეყნის ქალებს შორის: ყველაფერი ეს ნიშანია  
მისი დიდი ინტელექტუალური კულტურისა“ (იხ. მ. ბროსე არქეო-  
ლოგიური მოგზაურობა საქართველოსა და სომხეთში 1847—48 წ.  
(ფრანგულ ენაზე), 1850 წ. პეტერბურგი, გვ. 79—88).

ამჟამად რაფიელ ერისთავის სამშობლო სოფელში, მათ საგვა-  
რეულო სახლში რაფ. ერისთავის მუზეუმია გახსნილი, ხოლო რაფი-  
ელის ბიძაშვილთა შთამომავლობის გიორგი და კიაზო ერისთავის  
ორსართულიან სახლში ქისტაურის საშუალო სკოლაა მოთავსებული.  
ახლა ქისტაურში ცხოვრობს სამი კომლი — გვარად ერისთავი. მათი-  
ვე გადმოცემით ისინი დაეით ერისთავის შთამომავალნი არიან.

დაეით ერისთავს, ცოლის ნინო ავთანდილის ასულ ამილახვარის  
გარდაცვალების შემდეგ, თბილისიდან ქისტაურში ჩამოუყვანია ვინ-  
მე ბარბარე ბულდანოვი, რომელთანაც შესძენია ორი ვაჟი — ლევანი  
და კონსტანტინე. მათთვის ერისთავის ნაცვლად არისტოვი მიუცია  
გვარად. თავად დაეით ერისთავს დაუდასტურებია, რომ ისინი ნამ-  
დვილად მისი შვილები არიან, „ნაშობნი თეინიერ კანონიერის ქორ-

წინებითა დროებით მყოფის სოფელს ქისტაურში, თბილისის ქალაქში მცხოვრების ბარბარე ბულდანოვისაგანა. ამის გამო არც მე და არც ჩემთა მემკვიდრეთა, არა გვაქვს სამართალი, რომ მოგეპყრნეთ ბატონყმობის წესით და ხართ თავისუფალნი“. საბუთზე არის ხელმოწერა დავით არაგვის ერისთავისა გაცემული 1857 წ. (ეს დოკუმენტი ინახება ჩვენთან. შ. ვ.).

სხვა საბუთებით ირკვევა, რომ დავით ერისთავმა მოხუცებულობის გამო მამულის გამგებლობა რაფიელის უმცროს ძმას იოსებს ჩააბარა. ამავე საბუთში აღნიშნულია, რომ თავისი სურვილით მისცა თავის მეორე ცოლთან შექმნილ შვილებს ლევანსა და კონსტანტინე არისტოვებს სამკვიდრო საცხოვრებელი: ვენახი, სამოსახლო ადგილი, სახნავ-სათესი მიწები, ტყითა და წყლით სარგებლობის უფლება. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ასეთ საბუთზე, რომელიც შედგენილია 1862 წელს, ხელს აწერენ: დავით რაფიელის ძე ერისთავი, იოსებ და რაფიელ დავითის ძე ერისთავები და ზაქარია ჯორჯაძე, რომელიც ერისთავების სიძე — ბარბარე დავითის ასულის მეუღლე იყო.

\* \* \*

ქისტაური კახეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. უღრანი ტყით დაფარულ მთებს შორის გაშლილი სოფლის სილამაზე, წარსულის მომსწრე ციხე-გელსიების ნანგრევები და მორაკაკე ნაკადულები შთააგონებდა პატარა რაფიელს თავისი ქვეყნის სილამაზეს, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს. ამ მხარის ბუნების მშვენიერებამ და გულმართალი ხალხის გმირულმა წარსულმა დააწერინა პოეტს არა ერთი მგზნებარე პატრიოტული სტრიქონი.

[სოფელი ქისტაურში, სადაც გაატარა რაფიელ ერისთავმა ბავშვობისა და ყრმობის დღეები] მდებარეობს ალაზნის ველის დასავლეთით — ცივ-გომბორის მთების ჩრდილოეთ კალთების გაგრძელებაზე; კავკასიონის მთებისა და ცივ-გომბორის მთების განშტოების დასაწყისში. ამ სოფლიდან შესანიშნავად ჩანს მადლით მოსილი კახეთის ბარაქიანი ალაზნის მწვანე ველი, რომლის შუაგულში ზღაპრული გე-

დის ყელივით თეთრად ამართულა ქართული კულტურის არქიტექტურული საუნჯე — ალავერდის ტაძარი. ამ ეკლესიას ალაზნის გაღმამოღმიდან თითქოს დაარჯად დასდგომიან ბახტრიონის ცნობილი ციხე-სიმაგრე, თეთრი გიორგის შესანიშნავი ეკლესია და იყალთოს აკადემიის ნანგრევები.

ქისტაურის სამხრეთით ტყით დაფარულ გორაკზე არის ყრუდ მიტოვებული ციხე-კოშკი. ამ კოშკიდან უნდა გადიოდეს ფარული გვირაბი, რომელიც უერთდება სოფლის დასავლეთით მდებარე ხევს. აღნიშნული კოშკი სამხრეთის მთიდან თავს დაჰყურებს კაკლის ხეივანში ჩადგმულ ერისთავთა საგვარეულო კარის ეკლესიას. ეკლესიის ჩრდილოეთით ერთნახევარი კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა ცნობილი მებატონის დავით რაფიელის ძე ერისთავის კრამიტით დახურული ქვის სახლი, რომელსაც თავის დროზე გარშემორტყმული ჰქონდა ქართულ სტილზე გაკეთებული ხის რიკულებიანი აივანი. სახლის დასავლეთით მდგარა უზარმაზარი კაკლის ხე. სამხრეთ-დასავლეთით სახლზე მიშენებული ყოფილა მარანი, რომლის გაგრძელებაზე იწყებოდა ვენახი. ვაზსა და მარანს შორის მოჩუხჩუხებდა კარგად მოზრდილი რუ, რომელიც ახლა სახლ-მუზეუმის წინ, გზის გასწვრივ ჩადის. სახლის სამხრეთით მათი საგვარეულო ეკლესიისაკენ მიმავალ გზის ორივე მხარეს გაშენებული ყოფილა ხეხილის კარგად მოზრდილი ბაღი, რომელიც სოფლის თავში მდებარე წისქვილებამდე მიდიოდა.

დავითის მარანი ლამაზად ყოფილა მორთული ირმისა და შვლის რქებით. მარანში მდგარა დიდი ხის საწნახელი, თავისი სიდიდით განთქმული.

სახლის წინ — აღმოსავლეთით რამდენიმე ჰექტარზე იშლებოდა ერისთავების ეზო, რომლის შუაგულში მდგარა სკამებით გარშემორტყმული დიდი ცაცხვის ხე.

ჩუმი, უწყინარი და ნიჭიერი პატარა რაფო ოჯახის საყვარელი შვილი იყო. იგი პატარაობიდანვე ეცნობოდა ქართლ-კახეთის წარმტაც ბუნებასა და მის ისტორიას; რაფიელის მშობლები ხშირად მოგზაურობდნენ ქართლში (დედის სამშობლოში), გზად მიმავალნი მეოცნებე ყმაწვილს უამბობდნენ საქართველოს გარდასულ დიდებაზე,

მათი საერისთავოს ძლიერების ნაშთზე — ანანურის ციხე-სიმაგრეზე და სხვა.

მომავალ პოეტს ქართული წერა-კითხვა დედამ შეასწავლა. რუსული ენის შესწავლა კი საგანგებოდ მოწვეული მასწავლებლის — კრასნოსკულოვის ხელმძღვანელობით დაიწყო. კრასნოსკულოვი ჯერ ქისტაურში მიიწვიეს, ხოლო შემდეგ რუსული ენის შეგირდთა ცალკე ჯგუფს ასწავლიდა სოფელ გრემში, სადაც რაფ. ერისთავთან ერთად ერთხანს სწავლობდნენ: კიაზო ერისთავი, გიორგი და დიმიტრი ჯორჯაძეები, მაცაშვილები და სხვა თავადიშვილები. მოსწავლეებს ვერ აუტანიათ მასწავლებლის სიმკაცრე და მალე თავი დაუხებებიათ სწავლისათვის. თავისი სიბეჯითის წყალობით მარტო პატარა რაფო შერჩენია კრასნოსკულოვს, რომელიც ამის შემდეგ გრემიდან თელავში გადასულა და რაფიელიც წაუყვანია.

სკოლის ასაკის რაფიელი მამას თელავის სამაზრო სასწავლებელში შეუყვანია. დავით ერისთავს არ მოსწონებია თელავის სასწავლებლის რეჟიმი და განსაკუთრებით ქართული ენის სწავლების უგულებელყოფა, ამიტომ შვილი მალე გამოუყვანია იქიდან. მშობლიური ენის უკეთ დაუფლების მიზნით რაფიელი, თელავის ახლოს, შუამთის შიო მღვიმის მონასტერში მიაბარეს სასწავლებლად. თავად დავითს თავისი ხელით ჩაუბარებია პატარა რაფო ბერებისათვის და საგანგებოდ უთხოვია მონასტრის სასწავლებლის ხელმძღვანელ ფილადელფოს კიკნაძისათვის განსაკუთრებული მზრუნველობა გამოეჩინა მისი შვილისადმი.

ცნობილია, რომ ამ მონასტერში ასწავლიდნენ ყმაწვილებს მშობლიურ ენაზე გრამატიკას, საღვთისმეტყველო საგნებს, დიალექტიკას, რიტორიკას, საეკლესიო გალობას და სხვა. „როგორც თვით პოეტისაგან გავგიგონია, — აღნიშნავს მწერლის ბიოგრაფი ა. ახნაზაროვი, — ბერი კიკნაძე ზეპირად ასწავლიდა ყველაფერს, მინდორში გადაიყვანდა ხოლმე ბავშვებს და ლექსებს ათქმევინებდა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „საერო დღესასწაული“, 1899 წ., გვ. 16. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ლიტერატურულ კრიტიკაში დღემდე მცდარად არის გაშუქებული რაფ. ერისთავის შუამთის მონასტერში მოწაფეობის დრო, მეკლესიოთა უმრავლესობა უკრი-

მოწათფობის წლები შუამთაში, გ. ერისთავის და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა საიდუმლო შეხვედრები მონასტერში, ბოლოს რაფიელის საყვარელი მოძღვრის ფილადელფოს კიკნაძის და სხვა ქართველ მოღვაწეთა დაპატიმრება — ყველაფერი ეს ჭაბუკი რაფიელის თვალწინ მოხდა. არ შეიძლება ამ მოვლენებს თავისებური გავლენა არ მოეხდინა მომავალი მწერლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ამ ამბებმა, მამულის სიყვარულთან ერთად უთუოდ წინდახედულობისა და სიფრთხილის გრძნობა გააძლიერეს ბავშვის გონებაში. რაც შემდეგში დამახასიათებელი გახდა რაფ. ერისთავის პიროვნებისათვის. ამ შემთხვევაში უადგილო არ იქნება მოვიგონოთ, როგორ ახასიათებდა რაფ. ერისთავს აკაკი წერეთელი, როცა მის თერგდალეულებთან დამოკიდებულების საკითხს იხილავდა: „როგორც ნამდვილი ოპოზიციის წევრი ის იყო ფრთხილი, ამწონ-გამზომი საქმისა და გარემოებისა; გრძნობა მოუყიდველი და გამბედავ-შეუპოვარი“<sup>1</sup>.

რაფიელის მშობლები უთუოდ კარგად ხედავდნენ გამოჩენილი მწიგნობრის და მოღვაწის ფ. კიკნაძის დანაკლისს საერთოდ და კერძოდ, მის აუნაზღაურებელ როლს თავიანთი შვილის განათლების საქმეში. ალბათ ამის გამო იქნებოდა, რომ რაფიელი შუამთიდან გამოიყვანეს და 1833 წელს გაგზავნეს გორში. ახლა მის განათლებაზე ზრუნავდნენ რაფიელის დედის მშობლები და ნათესავები — ამილახვრები. მათი მეცადინეობით რაფიელი მიაბარეს გორში მცხოვრებ სამხედრო პირს კოჩერგინს, რომელიც გორში დაბანაკებულ სამხედრო

---

ტიკოდ იზიარებს ხახანაშვილის მცდარ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს 1834—36 წლებში ფილადელფოს კიკნაძე ასწავლიდა (Хаханов А. Очерки по истории Грузинской словесности, т. II, стр. 200). 1835 წ. რაფ. ერისთავი თბილისში ან შუამთის მონასტერშიც რომ ყოფილიყო, ფილადელფოს კიკნაძე ამ წლებში მისი მასწავლებელი ვერ იქნებოდა; ფილადელფოს კიკნაძე შეთქმულებაში მონაწილეობისათვის 1832 წლის დეკემბრის ბოლოს დააპატიმრეს და საპყრობილეში კარდაიყვალა 1833 წელს.

<sup>1</sup> „ივერია“, 1901 წ., № 57.

ნაწილის ხაზინადრად მუშაობდა. კოჩერგინი კარგი პედაგოგი აღმოჩენილა. იგი გულთბილად ეპყრობოდა მომავალ პოეტს. ბეჭითობისათვის პატარა რაფიელი შეილივით შეუყვარებია მასწავლებელს და ამიტომ ხშირად დაჰყავდა გართობებზე. მაშინდელი გორის ინტელიგენცია და სამხედრო უწყების წარმომადგენლები თავს იყრიდნენ პოლკოვნიკ ბარილიოვის სახლში, სადაც იმართებოდა ლიტერატურული პაექრობები, საღამოები, მეჭლისები. კოჩერგინის წყალობით რაფიელი ხშირი სტუმარი იყო ბარილიოვის ოჯახისა.

რაფ. ერისთავმა გორში ორი წელი დაჰყო. იქიდან იგი თბილისში ჩამოიყვანეს და არხანოვის პანსიონში მოაწყვეს<sup>1</sup>. ამ პანსიონში მან 6 თვე დაჰყო. მალე იგი საცხოვრებლად გადავიდა რუსული ენის მასწავლებელ შიპულინის კერძო ბინაში. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ იგი კიდევ უფრო გაიწაფა სწავლაში. თორმეტ-ცამეტი წლის რაფიელს თავის ასაკთან შედარებით მეტი ცოდნა ჰქონდა შეძენილი. ვიდრე მის ტოლებს. ამიტომ 14 წლის ყმაწვილს ადვილად ჩაუბარებია გამოცდები კეთილშობილთა სასწავლებლის შესამე კლასში. მეოთხე კლასში გადასვლის შემდეგ რაფიელი გადაიყვანეს ვოლტერის პანსიონში, რომელიც გიმნაზიის მოსწავლეებისათვის იყო გახსნილი.

ამ პანსიონში ხშირად იმართებოდა საღამო-წარმოდგენები, რომელთაც მთავრობის ყურადღებაც კი მიუქცევია. გამორიცხული არ არის რაფ. ერისთავის მონაწილეობა იქ გამართულ წარმოდგენებში. ალბათ, აქ ჩაესახა მომავალ მწერალს დრამატურგიისა და თეატრისადმი მიდრეკილება.

ვოლტერის პანსიონი თავის დროზე ცნობილი ყოფილა მართულობით და წესრიგით, რის გამოც იგი იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს ძეს დაათვალიერებინეს თბილისში ყოფნისას 1837 წელს.

ერთი წლის შემდეგ გიმნაზიის მეხუთე კლასიდან რაფიელი მამამ

---

<sup>1</sup> თბილისში ორი ძმა არხანოვი ყოფილა. ერთი მათგანი პანსიონს განაგებდა სოლოლაკში, ხოლო მეორე ძმა ლათინურის მასწავლებელი ყოფილა კეთილშობილთა სასწავლებელში.

გადიყვანა ირიცქუხოვის პანსიონში. რაფიელთან ერთად ამ პანსიონში ცხოვრობდა მისი ძმა იოსებიც. ეს პანსიონი სასწავლებლის დამთავრებამდე რაფიელს აღარ გამოუცვლია.

ცნობილია, რომ კეთილშობილთა სასწავლებელი, სადაც სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვა მომავალი ქართველი მოღვაწეები, 1830 წლიდან გიმნაზიად გადაკეთდა. რაფიელი ამ სასწავლებელში შევიდა 1839 წელს, რომელიც 1844 წელს წარმატებით დაასრულა კიდევ.

სამშობლოს ბუნების სილამაზით მოხიბლული, გლეხი კაცის ცხოვრებაზე უსაზღვროდ შეყვარებული ქაბუკი რაფიელი მთელ თავისუფალ დროს საგვარეულო სოფელში ატარებდა. მოწაფეობისას ყოველ არდადეგებზე ჩამოდიოდა ქალაქიდან და სოფლის ბიჭებთან თამაშსა და შაირობაში ერთობოდა. ბავშვობიდანვე ხედავდა მომავალი პოეტი სოფლის გლეხკაცობის შრომასა და დასვენებას, ლხინსა და ჭირს. გლეხი კაცის ყოფა თავისი ნამდვილი ცხოვრებით ღრმად შეუხისხსნობოდა მომავალი მგოსნის სულს. ამიტომ არის, რომ გლეხი კაცის შრომა არც ერთ ქართველ მწერალს არ აუსახავს ლიტერატურაში ისე სრულყოფილად, როგორც რაფ. ერისთავს.

ლექსების წერა რაფიელს ბავშვობიდანვე, 10—11 წლის ასაკში დაუწყო; ლექსების უმრავლესობას ზეპირად უკითხავდა ამხანაგებს სკოლაში თუ სოფლად, სოფლის გოგო-ბიჭებს. სამწუხაროდ, პოეტის ბავშვობის დროინდელ ლექსებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

რაფ. ერისთავს პირველი ლექსი „დარიგება“, ბიოგრაფის ა. ახნაზაროვის ცნობით, 1844 წელს გიმნაზიის უკანასკნელ კლასში ყოფნისას დაუწერია. ამ აზრისაა აგრეთვე ა. ხახანაშვილიც<sup>1</sup>. „დარიგება“ და რაფიელის მეორე ლექსი „ყვავილს“ უჭრნალ „ცისკრის“ გამოსვლის პირველ წელსვე დაიბეჭდა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მე-19 საუკ. გვ. 122.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1852 წ. № 7.



## საზოგადოებრივ-ლიბერატორული მოღვაწეობის პირველი წლები (1845-1857 წწ.)

გიმნაზიის დამამთავრებელ კლასში რაფ. ერისთავს თვალების ავადმყოფობა დასჩემებია, ამ მიზეზის გამო განათლებას მოწყურებულმა ქაბუკმა ვერ მოახერხა სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში. ცხოვრების სინამდვილემ ფრთები შეაკვეცა მის ქაბუკურ ოცნებას. იგი დამორჩილდა თავის ბედს და 1846 წლის 29 მაისს გამწესდა სამსახურში თიანეთს, თუშ-ფშავ-ხეცსურეთის სამმართველოს თარჯიმნად. ამ თანამდებობაზე რაფ. ერისთავმა წელიწადნახევარი იმუშავა.

ფართო საზოგადოებისათვის უცნობია ის დიდი ამაგი, რაც მწერალმა დასდო ქართულ ეროვნულ კულტურას 60-იან წლებამდე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაფ. ერისთავის მოღვაწეობა გაზეთ „კავკაზში“ 1846—1857 წლებში. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა სისტემატური ხასიათის ქართული პერიოდული პრესა. გაზეთი „კავკაზი“ მთელი რიგი წლების განმავლობაში ერთადერთი პერიოდული გამოცემა იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ეს წლები ხასიათდება აგრეთვე რუსულ-ქართული ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაცხოველებითაც; „კავკაზის“ ფურცლებზე ხშირად ვხვდებით „შორეთიდან მაცქერალ“ უცხო კორესპონდენტთა წერილებს, რომლებიც არაზუსტად და ხშირ შემთხვევაში დამახინჯებულად უხატავდნენ რუს მკითხველს კავკასიის ხალხთა ცხოვრებას. ასეთ ვითარებაში რაფ. ერისთავის გულწრფელი კალმის მხატვრული ნიმუშების გამოჩენა „კავკაზის“ ფურცლებზე დიდად სასარგებლო მოვლენა იყო. გარდა ამისა, ახალგაზრდა მწერლის მოღვაწეობა ამ გაზეთში მნიშვნელოვანი ფაქტია არა მარტო მწერლის ცხოვრებაში, არამედ ამ წლების საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაზრისითაც. „კავკაზის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა რაფ. ერისთავის მიმოხილვები, ეთნოგრაფიულ-ისტორიული ხასიათის წერილები საქართველოს თითქმის ყველა კუთხის შესახებ; მხატვრული ნარკვევები შამილისა და თურქი

დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპული ქართველი და რუსი მეომრების თავგანწირულობაზე და სხვა. რუსულ პერიოდულ გამოცემაში დაბეჭდილი მრავალფეროვანი შინაარსის წერილებით რაფ. ერისთავმა თავის დროზე დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში, რითაც გარკვეული წვლილი შეიტანა რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის განვითარებაში.

[მომავალი მწერლის პირველი ლიტერატურული ნიმუშები „წერილები კახეთიდან“ გამოქვეყნდა 1846 წლის გაზეთ „კავკაზის“ ივნისის ნომერებში.] რაფიელ ერისთავის ეს პირველი ნაბიჯები პუბლიცისტიკაში საფუძველს გვაძლევს ვიმსჯელოთ ახალგაზრდა მოღვაწის საზოგადოებრივ შეხედულებებზე, მის ლიტერატურულ გემოვნებაზე.

[სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ვიდრე სამსახურს დაიწყებდა, რაფიელ ერისთავმა იმოგზაურა კახეთში, ინახულა ამ მხარის ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილები. მწერალმა მოგზაურის თვალთ აგვიწერა კახეთის თვალწარმტაცი ბუნების სიმშვენიერე, მშრომელი ხალხის ცხოვრება.] გვ. 7.

1846 წლის სექტემბერში რაფ. ერისთავს საგანგებოდ შემოუვლია ყვარლის მიდამოები. დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პოეტზე ყვარლის შესანიშნავ ბუნებას. თავისი თვალუწვდენელი მთებითა და მდელოებით, მოჩუხჩუხე ანკარა ნაკადულებითა და ბარაქიანი მიწით. კახეთი და განსაკუთრებით ყვარლის მიდამოები 40--50-იან წლებში განიცდიდნენ ლეკების თავდასხმებს. მოსახლენი შიშის გამო დაღამებისთანავე სახლებში ჩაიკეტებოდნენ და დილაამდე გარეთ აღარ გამოდიოდნენ. პატრიოტი მწერალი წუხს კახეთის ლამაზი მხარის ასეთი მძიმე მდგომარეობის გამო, გულით თანაუგრძნობს ყვარლის მცხოვრებთ.

1847 წლის თებერვალში „კავკაზის“ ფურცლებზე ვხვდებით რაფიელ ერისთავის წერილს „Письмо к другу“. ამ წერილში ეთნოგრაფიული ხასიათის მასალების გარდა, ავტორი გვაცნობს კაპიტალიზმის შემოქრის შედეგად გაცხოველებულ ალებ-მიცემობა-

სა და საქალაქო მშენებლობის ქრონიკას, მდიდარი ვაჭრის ვინმე ფიჩხულას გაკორტების ამბავს და სხვ.

რაფ. ერისთავი ქაბუკობიდანვე ქართული კულტურის, მისი ნაციონალური ზნე-ჩვეულებისა და ინტერესების დამცველად გვევლინება, ყოველივე ეს მედაუნდება მის წერილებში: „Свадьба у грузин“ («Кавказ», 1847, № 14). «Замечания на статью Г. Бердзенова («Кавказ», 1854 г., № 50). ეს ეთნოგრაფიულ-მეცნიერული ხასიათის ნაშრომები სწორად აშუქებენ ქართულ საქორწილო წეს-ჩვეულებას, სტუმარმასპინძლობის წესს, საშობაო აღილოობის რიტუალს და სხვ.

თავისი შინაარსით და პოლიტიკური სიმახვილით საინტერესოა 1849 წლის „კავკაზში“ (№16) დაბეჭდილი წერილი ბერიკაობის საწესო რიტუალის შესრულებაზე, რაც სოფლის „წესრიგის დამცველებმა“ მიიღეს როგორც დარბევა, „წესრიგის უხეში დარღვევა“; „ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება.“

რაფ. ერისთავმა ამ ფელეტონში მოხერხებულად გადმოგვცა მეფის თვითმპყრობელური სახელმწიფოს „წესრიგის დამცველთა“ კომიკური მდგომარეობა. მან ნათლად დაგვანახვა, როგორ შეურაცხყოფდნენ მეფის დაქირავებული მოხელეები ხალხის სინდისსა და ზნეჩვეულებას, როგორ ახშობდნენ ხალხის თავისუფლებას.

რაფიელ ერისთავის ზემოთ აღნიშნული წერილები მარტო ეთნოგრაფიული ხასიათის მასალებს როდი შეიცავს. უფრო მეტიც. მის წერილებში აღწერილი ეთნოგრაფიული ფაქტები გამოყენებულია პოლიტიკური სიტუაციის, სოციალური ყოფისა, თუ საზოგადოებრივი განწყობილების გადმოსაცემად. ასეთ ხერხს რაფ. ერისთავი შემდეგშიც ხშირად მიმართავდა.

მხატვრული გემოვნებით ყურადღებას იმსახურებს რაფ. ერისთავის მიერ 1849 წელს დაბეჭდილი ეთნოგრაფიული ნარკვევები: 1. Признаки весны, 2. Царство кукушек, 3. Происхождение сов<sup>1</sup>. ორი უკანასკნელი ნარკვევი ფოლკლორულ მასალებზეა აგებუ-

<sup>1</sup> «Кавказ», 1849 г., № 18.

ლი და საინტერესოდ იკითხება. ამ წერილებში რაფ. ერისთავი სწორად განმარტავს, რომ უბრალო ხალხის სიბრძნით საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ზღაპრები, თქმულებები, ზნე-ჩვეულებები—ერის ძლიერი სულიერი კულტურული სიმდიდრის ნიშანი და მისი განათლების დონის მაჩვენებელია.

სამსახურში მყოფი რაფ. ერისთავი გამუდმებით ზრუნავდა თავისი ქვეყნის ბედობაზე, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში; ჯერ კიდევ ახალგაზრდა დაუმეგობრდა ცნობილ ქართველოლოგს—მეცნიერ მ. ბროსეს, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა არქეოლოგიური მიზნით 1847 წელს. ამავე წლის სექტემბერში ჩავიდა სოფ. მატაანში. რაფ. ერისთავი და მისი მამა დავითი პირადად გაეცნენ მ. ბროსეს, რომელიც ლეკების მიერ მოკლულ თავად ანდრონიკაშვილის დასაფლავების სამგლოვიარო ცერემონიას დასწრებია. ამის შემდეგ უცხო მოგზაური ესტუმრა რაფიელის ოჯახს ქისტაურში.

თავის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოსა და სომხეთში 1847-1848 წწ“, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოიცა 1850 წელს პეტერბურგში, მ. ბროსე იგონებს: დასაფლავების ცერემონიალის შემდეგ თავადმა დავითმა და მისმა შვილმა რაფიელმა მიმიპატიეს სოფ. ქისტაურში. დავითი დამპირდა, რომ მაჩვენებდა ალვანის თუშებს, საკუთარ წიგნებს, ნანგრევებს თავის მამულში და გამიადვილებდა ჩემს გამოკვლევას. ამავე წიგნში რაფ. ერისთავის შესახებ მ. ბროსე შენიშნავს: „როდესაც გვამს ასვენებდნენ საფლავში, რაფიელ ერისთავმა წაიკითხა მოკლე, შინაარსიანი სიტყვა ქართულად... ამ ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც მიიღო საფუძვლიანი განათლება თბილისის გიმნაზიაში, უკვე გამოიჩინა თავი გაზეთ „კავკაზში“ მოთავსებული თავისი კარგი სტატიებით.“

სტუმრობის შემდეგ დავითმა და რაფიელმა მ. ბროსეს დაათვალიერებინეს ივრის ხეობა, საიდანაც რაფიელმა გააცილა იგი თიანეთში. იქ ისინი ესტუმრნენ ა. ლ. ზისერმანს. 24 სექტემბერს ბროსე თბილისში გამოემგზავრა, ხოლო რაფიელი თიანეთში დარჩა, სამსახურის ადგილზე.

მარი ბროსეს შეხვედრამ კაბუჯი რაფიელი ერთბაშად მოხიბლა, რასაც ადასტურებს რაფ. ერისთავის წერილები ბროსესადმი. რომელსაც ქვემოთ შევეხებით და აგრეთვე მისივე ჩანაწერები. რომელსაც რაფიელ ერისთავის პირად არქივში მივაკვლიეთ.

„19 სექტემბერს 1847 წელს, — იგონებს რაფიელი, — პირველად ვნახე აკადემიკოსი... მარი ივანეს ძე ბროსე; 20-სა და 21-ს ის იყო ჩემთან. 22-ს მასთან ერთად ბოქორმაში გავემგზავრე... იქ ეკლესიაზე წავიკითხეთ წარწერები კარისა და იატაკზე ჩამოქცეულ ბათქაშზე... მე, ბროსე და მისი თანმხლები სიმონი მივედით ს. თიანეთს, საიდანაც მათ განაგრძეს გზა და მე სევდით შეპყრობილი გამოვეთხოვე მათ“...<sup>1</sup>.

მ. ბროსესა და რაფ. ერისთავს გულდასმით უსაუბრიათ საქართველოს ისტორიის შესახებ. რაფიელი შემდგომშიც ბევრს ცდილობდა რაიმე სასარგებლო ცნობა მიეწოდებინა საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ცნობილი მეცნიერისათვის, რასაც ადასტურებს მათ შორის გაცხოველებული საქმიანი მიმოწერა. როგორც რაფ. ერისთავის წერილებიდან ირკვევა, მ. ბროსეს რამდენიმე ბარათი გამოუგზავნია რაფიელისათვის. სამწუხაროდ. ამ წერილებიდან დღემდე მიკვლეულია მხოლოდ ერთი<sup>2</sup>.

რაფ. ერისთავის წერილები მ. ბროსესადმი (10 წერილი) დაწერილია 1849—1856 წლებში. ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ეს წერილები ახალ შუქს ჰფენენ XIX საუკუნის შუა წლების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას, მოწინავე ქართულ საზოგადოების ურთიერთობას რუსულ კულტურასთან. ეს წერილები აგრეთვე საინტერესო ცნობებით ავსებენ ჩვენი პოეტის ბიოგრაფიასაც<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 138.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. ბროსეს ფონდი, № 165.

<sup>3</sup> რაფიელ ერისთავის აღნიშნული წერილები მ. ბროსესადმი (დედნები) დაცულია ქ. ლენინგრადში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში. წერილების ფოტოასლები ჩამოიტანა პროფ. მ. ჩიქოვანმა და გადასცა საქართველოს ლიტერატურისა და ყვარლის მუზეუმებს. დაიბეჭდა 1955 წელს. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. IX.

1848 წლის აპრილში რაფ. ერისთავმა თავი დაანება სამსახურს და ცდილობდა სწავლის გაგრძელებას, მაგრამ უსახსრობის გამო კვლავ ვერ მოახერხა. იძულებული იყო ისევ სახელმწიფო სამსახურში შესულიყო.

1849 წლის 29 ივნისს რაფიელი დაინიშნა თბილისში ამიერკავკასიის მთავარ სამმართველოს საბჭოს კანცელარიის შტატგარეშე მოსამსახურედ, (თბილისში რაფიელ ერისთავი ცხოვრობდა არჩილ მუხრანბატონის სახლში — მუხრანის ხიდთან). როგორც გადმოგეცემენ, მწერალი განსაკუთრებული ენერგიით მუშაობდა სამსახურში. ამის გამო იგი მალე დააწინაურეს; 1851 წლის 19 ივნისს გადაიყვანეს მეფის მოადგილის კანცელარიაში მაგიდის უფროსის თანაშემწედ.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში რაფ. ერისთავი გამოირჩეოდა პატიოსნებითა და საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით. რაფიელ ერისთავის ატესტატში საგანგებოდაა მოხსენიებული, რომ „კავკასიის ნამესტნიკის“ მიერ დადასტურებული კარგი და ერთგული სამსახურისათვის ყოვლად უმოწყალესად ებოძა ნახევარი წლის ჯამაგირი. 1851 წელს 17 იანვარს მთავრობის საგანგებო ბრძანებით წელთა ნამსახურებისათვის რაფიელს ებოძა „კოლეჯის რეგისტრატორობა“, ხოლო იმავე წელს 2 დეკემბერს „გუბერნიის სეკრეტორობა“.

თბილისში სამსახურის წლებში რაფ. ერისთავი ნაყოფიერ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. 1851 წელს თბილისში ჩამოყალიბდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომლის ნამდვილ წევრად არჩიეს იგი 1855 წლის 27 ივნისს<sup>1</sup>.

რაფ. ერისთავმა დიდი წვლილი დასდო ქართული მუზეუმის დაარსების საქმეს (1852 წ.). 1855 წლის იანვარში მუზეუმის დირექტორმა ვ. ა. სოლოგუბმა რაფ. ერისთავი მიიწვია მუზეუმში სამუშაოდ, სადაც მან სისტემაში მოიყვანა მუზეუმისათვის შეწირუ-

<sup>1</sup> «Записки Кавказского Отдела Императорского русского Географического общества». 1855 г. III, стр. 291—295.

ლი ექსპონატები, დააზუსტა მათი სახელწოდებანი, პირველმა შემოიღო საკატალოგო წიგნი და მოამზადა მუზეუმი გამოფენისათვის. ყველა ამ სამუშაოების ჩატარებისას რაფ. ერისთავს გულითადი მადლობა გამოეცხადა. 1855 წლის აპრილიდან ა. პ. ბერეეს სპარსეთში გამგზავრების გამო რაფიელი ასრულებდა მუზეუმის მდივნის (ზედამხედველის) მოვალეობას<sup>1</sup>.

რაფ. ერისთავმა პირადად შესწირა ახლად დაარსებულ მუზეუმს სხვადასხვა ექსპონატები, რომლის ჩანაწერები ახლაც ჩანს 1856 წელს შედგენილ მუზეუმის კატალოგში.

სოლოგუბის რუსეთში გადასვლის შემდეგ მუზეუმის გამგის თანამდებობაზე ნავარაუდევია იყო ორი კანდიდატურა: ცნობილი ნუმისმატიკოსი ი. ა. ბარტოლომეი და მწერალი რაფიელ ერისთავი. გეოგრაფიული საზოგადოების გამგებელი კომისიის 1855 წლის 27 ივნისის სხდომაზე რაფ. ერისთავმა და ბარტოლომეიმ კენჭისყრის დროს ხმების თანატოლი რაოდენობა მიიღეს. მუზეუმის დირექტორად თბილისში მცხოვრები ბარტოლომეი დატოვეს, ვინაიდან რაფ. ერისთავი ამ დროს უკვე ქუთაისში იყო გადაყვანილი, თუმცა იგი რეცენზიებით, წერილებით და რჩევა-დარიგებით ქუთაისიდანაც მონაწილეობდა მუზეუმის საქმიანობაში.

\* \* \*

თიანეთის მაზრაში სამსახურის დროს რაფიელ ერისთავი კიდევ უფრო ახლოს გაეცნო მთის ხალხის ყოფა-ცხოვრებას. თუშფშავ-ხევსურეთის მკვიდრთა შესახებ რაფ. ერისთავმა დიდძალი მასალა მოაგროვა, რაც შემდგომში გადაამუშავა და ცალკე წერილებად გამოაქვეყნა 1854 წლის გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე, საერთო სათაურით: «Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском округе»<sup>2</sup>.

აღნიშნულ შრომაზე რაფ. ერისთავს შემდგომშიც არ შეუ-

<sup>1</sup> «Записки КИИРГО», III, стр. 287 — 290.

<sup>2</sup> «Кавказ», 1854 г., №№ 43, 45, 46, 47, 49, 50, 51, 52.

წყვეტია მუშაობა. ეს წერილები შესწორებული და შევსებული ცალკე შრომად დაიბეჭდა 1855 წელს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების მესამე ტომში, შრომას დაერთო თუშ-ფშავ-ხევსურეთის მხარის რუკაც<sup>1</sup>.

რაფ. ერისთავის აღნიშნულ ეთნოგრაფიულ-მეცნიერული ხასიათის წერილებში ღრმადაა გაშუქებული ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ბრწყინვალე სურათები.

რაფ. ერისთავის მართებული აზრით, საქართველოს ამ მთიან მხარეს (თუშეთს, ფშავს და ხევსურეთს) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. სტრატეგიული სამეთვალყურეო პუნქტები, რომლებიც მრავლად იყო განლაგებული ამ ტერიტორიაზე, უზრუნველყოფდა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებს მტრის თავდასხმისაგან.

ამ წერილებში რაფ. ერისთავი ოსტატურად ანზოგადებს მთიელთა ზნეჩვეულებას, მთიელი ხალხის ვაჟკაცური ბრძოლების მხატვრული აღწერით იგი მთელი ქართველი ერის გმირულ ტრადიციებს გამოხატავს. ცნობილია, რომ სამშობლოს სიყვარულის ეს იდეალი შემდეგში მწერალმა ხევსურის პირით გამოხატა პატრიოტულ ლექსში „სამშობლო ხევსურისა“.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობამ თავის დროზე დიდი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაცხოველების საქმეში.

მწერალს მოჰყავს საინტერესო ცნობები რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის დასადასტურებლად, რომლითაც ვგებულობთ ჩრდილოეთით მოსაზღვრე ქართველი ტომების — თუშ-ფშავ-ხევსურეთის ხალხთა ლტოლვას, მთელ საქართველოსთან ერთად შეერთებოდნენ რუსეთს და გაერთიანებული ძალით დაეცვათ ქრისტიანული მხარე, თურქი და ირანელი დამპყრობლებისაგან. ამ მხრივ საინტერესოა დიპლომატიური მიმოწერა თუშ-ფშავ-ხევსურეთის ხალხსა და რუსეთის მთავრობას შორის.

<sup>1</sup> «Записки КОИРГО», 1855 г., III, стр. 75—145.



რაფ. ერისთავს მხედველობაში აქვს თუშ-ფშავ-ხევსურების მიერ 1657 წელს მოსკოვში ნეფე ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილი წერილი. სხვათა შორის ეს წერილი მოსკოვში წაიღეს მთის ხალხის მიერ ამორჩეულმა საგანგებო ელჩებმა, რომელშიც 8 კაცი შედიოდა.

აღნიშნულ წერილში მრავალრიცხოვანი მტრისაგან შევიწროებული მთის ქართველები ერთგულების ფიცს აძლევენ რუსეთის მეფეს, რომ მის დაძახებისთანავე ერთგულად იბრძოლებენ საერთო მტრის წინააღმდეგ, ოღონდ მან, — დიდმა ხელმწიფემ ალექსი მიხეილის ძემ — შემწეობა აღმოუჩინოს მის კარზე დახმარებისათვის მოსულ ქართველ მეფეს — თეიმურაზ პირველს.

ამ საქმის ისტორია ასეთია.

თუშ-ფშავ-ხევსურებმა 1657 წელს ორჯერ (იანვარში და ივლისში) გაგზავნეს ელჩები დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის რუსეთის მეფის კარზე. ელჩებმა თან წაიღეს საგანგებოდ შედგენილი და ამ მხარის ერობის წინაშე წაკითხული წერილი. რაფ. ერისთავს გაუგია თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და რუსეთის ასეთი ისტორიული მოლაპარაკების წარმოების შესახებ და სანკტ-პეტერბურგში მცხოვრებ ქართველოლოგ აკადემიკოს მ. ბროსესათვის შეუთვლია მოენახა ეს წერილები და მისი ასლები გამოეგზავნა თბილისში. მ. ბროსეს რაფ. ერისთავის თხოვნა შეუსრულებია, ეს მასალები მართლაც უპოვნია მოსკოვის არქივში. აღნიშნული წერილების ასლები გადმოუღია და 1849 წელს გამოუგზავნია თბილისში რაფ. ერისთავისათვის, რომელთა ერთი ნაწილი რაფ. ერისთავმა „კავკაზში“ დაბეჭდა.

რაფ. ერისთავის ეთნოგრაფიულმა წერილებმა თუშ-ფშავ-ხევსურეთის შესახებ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვეს ფართო საზოგადოებაში. „კავკაზის“ მიმომხილველი დადებით შეფასებას აძლევდა რაფ. ერისთავის აღნიშნულ შრომებს, როგორც ისტორიისათვის საჭირო მეცნიერული ხასიათის ძვირფას შენაძენს.

1855 წლის 23 ივლისიდან კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით და ქუთაისის გუბერნატორის თავად ივანე მუხრანბატონის წარდგენით რაფ. ერისთავი დაინიშნა ქუთაისის სამხედრო გუბერ-

ნატორთან განსაკუთრებულ მინდობილობათა უფროსი მოხელისა და თარჯიმნის თანამდებობაზე.

9 წლის შემდეგ (1864 წ. აპრილიდან ნოემბრამდე) ამავე თანამდებობაზე ქუთაისში მუშაობდა ი. ჭავჭავაძე, რომელსაც დაეალეებული ჰქონდა შეესწავლა რეფორმის გასატარებელი კონკრეტული საკითხების დამუშავება, ბატონსა და ყმას შორის წარმოშობილი დავის მოგვარება. რაფ. ერისთავი ამ დროს სამეგრელოშია მაზრის უფროსად, ამავე დროს ასრულებს მთავრობის დაეალეებას შეიმუშაოს მებატონეებს და ყმებს შორის წარმოშობილი დავის მოსაწესრიგებელი ღონისძიება. თუ რა განსაკუთრებულ მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა ჩვენს სახელოვან წინაპრებს, ამას ადასტურებს ქუთაისიდან გაგზავნილი ი. ჭავჭავაძის წერილი თავის მეუღლისადმი: „ამას კი მოგწერ, რომ ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეკაშნიკათ, აი ესენი არიან ჩვენი დამღუპველები, ჩვენი ყმების წამრთმეველებიო, ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა ყრიან“<sup>1</sup>.

ქუთაისში ყოფნისას, თავისი პირდაპირი მოვალეობის გარდა, რაფიელი მუშაობდა ქუთაისის გუბერნიის პროკურორად,<sup>2</sup> აგრეთვე გუბერნიის სამმართველოს 1-ლი განყოფილების მრჩეველად — 1856 წლის ივნისიდან აგვისტომდე.

ქუთაისში სამსახურის დროს რაფ. ერისთავს კვლავ გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდა მ. ბროსესთან პეტერბურგში. თბილისიდან ქუთაისში გამგზავრების წინ რაფ. ერისთავმა საგანგებო წერილი და ქართული წიგნები გაუგზავნა მ. ბროსეს. ის სინანულს გამოსთქვამდა „ცისკრის“ გამოცემის შეწყვეტის გამო. ამავე დროს სწერდა ი. კერესელიძის მიერ ახალი ქართული ჟურნალის გამოცემის ღონისძიებაზე, უგზავნის 1849—1855 წლებში ქართულად გამოცემული წიგნების კატალოგს და სხვა.

1855 წელს რაფ. ერისთავმა შექმნა მხატვრული ნარკვევების ციკლი, „წერილები იმერეთიდან“, რომლებიც გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა. აღნიშნული წერილები გამოხატავს სამსახურის შეცე-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 239.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 8.

ლის გამო გამოწვეულ ახალგაზრდა მგოსნის სულიერ მდელვარებას; თბილისიდან ქუთაისში მგზავრობის და იმერეთის დიდებულე-ბით მიღებულ შთაბეჭდილებებს.

1856 წლის აგვისტოში რაფ. ერისთავს საგანგებოდ უმოგზაუ-რია ზემო იმერეთის რაიონებში. სიმონეთზე, ძეგრზე, ჩხარზე გავ-ლით ჩასულა საჩხერეში, სადაც ალექსანდრე წერეთლის სახლში აღმოუჩინია ა. გრიბოედოვის „ვაი ქკუისაგან“ — დედანი. აგრეთ-ვე უნახავს ორი დანგრეული სტამბა, რომელიც სოლომონ მეფის თურქეთში წასვლის შემდეგ გრ. წერეთელს გადმოუტანია ქუთაი-სიდან საჩხერეში<sup>1</sup>.

უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ რაფ. ერისთავმა ხელნაწერად გავრცელებული ტექსტით გაიცნო გრიბოედოვის „ვაი ქკუისაგან“. ხოლო საჩხერეში თავად ალექსანდრე წერეთლის ბიბლიოთეკაში გრიბოედოვის გენიალური კომედიის დედნის არსებობა — ამ ნა-წარმოების საქართველოში გავრცელების მასშტაბზე მიუთითებს.

მეტად საყურადღებოა წერილები კაცხის სვეტისა და მოდინა-ხეს ციხის შესახებ.

რაფ. ერისთავის მახვილი კალამი არ ინდობდა მთავრობის ბიუროკრატ მოხელეებს, რომლებიც სიზარმაცესა და ლაყბობაში ატარებდნენ დროს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ერთ-ერთი წერი-ლი, რომელიც 1855 წლის 20 დეკემბრის თარიღით დაიბეჭდა. ამ წერილში რაფ. ერისთავი მკაცრად აკრიტიკებს ქუთაისის „არის-ტოკრატიული“ საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც უშ-რომლად ცხოვრობდნენ და მთელს დღეს ლაყბობასა და ქორაობა-ში ატარებდნენ.

ქუთაისში ყოფნის პერიოდში სამსახურებრივი მდგომარეო-ბის გამო რაფ. ერისთავს ხშირად უხდებოდა ყოფნა იმერეთსა და სამეგრელოში.

ზემოთ დასახელებული წერილები პრაქტიკულად ნახული და შემოწმებული ფაქტობრივი მასალების გადამუშავების შედეგადაა დაწერილი. იგი ახლოს იცნობდა მაშინდელი საზოგადოებრივი

<sup>1</sup> «Кавказ», 1857, № 82.

ცხოვრების ყველა წარმომადგენელს. მაგრამ ყველაზე მთავარი მისთვის მაინც საზოგადოების ძირითადი ნაწილის—მშრომელი გლეხობის ყოფის შესწავლა იყო. თავის პუბლიცისტურ წერილებში მწერალი მისთვის დამახასიათებელი სიმპატიით ეპყრობა მშრომელი ხალხის დუხპირ ცხოვრებას და რეალისტურად გვინატავს გლეხკაცობის სიღარიბეს.

რაფ. ერისთავი ახერხებს შეუფერავად დახატოს გლეხის გაჭირვებული მდგომარეობა, რომელსაც ახალი მძარცველები გამოუჩნდნენ. მეგრულ და იმერულ გლეხს არ შეუძლია თავის მეურნეობის ნაწარმთა გაყიდვა უშუალო მომხმარებელზე. ასევე არ შეუძლია გლეხს პირდაპირ მიმწოდებლისაგან იყიდოს მისთვის ესოდენ საჭირო ჩითი, ნავთი, ასანთი და სხვა საქონელი; მათ შორის ხუთი შუამავალია. სპეკულიანტთა ეს მთელი ხროვა მდიდრდება გლეხობის ხარჯზე. უმნიშვნელო თანხას, რომელსაც გლეხები ღებულობენ სიმინდისა და ხილის საფასურად, ნთქავს მანჩესტერიდან შემოტანილი ფართლეული. ამ წერილში ლაპარაკია აგრეთვე გაიძვერა თურქი ვაჭრების შესახებ, რომლებიც სამმაგ ტყავს აძრობენ გურიასამეგრელოს გლეხკაცობას<sup>1</sup>.

ლიტერატურული გემოვნებითაა დაწერილი რაფ. ერისთავის მხატვრული ნარკვევები 1855 წლის დეკემბრის „კავკაზში“ „Разсказы наших милиционеров“. ეს წერილები გვაცნობენ თურქეთის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ეპიზოდებს. კერძოდ, 1854 წლის 4 ივნისის ბრძოლებს გურიაში და ჩოლოქის დიდ გამარჯვებას. სხვათა შორის ამ ბრძოლაში რუსეთის ჯარებთან ერთად თავი ისახელა ქართულმა დრუჟინამ და კავალერიამ. მწერალი ახერხებს დრუჟინის უფროსის ენით ამალღებულად გადმოგვცეს პატრიოტული ბრძოლის ეპიზოდები. თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ გაშლილი საომარი მოქმედების სურათი ასახულია — რუს და ქართველ მეომართა ძმურ თანაბრძოლებში.

საინტერესო წერილი გამოაქვეყნა რაფ. ერისთავმა „კავკაზის“ 1856 წლის იანვრის ნომერში, სადაც უარყოფს უცხოელი

<sup>1</sup> «Кавказ», 1862 г., № 99.

კორესპონდენტების ცრუ ცნობებს თურქეთის ჯარების მიერ ქუთაისის ალებისა და თბილისისაკენ გალაშქრების შესახებ.

რაფიელი ხატავს ბრძოლის ნამდვილ სურათს, თურქეთის ჯარების უმწეო მდგომარეობას საქართველოს დასავლეთ რაიონებში, როდესაც 12-ათასიანმა ომარ-ფაშას ჯარებმა სასტიკი მარცხი განიცადეს.

პატრიოტი მწერალი მოსწრებულად შენიშნავს, რომ „თურქებმა მართლაც ნახეს ქუთაისი, თბილისიც მაგრამ არა გამარჯვებულებმა, არამედ როგორც ტყვეებმაო.“

შამილის წინააღმდეგ მებრძოლი თუში პარტიზანის (გულუხაიდის), გმირული ბრძოლის სურათები აგვიწერა რაფ. ერისთავმა მხატვრულ ნაკვეთში<sup>1</sup>. ქართველი გულუხაიდის სახელი იმდენად ყოფილა განთქმული, რომ თვით შამილს რამდენჯერმე გამოუთქვამს სურვილი შორიდან მაინც ენახა მისი ლეგენდარული მტერი.

რაფიელ ერისთავის მიერ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილებში თუ მიმოხილვებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალურ საკითხს. გარდა ამისა, ამ წერილებში ვრცლადაა გაშუქებული ისტორიულ-ეკონომიური და ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები. აღსანიშნავია, რომ მწერალი პუბლიცისტური წერილის ჩარჩოებშიც ახერხებს ამაღლვებლად გადმოგვცეს მნიშვნელოვანი ფაქტები, მხატვრულად ასახოს ბუნების მოვლენები. ყველაფერი ეს მწერლის ლიტერატურულ გემოვნებაზე და მისი კალმის მახვილ პუბლიცისტურ ალღოზე ლაპარაკობს.

რაფიელ ერისთავი დიდი სიყვარულით სწავლობდა მშობლიური ხალხის ენას. განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა ქართველი ხალხის კუთხური მეტყველებისადმი. მას კარგად ესმოდა საერთო სახალხო ლიტერატურული ენის შექმნის საქმეში კუთხურ დიალექტების მნიშვნელობა.

რაფ. ერისთავის მოღვაწეობამ რუსულ პერიოდულ პრესაში-

---

<sup>1</sup> «Кавказ», 1857, № 85.

დიდი როლი შეასრულა ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის გაძლიერების საქმეში. „კავკაზმა“ ჯერ კიდევ 1854 წელს საგანგებოდ აღნიშნა ახალგაზრდა რაფიელ ერისთავის დიდი დამსახურება ამ საქმეში და რაფ. ერისთავს გაზ. „კავკაზის“ საპატიო მოღვაწე უწოდა<sup>1</sup>.

ორმოცდაათიან-სამოციან წლებში რუსულ პრესაში რაფ. ერისთავის მოღვაწეობის ხანას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა მწერლის მსოფლმხედველობის გარკვევისა და მისი ლიტერატურული პროლექციის შეფასებისათვის. ეს ის პერიოდია მწერლის მოღვაწეობაში, როდესაც იგი რთული სოციალ-პოლიტიკური მოვლენების შესწავლის პროცესშია. ამ დროს მასში, როგორც შემოქმედებაში, პოტენციალურად გროვდება ცხოვრების ცოდნა-გამოცდილება, რათა შემდგომში უფრო სრულყოფილი მხატვრული ტილოები შექმნას. მართლაც, ცნობილია თუ როგორი დიდი მხატვრული განზოგადება ჰპოვა რაფ. ერისთავის ლექსებში ცხოვრების იმ სიბრძნემ, რომელსაც იგი ამ დროს იძენდა და უმთავრესად პუბლიცისტური წერილების სახით იბეჭდებოდა „კავკაზის“ ფურცლებზე.

1855—57 წლებში ზედიზედ გამოქვეყნდა რაფ. ერისთავის მოთხრობები — „Оборванец“, „ნინო“. ამ მოთხრობების დაბეჭდვა იმ წლებში საინტერესო მოვლენას წარმოადგენდა. ამიტომ მწერლის ამ ნაწერებმა ერთბაშად მიიქცია მკითხველი საზოგადოების ყურადღება და ფართო მსჯელობის საგანი გახდა.

რაფ. ერისთავის აღნიშნული მოთხრობებით საზოგადოების დაინტერესებას ხელს უწყობდა მწერლის მიერ შემოტანილი თხრობის ახალი კილო, თემის იდეური სიახლე. ამ მხრივ რაფ. ერისთავის ნაწარმოებები გამოირჩეოდა იმდროინდელ ერთადერთ ქართულ ეჟურნალ „ცისკარსა“ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილ თხზულებათაგან.

რაფ. ერისთავის მოთხრობა „Оборванец“ დაწერილია რუს-

<sup>1</sup> «Кавказ», 1854, № 64.

ულ ენაზე, პირველად გამოქვეყნდა 1855 წელს ლიტერატურულ კრებულში «Зурна» (Закавказский альманах, издание Е. В. Вердеревского, Тифлис, 1855 г.). ალმანახი შედგება 377 გვერდი-საგან, რომელშიაც მოთავსებულია 20 ლექსი, 9 პუბლიცისტური სტატია და რამდენიმე მოთხრობა.

პირველ ქართულ ლიტერატურულ ალმანახს „ზურნა“-ს რუსეთის მოწინავე საზოგადოების ყურადღებაც მიუქცევია. „ზურნა“ დაკვირვებით წაუკითხავს რუსეთის დიდ რევოლუციონერსა და დემოკრატს ნ. ჩერნიშევსკის. იგი აღტაცებული იყო პირველი ქართული ალმანახის გამოსვლით და საყურადღებო მოსაზრებებიც გამოსთქვა მის შესახებ.

ჩერნიშევსკი საგანგებოდ შეჩერდა თვითონ თბილისის ლიტერატორებზე და აღნიშნა, რომ ეს ცხოველმყოფელი პოეტური ფანტაზია, რაც მათ ნაწარმოებებში იგრძნობა, უდავოდ, სამხრეთის ბუნებამ შთაბერა მათო. თბილისის ლიტერატორების მიმართ (თავადი ერისთავი, ბერძენოვი, ცისკაროვი, მირზა ფატალი ახუნდოვი, ბობილევი), — წერდა დიდი რუსი მოაზროვნე, — ჩვენ არ უნდა გამოვიჩინოთ სიმკაცრე და უნდა ვთქვათ, რომ «Стихотворения тифлисских литераторов написаны гладкими и лёгкими стихами, прозаические произведения — языком чистым и правильным»<sup>1</sup>.

ნ. ჩერნიშევსკი იცნობდა რაფ. ერისთავის ადრე გამოქვეყნებულ ეთნოგრაფიულ წერილებსაც, რომლებსაც იგი დადებითად აფასებდა. სამწუხაროდ, ქართული ლიტერატურული კრიტიკის მიერ რაფ. ერისთავის „Оборванец“ შესწავლილი და სათანადოდ დაფასებული არ არის. ეს ნაწარმოები მხოლოდ ერთხელ გადაიბეჭდა ალმანახიდან. შემდეგ იგი არ გამოუციათ. დღემდე არ არსებობდა ამ საინტერესო მოთხრობის ქართული თარგმანი<sup>2</sup>. უნდა ვი-

<sup>1</sup> Н. Г. Чернышевский, «Современник», 1855, июль, т. II (VII).

<sup>2</sup> ამ მოთხრობას ჩვენ შევეხეთ 1954 წელს წერილში „რაფიელ ერისთავი“. („ლიტერატურული გაზეთი“, № 21), რის შემდეგ აღნიშნული ნაწარმოები თარგმნა ი. კეკელიძემ „ბეჩავის“ სათაურით („მნათობი“, 1955 წ, № 8).

ვარაუდობთ, რომ ალბათ ამ ფაქტმა განსაზღვრა რაფ. ერისთავის ესოდენ საინტერესო ნაწარმოების მივიწყება.

50-იანი წლების მიწურულს სამეგრელოს მოსახლეობა მთავრობისა და მემამულეების წინააღმდეგ აჯანყდა; სამეგრელოს მთავრის დავეით დადიანის ქვრივი ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჰავეკაჟაძე რუსეთში გადასახლდა. სამეგრელოში გაიგზავნა მთავრობის დამსჯელი რაზმები აჯანყებული გლეხების „დასაწყნარებლად.“

აჯანყებულებს და ბატონებს შორის ატეხილი შფოთვის მოსაგვარებლად ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა 1857 წელს 17 მარტს განსაკუთრებული ბრძანებით სამეგრელოში რაფ. ერისთავი მიავლინა. აჯანყებულ გლეხთა და მთავრობას შორის წარმოებულ მოლაპარაკებაში რაფიელს განსაკუთრებული ნიჭი გამოუჩენია. მან კარგად იცოდა, რომ გლეხთა აჯანყების მიზეზი მემამულეთა უკანონო მოქმედება იყო: „ისე მისდევენ მებატონენი გლეხების ბეგარას, როგორც ტარბი (ფრინველია. შ. ვ.) მკალს“ — აღნიშნავდა რაფ. ერისთავი ამ პერიოდში სამეგრელოს ფეოდალების შესახებ.

გლეხთა აჯანყება და ეკატერინეს რუსეთში წასვლა ხელსაყრელი საბაბი გახდა მთავრობისათვის. სადადიანოს კანონიერი მემკვიდრის ნიკოლოზ დავეითის ძის მცირეწლოვანობის გამო, მის სრულწლოვანობამდე სამეგრელოს სამთავროს დროებითი მმართველობა შემოიღეს. 1857 წლის 9 სექტემბრიდან რაფ. ერისთავი მმართველის მოვალეობას ასრულებდა. 1866 წელს სამეგრელოს რუსეთთან შეერთება იურიდიულად გაფორმდა. პოლიტიკური მოსაზრებით სამთავროს მემკვიდრე ნიკოლოზს უარი ათქმევინეს თავის უფლებებზე, რის საკომპენსაციოდ მაიორატული წესით ერთი მილიონი მანეთი მიიღო. ამასთან ერთად, გვარი შეუცვალეს მინგრელსკად. გლეხთა აჯანყების დაშოშმინებისა და რეფორმის გატარების შემდეგ 1867 წლიდან ეკატერინე რუსეთიდან ჩამოვიდა და სიკვდილამდე (გარდაიცვალა 65 წლის ასაკში 1882 წლის 13 აგვისტოს ძვ. სტ.) ზუგდიდსა და მარტვილში ცხოვრობდა.

1857 წლის 14 სექტემბრიდან რაფ. ერისთავი დროებით ასრულებდა ზუგდიდის მაზრის უფროსის მოვალეობას. ამავე წლის 15



ოქტომბერს კავკასიის მეფის ნაცვლის ბრძანებით დამტკიცდა მაზრის უფროსად.

რაფიელი 10 წელი უცვლელად მუშაობდა ამ თანამდებობაზე დაუღალავი ერთგული სამსახურისა და სამეგრელოს მმართველობის მოწყობის დროს განსაკუთრებულ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის კავკასიის კომიტეტის წარდგენით 1858 წლის 8 თებერვალს ყოვლად უმოწყალებსად ებოძა წმინდა სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენის კავალრობა, ვკითხულობთ რაფიელის დაჯილდოვების ერთ-ერთ დოკუმენტში<sup>1</sup>.

ყირიმის ომის დამთავრებასთან დაკავშირებით, სამხედრო უწყების ხაზით, ერისთავმა მიიღო „1853—1856 წლების ომის სახსოვარი—ბრინჯაოს მედალი ანდრიას ლენტზე“ (1858 წ.). ამავე წელს მას ებოძა „ტიტულიარნი სოვეტნიკობა“.

რაფ. ერისთავს იმ დროის შესაფერისად კარგად მოუწესრიგებია სამეგრელოს მმართველობისა და ქვეყნის მეურნეობის აწეწილი საქმეები. 1861 წელს 1 მარტიდან რაფიელი სამეგრელოში საეკლესიო მამულების მზრუნველის თანამდებობას ასრულებდა სამეგრელოს მმართველობის (1861—1862 წლების) ბრძანებებიდან ჩანს, რომ მას სენაკის და ზუგდიდის საოლქო სამმართველოებში რევიზიები ჩაუტარებია. ამავე წელს კიდევ ერთი საფეხურით დაწინაურებულა კანცელარიის სამსახურში და „უმართებულესი სენატის 1861 წლის 30 ნოემბერს № 2085 ბრძანებით ებოძა კოლეჯსკი ასესორობა“. გარდა ამისა „კარგი და ერთგული სამსახურისათვის 1861 წლის 21 დეკემბერს ყოვლად უმოწყალებსად დაჯილდოვდა წმინდა ანას მე-3 ხარისხის ორდენით“. 1866 წლისათვის იგი უკვე „ნადვორნი სოვეტნიკია“.

ძირითად სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ რაფ. ერისთავი, კავკასიის მთავარმართებლის 1865 წლის ბრძანებით, დაინიშნა სამეგრელოს ყმა გლეხთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომიტეტის წევრად. გარდა ამისა, 1866 წლიდან (5 იანვარი) რაფ. ერისთავი აქტიურად მუშაობდა იმ კომისიაში, რომელიც დაწესებული იყო

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 11.

მაღალი წოდების პირთა უფლებების გასარჩევად სამეგრელოსა, სვანეთსა და სამურზაყანოში. ამავე დროს მთავარმართებლის სპეციალური მოწერილობის თანახმად რაფიელი იყო ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი და მინდობილი ჰქონდა სამეგრელოს საქმეები (ეს საკრებულო დროებითი ხასიათისა იყო და რეფორმის გატარების შემდეგ 1867 წლის 27 ივნისს დაიხურა.) ამ პერიოდში რაფ. ერისთავს შეუდგენია სამეგრელოს გლეხთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი დებულება, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობის ზნეჩვეულებებს და თავისებურებას.

სამეგრელოში რეფორმის წარმატებით ჩატარებისათვის კავკასიის მთავარმართებლის შუამდგომლობით რაფიელმა 1867 წელს მიიღო მთავრობის მაღალი ჭილდო „წმინდა ანას მეორე სარისხის ორდენი“.

1867 წელს 30 ივლისს რაფ. ერისთავი ქუთაისში გადაიყვანეს სამუშაოდ. ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს განყოფილების უფროსად, იმ ადმინისტრაციული სამუშაოების შემდგომი წარმოებისათვის, რომლებიც ვერ დაამთავრა სამეგრელოს მმართველობის გაუქმებულმა საბჭომ. მასვე მიენდო საგუბერნიო სამმართველოს მრჩეველის თანამდებობა. ბატონყმობისაგან გლეხთა განთავისუფლების გამო მთავრობის მიერ გამოცემული რეფორმის გატარებისათვის სამეგრელოში მიიღო „1861 წლის 17 აპრილის სახსოვრად შემოღებული ვერცხლის მედალი ალექსანდრეს ლენტზე“.

1868 წლის 1 თებერვალს რაფ. ერისთავი დაინიშნა ქუთაისის მოპრიგებელ მოსამართლედ. ამავე დროს წელთა ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის მას მიეცა „კოლეჟსკი სოვეტნიკობა“. ქუთაისში მოპრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე რაფ. ერისთავი მუშაობდა 1870 წლის მაისამდე.

კავკასიის მეფის მოადგილის სამმართველოს 1870 წლის 10 მაისის ბრძანებით რაფ. ერისთავი გადაიყვანეს რაჭის განყოფილების მოპრიგებელ მოსამართლედ, რის გამოც რაფ. ერისთავს უკმაყოფილება გამოუთქვამს, რაჭაში სამუშაოდ არ წასულა: და მაშინვე შეუტანია თხოვნა კავკასიის მეფის ნაცვლის სახელზე სამსახური-



რაფიელ ერისთავი  
სამოსიან წლებში

დან განთავისუფლების შესახებ. 1870 წლის 28 ივნისის ბრძანებით მისი თხოვნა დაუკმაყოფილებიათ და რაფიელს სახელმწიფო სამსახურისათვის თავი დაუხეზებია.

როგორც ვხედავთ, მეფის ხელისუფლებამ შესაფერისად არ დაუფასა რაფ. ერისთავს თავისი უანგარო შრომა. მან მარცხი განიცადა სახელმწიფო სამსახურში.

აკაკი წერეთელი რაფ. ერისთავის სახელმწიფო სამსახურის გამო აღნიშნავდა, რომ პატიოსან, ნიჭიერ და შრომისმოყვარე რაფიელს დიდი კარიერა მოელოდა, „მაგრამ ახალმა მოთხოვნილებამ, იმ „სულმა ბოროტმა“ რომელმაც მეორე ჩინებული მგოსანი ნ. ბარათაშვილიც აატირა — ააქვითინა, შეუშალა ხელი, შეაფერხა მისი... წინმსვლელობა“<sup>1</sup>.

### 1857—1870 წლები

რაფ. ერისთავის დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობის ხანა მრავალფეროვანია. ოფიციალური სახელმწიფო სამსახურით მისი ასეთი გადატვირთულობის მიუხედავად, რაფიელი მაინც ახერხებდა ნაყოფიერ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მუშაობას. გარდა პუბლიცისტური წერილებისა, რომელსაც ჩვენ ნაწილობრივ შევხებით, ამ პერიოდში რაფ. ერისთავმა შექმნა შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებები, როგორც ლირიკის, ისე პროზისა და დრამატურგიის დარგში. ესენია: მოთხრობები „ნინო“ („ცისკარი“, № 5-6, 1857 წ.) და „ლიტერატურნი ვეჩერ“ („ცისკარი“, № 11, 1862 წ.); ლექსები: „ნატვრა“, „სინანული“, „სიყვარული“, „ჩვიდმეტი წლის ქალს“ და სხვა (1856 წ.). შეიძლება ითქვას, რომ ამ ლექსებით რაფ. ერისთავმა ძირითადად დაამთავრა სიყვარულის ამსახველი სატრფიალო ხასიათის ლექსების წერა. 1857 წლიდან მწერლის შემოქმედებაში უფრო მკვეთრად გამოჩნდა სოციალური თემატიკა, შემოქმედში იმარჯვებს ცხოვრების ასახვის რეალისტური გზა. მაშინ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1901 წ., № 57.

დელი სოციალური ცხოვრების სინამდვილეს გამოხატავს რაფ. ერისთავის ლექსები: „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, „ყადის ჯორი“, „ბუზები“, „მთხოვარა გლახაკი“, „ღარიბი“, „ქართამის წინააღმდეგ“, „ერთი კაცის სურათი“, „მომკალი და კელა“, და სხვა.

სამოციან წლებში მამათა და შვილთა შორის ენის საკითხებზე გაჩაღებულ ბრძოლას ეხმაურება რაფ. ერისთავის მოთხრობა „Литературный вечер“. სამსახურებრივი მდგომარეობის გამო რაფიელ ერისთავი სამოციან წლებში ერთგვარად შორს იყო იმ ახალი იდეების ქროლვისაგან, რომელიც თერგდალეულებმა ჩამოიტანეს რუსეთიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაფ. ერისთავი მამების ბანაკში არ აღმოჩნდა და მტკიცედ აგრძელებდა ნ. ბარათაშვილისა და გ. ერისთავის რეალიზმის ტრადიციებს, იგი მართლაცდა „შემადრთვებელი ხიდია მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ნ. ბარათაშვილსა და ი. ჭავჭავაძეს შორის“<sup>1</sup>.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მწერალი ოფიციალური მდგომარეობით შეზღუდული იყო აშკარად გამოეთქვა თავისი აზრი ბატონყმობაზე. მიუხედავად თავშეკავებისა, ლექსში „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ რაფიელმა გასცა თავისი თავი. ეს ლექსი რაფ. ერისთავს დაუწერია ზუგდიდში 1857 წლის 17 ნოემბერს. დაიბეჭდა „ცისკარში“ (1861 წლის № 1). ეს ის პერიოდია, როცა ბატონყმობა ჯერ კიდევ ძალაში იყო და მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობდა. რაფიელი, რომელიც აჯანყებული გლეხების „დასაწყნარებლად“ იყო გაგზავნილი სამეგრელოში, ყოველმხრივ შეზღუდული იყო ასეთ საკითხებზე ეწერა. ამიტომ იყო, რომ ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ დაიბეჭდა ფსევდონიმით „იოსებ მიქაბერიძე“. ეს უკანასკნელი რაფ. ერისთავის ახლო მეგობარი იყო. ბატონყმობის წინააღმდეგ ამ ფორმით პროტესტის გამოხატვა პირველი ცდა იყო ქართულ ლიტერატურაში. ამ ლექსის გამო დიდი ილია წერდა: „ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწუედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის. რაფიელ ერისთავამდე ეს მწვავე ჩივილი ყმობით გაუპატიურებულ ღმრთის კერძო ადამიანისა არავის გაუთვალისწინე-

<sup>1</sup> გ. წერეთელი, საერო დღესასწაული, 1899, გვ. 28.

ბია, არავის უკითხავს თავის-თავისათვის ეს მართლად კეინესი არ იყოს „დაწყველილი საკითხი“: ერთის ნაშობს მეორე რად ჰბატონობს. „ვისი უპყრია ძალი“?.. რაფ. ერისთავმა პირველმა დაჰძრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსებისათვის და ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფლების აღსახსნელად და აღსადგენად<sup>1</sup>.

ასეთი აზრი ილია ჭავჭავაძემ რაფ. ერისთავის შემოქმედების შესახებ განავითარა შემდეგ 1895, 1896 წლებში<sup>2</sup>.

რაფ. ერისთავის მოღვაწეობის შესახებ აკაკი წერეთლის შეხედულებანი სავსებით ემთხვევა ი. ჭავჭავაძის მიერ ამავე საკითხზე გამოთქმულ მოსაზრებებს. აკაკი წერეთელმა სამართლიანად დაიცვა რაფ. ერისთავი ივ. გომართელის უმართებულო კრიტიკისაგან. აკაკიმ დაასაბუთა, რომ „რაფიელ ერისთავი ნამდვილი პოეტია და არა ნაძალადევი სხვებსავით“. რაც შეეხება რაფ. ერისთავის პირველი პერიოდის ზოგიერთ ლექსს, რომლებიც თითქოს აშორებენ მას შემოქმედების რეალისტური გზიდან — ცალკეული მოვლენაა. ასეთ ლექსებში, — აღნიშნავს აკ. წერეთელი, — პოეტი „კი არა მღერის“, მისთვის დამახასიათებელ მგზნებარებით. „რასაც მისი გუნება მოითხოვს“, არამედ „ძალდატანებით ზუზუნებს“. აკაკი წერეთელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რაფ. ერისთავი თერგდალეულთა შორის მოღვაწეობდა და „ჭირსა და ლხინში მათთან თანამოზიარობდა... ერთი ლექსის გულისათვის („მთხოვნელი მსაჯულისადმი“), რომელიც შემდეგ ი. მიქაბერიძის ხელმოწერით დაიბეჭდა, ადგილიც კი დაკარგა“<sup>3</sup>.

რაფ. ერისთავი კარგად იცნობდა თავისი დროის მოწინავე ლიტერატურას, სამოციანი წლებისათვის მისი მსოფლმხედველობა ძირითადად ჩამოყალიბებული იყო და ამდენად გასაგებია, რომ ის უყოყმანოდ შეუერთდა მოწინავე იდეალების მქადაგებელ თერგდალეულთა ნაქადს. ამის გამო გ. თუმანიშვილი წერდა: გულისხმიერი სულით დაჯილდოვებული რაფ. ერისთავი ადვილად ითვისებდა

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრული კრებული, 1953 წ., ტ. III, გვ. 223—224.

<sup>2</sup> სერო დღესასწაული, 1899 წ., გვ. 112.

<sup>3</sup> „ივერია“, 1901 წ., № 168.

ყველაფერს კარგს, რაც კი დროს მოჰქონდა. განსაკუთრებით სამოციანმა წლებმა ჰპოვეს მასში პროგრესული იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი და მის შემდგომ მთელ მოღვაწეობას ხალხის სიყვარული ასულდგმულვებდაო.

სამეგრელოში სამსახურის პერიოდში რაფ. ერისთავი ნაყოფიერ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობას ეწეოდა. მამინ დაწერა მან სერიოზული გამოკვლევები: „ბატონყმობა სამეგრელოში“ (1866), „გლებთა წოდების შესახებ სამეგრელოში“ (1872), „მოგზაურის ჩანაწერები“ (1867) და სხვ. ეს წერილები მდიდარი ეთნოგრაფიული, სტატისტიკურ-ფაქტობრივი, სამეურნეო მასალებით დღესაც ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას. ამ შრომებში განვითარებული აზრები, მიწათმოქმედებისა და ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე, პროგრესული იდეების მატარებელი იყო თავის დროზე<sup>1</sup>. საინტერესო ცნობების შემცველია აგრეთვე რაფ. ერისთავის გამოუქვეყნებელი წერილები, ჩანაწერები, შენიშვნები სამეგრელოს ისტორიასა და ხალხზე<sup>2</sup>.

თავისი გულისხმიერი მუშაობით რაფ. ერისთავმა სამეგრელოში ხალხის საერთო სიყვარული დაიმსახურა, აღსანიშნავია, რომ მას საიდუმლო კავშირი ჰქონია სამეგრელოს გლებთა აჯანყების მოთავეებთან. მანვე სოფ. ქვაშიხორში (სენაკის მაზრა) ჩასწერა სამეგრელოს გლებთა 1857 წლის აჯანყების მეთაურის უტუ მიქავას ვრცელი ისტორიული სიტყვა, რომელიც უტუმ აჯანყების ჩასაქრობად ჩასულ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის გენერალ მაიორ ნიკოლოზ კოლუბიაკინის საპასუხოდ წარმოსთქვა<sup>3</sup>.

დიდი მუშაობა ჩაუტარებია მწერალს განათლების, ცხოველთა დატაცების აღმოფხვრის და სოფლების კეთილმოწყობის საქმეში. ზუგდიდის ბაღის ცენტრში ამოტილ ჰადრის ხეებს, რომელიც შე-

<sup>1</sup> ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და მურიე, „ბატონყმობა სამეგრელოში“, 33-111.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 135, 136, 149, 161.

<sup>3</sup> ეს სიტყვა შესულია კ. ბოროზდინის ცნობილ ნაშრომში — „სამეგრელო და სვანეთი“ და ითვლებოდა უტუ მიქავას გამოსვლებიდან შემორჩენილ ერთადერთ სიტყვად. ამჟამად მიკვლეულია უტუ მიქავას კიდევ ორი სიტყვა (იხ. ლიტერატურული გაზეთი“, 1962 წ., № 28.).

სანიშნავ ხეივანს ქმნის, და მოჩუხჩუხე წყაროს დღესაც რაფიელის სახელს უკავშირებენ.

პოეტი გულისტკივილით სტოვებს სამეგრელოს, სადაც თავისი ქაბუკობის საუკეთესო წლები გაატარა. აი, როგორი გაღწრფელი სიტყვებით ემშვიდობება იგი ამ მხარეს: „მშვიდობით უძველესო კოლხიდავ, მშვიდობით ისტორიულ მხარევ, ბუნებითა და ბარაქიანი მიწებით მდიდარო ქვეყანავ! შენ ელოდები განათლებასა და კულტურას. მშვიდობით შემთვისებლო და ჰკვიანო სამეგრელოს ხალხო, რომელიც მოწყურებულია განათლებას და ელოდება სკოლების გახსნას“<sup>1</sup>.

ასევე გულთბილად იგონებს რაფიელის უანგარო შრომას სამეგრელოში მასთან ნამუშევარი კონსტანტინე ალშიბაია:

„მე 1858 წლებში თქვენთან სამსახურის გამო კარგად მესმოდა თქვენი ლტოლვილება, თქვენი ძლიერი სულის კვეთება და ამიტომაც სრულებით არ მიკვირს ის უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული, რომელსაც გრძნობს თქვენდამი დამაშვრალი ტვირთმძიმეთა წოდება, რომლის ვარამი და ყოფა-ცხოვრება ისე ხელოვნურად დასურათებულია თქვენს ნაწარმოებებში“<sup>2</sup>.

„ცისკარში“ დაბეჭდილი რაფ. ერისთავის ლექსები, „კავკაზში“ გამოქვეყნებული ფელეტონები, ნარკვევები, აგრეთვე ივ. კერესელიძის წერილები (7 წერილი) რაფ. ერისთავისადმი (1857—1864 წლები) ვვაგებინებენ, რომ ზუგდიდში მყოფი მწერალი მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების კურსში იყო და დროულად ეხმაურებოდა თანადროულობის საჭირობორტო საკითხებს.

რაფ. ერისთავს მამულიშვილური გრძნობით შესტკივა გული „ცისკრის“ ბედზე. ამ ჟურნალის გავრცელებისათვის „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე დიდად უმადლოდა მას. „ცისკარი“ ხშირად უგზავნიდა რაფ. ერისთავს წერილებსა და დრამებს გასასწორებლად. თავის მხრივ რაფ. ერისთავი დაინტერესებული იყო ახალი ორგანოს „საქართველოს მოამბის“ ბედიტაც, რისთვისაც საგანგებოდ წერილი მიუწერია ივ. კერესელიძისათვის. აი რას სწერდა ივა-

<sup>1</sup> «Кавказская старина», 1872 г., стр. 81.

<sup>2</sup> საერო დღესასწაული, 1899 წ, გვ. 124.



ნე კერესელიძე ამ წერილის საპასუხოდ: „სტუდენტების ჟურნალის შესახებ მწერ, თუ შენ კარგა მყევხარ, მე არავისი არ მეშინიან. ისეთი პარტია შევადგინე, რომ მოგეწონება. ოთხნი შევერთდით ერთად: მე, ბაქრაძე, ბერძენიშვილი და არდაზიანი... ყიფიანიც ჩვენი წინამძღვარია და დიდი თანამშრომელი. ხვალ სადილათ ჩემთან იქნებიან. იმათ ვინ ჰყავთ, რა აქვთ! ჩვენი გაწყობილი ტიპოგრაფია პირველია. ეს სულ კრიტიკებმა კი ქნეს შარშანდღელებმა. რაც მოხდება ის იქნება. თუ ღმერთი გწამს შენებურათ დაწერილი პროზა გამოგიგზავნე“<sup>1</sup> (1862 წ. 13 აპრილი).

შემდეგ წერილში (1862 წ. 27 დეკემბერი) ჟურნ. „საქართველოს მოამბის“ გამოსვლის წინ ივ. კერესელიძე ატყობინებდა რაფ. ერისთავს, რომ ახალ გაზეთს (ჟურნ. „საქართველოს მოამბეს“) მეტი ხელმომწერლები გამოუჩნდათ, ვიდრე მათ („ცისკარს“). ამიტომ კვლავ სთხოვდა რაფიელს დახმარებას „ცისკრის“ გავრცელების საქმეში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ივ. კერესელიძე რაფ. ერისთავს თავის მომხრედ თვლიდა, თუმცა ერისთავის ნაწარმოებთა ანალიზი, მისი ოფიციალური მიმოწერა მთავრობასთან გლახთა მდგომარეობის შესახებ და ბოლოს რაფ. ერისთავაჲ და, მას ოპიექტურად თერგდალეულებთან უფრო აახლოვებდა. ლექსების გარდა რაფ. ერისთავის თერგდალეულებთან იდეურ ნათესაობას ადასტურებს ისი მოთხრობა „ლიტერატურნი ვეჩერ“, რომლის შესახებ ივ. კერესელიძე სწერდა რაფ. ერისთავს: „მეც გამათრახებული ვარ... მაგრამ მთლიანად მომეწონაო“. ამ მოთხრობაში ძველი და ახალი თაობის დაპირისპირების ფონზე ნაჩვენებია ქართული ლიტერატურის პერსპექტივები, ივ. კერესელიძე რაფ. ერისთავის თერგდალეულებთან დამოკიდებულების შეფასებისას პირადული შთაბეჭდილების ტყვეობაში იყო; იგი როგორც ჩანს ანგარიშს არ უწევდა საქმის ობიექტურ ვითარებას.

აკ. წერეთელი ხაზს უსვამდა რაფ. ერისთავის თერგდალეულებთან მკვიდრო კავშირს და აღნიშნავდა, რომ „რაფიელ ერისთავი სხვა

<sup>1</sup> „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი პირველი, 1936 წ., გვ. 541. ივ. კერესელიძის წერილები (პროფ. შ. რადიანის რედაქციით).

თავადებთან ერთად ბატონყმობისაგან გლეხის გათავისუფლების მომხრე იყო. თუ ეს წერილობით არ გამოაქვეყნა, ამაში ბრალი რაფიელს არ მიუძღვის, იმ დროს არა თუ წერილით გამოსარჩლება, ბატონყმობაზე კრინტის დაძვრაც არ ხერხდებოდა, მაშინდელ მოღვაწეებს ბევრი უსიამოვნება გადახდათ და რაფ. ერისთავს, როგორც მოსამსახურე პირს, ვინ რას გააბედვინებდა. წერა აღარ შეიძლებოდა და საქმით კი დიდი თანმგრძნობი იყო — მომხრე იყო დაჩაგრულებისა. ამხნევებდა მებრძოლ ახალგაზრდობას და მათს ჰქირსა და ლხინში თანამოზიარობდა, ხანდახან წერაც წასცდებოდა ხოლმე... ერთი ლექსის გულისათვის, რომელიც შემდეგ ი. მიქაბერიძის სახელით ბ-ნ. კ. ლორთქიფანიძის გამოცემულ კრებულში მოჰყვა („მთხოვნელი მსაჯულისადმი“) ადგილიც კი დაეკარგა. და ამისთანა კაცზე ბრძანებს უსამართლოდ ბ-ნი გომართელი, რომ ის როგორც დიდი გვარის შვილი არ თანაუგრძნობდა ბატონყმობის გადავარდნასო და სხვა...“<sup>1</sup>

რაფ. ერისთავი, რომ თერგდალეულთა ახალ პროგრესულ იდეებს იზიარებდა, ამას ადასტურებს აგრეთვე მის მიერ მთავრობის სახელზე 1866 წ. დაწერილი მოხსენებითი ბარათი, რომლის მხოლოდ ნაწილი იყო ცნობილი („კავკასისკაია სტარინა“, 1872 წ. № 4-5-6). ამ მოხსენებითი ბარათის უცნობ ნაწილში პოეტს პროგრესული აზრები აქვს გამოთქმული გლეხების ბატონყმობიდან გათავისუფლების შესახებ და რეფორმა სასარგებლო საქმედ მიაჩნია მთელი იმპერიისათვის<sup>2</sup>.

ქუთაისში ყოფნისას ახალგაზრდა მწერალს უცხოვრია ერისთავების ოჯახში, სადაც, თბილისში წამოსვლის შემდეგ, თავისი პირადი ნივთების ნაწილი დაუტოვებია. აღნიშნული ნივთების ერთი ნაწილი ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმს შეუძენია 1926 წელს მიხეილ ერისთავისაგან. ესენია: სამი თეფში, ვერცხლის ფინჯანი, ლანგარი, საჩაიე ჭიქა და ფეხიანი საღვინე სტაქანი. ყველა ჭურჭელს მიწერილი აქვს ხუცუურად რაფ. ერისთავის ინიციალები („რ-ერ“).

<sup>1</sup> „ივერია“, 1901 წ., № 168.

<sup>2</sup> ხაქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 220 საქმე 1076.

ქუთაისში რაფ. ერისთავის მოღვაწეობის პერიოდი, როგორც თავის დროზე აკაკი წერეთელმა სამართლიანად აღნიშნა, შეუსწავლელი და დაუფასებელია. ბუნებრივია, იგი ახლო ურთიერთობაში იყო ქალაქის მოწინავე ძალებთან და პირადად ხელმძღვანელობდა ამ მხარის კულტურულ-საზოგადო საქმიანობას. რაფიელ ერისთავის თავის დისშვილთან. მანანა ჯორჯაძესთან ერთად, მონაწილეობა მიუღია 1867 წლის 12 დეკემბერს ქუთაისში წარმოდგენილ სპექტაკლში. ამ დღეს დადგმულ ბ. ჯორჯაძის „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“, სადაც რაფ. ერისთავს ავეტიკა სირაჯის როლი შეუსრულებია. ირკვევა, რომ ამ დასს, მზად ჰქონია დასადგმელად სხვა პიესები და მათ შორის მოლიერის „ძალად ექიმი“<sup>1</sup>.

რაფ. ერისთავი, როგორც დრამატურგი და სცენისმოყვარე, ქუთაისის სცენისმოყვარეთა თვითმოქმედი დასის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და მისი დამაარსებელიც იყო 60-იან წლებში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მან გადმოაკეთა რამდენიმე კომედია-ვოდევილი, რომელნიც „ცისკარში“ დაიბეჭდა. ესენია: „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“ (1868 წ.), „მბრუნავი სტოლები“ (1868 წ.), „იჭვიანი“ (1870 წ.) და ორიგინალური ორმოქმედებიანი კომედია— „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძღავრესია“ (1870 წ.).

ქუთაისში რაფ. ერისთავის სასცენო მოღვაწეობაზე მიუთითებდა აკაკი წერეთელი თავის მოგონებაში: „რუსეთიდან რომ დავბრუნდი, იმ დროს ქუთაისში მომპრიგებელ მოსამართლედ იყო პოეტი რაფ. ერისთავი და მისი მეცადინეობით შედგა სცენის მოყვარეთა წრე. მუდმივი მოთამაშეები ქალთაგან იყვნენ: ქ-ნ ეფროსინე კლდიაშვილისა, ყიფიანის ქალი, კაცებიდან მე, თქვენი უპორჩილესი მონა და ქეიშვილი. სხვები ხან ის და ხან ეს გვეხმარებოდნენ. რეპეტიციები ხან რაფიელის სახლში იყო ხოლმე, ხან ეფროსინე კლდიაშვილისა. თვითონ რაფიელი სუფლიორობდა, სწერდა სათამაშო პიესებს და ორჯერ-სამჯერ კიდევ ითამაშა“. („თემი“, 1912 წ., №55).

<sup>1</sup> ა. გაჩეჩილაძე, „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან“, გვ. 344, 1957 წ.



რადიკალ ერისთავის მეუღლე —  
ფეოდაოსია ერისთავისა

ამ დროისათვის რაფ. ერისთავი 60-იანი წლების ახალი თაობის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები რაფიელს საყვარელ უფროს მეგობრად თვლიან და სიხარულით ეგებებიან მის ყოველ ახალ ნაწარმოებს.

1870 წლის აპრილში ქუთაისიდან თბილისში მომავალ ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძეს რაფ. ერისთავმა გამოატანა „დროებასა“ და „კრებულში“ დასაბეჭდად „სცენები“. ამასთანავე სთხოვდა სასწრაფოდ გადმოეგზავნა ახალი წიგნები და ჟურნალ-გაზეთების კომპლექტები. იმავე წლის 26 მაისს ნ. ნიკოლაძე რაფ. ერისთავს სწერდა, რომ მის დავალებას მალე შეუსრულებდა და დამატებით გაუგზავნიდა ალმანახს — „სალხინო საზანდარს“. რაც შეეხება „სცენებს“, წერდა ნ. ნიკოლაძე, უახლოეს ხანში დაიბეჭდება „დროებასა“ და „კრებულში“. „დროების“ მე-20 ნომერში ნახავთ თქვენი „სცენების“ ნაწილსო. თავის მხრივ ნ. ნიკოლაძე სთხოვდა რაფ. ერისთავს „დროების“, „კრებულის“ და „სასოფლო გაზეთისათვის“ დაეწერა ახალი ნაწარმოებები. კარგი იქნება, განაგრძობს ნ. ნიკოლაძე გადმოგვიგზავნოთ „ყადის ჯორისა“ და „ბუზების“ შინაარსის მსგავსი ლექსებიო. ნ. ნიკოლაძემ იცოდა, რომ ამ ხანებში რაფ. ერისთავი მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე იყო გამწესებული ონში და სთხოვდა, თუ დრო ექნებოდა, დაეწერა რაჭის ხალხის ცხოვრების შესახებ ნარკვევები.

როგორც ცნობილია, რაფ. ერისთავი რაჭაში სამუშაოდ არ წასულა. ამიტომ ვერც ნ. ნიკოლაძის თხოვნა შეასრულა. სამაგიეროდ შემდეგში ნ. ნიკოლაძემ დაწერა შესანიშნავი წერილები საქართველოს ამ ლამაზ მხარეზე (იხ. რაფ. ერისთავის ფონდი. № 253).

\* \* \*

ახალგაზრდობის წლებში რაფ. ერისთავი შეყვარებული ყოფილა რომელიღაც ერისთავის ასულზე. ამ პერიოდში დაწერილი ბევრი სატრფიალო ლექსი ავტოგრაფიული ხასიათისაა. პირველი

აღზნებული სიყვარული გაუცრუვდა პოეტს. იგი წყევლა-კრულ-  
ვას უთვლის მას, ვინც ასე მუხანათურად მოექცა და „გულის  
სატრფოს დააშორა“.

სიყვარულში დამარცხებულმა პოეტმა გადაწყვიტა ცოლი  
არასოდეს არ შეერთო. მაგრამ პოეტის გული მაინც მიჯნურს დაე-  
ძებდა და შფოთავდა. მან ჯერ კიდევ ვერ მიაგნო საყვარელ არსებას,  
რომელიც პოეტის სულიერ მღელვარებას გაიზიარებდა. ამიტომ  
მისი ფიქრები კვლავ ძველ სიყვარულს დასტრიალებდა („ალბომ-  
ში“, „რისთვის მიყვარხარ“? — 1856 წ.).

სამეგრელოში სამსახურის პერიოდში დადარბაისლებული 38  
წლის რაფიელი, დადიანების სასახლეში გაეცნო გურული თავა-  
დის — დავით ერისთავის მშვენიერებით აღსავსე ახალგაზრდა ას-  
ულს თეოდოსიას, რაფიელი ერთბაშად მოუხიბლავს ქალის საო-  
ნობას და ციურ სილამაზეს, მაგრამ სიყვარულის გამქლავნება ვერ  
გაუბედა. მას ექვი ეპარებოდა, რომ ახალგაზრდა, მშვენიერებით  
შემკული თეოდოსია გაიზიარებდა ქალზე კარგა ხნით უფროს  
მოტრფიალის გრძნობას. ახალი სიყვარულით აფორიაქებული პოე-  
ტი დარწმუნებულა, რომ მანამდე ყველაფერი ზმანება ყოფილიყო,  
მისი „დაწყლულებული გული არავის არ ყვარებია“ („თ-ს“) და  
თეოდოსიაც არ შემეყვარებსო. ამიტომ მგოსანმა ვერ გაბედა სიყ-  
ვარულის გამქლავნება და მოკრძალებული ლექსით მიმართა თავის  
სათაყვანო არსებას („წრეს გადასული წრეში შემოსულს“).

თეოდოსიას, თავის მხრივ, არა ნაკლებ მოწონებია სიყვარუ-  
ლის ალით ანთებული პოეტი, არაფრად ჩაუგდია რაფიელის ხნიე-  
რება და დათანხმებულა მის სიყვარულს. გურულმა თავადის ქალ-  
მა დაიხსნა რაფიელის გული მარტოობისაგან და ცოლად გაჰყვა  
მას, რაფიელი და თეოდოსია შეუღლებულან 1863 წლის 21 იან-  
ვარს.

დავით ერისთავის ოჯახი ქისტაურში დიდი სიხარულით  
შეხვდა რაფიელის ბედნიერებას. დები ბარბარე და ნინო, ძმა სო-  
სიკო (იოსები); სიძე ზაქარია ჯორჯაძე და სხვა ახლობელ-ნათესა-  
ვები საგანგებო მოლოცვის ბარათებს უგზავნიან რაფიელს ზუგ-  
დიდში; „შენი წერილი მოგვივიდა... დიდად ვისიამოვნეთ და გა-

ვიხარეთ შენი ბედნიერებით. ძლივს გაბედე ცოლის შერთვა... იმე-  
დი გვაქვს გაზაფხულზე გვინახულვითო“ — წერდა რაფ. ერის-  
თავს მისი უმცროსი ძმა სოსიკო; (რაფ. ერისთავის ფონდი №212).  
ხოლო მოხუცი მამა დავითი რაფიელის თხოვნის პასუხად ლოცვა-  
კურთხევას უთვლიდა შვილს. ამ სასიხარულო ამბავმა, წერდა და-  
ვითი, „განამხნო მოხუცებული ჩემი სხეული... გაუმატა სიცოცხ-  
ლეო“ (რაფ. ერისთავის ფონდი № 213).

თეოდოსიას თავისი სილამაზე თურმე დიდხანს შერჩა. 1881 წელს თბილისში ჩამოსულ რუსეთის სამეფო კარის მხატვარს მიხაი ზიჩის სხვა ქართველ ქალებთან ერთად თეოდოსიას ქართული ტი-  
პიური სილამაზეც შთააგონებდა, როცა გენიალური „ვეფხის-  
ტყაოსნის“ ქალღმერთთა პორტრეტებს ქმნიდა. ცნობილია, რომ სა-  
ქართველოში ჩამოსული ზიჩის შიზანი იყო მ. ლერმონტოვის დემო-  
ნის ილუსტრაციებისათვის ტიპების შერჩევა. ზიჩი გულთბილად  
მიიღო ქართულმა საზოგადოებრიობამ. მისი ჩამოსვლა დაემთხვა  
„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი პირველი კომისიის მუშაობას,  
რამაც ბიძგი მისცა მოწინავე ქართველ ინტელიგენციას ეთხოვათ ზი-  
ჩისათვის „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება. სანამ ზიჩი „ვეფხისტყაო-  
სნისა“ და „დემონის“ პერსონაჟთა ცნობილ პორტრეტებს შექმნიდა,  
იგი ეცნობოდა ქართველი ხალხის ზნეჩვეულებას, ისტორიას, ეთნო-  
გრაფიას. აკვირდებოდა და არჩევდა ცოცხალ ეროვნულ ტიპებს. მან  
თავის შემოქმედებით მეთოდად აირჩია „ცოცხალი სურათების“ შე-  
ქმნა, რაც 1882—84 წლებში წარმატებით იღვმებოდა კიდეც თბილის-  
სა და ქუთაისში. „ცოცხალ წარმოდგენებს“ უამრავი ხალხი ესწრებო-  
და. საზოგადოების ასეთ დაინტერესებას ისიც უწყობდა ხელს, რომ  
„ცოცხალი სურათების“ როლების შემსრულებლად შერჩეული იყო  
ულამაზესი ქართველი ვაჟკაცები და ქალები, გიორგი შერვაშიძე,  
თათარხან დაღეშეკელიანი, მამია და ჯაბა გურიელები, მაკა გურიელი,  
მარო მაჩაბელი, ნინო წერეთელი-ჩოლოყაშვილისა, დესპინე ფადა-  
ვა, მარიამ მირიანაშვილი-თუმანიშვილისა, რაფიელის მეუღლე  
თეოდოსია და სხვ. თეოდოსიას „ცოცხალ სურათებში“ განუსახიერე-  
ბია ნესტან დარეჯანის სახე „ვეფხისტყაოსანში“ და თამარის სახე

ლერმონტოვის „დემონში“ („დროება“, 1882, № 130, აგრეთვე „საბ-  
ქოთა ხელოვნება“ № 11, 1960 წ.).

თეოდოსიას შესანიშნავი უნარი გამოუჩენია ოჯახისა და შვი-  
ლების აღზრდა-პატრონობის საქმეში. როგორც რაფ. ერისთავის  
მომსწრენი გადმოგვცემენ, ცოლ-შვილი რაფიელს მუდამ თანა-  
უგრძნობდა ოჯახში და საზოგადოების დაბალ ფენებთან კარგ და-  
მოკიდებულებაში, რაფიელის მომსწრე ქისტაურელმა გლეხებმა  
გოი ჩალაფეიქრიშვილმა, იოსებ მაღალაშვილმა და სხვებმა ისიც  
იციან, რომ რაფიელს გურული ქალი ლექსით მოუხიბლავს. რაფ.  
ერისთავი არა მარტო თავისი ლექსებით, არამედ მთელი თავისი შეგ-  
ნებული ცხოვრებით მშრომელი გლეხობის მხარეზე იყო. ამაზე, გარ-  
და მისი შემოქმედებისა, მეტყველებენ საყვარელ პოეტზე კახელი  
გლეხების მიერ შეთხზული ლექსები და მოგონებები<sup>1</sup>.

აი ერთი მათგანი: „რაფიელის ბიძაშვილი კიაზო თავგასული მე-  
ბატონე ყოფილა, იგი მეტად უხეშად ეპყრობოდა გლეხებს. ერთხელ  
კიაზომ თავის მოურავს ეზოში სოფლის საქონელი მოარეკინა და  
ჯარიმის გადაუხდელად უკან არავის ატანდა. შეწუხებული გლეხები  
რაფიელთან მივიდნენ დახმარების სათხოვნელად. რაფიელი წინ წა-  
უძღვა მათ და მებატონეს პირუტყვის გამოშვება სთხოვა. მაგრამ  
გულქვა მებატონემ უარით გამოისტუმრა. მაშინ რაფიელმა თელა-  
ვიდან ფოტოგრაფი მოიყვანა, დამწყვდეული პირუტყვის სურათი გა-  
დაიღო და კიაზოს შეუთვალა: მარტო ტვინის (თხელი მაუღია) შარვ-  
ლად ტარება არ გეყოფა, თავშიც ტვინი უნდა გქონდეს. შენს ეზო-  
ში დამწყვდეული მშიერი პირუტყვის სურათს სათანადო განმარტე-  
ბით ხელმწიფეს გაუგზავნი და მაშინ ნახე შენი სეირიო“. შეშინე-  
ბულ მებატონეს მაშინვე პირუტყვი დაუბრუნებია გლეხებისათ-  
ვის და რაფიელისათვის ბოდინში მოუხდია<sup>2</sup>.

საფიქრებელია, ამ შემთხვევის გამო რაფიელს დაეწეროს ლექ-

---

1 მოგონებები ინახება თელავის სამხარეთმცოდნეო და სოფ. ქისტაურის  
რაფიელის სახლ-მუზეუმში.

2 მოგონება ჩაწერილია ჩემს მიერ 80 წლის გ. ჩალაფეიქრიშვილის ნამბო-  
ბიდან, 1951 წ. ქისტაურში (შ. ვ.).



სი — „ერთი კაცის სურათი“, სადაც ასეთი ნიშანდობლივი სტრიქონებია:

„ტვინი“ შარვლად აცვია,  
თავში არ უღევს ტვინი“.

რაფიელსა და თეოდოსიას ხუთი ქალი შეეძინათ: ბარბარე (ბაბუცა), ნინო, თეოდოსია (ფოსია), ანასტასია და ელენე. შვილებს აღზრდა-განათლებისათვის ძალღონე არ დაუშურებიათ მშობლებს, ყველა ქალს მიაღებინეს განათლება. ბარბარე და ნინო თბილისის ქალთა გედას პანსიონში აღიზარდნენ, ხოლო თეოდოსიამ ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი დაამთავრა.

რაფიელის მეოთხე ქალიშვილი სწავლობდა პეტერბურგში ეკატერინეს სახელობის ინსტიტუტში, რომელიც 1886 წელს დაამთავრა. პეტერბურგში მოსწავლე ანასტასია ბიძის (დედის ძმის სამსონ დავითის ძე ერისთავის) მზრუნველობით იზრდებოდა. თვითონ თეოდოსია ხშირად დადიოდა პეტერბურგში ქალიშვილის სანახავად. ძმასთან, რომელიც პოლკოვნიკის ჩინით ალექსანდრე მეორის დაცვის ამალაში კამერგერად მსახურობდა. 1885 წლიდან თეოდოსიას ავადმყოფობა დაუწყია, ძმის დახმარებით მკურნალობისათვის გამგზავრებულია პარიზში. თანვე წაუყვანია ქალიშვილები ანასტასია და ნინო.

განათლებასთან ერთად მშობლებმა თავიანთ ქალიშვილებს კარგი ოჯახური აღზრდა მისცეს. რაფიელს თავისი ოჯახის შესაფერი სიძეები შეხვედრია; უფროსი შვილი ბარბარე ცოლად გაჰყვა თავად ნიკოლოზ გრიგოლის ძე ხიმშიაშვილს, რომლის სახელოვანმა შვილმა გიორგიმ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას შესწირა თავი. ბარბარე გარდაიცვალა 1925 წელს. მათი შთამომავალი პროფესორი ნიკო ერისთავი ცნობილი გეოლოგია. მეორე ქალიშვილის ნინოს ქმარი მთავრობის სამსახურში დაწინაურებული მოხელე გვარად ეკიმოვი ყოფილა. ნინო პირველ მშობიარობას გადაჰყოლია. ახალშობილისათვის გარდაცვლილი დედის სამახსოვროდ დაურქმევიათ ნინო, რომელიც შემდგომში სამეფო გვარეულობასთან დაახლოვე-

ბული პიატნიცკის ცოლი იყო; მესამე ქალი თეოდოსია თავად მაყაშვილის მეუღლე გახდა; რაფიელის მეოთხე ქალიშვილი ანასტასია ცოლად გაჰყოლია ვასილ ბესარიონის ძე კახიძეს, რომელიც საგადასახადო ინსპექციაში მუშაობდა თელავში. ვასილი სიძეებს შორის ყველაზე დაახლოებული იყო რაფიელის ოჯახთან, ამიტომ მამულის საქმეს ქისტაურში რაფიელის სიცოცხლეშივე აწარმოებდა. ანასტასიას ოჯახმა შეინახა რაფ. ერისთავის პირადი არქივი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა; ანასტასია გარდაიცვალა 1951 წელს. ელენე ერისთავი თავად გიორგი დავითის ძე ტუსიშვილის მეუღლე იყო. სამი წლის ელენე 1875 წელს ილია ჭავჭავაძეს მოუნათლავს თბილისში ქაშვეთის ეკლესიაში. ნათლული ილიამ თავის ნათესავს გ. ტუსიშვილს შერთო ცოლად. გარდაიცვალა 1952 წელს. ელენეს ოთხი შვილი ჰყავდა. პირველი შვილი, რომელსაც დედამ ნათლიის სახელი დაარქვა, ძალიან ნიჭიერი ყოფილა. ილია ტუსიშვილი 1914 წლის ომში დაღუპულა; მეორე ვაჟი, რომელსაც რაფიელი რქმევია გარდაიცვალა 1958 წ., ხოლო ქალიშვილები ეკატერინე და ანა ცოცხლებია, რომლებმაც ბევრი საყურადღებო ცნობები მოგვაწოდეს თავიანთ სახელოვან წინაპრებზე.

რაფ. ერისთავის სულის მეგობარი. მისი ცხოვრების მოზიარე თეოდოსია 46 წლის ასაკში გარდაიცვალა 1891 წელს, დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

## 1870—1880 წლები

1870 წლის ივნისს დამთავრდა რაფ. ერისთავის სამსახურებრივი მოღვაწეობა დასავლეთ საქართველოში.

1870 წლის ივლისში გაზეთ „დროებაში“ ასეთ განცხადებას ვკითხულობთ: „თ. რ. დ. ერისთავი აცნობებს იმ პირთა, რომელთაც აქვსთ ანუ ექნებათ საქმეები ქუთაისის გუბერნიის ყოველგვარ სასამართლოში, რომ ის კისრულობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების ზემოხსენებულ სასამართლოში დაცვას“... ასეთი შინაარსის განცხადებები გვხვდება 1872 წელსაც: „რ. ერისთავი მიიღებს ყოველგვარ სადაო საქმეებს საწარმოებლად მომრიგებელ მო-

სამართლებთან და საზოგადო სასამართლოებში ქალაქ თბილისში და გარეშე ქალაქებში<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, 1870 წლიდან რაფ. ერისთავი ვეჭილად მუშაობს ქუთაისში. 1872 წლიდან საბოლოოდ გადმოდის თბილისში.

ვეჭილად მუშაობა რაფ. ერისთავისათვის სამძიმო აღმოჩნდა. პოეტის ხასიათი ვერ ეგუებოდა იმდროინდელი „სუდის“ მართლმსაჯულებას, სასამართლოებში გამეფებულ მექრთამეობასა და ბიუროკრატიულ რეჟიმს, ხალხისათვის გაუგებარ ენაზე სასამართლოს საქმის წარმოებას.

ამ წლებში რაფ. ერისთავი ძლიერ მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა. ამის გამო იგი იძულებული იყო მისთვის არასასურველ საქმეზე დიდხანს ემუშავა. თუმცა ვერც ვეჭილობამ გამოასწორა რაფიელის ეკონომიური მდგომარეობა. სამაგიეროდ რაფ. ერისთავმა ამ პერიოდში შექმნილი ცოდნის საფუძველზე არა ერთი და ორი სატირული ნაწარმოები დაწერა, რომლებშიაც სასტიკად დასცინა იმდროინდელი სასამართლო წყობილების „წესრიგს“ — „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“ (1872 წ.), „ახალგაზრდა გლეხის ნაამბობი“ (1877 წ.), „ადვოკატები“ — სამმოქმედებიანი კომედია (1880 წ.) და სხვა.

ლიტერატურული პროდუქციის თვალსაზრისით ეს ხანა დიდად ნაყოფიერია მწერლის ცხოვრებაში.

სამოციანი წლების მეორე ნახევრიდან საზოგადო ასპარეზზე გამოვიდა ქართველ მოღვაწეთა ახალი ჯგუფი, რომელმაც თავი მოიყარა გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „კრებულის“ გარშემო. ამ პროგრესული ჯგუფის წევრებად ითვლებოდნენ: გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, პეტრე უმიკაშვილი და სხვ. ამ ჯგუფთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა აკაკი წერეთელს, რაფ. ერისთავს. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ძირითად პრინციპებში ეს პროგრესული ბირთვი ქართული კულტურ-

<sup>1</sup> „დროება“, 1870 წ., № 45, 46; 1872 წ., № 49. ამ განცხადებებში რაფ. ერისთავის მისამართად დასახელებულია: დარახველიძის სახლი სილაზე (1870 წ.) და ვასილ არტაზოვის სახლი ირაკლის ქუჩაზე (1872 წ.).

რის მოღვაწეთა გაერთიანდა და თავის ხელმძღვანელად აღიარა ილია ჭავჭავაძე, რომელიც იმ დროს დუშეთში მსახურობდა მომრიგებელ მოსამართლედ. 1873 წელს ილიამ მოახერხა თბილისში გადმოსვლა. ილიას თბილისში ჩამოსვლის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის საზღვარგარეთიდან ახლად ჩამოსულ ბრწყინვალე ნიჭის ადამიანს ნიკო ნიკოლაძეს. ნ. ნიკოლაძე გრძნობდა, რომ პროგრესის თესლი. რომელიც სამოციან წლებში დაითესა საქართველოში, 70-იან წლებში ნორჩ ყლორტებად აღმოცენდა, რომელსაც მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა; ასეთი მზრუნველის როლი მაშინდელ მოწინავე საზოგადო მოღვაწეთა შორის მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს შეეძლო ეკისრა ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ნ. ნიკოლაძე: მაშინდელი „ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჭერე, დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ მეთქი: ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვით“ ქართული მწერლობის აღორძინების მოტრფილენი (ლუარსაბ ანუ შაქრო მაღალაშვილი, სანდრო ერისთავი „ამერიკელი“, გიორგი ყაზბეგი, ნიკო მესხიშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, აკაკი, ნიკო ლოლობერიძე და თქვენი უმდაბლესი მოსამსახურე). ბევრჯერ დაგვიპატიუნია: მოდიოთ მეთაურათ გაგვიხდით, გვიწინამძღვრეთ, გვიმსახურეთ მეთქი.

განახლებული, გაღვიძებული, „დროება“ და სხივმოსილი „კრებული“ საქართველოს საქმეს უძღვენი და ილიას „ხელში ჩავაბარე“...!

რათ ერისთავი აქტიურად თანამშრომლობდა „დროების“ და „კრებულის“ რედაქციაში. ამ წლებში რათ. ერისთავი და ილია ჭავჭავაძე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს; მ.თ. ერთად დაამუშავეს ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ანდაზები, ხალხური სიმღერები. დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ სამსახურის წლებში ილია კირილე ლორთქიფანიძეს უხვად უგზავნიდა ხალხურ ლექსებს — „გლეხურ სიმღერებს“. რათ. ერისთავმა და ილია ჭავჭავაძემ 1872—73 წლებში გადაამუშავეს მათ მიერვე შეკრებილი

1 ერან. „განთიადი“, 1915 წ., № 8, გვ. 21—22.

მდიდარი ფოლკლორული მასალა და 1873 წელს ცალკე წიგნად გამოცემა სანელწოდებით: „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილია ჭავჭავაძისაგან, გამოცემული ი. მელიქიშვილისა და ეფ. ხელაძისაგან, წიგნი პირველი, თბილისი, 1873 წ.“ წიგნის შესავალში რაფ. ერისთავი წერდა: „ამ უკანასკნელ დროში, ზოგიერთ პირთა განიძრახეს დიახ სასარგებლო და ჩვენთვის სასიამოვნო აზრი: ძველებური მდაბიური სიმღერების, ლექსების და ანდაზების შეკრება, რომელნიც გლეხებმა და სხვათა მრავალთა ჭერჭერობით ზეპირად იციან და წერილობით კი არსად გვეგულება. ყოველი მოყვარული მშობლიური დედა ენისა და ქართულის ლიტერატურისა უნდა დაეჩქაროს და იმეცადინოს შეკრებისათვის ესე გვართა, ვიდრე იგინი, ჭერ კიდევ, სრულებით არ დაეწყებია ხალხსა.

ილია ჭავჭავაძემ გვიჩვენა რამოდენიმე ნიმუში გლეხობის სიმღერებისა და პ. უმიკაშვილი კი ამზადებს ცალკე გამოსაცემად მისგან შეგროვებულს ძველს სიმღერებს და ჩვენც მოუთმენლად მოველით ამ გამოცემას.

ურიგო არ იქნება, რომ სიმღერების შემკრებელთ ითავონ შეგროვება: ზღაპრებისა, მესტიერული ლექსებისა და სხვათა, რადგან მათში ხშირად გამოსჭვირს ბევრი მოსწრებული სიტყვა და აზრი, კეთილშობილური გრძნობა და ჩვეულება ხალხისა; ისმის მათში ნამდვილი ქართული ენის ბრუნვა და მიმოხვრა. დასასრულ ზოგიერთი მათგანი დაგვემსახურებინ ისტორიულ მასალებითაც...

ჩემის მხრით წარუდგენ მკითხველებს შემდეგთა შეგროვებულთა ჩემ მიერ ძველებურს სახალხო ლექსებს, სიმღერებს და ალაგ-ალაგ დაურთავ აღსახსნელადაც, განმარტებასა, თუ როდის და რა შემთხვევაში იხმარებინ ზოგიერთნი მათგანი“...

დასასრულ რაფ. ერისთავი წერს: „იქნება ჩვენმა მაგალითმა სხვანიც გამოიწვიოს ამგვარისავე შრომისათვის და სამუდამოთ არ დაუკარგოს ჩვენს ლიტერატურას ძველებური სახალხო ლექსების ნიმუშები... ღმერთმა ინებოს!“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „ქრებული“, 1873 წ., № 7, გვ. 5—30.

1873 წლის ჟურნალ „კრებულში“ ხშირად იბეჭდებოდა რაფ. ერისთავის მიერ შეკრებილი მესტირული ლექსები და ანდაზები.

ხალხური შემოქმედების შეკრება-გამოცემაზე მუშაობა რაფ. ერისთავს არც შემდეგ შეუწყვეტია. მან 1877 წელს შეადგინა ქართული გამოცანების კრებული, რომელიც 1879 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა<sup>1</sup>. წიგნის წინასიტყვაობაში რაფ. ერისთავი აღნიშნავდა: „შევიკრიბე ქართული გამოცანები და გამოვეცე იმ აზრით: ა) რომ არ დაკარგულიყვნენ იგინი ჩვენი ლიტერატურისათვის; ბ) რომ ამით ხალხს ჰქონდეს მსუბუქი წასაკითხი და დროს გასატარებელი შემაქვევარი წიგნი და გ) რომ ყმაწვილები შეეჩვივნენ ჩაფიქრებას და თვითონაც შესძლონ გამოცნობა გამონატულის აზრის და ამით ავარჯიშოს თავისი გონება... შემდეგი შემკრებელი და გამომცემელი გამოცანებისა ეცდება, შეავსოს აწინდელი ნაკლულოვანება ჩემი. დიდათ უმადლი გოგებაშვილს, რომელმაც პირველსავე ჩემს თხოვნაზედ შემაწია რამდენიმე მისგან შეკრებილი გამოცანები... 20 ნოემბერი, 1877 წ.“

სხვა მესამოციანელ მწერალთა მსგავსად რაფ. ერისთავის საზოგადო მოღვაწეობაც მრავალმხრივი იყო. 1873 წელს „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების უწყებაში“ დაიბეჭდა რაფ. ერისთავის ორიგინალური შრომა: „ლათინურ-რუსულ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი“, რომელშიც ახსნილია 1000-ზე მეტი სიტყვა. ლექსიკონის გამოსვლამ მაშინდელი პრესის ყურადღება მიიქცია. „ეს შრომა მეტისმეტად სასარგებლოა ჩვენი ერისათვის, როგორც ხალხში გავრცელებული სიტყვების განმარტებით და მწერლობაში შემოღებით — ისე ქართულ-რუსული სიტყვების ახსნისათვის“ — წერდა „დროება“<sup>2</sup>.

„გუთნის დედამ“ სარედაქციო წერილი მიუძღვნა ამ ლექსიკონის გამოსვლას, სადაც ლაპარაკია აგრეთვე რაფ. ერისთავის პიროვნებაზე. „არიან ჩვენში პირნი, — ნათქვამია წერილში, — რომელნიც ჩუმათ, უყვირლათ, უანგაროთ, თავის ქვეყნის გულის ტკივილით

<sup>1</sup> ქართული გამოცანები, შეკრებილი რაფ. ერისთავის მიერ, თბილისი, სტუდენტურ მედიკინის სტამბა, 1879 წ.

<sup>2</sup> „დროება“, 1873 წ., № 39, 8 ოქტომბერი.

შესდგომიან საქმესა და შეძლებისდაგვარად, ცდილობენ მოუტანონ ჩვენს დავიწყებულს და დაჩაგრულს ქვეყანას სარგებლობა. ერთ ამგვარს პირთაგანს ეკუთვნის რაფიელ დავითის ძე ერისთავი... ამ ლექსიკონით მან მოუტანა ნამდვილი სარგებლობა ჩვენს ენასა და მეტადრე ჩვენს მწერლობას... ასეთი დიდი შრომის გაწევა ყველა ადამიანს არ შეეძლო. ყველა როდი კიდებს ხელს ასეთ საქმეზე, მაგრამ საშურო საქმეს. ასეთ შრომას ერიდებიან ე. წ. ცრუ ლიტერატორები... ამდღობა ღმერთს, რომ თითო-ორთა კაცი კიდევ მოიპოვება, რომელნიც ადგანან უანგარო სასარგებლო შრომას და უყვირლათ, უქაქანოთ აკეთებენ საქვეყნო საქმეს.“<sup>1</sup>

აღნიშნული ლექსიკონი შევსებული ცხიკველთა და მცენარეთა სახელებით ცალკე წიგნად გამოვიდა 1884 წ.<sup>2</sup> რუსული და ქართული წინასიტყვაობით. იმ ლიტერატურის დამუშავება, რომელიც ლექსიკონის შედგენისათვის გამოუყენებია ავტორს, რაფ. ერისთავის ენციკლოპედიურ ცოდნაზე ლაპარაკობს.

60—70-იან წლების მოღვაწეთა შორის თანამშრომლობა, მათთან სიახლოვე დაეხმარა რაფ. ერისთავს უფრო ნათლად ჩამოეყალიბებინა თავისი პოეტური მრწამსი. თუ მანამდე მის თხზულებებში ჭარბობდა სატრფიალო ლირიკა, ამ წლებში რაფ. ერისთავს შემოქმედებაში მკვეთრად იჩინა თავი სოციალურმა თემატიკამ. რაფიელი ილიას, აკაკის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის და სხვა ქართველ მოღვაწეთა მხარდამხარ იღწვოდა ერის კულტურისა და ლიტერატურის წინმსვლელობისათვის. მის კალამს ეკუთვნის სოციალური ყოფის ამსახველი ლექსები: „ერთი კაცის სურათი“ (1870), „დათვი და ცხვრები“ (1871), „ცრუ მოფიცარს“ (1872), „ჩემი ჯალათები“, „კითხვა-მიგება“, „მოძმეთადმი“ (1876), „თაგვების და კატების ომი“ (1877) და სხვ.

1878 წ. რაფ. ერისთავმა გამოაქვეყნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუიდან“ ამოღებული და მის მიერ გალექსილი

<sup>1</sup> „გუთნის დედა“, 1873, № 17, გვ. 7-8.

<sup>2</sup> მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი; მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან.

იგავ-არაკები<sup>1</sup>. ესენია: „ვირი და მგელი“, „ობოლი და მისი დედა“, „კუ და მორიელი“, „დათვი და გლეხი“, „ხარბი ქორი“, „ქურდი მკერვალი“, „მეხილე და მწყემსი“, „ენა“, „მეფე და მხატვარი“, „სასწაულთმოქმედნი“, „მეფე და მისი შვილები“, „მეფე და მისი შვილი“, „ორნი ძმანი“, „განძის უფალი და მეზვერი“ და „ზეგნელი“. შემდეგ გამოცემაში<sup>2</sup> რაფ. ერისთავმა დაუმატა იგავ-არაკი „ღვინის ძალა“.

რაფ. ერისთავი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგავ-არაკებს ახალი თაობის აღზრდის საქმეში. 1878 წ. გამოცემის წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავდა: „მე ამოვკრიფე რჩეული იგავ-არაკი „სიბრძნე სიცრუიდან“ და გავლექსე იმ განძრახვით, რომ ყრმათა დაინერგონ კეთილი ზნეობა, განშორდნენ ბოროტსა მიდრეკილებასა და შეისწავლონ ძველებური ქართული მდაბიო ენა... იგავის ასახსნელს მუხლებში მაგალითად ჩაურთე ქართული ანდაზებიც“.

1878 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა კრილოვის იგავ-არაკების კრებული — ვადმოთარგმნილი და ვადმოკეთებული რუსულიდან ქართულად რაფ. ერისთავის მიერ.

დიდმა რუსმა სატირიკოსმა იგავთმწერალმა კრილოვმა (1769—1844) თავისი შესანიშნავი იგავ-არაკებით ქართველი მოწინავე საზოგადოების ყურადღებაც მიიქცია. კრილოვის იგავ-არაკების თარგმნა ქართულ ენაზე XIX საუკუნის 30-იან წლებიდან დაიწყო. კრილოვის იგავ-არაკთა თარგმნის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის გრ. ორბელიანს, აკ. წერეთელს და რაფ. ერისთავს. კრილოვის იგავ-არაკებს სხვადასხვა დროს თარგმნიდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, ივანე კერესელიძე, ლუკა ისარლიშვილი, დ. მ. მაგალობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე, მიხეილ ბებუთოვი და სხვები.

დასახელებულ 1878 წლის გამოცემაში შევიდა 42 იგავ-არაკი: „საზანდრები“, „მგელი და მელა“, „გლეხიკაცი და ავაზაკი“, „ჭრი-

<sup>1</sup> „იგავ-არაკნი“ გამოკრებილნი, „სიბრძნე-სიცრუიდან“ და ვალექსილნი თ. რაფ. ერისთავის მიერ. ვამომცემელი გრ. ჩარკვიანი. თბილისი. ენფინჯიანის სტამბა, 1878 წ.

<sup>2</sup> იხ. „იგავ-არაკნი“, კრილოვისაგან და „სიბრძნე სიცრუიდან“ ვალექსილი თ. რ. ერისთავისაგან, თბილისი, 1881 წ. წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა.



კინა და ჭიანჭველა“, „ბერიკაცი და მოჯამაგირე“, „ლომი წილადობაში“, „გლეხიკაცი და ძალი“, „კატა და ბულბული“, „ცნობის-მოყვარე“, „გლეხიკაცი და მელა“, „გლეხი და მდინარე“, „მგელი და მწყემსები“, „მელა და ყურძენი“, „გედი, კიბო და თევზი“, „გლეხიკაცი და გველი“, „მაიმუნი და სათვალეები“, „კაცი და მზარეული“, „ყრილობა ერისა“, „გლეხიკაცი და თხა“, „მაიმუნი და სარკე“, „წუნია სარძლო“ და სხვ.

1881 წელს იგავ-არაკების ახალ გამოცემაში რაფ. ერისთავმა დამატებით შეიტანა 10 იგავის ახალი თარგმანი — „გლეხი გაჭირვებაში“<sup>1</sup>, „ორი ბალდი“, „მაიმუნი და სარკე“, (ახალი ვარიანტი), „ლომი და მგელი“ და სხვა. ამ გამოცემის წინასიტყვაობაში მწერალმა უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება იგავ-არაკთა დანიშნულებაზე. მნიშვნელობა იგავ-არაკისა, — წერდა რაფიელი, — „არის დევნა ბოროტმოქმედებისა და გასწორება ადამიანის მრუდისა და უსაქიელო ზნეობისა“.

მართალია, კრებულებში დაბეჭდილ იგავ-არაკებს 1878 წელზე გვიანდელი თარიღი არ უზის, მაგრამ მათზე მუშაობა რაფ. ერისთავმა გაცილებით ადრე დაიწყო. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ 1878 წლით დათარიღებულ ლექსებს (პირველი გამოცემა) დართული აქვს წინასიტყვაობა, რომელსაც 1877 წლის იანვრის თარიღი უზის. გარდა ამისა, ავტოგრაფში<sup>2</sup> (რაფ. ერისთავის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია) გადმოკეთებული იგავ-არაკების ერთი ნაწილი დათარიღებულია 1876 წლით.

რაფ. ერისთავის გადმოკეთებული იგავ-არაკები გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ და პირუთვნელად შეაფასეს მწერლის შრომა. განსაკუთრებით მოსწონდათ რაფ. ერისთავის თარგმანების ენა. აი რას წერდა რაფ. ერისთავის იგავ-არაკების გამოსვლის გამო „დროების“ რედაქცია: „რაცა შეეხება თვითონ თარგმანს, მომეტებული ნაწილი იგავისა (სულ 42-ია) ჩინებულის, მსუბუქის და ნამდვილი ქართული ენით არის ნათარგმნი და

<sup>1</sup> წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა, № 3, 1881 წ. „იგავ-არაკნი კრლოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდან გალექსილი“.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 145.

პაზრი დედნისა ყველგან კარგად არის ქართულად გადმოღებული, ჩვენ წაგვიკითხავს რამდენიმე თარგმანი კრილოვის იგავებისა (მაგ. თ. აკ. წერეთლის, თ. გრ. ორბელიანის), რომელნიც მართალია უფრო მარჯვედ და ცოცხლად არიან ნათარგმნი, ვინემ თ. რაფ. ერისთავისა, მაგრამ არ შეიძლება არ ვსთქვათ, რომ ესეც ჩინებულ შეძინებას წარმოადგენს ჩვენი მწიგნობრობისა და საყმაწვილო ლიტერატურისათვის<sup>1</sup>.

1878 წლის 18 სექტემბერს თბილისის გუბერნიის სასწავლებლის სახალხო მასწავლებელთა კრებამ თავის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ი. გოგებაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, პ. უმიკაშვილი და სხვა მოღვაწეები, გულისყურით მოისმინა რაფ. ერისთავის ნათარგმნი იგაე-არაკები, ამავე კრებაზე რაფიელს წაუკითხავს თავისი „ანაბანა“. გაზეთი „ივერია“ გვაცნობებს, რომ „ანაბანა“ იმდენად კარგი არ ყოფილა, როგორც მასზე დართული, „ქარგის ენით დაწერილი“, „მდიდარი მასალებით“ შევსებული საკითხავი ნაწილი. მასწავლებლებს განსაკუთრებით მოსწონებიათ კრილოვის იგაე-არაკების თარგმანი. უთხოვიათ რაფიელისათვის წიგნიდან გამოერიცხა „ანაბანა“ და შეედგინა სკოლაში საკითხავი წიგნი, ისეთი შინაარსით, რომ გოგებაშვილის „დედა ენის“ გაგრძელება ყოფილიყო<sup>2</sup>.

რაფ. ერისთავის მიერ თარგმნილმა იგაე-არაკებმა დიდად შეუწყეს ხელი კრილოვის იგაეების პოპულარიზაციას, მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდასა და რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის განვითარებას.

1870—1880 წლებში რაფ. ერისთავი „დროების“ და „ივერიის“ ფურცლებზე ბეჭდავდა ორიგინალური ხასიათის ნაწარმოებებს „სცენების“ სახელწოდებით. ესენია: „რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“, (ამ სათაურით 1870 და 1871 წლების „დროებაში“ დაიბეჭდა 7 სხვადასხვა სცენა), „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“ (1872 და 1873 წლებში — სამი სცენა), „მიკიბულ მოკიბული“ (1873 წ.), „სოფლის მექორეები“ (1878 წ.), „ბაზრის

<sup>1</sup> „დროება“, 1878 წ., № 230.

<sup>2</sup> „ივერია“, 1878 წ., № 38.

სცენები“ (1878 წ.), „ზარბოში“ (1879 წ. „ივერია“), „ახალგაზრდა გლეხის ნაამბობი“ (1877 წ. „ივერია“) და სხვა.

„სცენებს“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რაფ. ერისთავის დრამატულ შემოქმედებაში. მასში რაფ. ერისთავმა რეალისტურად და პირუთვნელად გვიჩვენა ქართველი გლეხობის დაბეჩავებული ყოფა-ცხოვრება.

1875—1876 წლების პოლიტიკური სიტუაცია რუსეთ-ოსმალეთის ომის მოახლოებას მოასწავებდა. ქართველი მოღვაწეები კარგად ერკვეოდნენ მეფის მთავრობის ნამდვილ მიზნებში, მაგრამ შესაძლო იყო ამას საქართველოს თურქებისაგან მიტაცებული ტერიტორიის განთავისუფლება მოჰყოლოდა. ამ საკითხს რაფიელმა უძღვნა წერილი „ცნობანი ოსმალის საქართველოზე“<sup>1</sup>.

ამ დროს საქართველოს სამხრეთის დიდი ნაწილი თურქეთის ხელში იყო. საზღვარი ჩოლოქზე გადიოდა, რაფიელი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ 1828 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებულ სამხრეთის საზღვარმა მილიონზე მეტი ქართველობა თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე მოაქცია, რომ თურქები ანგრევდნენ და ანადგურებდნენ ქართული კულტურის ძეგლებს, ტაძრებს, ციხე-მონასტრებს. თურქების მიერ ომის მზადების პირობებში ამ წერილს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

რაფ. ერისთავმა მთელ ქართველ მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად ი. ჭავჭავაძის მეთაურობით ფართო ბრძოლა გააჩაღა ისტორიული უფლებების აღსადგენად სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული. მისი შემოერთების საკითხს რაფ. ერისთავი ჯერ კიდევ 1856 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს შეეხო. 1877 წელს, როცა რუსეთ-თურქეთის ომმა კვლავ ხელსაყრელი ვითარება შექმნა მშობლიური მიწების დაბრუნებისათვის, რაფ. ერისთავმა წერილებითა და გამოსვლებით ფართო პროპაგანდა გაშალა ქართული საზოგადოებრივი აზრის დარაზმებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის.

ამ პერიოდში დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის ცნობილი სტატია „ოსმალის საქართველო“ (1877 წ.). 1878 წელს გამოქვეყნდა აგრეთვე

<sup>1</sup> „დროება“, 1875 წ., № 80, 81.

რაფ. ერისთავის სტატია „დროებაში“ (№ 178) „ნაცვლად ნეკროლოგისა“. ამ პატრიოტულ წერილში ქართველი ქალების გმირობის მაგალითით დასაბუთებულია ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლები თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით პოეტი აღნიშნავს საკუთარი დის ანა ერისთავ-ჭავჭავაძის თავდადებულობას მამულისათვის, რომელიც ომში იყო მოხალისედ და 1878 წელს დაიღუპა.

რაფ. ერისთავი ბევრს მუშაობდა ოსმალოს საქართველოს შესწავლაზე. მწერლის პირად არქივში მოიპოვება უამრავი მასალა, ისტორიული ხასიათის ჩანაწერები, სტატიები, საჯარო ლექციების ვეგმა და სხვა, სადაც ლაპარაკია თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართველების შესახებ. ჩამოთვლილია აჭარაში და ტაო-კლარჯეთში მცხოვრები ქართველების გვარები, აღწერილია სოფლები, ეკლესიები, ტაძრები, ქალაქები. ცალკეა ნარკვევი ვარძიის გამოქვაბულის შესახებ და სხვა<sup>1</sup>. თურქეთის წინააღმდეგ ბალკანელი და ქართველი ხალხის ერთობლივ ბრძოლას მიუძღვნა რაფ. ერისთავმა პატრიოტული ლექსი „მომძეთადმი“.

1876—1878 წწ. ომში თურქეთი დამარცხდა, ქართველმა ხალხმა დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ბრძოლებში. საქართველოს დაუბრუნდა ადრე მიტაცებული ტერიტორიის ნაწილი: ბათუმი, აჭარა, ართვინი, არტაან-ოლთისი.

თურქეთის მონობისაგან გათავისუფლებული ახლად შემოერთებული ქართველების პატივსაცემად 1878 წლის 22 ნოემბერს თბილისში მოაწყვეს შეხვედრა, გაიმართა სადილი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს გრ. ორბელიანმა, აკაკი წერეთელმა, რაფ. ერისთავმა, დიმიტრი ყიფიანმა<sup>2</sup>.

რაფ. ერისთავი სხვა ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად დიდად იყო დაინტერესებული აჭარაში მტრისაგან ახლად გათავისუფლებულ ტერიტორიაზე სკოლების გახსნით, ხალხში კულტურის შეტანით. 1882 წ. 6 ივნისს წ. კ. გამაფრცველებელი საზოგადოებებს

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 140, 142, 149, 150, 161.

<sup>2</sup> „დროება“, 1878 წ., № 239.

სხდომაზე ირჩეოდა უსახსრობის გამო ბათუმის ერთ-ერთი სკოლის დახურვის საკითხი. სხდომაზე სიტყვებით გამოსულან ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, ნ. ხუდადოვი, რაფ. ერისთავი, პ. უმიკაშვილი. ი. ჭავჭავაძისა და რაფ. ერისთავის წინადადებით სკოლას გაეწია საჭირო დახმარება და ზილეს დადგენილება არსებული სკოლების გაძლიერებისა და ახალი სასწავლებლის გახსნის შესახებ. „თუ აქამდე სკოლა ვერ გამაგრდა, — აღნიშნავდა რაფიელი, — ეგ არაფერია (აღრეა, სულ 2 წელია, რაც სკოლა გაიხსნა და ხალხის ნდობა კი ვერ მოვიპოვეთ), იქაც ახლა ძლივს დამკვიდრდა ხალხი. ახლა გვიჭირს და უჭირთ იქ სკოლა. ბაიარაღი გაგვიშლია სკოლისა და ნუთუ სირცხვილელუნი უნდა დავბრუნდეთ?..“

რაფ. ერისთავი გამუდმებით ზრუნავდა ახლად გათავისუფლებულ ტერიტორიაზე ქართული განათლების შეტანისათვის. ამის თაობაზე მას საგანგებო მიმოწერა ჰქონია გურიის თავად გრიგოლ გურიელთან, რომელიც თურმე აჭარის გათავისუფლებამდე რამდენიმე ხნით აღრე თხოვდა რაფ. ერისთავს გაეგზავნა მისთვის ქართული ენის სასწავლებელი და საჭირო წიგნები. ახლა, როცა აჭარა და ბათუმი შემოუერთდა საქართველოს, რაფიელი ყველაფერს აკეთებდა გათავისუფლებულ ქართველებთან ძმობის განმტკიცებისათვის<sup>1</sup>. ასეთია რაფ. ერისთავის დამსახურება ამ დიდი ეროვნული საქმისათვის 70-იან წლებში.

\* \* \*

1879 წლის დასაწყისში ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ ი. ჭავჭავაძისა და დიმიტრი ყიფიანის ხელმძღვანელობით დაიწყო ზრუნვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებისათვის. რაფიელ ერისთავი ამ საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი იყო და მონაწილეობდა მისი წესდების შედგენაშიც.

საზოგადოების ოფიციალურად დაარსებამდე და მისი პირველი

---

<sup>1</sup>„ღრობა“ 1882 წ. №126, 127.

დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ერთი თვით ადრე, 1879 წლის აპრილში რაფ. ერისთავმა ი. ჭავჭავაძისა და დიმიტრი ყიფიანის ხელმოწერით მიიღო საგანგებო მოწვევა, რომელშიც ნათქვამია: „მოწყალეო ხელმწიფე! ჩვენ მონდობილი გვქონდა სხვათაშორის თქვენგანაც წარგვედგინა მთავრობისათვის წესდებულება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა ქართველთა შორის და გვეთხოვნა მისი დამტკიცება. ეხლა ეს წესდებულება დამტკიცებულია და ერთი დაბეჭდილი ეგზემპლარი ამასთანავე მოგვიერთმევია თქვენთვის, როგორც საზოგადოების დამწესებელი წევრისათვის, რადგანაც ეხლა საჭიროა, რომ ამ საზოგადოების საქმე დაწყობილ იქმნას, ამისათვის ვთხოვთ მობრძანდეთ საზოგადო კრებაში 15 მაისს დილის 11 საათზე ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის სადგურში და წარმოადგინოთ სია იმ თქვენ ნაცნობ სანდო პირთა, რომელნიც ისურვებენ ჩვენი საზოგადოების წევრათ გახდომას“<sup>1</sup>.

რაფ. ერისთავი ი. ჭავჭავაძესთან ერთად პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობას. ერთხანს იგი საზოგადოების საფინანსო მეურნეობასაც განაგებდა

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში. რაფიელ ერისთავი ამ საზოგადოების დაუღალავი მუშაკი და სიკვდილამდე მისი გამგეობის საპატიო წევრი იყო.



1877—1879 წლებში ილია ჭავჭავაძე სათავეში ჩაუდგა მუდმივი ქართული თეატრის აღდგენის საქმეს. რაფ. ერისთავი მასთან ერთად განახლებული ქართული თეატრის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო. დიდ ილიას თეატრის განახლება, დასის შეკრება აკა-

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 266.

კი წერეთლისა და რაფიელ ერისთავისათვის მიუხდვია. აი, რას წერს აკაკი წერეთელი თავის მოგონებაში ამის შესახებ: „ერთხელ განსვენებული ილია ჭავჭავაძე შეძოვიდა ჩემთან და მითხრა: დავიღუპეთ!... თეატრი ხელიდან გამოგვაცალეს და ასე კარგად დაწყებული საქმე უნდა შევაჩეროთ ამ სეზონში და ეს ხომ დალუპვიაო. მეც ჩემი გულ-დაწყვეტა გამოუცხადე. მერე მომიბრუნდა და მითხრა, მოდი ერთი შენ მოჰკიდე ხელი ამ საქმეს! იმერელი ხარ და ეგებ მოახერხო რამეო?“.

— მე ამგვარ საქმეს ვერ ვიკისრებ.

— შენ მხოლოდ მიიღე შენს თავზე და სხვებზე დიდათ არ გაგრჯით. რაფიელ ერისთავს თანაშემწედ მოგცემთ, იონა ზეუნარგიას სექრეტრად და ისინი წაიყვანენ საქმეს! შენ მხოლოდ იმეთაურეო“<sup>1</sup>.

1879 წელს, როცა აღდგენილ იქნა პროფესიული ქართული თეატრი, რაფ. ერისთავი ამ თეატრის დამფუძნებელთა შორის იხსენიება და ი. ჭავჭავაძესთან ერთად ხელს აწერს თეატრალური საზოგადოების წესდების პროექტს; რომლის დამტკიცების შემდეგ იგი ითვლებოდა თეატრალური საზოგადოების პირველი გამგეობის წევრად. 1884 — 1886 წწ. რაფიელი თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეა<sup>2</sup>.

ქართული თეატრის აღორძინების საქმეში რაფ. ერისთავის დიდ დამსახურებაზე მიუთითებს აგრეთვე გ. თუმანიშვილიც: „1879 წ. როცა ყალიბდებოდა მუდმივი ქართული თეატრი, მის დამხმარედ და ხელისშემწყობად გამოჩნდა ისევე კეთილი გენია და ნიჭი რ. ერისთავისა. მან გადასცა თეატრს ყველა თავისი მზა ვოდევილები. ამავე დროს შეუდგა ახალი პიესების შექმნას. სულ მალე გაამზადა თეატრისათვის ახალი პიესები: „ბიძიასთან გამოხუმრება“, „ადვოკატები“ და სხვა. რაფ. ერისთავი, — განაგრძობს გ. თუმანიშვილი — „წერდა პიესებს არა მარტო, როგორც წარმოდგენას, არამედ წერის დროს ითვალისწინებდა მსახიობთა შესაძლებლობას. „ბიძიასთან გამოხ-

<sup>1</sup> „თემი“, 1912 წ., № 55.

<sup>2</sup> თეატრალური მუზეუმი, ნ. ავალიშვილი, წერილები ქართული თეატრის ისტორიისათვის, საქ. №5127.

„უმრება“ მან კოტე ყიფიანისა და საფაროვ-აბაშიძისათვის შექმნა. ეს გარემოება ხშირად ფრთებს უკვეცავდა შემოქმედის ფანტაზიას და ჩარჩოებში აყენებდა მწერლის ტალანტს<sup>1</sup>.

რაფ. ერისთავი ახლო იცნობდა მოძმე სომეხი ხალხის კარგად ცნობილ დრამატურგს გ. სუნდუქიანს. ისინი ერთად მუშაობდნენ „პეპოს“ სომხურიდან ქართულად თარგმნაზე. „ვბეჭდავ რა ქართულ ენაზედ ამ ჩემს თხზულებებს, — წერდა გ. სუნდუქიანცი, — მე ყველაზედ უწინარეს უნდა გამოუცხადო ჩემი გულითადი მადლობა თ. რაფიელ ერისთავსა, რომელმაც სწორედ ძმური თანაშრომა აღმომიჩინა 1874 წელს, როცა ამ თხზულებას („პეპოს“, შ. ვ.) ვთარგმნიდი“<sup>2</sup>. ამიტომ, როცა „პეპოს“ დადგმა განხორციელდა „ნემცების კლუბში“, სუნდუქიანცმა საგანგებო მოსაწვევი გაუგზავნა. რაფ. ერისთავს და სპექტაკლზე დასწრება სთხოვა.

აღამიანებთან დამოკიდებულებაში რაფიელი ძალზე სათუთი, გულისხმიერი და ყურადღებიანი ყოფილა. გ. თუმანიშვილი ასე აგვიწერს რაფ. ერისთავთან გაცნობას:

„1878 წელს განვიძრახე ლიტერატურული კრებულის გამოცემა ქართულ ენაზე. სხვებთან ერთად მივმართე დახმარებისათვის დამსახურებულ პოეტს რაფ. ერისთავს. მან ყველაზე პირველმა გამომიცხადა თანაგრძნობა ამ საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ პირადად არ მიცნობდა, გადწომცა თავისი ლექსების მთელი რვეული და აღმოთქვა შემდეგშიაღ შეასრულებდა ყოველგვარ დავალებას. დამპირდა დამიწერდა ახალ მასალებს კრებულისათვის. მე ვთხოვე კრებული-სათვის ეთარგმნა ბერანჟეს «Нншии». ეს უკანასკნელი მე ვთარგმნე ფრანგულიდან რუსულად — პროზად. რ. ერისთავმა კი რუსული პროზა გალექსა ქართულად. ლექსი გამოვიდა ურითმო, თეთრ ლექსად, მაგრამ ამით ლექსს არაფერი წაუგია.

იმ დროს ჩემთვის ახალგაზრდა ენტუზიასტისათვის ასეთი ყურადღება დიდათ სასიხარულო მოვლენა იყო; გასაკვირველი იყო განსაკუთრებით ის, რომ ყველაფერ ამას რ. ერისთავი აკეთებდა ყო-

<sup>1</sup> Г. М. Туманов, «Характеристики и воспоминания», кн. 1, 1913 г., стр. 138.

<sup>2</sup> „ივერია“, 1880 წ., №3, გვ. 207.



ველგვარი სასყიდლის გარეშე. ასეთივე ენტუზიაზმით შეხვდა იგი აგრეთვე გაზ. „ღროების“ გამოცემას<sup>1</sup>.

რაფ. ერისთავის თავდადებული და ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობის შესახებ ჯერ კიდევ 1878 წელს აკაკი წერეთელი წერდა: „ერთი მწერლის მეტი არ გვეგულება, რომ თავის სამშობლო ქვეყანა იცოდეს იმგვარი ცოდნით, რომელიც ზემოთ ვთქვით და გადარჯულებულად არ წერდეს: ეს მწერალი არის რაფიელ ერისთავი და საჭიროა, რომ მის ნაწერებს ყურადღება მიექცეს. სხვათა შორის იმას აქვს კრილოვის ზღაპრები და ცოდვა არ არის, რომ ის ასე ხელნაწერათ რჩებოდეს და ობროლობროები კი იბეჭდებოდნენ, როგორც სახალხო რამა?“<sup>2</sup>.

რაფ. ერისთავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში საყურადღებოა მისი სტატიები სოფლის მეურნეობის საკითხებზედაც. იგი 1860 წლიდან სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ნამდვილი წევრი იყო. 1876 წელს მოსკოვის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მებარეშუმეობის კომიტეტმა დაუსწრებლად აირჩია თავის საზოგადოების წევრად; ქუთაისში ყოფნისას 1860 წელს საგანგებო დავალება მოსვლია მოსკოვიდან პარიზში გასაგზავნი 10 ფუთი ძეღქვის თესლის შესყიდვის შესახებ და სხვ<sup>3</sup>.

1875 წლის 26 ოქტომბერს ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების იუბილე. პირველ სხდომაზე მოხსენება გაუკეთებია რაფ. ერისთავს. მას დაწერილებით ულაპარაკნია ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების მდგომარეობაზე იმერეთსა და ქართლ-კახეთში. სხდომას განსაკუთრებით მოსწონებია, როცა მომხსენებელი შეჰხებია ღვინის გასაღების მდგომარეობას. რაფიელს შეუტანია წინადადება: შექმნილიყო საგანგებო კომისია, რომელიც დანერგავდა მეცნიერულ აგროტექნიკას (ვაზის ჯიშების გაუმჯობესება, ქართული ვაზის ჯიშის მოსავლიანობის გადიდება, ღვინის დაყენება და სხვა).

1 Г. М. Туманов, «Характеристики и воспоминания», кн. I, 1913 г., стр. 137.

2 „ღროება“, 1878 წ., № 109.

3 ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 10.

სხდომის დამთავრების შემდეგ რაფ. ერისთავს სპეციალისტებისათვის სადგეუსტაციოდ უჩვენებია საკუთარი მამულის სამწლიანი ღვინოები<sup>1</sup>.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ჟურნალში (1878 წ. ივლისი) დაბეჭდილია რაფ. ერისთავის სტატია — „ღვინის მოყვანისა და გასაღების მდგომარეობა ჩვენში“, რომელსაც ისტორიულ-მეცნიერული მნიშვნელობა აქვს დღესაც სპეციალისტებისათვის. რაფიელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ღვინით სასაქონლო ვაჭრობას აფერხებენ სირაჭები, რომლებიც წინასწარვე ჩაღიან სოფლებში. მებუთედ ფასში იგდებენ მოსაყალს, გასაყიდ ღვინოებს კი წამლებით აფუჭებენო. „საჭირია სადმე კახეთში გაიმართოს სამაგალითო სარდაფი, რომელშიც მცოდნე პირებმა, სპეციალისტებმა დააყენონ ღვინო და აქედან ისწავლონ სხვებმა“<sup>2</sup>.

რაფ. ერისთავის პირად არქივში ვხვდებით უამრავ ჩანაწერებს, წერილებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების (მევენახეობის, მეთამბაქოეობის, მეაზრეშუმეობის, მეფუტკრეობის) განვითარების შესახებ და სხვა<sup>3</sup>.

## 80-იანი წლები

ოთხმოციანი წლებში რაფ. ერისთავი თავის სამშობლოში სოფელ ქისტაურში ხშირად ატარებდა დროს მამისეული კარმიდამოს მოწყობისათვის, რომელსაც მზრუნველი ხელი დაჰკლებოდა. პოეტი კიდევ უფრო ახლოს ეცნობოდა ხალხის ცხოვრებას. რაფიელის წარმოსახვაში ნათლად იბეჭდებოდნენ მისი სათაყვანებელი თინიები, ბერუები, თანდილები, სამშობლოს სიყვარულით ანთებული გმირი ვაჟკაცები, რომელთა ყოველდღიური ცხოვრება მწერლის პოეტური შთაგონების წყარო გახდა.

<sup>1</sup> „დროება“, 1875 წ., № 111.

<sup>2</sup> „დროება“, 1878 წ., № 120

<sup>3</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი № 160.

საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ლიტერატურული პროდუქციის თვალსაზრისით 1880—1890 წლებს რაფ. ერისთავის ბიოგრაფიაში ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ამ პერიოდში ის მთელ თავის უნარს: და ენერგიას მხატვრულ შემოქმედებასა და საზოგადო საქმიანობას ანდომებდა.

80-იან წლებში მთელი ძალით იფეთქა მწერალში პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის დიდმა გრძნობამ. ამ პერიოდში შეიქმნა რაფ. ერისთავის არა ერთი და ორი ცნობილი თხზულება. მაგ., ლირიკული ლექსები: „დედა ენა“ თუ „გაზაფხული“, „აღდგომა“ თუ „საღდეგრძელო“, „სამშობლო ხევსურისა“ თუ „თინიას მამითადი“, „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო“ თუ „ბერუას ჩაფიქრება“, „რაზე მიწყრები, ყუენო“ თუ „რას შემომცქერი, ძმობილო“ და სხვა მრავალი, ხალხის პირ-ვარამის ამსახველი, პატრიოტული და უაღრესად მხატვრული გემოვნებით შესრულებული ქმნილებებია. ერთეულ მწერლებს თუ უმღერიათ თავისი ქვეყნისათვის ისეთი სიყვარულის ჰიმნი, როგორც რაფ. ერისთავს.

ლექსით „სამშობლო ხევსურისა“ რაფიელი ღრმად ჩასწვდა ხალხის გულს და ბუნებრივი უშუალობით გადმოგვცა მათი კეთილშობილური გრძნობები. სხვა რომ არაფერი დაეწერა რაფ. ერისთავს, ამ ლექსითაც უკედავი იქნებოდა მისი სახელი ქართულ მწერლობაში. „სამშობლო ხევსურისა“ დაწერისთანავე ყველა ქურნალ-გაზეთებმა დაბეჭდეს. აი, რას წერდა ამ ლექსის გამო „დროების“ რედაქცია: „ივერიის უკანასკნელს (სექტემბრის) წიგნში, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა, სხვათაშორის დაბეჭდილია თ. რაფ. ერისთავის ლექსი „სამშობლო ხევსურისა“, რომელიც ისეთი ჩინებული რამ არის, რომ ვერ მოვითმინეთ არ გადმოგვებეჭდა იმ ჩვენ მკითხველებისათვის, რომელთაც „ივერია“ არ მისდით“<sup>1</sup>.

„სამშობლო ხევსურისა“-ს პოპულარობა ისეთი ძლიერი იყო, რომ ამ ლექსის სახელმა „დაფარა“ თვითონ რაფ. ერისთავი. ავტორისა და ლექსის სახელი ერთმანეთის სინონიმებად იქცა; ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმები: „სამშობლო ხევსურის“ ავტორს დაუ-

<sup>1</sup> „დროება“, 1881 წ., № 194.

წერია ახალი ლექსი, „სამშობლო ხევსურის“ ავტორი წერს ახალ პიესას და სხვ.

რაფ. ერისთავმა შემოიტანა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში „საერო კილო“, რომელმაც ბიძგი მისცა და გაბედულად გამოიყვანა ლიტერატურის ფართო ასპარეზზე რაზიკაშვილების პოეტური ოჯახი.

დიდი ვაჟა სიამაყით აღნიშნავდა რაფ. ერისთავის პოეზიის გავლენას მის შემოქმედებაზე. „ყველაფერს რაც კარგი და ხელოვნური რამ დაწერილა, — აღნიშნავდა ვაჟა გრ. ყიფშიძის საპასუხოდ, — ზედმოქმედებდა ძალა ჰქონია, აღტაცებაში მოუყვანივარ, მომწონებია. რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა. რ ო გ ო რ ც ს ა ე რ ო კ ი ლ ო თ ი ნ ა წ ე რ მ ა და ის ი ც ჩ ვ ე ნ ე ბ უ რ მ თ ი ს კ ი ლ ო თ ი, ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ ა ა ჩ ქ რ ო ლ ა ჩ ე მ ი გ უ ლ ი. (ხაზი ჩვენია, შ. ვ.) სხვაგვარად შესძრა იგი. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ, მაშინ შეგირდი გახლდით, მაგრამ ხალხური-ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდით; ეს კილო მიყვარდა-ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ექირათ. თუმცა მაშინაც ლექსებს ვწერდი, ანუ უკეთ რომ ვთქვით, ვჯღაბნიდი, მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული... ჩ ვ ე ნ მ ა ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ მ ა მ ხ ც ო ვ ა ნ მ ა მ გ ო ს ა ნ მ ა რ ა კ ი ს ა ე რ ო კ ი ლ ო და უ მ კ ვ ი დ რ ა ლ ე ქ ს ე ბ ს და უ უ რ ნ ა ლ „ივერიამ“ გ ზ ა და უ თ მ ო, მ ე ც გა ბ ე დ უ ლ ე ბ ა მ ო მ ე მ ა ტ ა“<sup>1</sup> ამის შემდეგ ზედიზედ დაუწერია ვაჟას: „შვლის ნუკრის ნაამბობი“ (1883 წ.), „მოხუცის ნათქვამი“ (1883 წ.), „ამირანი“ (1884 წ.), პატარ-პატარა მოთხრობები ფშავლების ცხოვრებიდან და სხვ.

80-იან წლებში კიდევ უფრო ნათელი გახდა ბატონყმობის გაუქმებისა და გლეხთა „გათავისუფლების“ რეფორმის უსუსურობა და მისი დამლუპველი შედეგები გლეხკაცობისათვის. გლეხს ექსპლოატაციას უწევდა არა მარტო ბატონი, არამედ ის მთავრობის უამრავი გადასახადებითაცაა შეწუხებული, მის კისერზეა ჩამოკიდებული მამასახლისი, შლვდელი, ვაქარი. რაფ. ერისთავის პოეტური ჩანგი ასეთი

<sup>1</sup> „ივერია“, 1896 წ., № 43.

გაპირებული გლეხის პატიოსან შრომას უმღერდა. მისი გლეხი ყველაფერს აიტანდა, რომ „„შავი მიწა“ მაინც არ ჰქონდეს საყიდლად. ამიტომ იგი აშკარა პროტესტს გამოსთქვამდა: „ხნავს, თესავს, ებრძვის მიწას“ და მისი შრომა მაინც ფუტკია, „მიწა სხვისაა, შრომა კი მარტო ჩემიაო“.

ამ წლებში შექმნილი მომხიბვლელი ლექსებით რაფ. ერისთავი ბავშვების საყვარელი მწერალიც გახდა. იმ დროის საბავშვო ჟურნალ-გაზეთების („ნობათი“, „საბავშვო კალენდარი“, „ჯეჯილი“) თითქმის ყველა ახალი ნომერი რაფიელისა და აკაკის საყმაწვილო ლექსებით იხსნებოდა. ესენია: „გაზაფხული“, „მერცხალი“, „რთველი“, „ზამთარი“, „მიპატიეება სასწავლებელში“, „ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „ჩიტი“, „დედა ენა“ და მრავალი სხვა.

საბავშვო ჟურნალ „ნობათის“ პირველი ნომერი იხსნება რაფ. ერისთავის შესანიშნავი ლექსით „მიპატიეება სასწავლებელში“.

ი. გოგებაშვილი ამ ლექსს ნობათის პირველ მარგალიტს უწოდებდა. მრავალფეროვანი ლექსების გარდა, ამ პერიოდში რაფიელმა დაწერა საკმაოდ მოზრდილი პოემები: „ასპინძის ომი“ (1880 წ.), „თამარიანი“ (1886—1887 წ.). ამავე დროს თარგმნა პუშკინის „მეზადური და ოქროს თევზი“, საბოლოო რედაქცია გაუკეთა „ძუნწ გმირს“ და სხვა.

80-იან წლებში რაფ. ერისთავი განაგრძობდა ნაყოფიერ მუშაობას თეატრის ხაზით. იგი ჟურნალ „თეატრის“ (1885—1890) აქტიური თანამშრომელი იყო. ამ წლებში გამოქვეყნდა მისი ორიგინალური და რუსულიდან გადმოკეთებული დრამატიული ნაწარმოებები. 1884 წელს იგი დრამატიული საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

1887 წლის „ივერიაში“ (№ 20) დაიბეჭდა რაფ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული ერთმოქმედიანი ვოდევილი „მასწავლებელი სასოფლო სკოლისა“, რომელიც ფრანგულიდან რუსულად უთარგმნია პ. კარატიგინს. ვოდევილი ქართული ყოფის შესაბამისადაა გადმოკეთებული; ამ ნაწარმოებით რაფ. ერისთავმა მკაცრად დასცინა ძველი სკოლის მოსწავლეთა აღზრდის მახინჯ წესებს, განათლების დარგის მსახურთა უცოდინარობასა და მთავრობის მოხელეებს შორის გამე-

ფებულ მლიქვნელობას. ასეთი პროტესტანტული ხასიათის გამო რამდენიმე დადგმის შემდეგ პიესა ცენზურას აუკრძალავს კიდევ.

რაფ. ერისთავი ძალიან ბევრს მუშაობდა თარგმნილ თუ გადმოკეთებულ პიესებზე; განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული ენის სიწმინდეს. 1881 წლის „ივერიაში“ კვითხულობით რეცენზიას რაფ. ერისთავის „ადვოკატებზე“, როგორც კარგი ქართული ენით შესრულებულ ნაწარმოებზე. ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძის „ივერიის“ ქებას მხოლოდ ერთეულები თუ იმსახურებდნენ: „ქართული ენა ახლანდელს მწერლობაში, — აღნიშნავდა რეცენზენტი, — ისე მდიდრად არსად არა სჩანს, როგორც რაფ. ერისთავის ნაწერებში; აქ ენას ნაკლებად ეტყობა ნათესაობა რუსულს და უცხო ქვეყნურს ენასთან; აქ ენას ქართული ხასიათი აქვს და ამავე ხასიათს აძლევს თვით უცხო ქვეყნურს თხზულებასაც. ეს ფრიად დიდი ღირსებაა ახლა ჩვენში, როდესაც სხვა მწერლის ნაწარმოებში არამც თუ ნათარგმნს, ორიგინალურს თხზულებასაც კი მცირედ ეტყობა ქართულობა. თ. რაფ. ერისთავმა, რომ ისურვოს ქართულ ლექსიკონის დაწერა, ყველას ჩუბინოვს დაგვაფიწყებს. ეს არის უმთავრესი ღირსება ჩვენი პატივცემული პოეტისა.“<sup>1</sup>

დავით ერისთავი აღნიშნავდა, რომ „ქართულის ენით წერა მართო ილია ჭავჭავაძემ იცის და რაფიელ ერისთავმაც“<sup>2</sup>.

\* \* \*

რაფიელ ერისთავი დიდად აფასებდა ნ. ბარათაშვილს და მის პოეზიას განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში. 1879 წ. ნიკ. ბარათაშვილის ლექსების მეორე გამოცემის გამო „ობზორში“ გამოქვეყნებულ წერილში (1880 წ. იანვარი) რაფიელი მართებულად აღნიშნავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნოვატორობის შესახებ ქართული ლექსის განვითარების საქმეში. ნ. ბარათაშვილმა თავის ლექსებში, აღნიშნავს რაფიელს. უკუაგდო ხელოვნურად გაჭიანურებული, ბუნდოვანი ღვარჭნილი

<sup>1</sup> „ივერია“, 1881 წ., № 2 გვ. 133.

<sup>2</sup> «Фаланга», 1881 г., № 22, стр. 7.

სტილი და ახალი ეტაპი შექმნა ქართული ლირიკის განვითარებაში. თავისი შესანიშნავი ლექსებით ბარათაშვილმა უმღერა ხალხების საუკეთესო მომავალს და ამით მთელი ეპოქით გაუსწრო მის თანამედროვე პოეტებს; მხოლოდ გრ. ორბელიანის ლექსები თუ შეედრება ბარათაშვილის ლექსებსო. რაფიელმა სამართლიანად უსაყვედურა გამომცემელს და დააყენა საკითხი პოეტის ლექსების ძიებისა და ბიოგრაფიის შედგენისათვის<sup>1</sup>.

1882 წ. ივრიის IV და VI ნომრებში დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის ლექსები, რომლებიც ი. მეუნარგიამ აღმოაჩინა სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის არქივში.

რაფიელი უდიდეს შენაძენად თვლის ნ. ბარათაშვილის ამ ლექსების აღმოჩენას და შოაგონებდა საზოგადოებას ყურადღებით მოპრობოდნენ ლექსებს, რომლებიც შეიძლება კიდევ აღმოჩნდეს პოეტის ნათესაგებისა და ნაცნობების ოჯახებში. „ეს სურვილი და თხოვნა, — აღნიშნავდა რაფიელი, — პირადად მე ერთ კაცს არ მეკუთვნის: ეს არის სურვილი ქართველი საზოგადოებისა... ყოველი ლიტერატურული ნაღვაწი პოეტისა შეადგენს საზოგადოების საერთო საკუთრებას“. ამის გამო რაფიელი ირონიით მოიხსენიებს ნ. ბარათაშვილის თანამედროვე ლევან მელიქიშვილს, რომელსაც სამსახურის გამო, თურმე, „ვერ მოუტლია“ გადასინჯოს თავისი არქივი და მოსძებნოს „დაფარული განძი... ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული ნაწარმოებისა“<sup>2</sup>.

1888 წ. „მეურნის“ მარტისა და აპრილის ნომრებში დაიბეჭდა რაფ. ერისთავის რეცენზია გ. წერეთლის წიგნზე „საუკეთესო ცოდნა“ (ზ. ჭიჭინაძის გამოცემა). რაფიელმა საყურადღებო აზრი გა-

<sup>1</sup> «Однор», 1880, № 393.

<sup>2</sup> „დროება“, 1882 წ., № 121. „ამ შემთხვევამ, აღნიშნავდა რაფ. ერისთავი, მომაგონა „დროებაში“ დაბეჭდილი წიგნი ბარათაშვილის დისა, რომელიც აცხადებდა, რომ ჩემის ძმის (ნ. ბარათაშვილის) ლექსები, მიწერ-მოწერა და სხვანი აქვსო თავადს ლევ. მელიქიშვილს... ვიმედოვნებ პოლინკა... ნიჭიერი კნეინა ა. მელიქოვისა, ვითარცა მოყვარული და დამფასებელი ქართულის ლიტერატურისა, გაიხსენებს გადაათვალიერებს ქალაღებებს და მისცემს შემწეობას ჩვენს უურნალ-გაზრდებს გააცნონ საზოგადოებას იმ, დღემდინ დაფარულ განძსაც, როგორათაც ჩვენ ვხედავთ ყოველს ლიტერატურულს ნაწარმოებს თავადი ნიკ. ბარათაშვილისას.

მოსტკვა გ. წერეთლის ამ შრომის მეცნიერულ ღირებულებაზე. მან საფუძვლიანად გააკრიტიკა ენის საკითხში გ. წერეთლის ნაშრომი. კერძოდ უსაყვედურა ავტორს ნეოლოგიზმი და მასალის ნედლად, „გაუსალაშინებლად“ დაბეჭდვა, რაც ავტორის თქმით დამახასიათებელია გ. წერეთლის სხვა შრომებისათვისაც<sup>1</sup>. რაფ. ერისთავის შეხედულებას ემთხვევა აკაკი წერეთლის მიერ შემდგომში გამოთქმული ცნობილი მოსაზრება, რომ გ. წერეთლის შრომებს მოუცულობისა და დაღლის კვალი აზისო.

რაფ. ერისთავი აქტიურად ეხმაურებოდა თავისი დროის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, განსაკუთრებით ქართული კულტურის საკითხებს.

1880 წლის ზამთარში კავკასიის სტატისტიკურმა კომიტეტმა გამოთხოვა ყაზანის უნივერსიტეტში შენახული ვახუშტის ხელით შედგენილი საქართველოს კარტა-ატლასი, რომელიც იქ პოტიომკინის ბიბლიოთეკიდან წაუღიათ. ამ კარტის 5—6 ფოტო პირი გადაიღეს თბილისში და ისევ ყაზანში გაგზავნეს. რაფ. ერისთავმა არ დაახანა ქართული ეროვნული კულტურის ამ ძვირფასი განძის თბილისში ჩამოტანის საკითხის დასმა<sup>2</sup>.

ამ წლებს განეკუთვნება, აგრეთვე, რაფ. ერისთავის გეოგრაფიულ-სათავგადასავლო ნარკვევი „ჭანეტას“ სახელწოდებით („დროება“, 1882 წ., № 181—182). ნარკვევში აღწერილია გემ „ჭანეტას“ ეკიპაჟის თავგადასავალი. 1879 წელს ეს გემი სანფრანცისკოდან გამოვიდა ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის საკვლევად. არქტიკის სტიქიამ დაამსხვრია გემი. მოგზაურთა ერთი ნაწილი მოადგა მდინარე ლენის შესართავს და რუსების დახმარებით სიკვდილს გადაარჩნენ. აღნიშნული მოგზაურობის შესახებ მოკლე ცნობები იბეჭდებოდა იმდროინდელი გაზეთების ფურცლებზე. რაფ. ერისთავს ეს ამბები შეუკრებია, გადაუმუშავებია და მისთვის მხატვრული სათავგადასავლო ნარკვევის ფორმა მიუცია. ნაწარმოებს წამძღვარებული აქვს იმ დროის ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის საინ-

<sup>1</sup> „მეურნე“, 1888 წ., № 13, 14, 15.

<sup>2</sup> „დროება“, 1880 წ., № 221.



ტერესო ცნობები ტაივისა და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის ბუნების, ფაუნის და ფლორის შესახებ.

\* \* \*

თანამედროვეებში ცნობილი ყოფილა რაფ. ერისთავის მოძმინება და კოლოსალური ენერჯია. მნახველი განცვიფრებაში მოჰყავს იმ უდიდეს შრომას, რომელიც რაფ. ერისთავს გაუწევია ლექსიკოლოგიური მასალების შესაკრებად, როგორც ეს ჩანს ხელნაწერთა ინსტიტუტსა და რაფ. ერისთავის სახლ-მუზეუმში სოფ. ქისტაურში დაცული ავტოგრაფებიდან. მას მეტად სერიოზული მუშაობა ჩაუტარებია სულხან-საბა ორბელიანის ქართული ენის ლექსიკონის გამოცემისათვის. რაფ. ერისთავს, საბას ლექსიკონის პირველ რედაქტორს, საკუთარი ხელით გადაუწერია 2000-ზე მეტი გვერდი<sup>1</sup>. ეს გამოცემა 1884 წელს დაიბეჭდა. მას წამძღვარებული აქვს რაფ. ერისთავის საყურადღებო შენიშვნები ენის საკითხებზე და სულხან-საბა ორბელიანის მოკლე ბიოგრაფია<sup>2</sup>.

1884 წლის „დროების“ 201 ნომერში ალექსანდრე ჭყონიას მიერ დაწერილ რეცენზიას ამ ლექსიკონის შესახებ რაფ. ერისთავი ასე უპასუხებს: „მე გახლავარ გამომცემელი უკვე შედგენილი ლექსიკონისა და არა შემდგენელი. ამიტომ „მან-ქარ-ხან-ძილის“ კრიტიკა მი არ შეეხებებაო. ჩასრულებ მის სურვილს და მოვახსენებ რეცენზენტს, რომ ლექსიკონის გამოცემის დროს ხელთ მქონდა ექვსი ვარიანტი ლექსიკონისა: 1. ჩემი საკუთარი, 2. განსვენებული სერგეი მესხისა (რომელიც როგორც უვარგისი უკანვე დაუბრუნე პატრონს მის სიცოცხლეშივე), 3. იონა მუნარჯიასი, 4. დიმიტრი ბაქრაძისა, 5. ავალიშვილისა და 6. დავით რექტორისაგან შესწორებული და გადაწერილი ტარასი არხიმანდრიტისაგან, აწ კუთვნილება ნათლისმცემლის მონასტრისა“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ლექსიკონის ავტოგრაფები ინახება ქისტაურის რაფიელის სახლ-მუზეუმში. აღნიშნულ შრომაზე მუშაობა რაფიელს დაუმთავრებია 1881 წ. 15. X.

<sup>2</sup> ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან, რაფ. ერისთავის რედაქტორობით და შენიშვნებით. თბილისი, 1884 წ.

<sup>3</sup> „დროება“, 1884 წ., № 206; პასუხად უცნობ რეცენზენტს „მან-ქარ-ხან-ძილს“.

რაფ. ერისთავი ბევრს მუშაობდა რუსულ-ქართული ლექსიკონის საკითხებზე. ჩუბინაშვილის ლექსიკონის ნაკლოვანებათა გათვალისწინების საფუძველზე მან საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა სრულყოფილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენის თაობაზე: „დაიგზავნოს საქართველოს ყველა კუთხეებში გადაბეჭდილი რუსული და ქართული სიტყვები... მას მიუწერონ შესატყვისი სიტყვები... შემდეგ ეს რვეულები მოვაგროვოთ და მოხდეს განხილვა. განხილვაში მონაწილეობა მიიღონ ხალხის ფართო ფენებმა — საზოგადო მოღვაწეებმა, აგრონომებმა, ექიმებმა, მასწავლებლებმა, გლეხებმა, მუშებმა“... „მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლება შესდგეს შედარებით უნაკლო და სრული, საზოგადოების სასარგებლო ლექსიკონი“...

რაფ. ერისთავმა თავისი ლექსიკოლოგიური და ტერმინოლოგიური შრომებით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართულ ფილოლოგიას და ენათმეცნიერებას. 80-იან წლებში, როდესაც იგი ი. ჭავჭავაძესა, აკაკი წერეთელსა, ი. გოგებაშვილსა და სხვებთან ერთად ჩაება ტერმინოლოგიურ სამუშაოებში, მართებული აზრი გამოთქვა ქართული სამეცნიერო ტერმინების შემუშავების თაობაზე<sup>2</sup>. რაფ. ერისთავმა დაამუშავა შემდეგი ტერმინოლოგიები: „არითმეტიკის და გეომეტრიისა“, „ფიზიკისა და სამუნეჯიბო ლეოღრაფიიდან“ (ასტრონომიისა), „საზომისა და საწყაოსი“, „ქიმიისა“, „ზღვისა და შიგ ცურვისა“ და „სამხედრო“. რაფ. ერისთავი სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ პირველი გამომცემელი და რედაქტორია (1884 წ.), 1873 წელს გამოსცა „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი“, ხოლო 1884 წელს „მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოდან — ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი“. მასვე ეკუთვნის საყურადღებო მოსაზრებები ქართული ენის ბუნებისა და კუთხური მეტყველების შესახებ, გამოკვლევები ანბანისა და დამწერლობის თაობაზე, „ქართული ენის გრამატიკა ყრმათათვის“ და სხვ. სიცოცხლის უკანასკნელ ხანში იგი მუშაობდა

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 134.

<sup>2</sup> გაზ. „შრომა“, 1882 წ., № 46.

რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენაზე, რომლის გეგმა 1880 წელს დაიბეჭდა კიდეც „ივერიაში“ (№ 144).

1883 წ. გაზეთ „დროებას“ გამოუცხადებია კონკურსი არითმეტიკული ტერმინების შედგენის საქმეში (ეს ტერმინები შემდეგ უნდა დაამუშაოს და განიხილოს სათანადო კრებებმაო).

რაფიელს შეუმუშავებია მათემატიკური ტერმინოლოგია და წერილობით წარუდგენია კომისიისათვის. ტერმინოლოგიის ნაწილი დაბეჭდილია „დროებაში“. ეს ტერმინოლოგია თავის დროზე საყურადღებო ყოფილა თავისი ორიგინალობით და კომისიას მოუწონებია კიდეც. („დროება“, 1883 წ. № 251).

ამავე წლებში რაფ. ერისთავი აგრძელებს მუშაობას ადრე გამოცემული რუსულ-ქართულ-ლათინური ლექსიკონის (მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოდან) შევსება-ხელახლა გამოცემაზე.

თავისი საჯარო გამოსვლებით, მოხსენებებითა და ლექციებით ლიტერატურის, ენისა და ისტორიის საკითხებზე, რაფიელი დიდ სამსახურს უწევდა ქართველ საზოგადოებას ეროვნული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. ამ მიმართულებით იმდენად ფართო ყოფილა მისი მუშაობა, რომ მთავრობას საგანგებო ნებართვა მოუთხოვია მისთვის; ამისათვის რაფიელს ცენზურაში წარუდგენია სანიმუშო ლექციის გეგმა-პროგრამა, რომელიც 8 მუხლისაგან შედგებოდა. 1882 წ. 23 თებერვალს საცენზურო კომიტეტს ნება დაურთავს ლექციების კითხვისათვის.<sup>1</sup>...

\* \* \*

ოთხმოციან წლებში ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, რაფ. ერისთავი და სხვა მოწინავე ქართველი ინტელიგენტები დარაჯად ედგნენ მშობლიური ენის უფლებების დაცვას სკოლებში. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნ-

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 128.

ველი იანოვსკი 1881—85 წლებში პრაქტიკულად შეუდგა რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას სასწავლებლებში. ამ ვერაგულ განზრახვას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქართველმა საზოგადოებრიობამ. ერთხმად იყო დაგმობილი იანოვსკისა და მისი დამქაშების ანტიპედაგოგიური საქმიანობა სასკოლო მუშაობაში. ამის შედეგი იყო, რომ ღედა ენის სწავლებამ შეინარჩუნა თუმცა მინიმალური, მაგრამ მაინც მეტად სათანადო ადგილი ქართულ სახალხო განათლების პროგრამაში.

1880 წელს გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნდა რაფ. ერისთავის ვრცელი წერილი: „რამდენად მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს“. ამ საქმის ისტორია ასეთია:

1880 წლის ოქტომბერში, ქუთაისში ჩატარებულა გუბერნიის მასწავლებელთა კრება. კრებაზე გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი სემიონოვი იანოვსკის საგანგებო დავალებით გამოსულა სიტყვით, რომელშიც აღუნიშნია, რომ ყველა საგნების სწავლება საქართველოში უნდა მოხდეს რუსულ ენაზე. ქართულ ენის სიღარიბისა და საჭირო ტერმინების უქონლობის გამო ქართველი ბავშვები ვერ შეისწავლიან ისეთ საგნებს როგორცაა: ფიზიკა, ქიმია, ეკონომიური წიგნები და სხვა.

სემიონოვის გამოსულა დაბეჭდილა „დროებაში“. რაფ. ერისთავმა სასტიკი პასუხი გასცა სემიონოვის ანტიეროვნულ გამოხტომას და დაიცვა ქართული ენის სწავლების საჭიროება სკოლებში. რაფიელი აღნიშნავდა: „რუსული ენა უნდა ისწავლონ და იცოდეს ყოველმა ქართველმა დიახაც ნამდვილი ჭეშმარიტება“... მაგრამ ეს ამბავი არ გამოიციხავს ქართული ენის აუცილებელ შესწავლის საჭიროებას ქართველი ყმაწვილებისათვის.

...ქართული ენა დიახ მდიდარია. ქართველებს ჰქონდათ ფიზიკაც, გეომეტრიაც, ლოლიკაც, ესთეტიკაც, საფილოსოფოსო წიგნები და თარგმანიც თითქმის ყველა კლასიკოსებისა.

მაშინდელი ქართული თხზულებანი, რომ შეადარო ამავე დროის ევროპულის ლიტერატურის ნაწარმოებებს მე მგონია, რომ მრავალზე უკეთესი თუ არ აღმოჩნდება უკან მაინც არ ჩამორჩებიან“. რაფიელი მსჯელობს რა ქართული კულტურის წინმსვლელობის შე-

ფერხების მიზეზებზე დასძენს: „განა ამით მოისპო ქართული ლიტერატურა? არა; ქართული ლიტერატურა მხოლოდ შეჩერდა და ვერ მიდიოდა თამამის და მალის ნაბიჯით“. (რაც შეეხება ახალ სიტყვებს თუ გნებავთ ტელეფონი და სხვა ამგვარი. შ. ვ.) — „რაკი ქართული ლიტერატურა ფეხს აიდგამს და ფრთებს შეისხამს, მაშინ ქართველებსაც თამამად შეუძლიანთ ამგვარი სიტყვები პირდაპირ მიიღონ, რ.ოგორც მიიღეს სხვადასხვა განათლებულ ქვეყნის მცხოვრებლებმა და ზოგი, შეიძლება ადვილად დაასახელონ თავიანთებურ სახელწოდებითაც“...

რაფიელ ერისთავი ყმაწვილების დაწყებით სწავლას, გონების გახსნას, მხოლოდ დედა ენის საშუალებით მოითხოვდა (ლექსი „დედა ენა“). ყმაწვილისათვის გაუგებარ ენაზე მისი განათლების დაწყება „იქნება უაზრო, უმნიშვნელო და თვითონ შეგირდისაგან გაუგებარი საგანი... მსგავსი თუთიყუშისაგან ლაპარაკის სწავლისა“...

„მაშ ისევ ისა სჯობია, — განაგრძობს პოეტი, — რომ ბ. სემიონოვი ამგვარებში კი არ გვეკიბრებოდეს და ნიშნს არ გვიგებდეს, არამედ მიყვეს იმ აზრს, რასაც თვით პედაგოგიკა მოითხოვს და როცა ჩვენ სახელმძღვანელო წიგნების უქონლობით შევებრკოლოთ სწავლა და მოსწავლენი, მაშინ სრული ნება ექნებათ აღმოფხვრან ქართული ენა, როგორითაც ესლა მარტო ამის სურვილს აცხადებს თავის აზრში“<sup>1</sup>.

კომენტარს არ საჭიროებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რაფ. ერისთავის ამ წერილს თავის დროზე.

ასეთი ხასიათის შეუძომწმებელი და საზოგადოებრივი აზრისათვის მიუღებელი წერილების ბეჭდვის გამო თავის ერთ-ერთ წერილში (1880 წ.) რედაქტორების საყურადღებოდ რაფ. ერისთავი აღნიშნავდა: „ეს დალოცვილი რედაქტორებიც, ვისაც გინდათ შეუშვებენ სახლში და აროშვინებენ ფშაური წისკვილივით: ზოგს ხახალი აუღია ხელში, ზოგს ქამანჩა — და აჭიჭინებენ“...<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „დროება“, 1880 წ., № 212.

<sup>2</sup> რაფ. ერისთავი, თხზ., ტ. III, გვ. 171, 1937 წ. შ. რადიანის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით.

პოლემიკის დღეებში „დროებაში“ (№ 207) დაიბეჭდა აკაკის შესანიშნავი იუმორისტული ლექსი „მინდა რამ ვსთქვა...“.

„მინდა რამ ვსთქვა, მაგრამ რა ვსთქვა  
უსამართლოდ დალაგებულმა?  
ჩემი გრძნობა უნდა უხმოდ  
შიგ ჩაიკლას წყლულმა გულმა?“

აღნიშნული ლექსი გამოხატავს თვითმპყრობელობის რეჟიმით დაჩაგრული ხალხის უუფლებობას და გარკვეული კუთხით რაფ. ერისთავის ამ სტატიაში აღძრულ მომენტსაც უნდა ეხმაურებოდეს.

დედა ენისადმი სიყვარული რაფიელ ერისთავმა კიდევ უფრო ნათლად გამოხატა ერთ მის გამოუქვეყნებელ ბარათში „პასუხი მიწერილი ერთ სასულიერო გვამთან“, რომელიც დაწერილია 1872 წ. რაფ ერისთავი აღნიშნავს, რომ „ენა კაცისათვის და მეტადრე ხალხისათვის ის არის, რაც სული ხორცისათვის“. ხალხი, ხალხური შემოქმედება, გლეხი კაცი თავისი ლექსებითა და შაირებით — აი ეს იყო რაფ. ერისთავის აზრით ქართული ენის ლექსიკის სიმდიდრის წყარო.

რაფიელმა, დიდი ამაგი დასდო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, ძველი ქართული მწერლობის სალიტერატურო საისტორიო ძეგლების შეგროვების, შესწავლის და გამოცემის საქმეს. მან საგანგებო წერილით მიმართა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების შეგროვების შესახებ. იგი გადაჭრით მოითხოვდა გამოყოფილიყო კომისია, რომელიც იზრუნებდა ამათ შეგროვება-დაცვაზე, რადგან ძველი ქართული ხელნაწერები დუქნებში მწვანელიისა და ღოშის გასახვევად იხმარება. ძველი ქართული ლიტერატურის ამ საუნჯეთა საჩქაროდ გადასარჩენად რაფ. ერისთავს საჭიროდ მიაჩნდა:

1. შესდგეს სია ყოველი წიგნის, რომლებიც დღეს გვაქვს,
2. გაუკეთდეს მათ რიგიანი ყდები,
3. გაუკეთდეს საცავი განჯინები,
4. მოეწყოს ამ წიგნების სარგებლობის ორგანიზაცია, დაიდგას მაგიდები, რომ შეიძლებოდეს მათი წაკითხვა ადგილზე.

5. შესდგეს სია ყოველგვარი ქართული წიგნისა, რომელთა სახელწოდებანი ან გაგვიგონია, ან აღმოგვიკითხავს; დაიბეჭდოს სია გაზეთში, რაც გაგვიადვილებს წიგნების შეგროვებას,
  6. მიემართოთ წერილით სხვადასხვა ოჯახებს, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ სახლში წიგნები. ან მოგვცენ, ანდა გადმოგწეროთ ასლები და შეუენახოთ მომავალ თაობას“...
- ამასთან ერთად მიუთითებდა ოჯახებს, სადაც ეგულებოდა ქართული ხელნაწერები და წიგნები.

- „1. უგანათლებულესი ნიკოლოზ დავითის ძე მინგრელსკი,
2. უგანათლებულესი გრიგოლ ლევანის ძე დადიანი,
3. თავადი პეტრე ნიკოლოზის ძე დადიანი,
4. თავადი გიორგი ნიკოლოზის ძე დადიანი,
5. თავადი ნესტორ დიმიტრის ძე წერეთელი,
6. კნეინა ნატალია ალმასხანის ასული ერისთავისა,
7. დავით ციციშვილის მემკვიდრეები,
8. კნეინა ანა ივანეს ასული ერისთავისა,
9. თავადი გიორგი გიორგის ძე ერისთავი,
10. თავადი ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანი,
11. თავადი დავით ქობულოვი,
12. დავით ჩუბინოვი (პეტერბურლში),
13. თავადი ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანი,
14. ბროსეს შვილები,
15. თავადი ნიკოლოზ ივანეს ძე ერისთავი,
16. თავადი ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი,
17. კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი,
18. გიგო ნიკოლოზის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი,
19. დავით ზაალის ძე ბარათოვი,
20. კნეინა ქეთევან სუმბათოვისა, მემკვიდრე ივანე გრუზინსკისა და სხვანი“<sup>1</sup>.

რაფიელი ასევე იღწვოდა ეროვნული ბიბლიოთეკის დაარსებში-

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 148.

სათვის. მას 1885 წელს შეუმუშავებია გაზეთში გამოსაქვეყნებელი ტექსტი ქართული ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ.

„დღეს განიძრახა ჩვენმა საზოგადოებამ, დააარსოს ქალაქ თბილისში ქართული და სხვა ერების წიგნების ბიბლიოთეკა. ერთის მხრით ამისათვის, მეორეს მხრით იმ შიშნეულობით, რომ რომლისამე შემთხვევითი მიზეზით სამუდამოთ არ დაეკარგოს ერის ლიტერატურას ამგვარი წიგნები, ან არ დაიწოს როგორც დამართა ერთის წარჩინებულის ოჯახის ბიბლიოთეკას (თავადი ნიკო დადიანი). ამისათვის მოგმართავთ იმედნეულნი, რომ თქვენ, ვითარცა განათლებულნი პირნი, თანაუგრძნობთ ჩვენს თხოვნას და შემოსწირავთ ჩვენს ახლათ დაარსებულს ბიბლიოთეკას ძველ ქართულ წიგნებს, თუ ამას არ ინებებთ, ეს მაინც გვჯერა, რომ გვათხოვებთ, იმათგანს ისეთებს, რომლებიც ღირსნი არიან ყურადღებისა და იშვიათობას წარმოადგენს. გადაეწერთ და ისევ უკან დაგიბრუნებთ შეუბღალავად და უმტკივნეულოდ“<sup>1</sup>.

რაფიელმა გადასცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას საკუთარი მდიდარი ბიბლიოთეკა<sup>2</sup>, ხოლო ამავე საზოგადოების ბიბლიოთეკასთან არსებულ მუზეუმს შესწირა „ირაკლის დროის... დავით რექტორის (უტუკია, გვარად ალექსეევ-მესხიევი)... საწერ იარაღთა კოლექცია. კოლექციაში შედის: კალმის დანა მომინდებარი, ფარგალი, წიგნის დასახატავი და სხვა. პატივცემული თ. რ. ერისთავი ამით საუკეთესო მაგალითს უჩვენებს იმ პირთა, რომელთაც სახლში ბევრგვარი საისტორიო განძი მოეპოებათ და არ ემეტებათ, რომ იგი მთელ ქვეყანას დაუბრუნონ“<sup>3</sup>, წერდა გაზეთი „დროება“.

1885 წელს სამეგრელოს ყოფილმა მთავარმა ნიკო დადიანმა შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას საკუთარი მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც გორდის საგვარეულო სასახლეში ჰქონდა მოთავსებული. აღსანიშნავია, რომ ამ ბიბლიოთეკის ჩამოსატანად გორდში

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 148.

<sup>2</sup> „საქართველოს კალეხდარი“, 1893 წ., გვ. 455.

<sup>3</sup> „დროება“, 1884 წ., № 197.



გაემგზავრა ილია ჭავჭავაძე, იონა მეუნარგია და დავით ერისთავი. ქართულ ხელნაწერთა ფონდს გადასცეს ძვირფასი კოლექციები ავრეთვე დიმიტრი ბაქრაძემ, მ. მესხიშვილმა, პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა და სხვებმა.

ოთხმოციან წლებში დაიწყო დიდი მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისათვის. 1880 წლის 15 ნოემბერს „დროებაში“ გამოქვეყნდა ვრცელი წერილი სათაურით „ვეფხისტყაოსნის რედაქცია“. სადაც ვკითხულობთ, რომ „რაფ. ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, ი. მეუნარგია ამზადებენ „ვეფხისტყაოსნის“ დასტამბულ გამოცემას“. წერილიდან ჩანს თუ როგორი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეპყრობიან ისინი ამ დიდ ეროვნულ საქმეს. საგანგებოდ აცხადებენ გაზეთში, რომ „რედაქცია შეუდგა ამ საძნელო საქმის გაკეთებას“. მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ხელის ხლებას ჩვენ მარტო ვერ ვიღებთ ჩვენ თავზე, გვინდა, რომ ამ საქმეში ყველამ მიიღოს მონაწილეობა, ვისთვისაც რუსთველი შეადგენს ძვირფას ნაციონალურ სიმდიდრეს“.

„რედაქცია თხოვს საზოგადოებას: გამოუგზავნონ წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ვარიანტები (შემდეგ უკან დაუბრუნებს რედაქცია), თბილისში მყოფი საქმით დაინტერესებული პირები დაესწრონ რედაქციის სხდომებს. სხვები მოვლენ თუ არა მათი ნებაა, მაგრამ ჩვენ ვთხოვთ ამ რედაქციაში მონაწილეობა მიიღონ: გ. დ. ორბელიანმა, დ. ი. ყიფიანმა, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსმა, ი. გ. ჭავჭავაძემ, აკ. რ. წერეთელმა, ვ. ვ. ორბელიანმა, ს. ს. მესხმა, პ. ი. უმიკაშვილმა, ნ. ტ. დადიანმა, დ. გ. ერისთავმა და სხვ.“<sup>1</sup>. წერილს ხელს აწერენ: რაფ. ერისთავი, იაკ. გოგებაშვილი, ი. მეუნარგია.

1881 წლის თებერვალში მუშაობა დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ. ამ წლის 6 თებერვალს ჩატარებულა რედაქციის პირველი სხდომა, რომელსაც გრ. ორბელიანი თავმჯდომარეობდა. ოცდობრი „ვეფხისტყაოსანი“ ჩამოურიგეს დამსწრეთ. რედაქცია შეუდგა რუსთაველის შუკვდავ პოემაში „ობოლი

<sup>1</sup> „დროება“, 1880 წ., № 241.

მარგალიტების“ ძებნას. პირველი კითხვა პოემისა რაფ. ერისთავმა დაიწყო.

სხდომის წინ იდგა ჭალარა, მაგრამ მხნე, ერის მოჭირნახულე რაფიელ ერისთავი, რომელიც ბროსეს 1841 წლის გამოცემიდან ხმამალა კითხულობდა „ვეფხისტყაოსნის“ ძვირფას სტრიქონებს. პოეზიის პატრიარქები ი. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ლვაწლმოსილი მწერლები: ს. მესხი, იაკ. გოგებაშვილი, პ. უმიკაშვილი და სხვები თვალყურს ადევნებდნენ ხელნაწერებს<sup>1</sup>.

კომისიის შემდგომ სხდომას რაფ. ერისთავი თავმჯდომარეობდა. ამ სხდომაზე ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები გამოსთქვა აკაკი წერეთელმა<sup>2</sup>.

ოთხმოციან წლებში რაფ. ერისთავი ი. ჭავჭავაძესა, პ. უმიკაშვილსა, ი. მეუნარგიასა და სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად განაგრძობს მუშაობას ფოლკლორისტიკაში. იგი გამოეხმაურა ქართული ხალხური სიმღერების ნოტებზე გადატანას და საინტერესო მოსაზრებები გამოსთქვა მის შესახებ. რაფ. ერისთავი საგანგებოდ აფრთხილებდა ქართული სიმღერების შემსრულებელს და ჩამწერს ქორიძეს, რომ ქართული სიმღერისათვის შეენარჩუნებია ეროვნული კოლორიტი, ნოტებზე გადატანის დროს არ დაკარგულიყო ქართული სიმღერის კილო, ხასიათი...

...„ურიგო არ იქნებოდა, ბ. ქორიძეს რომ მიეპატიუნა საზანდრები და იმათგან დაკრულისაგან ნამღერლის ხმებიდგან შეედგინა ნოტებით „კრებული სიმღერებისა“... ხმების გადასაღებად რაფიელი ურჩევს თბილისის და ქუთაისის გუბერნიის სოფლებში მოგზაურობას. „ჩვენი ქვეყანა, როგორც იტალია, მდიდარია სხვადასხვა სიმღერებით, მათი მუსიკალური კილოთი და მიმოხვრით“.



1884 წელს თბილისში ჩამოვიდა არტურ ლაისტი, რომელიც ახლოს გაეცნო და დაუმეგობრდა ილია ჭავჭავაძეს, მისი ჩამოსვლის

<sup>1</sup> „ღროება“, 1881 წ., № 31.

<sup>2</sup> ამ კომისიის მუშაობის შედეგად შემუშავებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი გამოიცა 1888 წელს, რომელიც ცნობილია გიორგი ქართველიშვილის გამოცემით.

პირველ დღეს ილიამ გამართა წვეულება, სადაც, როგორც ყოველთვის, რაფიელ ერისთავი იყო თამადა. ი. ჭავჭავაძემ საგანგებოდ გააცნო რაფ. ერისთავი არტურ ლაისტს, როგორც ქართული პოეზიის უხუცესი, მამაპაპური სუფრის ტრადიციული თამადა და ზმებით მოლაპარაკე დარბაისელი ქართველი.

არტურ ლაისტი დიდი პატივისმცემელი ყოფილა რაფ. ერისთავისა. იგი მოხიბლულა რაფ. ერისთავის ლექსებით. განსაკუთრებით მოსწონდა: „სამშობლო ხევსურისა“, „ღედა ენა“, „ღამის მეზარე“, „ყანაში“, „ვარსკვლავს“ და სხვა. რაფ. ერისთავის ლექსების არტურ ლაისტის თარგმანები დაიბეჭდა გერმანულ და პოლონურ პრესაში. საგანგებოდ განიხილავდა მისი პოეზიის ნიმუშებს გერმანულ ენაზე დაბეჭდილ შრომებში: „საქართველო“ (1886 წ.), „ქართველი ხალხი“ (1904 წ.), „დავიწყებული ლიტერატურა“ (1887 წ.). XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ზოგად მიმოხილვაში არტურ ლაისტი რაფიელ ერისთავს, ილიასა და აკაკის შემდეგ ასახელებს.

არტურ ლაისტის თბილისში ყოფნისას ი. ჭავჭავაძემ ერთ-ერთი წვეულების სამზადისისას ასეთი წერილი გაუგზავნა რაფიელ ერისთავს: „პარასკევს, 1-ს ივნისს სადილად სამს საათზედ ჩემს სახლში მოწვეული მყავს თქვენი პატივისმცემელი გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი. გთხოვთ თქვენც მობრძანდეთ“<sup>1</sup>.

არტურ ლაისტს, როგორც ქართველების მეგობარ უცხოელს, დიდი პატივით შეხვდა ქართველი საზოგადოება. მას ხშირად ეპატიუებოდნენ და სადილებს უმართავდნენ. ილიას შემდეგ წვეულება გაუმართავს დავით ერისთავს. ამ ვახშამზე ბევარი ყოფილან. გაბუნიას ქალი მღეროდა, რაფიელ ერისთავი კვლავ სუფრას თამადადობდა... დავით კეზელის სადღეგრძელოზე, რომ მივიდა ჭერი, იგონებს ი. მეუნარგია, „დავით კეკე ზელით არ მოკვდებო, დაუძახა მასპინძელმა. — რას ამბობ, მასპინძელო, ვაკეზე ღიზა სჯობიაო, გაუსწორა ზმა განსვენებულმა რაფიელ ერისთავმა“<sup>2</sup>.

1887 წლის ბოლოს, როდესაც ილიამ „ოთარაანთ ქვრივის“

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, №227.

<sup>2</sup> დავით ერისთავი, ნაწერები, 1907 წ., გვ. 465 (ი. მეუნარგიას მოგონებები).

წერა დაამთავრა, მისი საჯარო კითხვა მოეწყო დავით სარაჯიშვილის სახლში. „სალამოს რვა საათი იქნებოდა, — წერს თავის მოგონებაში ი. მანსვეტაშვილი, — სარაჯიშვილის ფართო, მდიდრულად მოწყობილ სახლში, სოლოლაკში დიდძალ ქართველობას მოეყარა თავი. აქ იყვნენ „ივერიის“ ყველა თანამშრომელი, ქართველი მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის იყვნენ მოხუცი პოეტი რაფიელ ერისთავი, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, გრ. ვოლსკი და ბევრი სხვანი.

ილიამ წაიკითხა თავისი მოთხრობა... შთაბეჭდილება მოთხრობისა დიდი იყო, მომხიბლავი. ამასობაში კარგა ხანმა გაიარა. შუალაშე გადასული იყო. პურადმა მასპინძელმა, დავით სარაჯიშვილმა, ყველანი ვახშმად მიგვიწვია, შევედით დიდს სასადილო ოთახში, სადაც დიდებული სუფრა აყო გაშლილი. ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. მეტადრე ლაზათი დასდო სუფრას თამადამ, მოხუცმა რაფ. ერისთავმა, რომელიც განთქმული იყო, როგორც ჩვენი მწერლობის პატრიარხი და გლეხთა მგოსანი. რაფიელი იყო ამასთანავე ენაწყლიანი, ჭკუამახვილი, ოხუნჯი, ხოლო იმისი ოხუნჯობა იყო ნამდვილი ძველებური ქართული, დარბაისლური. ვის სადღეგრძელოსაც დაღევდა, უსათუოდ შესაფერ სახუმარო სიტყვითაც მიჰმართავდა, ხან ექსპრომტათ ლექსსაც ჩააკერებდა.

მახსოვს კარგად: ალექსანდრე ჩოლოყაშვილის სადღეგრძელო იყო. ეს ჩოლოყაშვილი ქართული ბანკის დირექტორი იყო და იმ ხანებში არჩეულ იქნა ხმოსნად ქალაქის საბჭოში (Дума) და ასეთი სიტყვით მიმართა რაფიელმა:

— ალექსანდრე, გიყვარდა კეთილი ცხოვრება და სულ იმას ნატრობდი, რომ კაი მსუქანი ლუკმა გეშოვნა. აკი აგიხდა ნატვრა: ეხლა ქალაქის „ღუმე“ ხელში გიჭირავს, ნუ დაზოგავ, მსუქანი დუმეაო.

მერე პეტრე უმიკაშვილი აღდგებულა, ერთგული საზოგადო მოღვაწე და მწიგნობარი. ალავერდი ნიკო ერისთავთან გადავიდა და თან დააყოლა: შენთვის მომინდვია, ყური უგდე პეტრეს და თუ ჭიქა არ გამოცალოს ულვაში აუწიეო. ყველას სიცილი წასკდა, რადგან ყველამ და მათ შორის რაფიელმაც იცოდა, რომ პეტრე წვერ-

ულვაშს არ ატარებდა, იპარსავდა, რაც მაშინ ქართველებში ძალიან იშვიათი იყო და რის გამოც პეტრე ნიშანში ყავდათ ამოღებული“<sup>1</sup>.  
 რაფ. ერისთავს განსაკუთრებით მოსწონდა „ოთარაანთ ქერვის“ გაუტეხელი ხასიათი; ამის გამო რაფიელმა ვახშამზე ასეთი ექსპრომტით მიმართა ილია ჭავჭავაძეს:

1896

ილია ჩავჭავაძეს.

დღევანდელია მისი. ჩემი კაზანის ქვივიც მი უყვარს.  
 ზოო ძეხი, ქვივიც ძეხს, ვუთქვი, შაა ქვივი;  
 დღევანდელია - ახლ ავ უყვარს მისი ქვივიც უაზრად;  
 მანუვი მისი ქვივიც უნი „ოთარაანთ ქვივიც“  
 რაფ. ერისთავი

ილიას გულწრფელად უყვარდა თავისი თანამოღვაწე და უფროსი მეგობარი რაფ. ერისთავი, დიდად აფასებდა მის ნიჭს და ყოველთვის სიამოვნებდა მასთან შეხვედრა. რაფიელი ილიას ერთ-ერთი მესაძიდუმლე და მრჩეველი იყო საზოგადო მტკიცენული საკითხების გადაწყვეტაში. რაფიელი თავისი მხრით მოხიბლული ყოფილა ილიას ბუმბერაზი პიროვნებით. 1885 წლის 30 დეკემბერს ახალწლის წინაღლით, როცა „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, ილიამ შემდეგი შინაარსის მოკითხვის წერილი გაუგზავნა რაფ. ერისთავს: „გთხოვთ მეწვიოთ ხვალ საღამოს, სამშაბათს. ერთად მიგვეგებოთ ახალ წელიწადს და „ივერიის“ პირველ ნომერს“, სხვა წერილში ილიას უთხოვია რაფიელისათვის: „კნიაზო. რაფი-

<sup>1</sup> იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ლევან ასათიანის რედაქციით, 1936 წ., გვ. 116—118.

ელს. თუ შეიძლება გაისარჩეთ და პატარა ხანს მობრძანდით ჩემ-  
თან. ძლიერ საჭირო საქმე მაქვს“.<sup>1</sup> და სხვა.

რაფ. ერისთავის თანამედროვე იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს,  
რომ ილიას სახლში ყოველ ხუთშაბათობით იმართებოდა სხდომე-  
ბი, კრებები, რომლებსაც ესწრებოდნენ ცნობილი ქართველი  
მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. ამ საპატიო ქართველთა  
შორის ყოველთვის იყო მსცოვანი პოეტი რაფიელ ერისთავიო.

ასეთია ი. ჭავჭავაძისა და რაფ. ერისთავის თანამეგობრობის  
ერთი ფურცელი 80-იან წლებში.

ამ წლებისათვის რაფ. ერისთავი უკვე აღიარებული ეროვნუ-  
ლი მოღვაწეა. მას პირველს ხვდა ბედნიერება მოსწრებოდა თავისი  
ნაღვაწის დაფასებას და იმ დიდ ჭილდოს ქართველი ხალხისას,  
რომ მას ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გვერდით ასახე-  
ლებდნენ, როგორც გამოჩენილ მწერალს და ჩაგრული ხალხის ქო-  
მაგს. რაფ. ერისთავს, როგორც ერის სასიკაძულო შვილს ილიასა  
და აკაკის მსგავსად მოსდიოდა მოწვევის ბარათები საქართველოს  
ყოველი კუთხიდან.

1885 წლის 9 ივნისს მსცოვანი მწერლის რაფ. ერისთავის ჩასე-  
ლა თიანეთში. — სადაც მან სიჭაბუკის წლები გაატარა, ზეიმად  
გადაქცეულა. აი, რას წერს „დროების“ კორესპონდენტი ნ. ხიზანი-  
შვილი „ძვირფასი სტუმრის“ თიანეთში ყოფნის შესახებ: „9 ივ-  
ნისს, საღამოთი თიანეთში ჩასულა, წარჩინებული, საქართველოს  
თანამედროვე უხუცესი პოეტი რაფ. ერისთავი. „დიდ სიხარულს  
მით უფრო ადგილი ჰქონდა, რომ თავ. რაფიელ ერისთავს სულ  
სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენის მხარისათვის.  
თიანეთში სამსახურისას ორმოციან წლებში, ყმაწვილობამდე მო-  
იხვეჭა პატივისცემა აქაური მთიელებისა. გარდა მოხელის თანა-  
მდებობისა რაფ. ერისთავი თავისუფალ დროს ახმარდა აქაური ხალ-  
ხის ცხოვრების შესწავლას, მისმა ეთნოგრაფიულმა შრომამ თუშ-  
ფშავ-ხევსურეთზე გააცნო ეს შესანიშნავი თავისებური მხარე რუ-  
სეთის ხალხს, მთელ მსოფლიოს. როცა გუსტავ რადდემ წიგნი და-

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 227.

სწერა — „ხევსურეთი და ხევსურები“ — რაფ. ერისთავის შრომებს ეყრდნობოდაო. ხევსურებს რაფიელის თავს — სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ — არ დაავიწყებს ლექსი „სამშობლო ხევსურეთისა“.

მეორე დღეს ივრის ნაპირზე — ბაღში გაუშლიათ ვეებერთელა სუფრა; ნადიმზე ყველა წოდების ხალხი ყოფილა თავმოყრილი. განსაკუთრებით აღფრთოვანებულან გლეხები. შეისვა „ბეჩავი“ (მშრომელი) ხალხის მოსარჩლეების რაფიელის, ილიას და აკაკის სადღეგრძელოები. სამადლობელ სიტყვაში რაფიელს თავმდაბლობით განუცხადებია „მე მხოლოდ მცირე ფთილა შეეწირე ჩემი შრომით მწერლობასაო“.<sup>1</sup>

1886 წელს რაფ. ერისთავმა მიიღო მთავრობის ოფიციალური ნებართვა თავის სამშობლო სოფელში სკოლის დაარსებისა. ეს ნებართვა თვითონ წაიღო თელავში და იმავე წლის შემოდგომაზე სოფ. ქისტაურის მშრომლებმა დიდი ზემოთ იღრესასწაულეს ოთხწლიანი სკოლის გახსნა.



80-იან წლებში რაფ. ერისთავი სახელმწიფო სამსახურში არ მუშაობდა. ქისტაურის პატარა მამულის შემოსავალი და მწერლობით მიღებული ჰონორარი სანახევროდ ვერ აკმაყოფილებდა მისი ოჯახის მოთხოვნილებას. ასეთი იყო მაშინ ყველა ქართველი მოღვაწის ბედი და რაფიელიც ვერ ასცდა ხვედრს. ამიტომ ხანში შესული პოეტი იძულებული იყო კვლავ სახელმწიფო სამსახურში დაბრუნებაზე ეზრუნა, რაც 1870 წელს ჰქონდა მიტოვებული. რაფიელისა და მისი ძმის იოსების მატერიალური გასაჭირი ისეთი გამოუვალი ყოფილა, რომ მათ ამ წლებში ბანკმა საჯარო ვაჭრობით გაუყიდა 900 დესეტინა სახნავი და სათიბი ადგილები თიანეთის მაზრის სოფელ ბოჭორმაში<sup>2</sup>. ეს ფაქტი ტიპიურია მაშინდელი სინამდვილისათვის — ადგილ-მამული თავადაზნაურობას ხელიდან ეცლებოდა და ვაჭარ მევახშეთა ხელში გადადიოდა. ვაჭარ-სპეკულიანტთა ბატონობა კიდევ უფრო მძიმე იყო ღარიბი გლეხებისათვის. რაფ. ერისთავმა სცადა პრაქტიკულად შებრძოლებოდა ასეთ

<sup>1</sup> „ღროება“, 1885 წ. № 131.

<sup>2</sup> „ღროება“, 1878 წ., № 227, 1881 წ., № 76.

უსამართლობას. იგი მოუწოდებდა მემამულეებს, გლეხებს — არ მიეყიდათ ღვინო და სხვა პროდუქტები გადაყიდველებისა, სირაქებისა და ვაჭრებისათვის. გავხსნათ სავაჭროები და თვითონ ვივაჭროთ.

ვაჭრობაზე რაფ. ერისთავს თავისებური წარმოდგენა ჰქონდა. იგი ფიქრობდა, რომ „წურბელასავით გამძღარ ავაქა და მიხაკა ავაქხაროვების“ უსინდისო ვაჭრობის ნაცვლად ქართველებმა ხელი უნდა მოჰკიდონ „პატიოსან“ ვაჭრობას. ჩვენ „მაგ ჩურჩუქს ვაჭრებს. გამოქნილთ პლუტობაში, მგლებს ვერ შევეთვისებით; ეგენი არიან როგორც შარშანდელი მოსული კალია და თავგები, მაგათგან ღმერთი გაგვათავისუფლებს და როცა კარგი ვაჭრები გამოჩნდებიან. წესიერს და სინდისიანს ალებ-მიცემას დაიწყებენ, ჩვენც მაშინ იმათ მივბაძავთ“<sup>1</sup>.

1889 წელს რაფ. ერისთავს ახლად გაცნობილ სემინარიელ სიკო გრძელიშვილთან ერთად თვითონ გაუხსნია ღვინის სავაჭრო თბილისში პუშკინის ქუჩაზე. ამის შესახებ თ. სახოკია თავის მოგონებაში წერს: „1880 წლიდან 1889 წლამდე, როცა რაფიელი სამსახურის გარეშე იყო, განუწყვეტლად ნახავდით რაფ. ერისთავს, დ. ბაქრაძესა, ან. ფურცელაძესა და სხვა იმ დროის ქართველ მწერლებთან ერთად გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ეს მაღაზია ერთგვარი კლუბი იყო მაშინდელი ქართველი ინტელიგენციისა, იქ წყდებოდა სხვადასხვა სალიტერატურო საკითხები, ამა თუ იმ ქართული წიგნის დაბეჭდვის საქმე... ლიტერატურული მუშაობა რაფ. ერისთავს მხოლოდ სულიერ კმაყოფილებას აძლევდა, ისევე, როგორც სხვა იმ დროინდელ ქართველ ლიტერატორებს. მატერიალურ უზრუნველყოფაზე ან შრომის ნაწილობრივ მაინც ანაზღაურებაზე ლაპარაკი კი ზედმეტი იყო. ასე, რომ რაფ. ერისთავს იმ ხანებში პური არსობისა, მარად სანატრელი და საძებარი ჰქონდა...“. „რაფ. ერისთავი — განაგრძობს თ. სახოკია, — მეტად ალალი გულის პატრონი იყო, უეშმაკო, ადამიანს ადვილად ენდობოდა, ეს წუთისოფელი ისე მოსჰამა, რომ ერთი განაწყენებული კაცი არა ჰყოლია. ს. გრძელიშვილის ლაპარაკი რომ მოისმინა (ღვინის სავაჭროს გახსნისა და იმედ

<sup>1</sup> რაფ. ერისთავი, ტ. III, გვ. 169 („მეზობათს“, 1880 წ.).



გამდიდრების შესახებ), სიხარულით ცას ეწია... რაფ. ერისთავმა გან-  
კარგულება გასცა: კახეთიდან ურმებით მისი ღვინოები ქალაქში ჩა-  
მოეტანათ, ხოლო სირაჯებს გამოუცხადა: ამას იქით თქვენ ღვინოს  
ვეღარ მოგყიდით, რადგან მე თვითონ უნდა ვივაჭროვო...“

ქალაქში საოცარი სისწრაფით გავრცელებულა ხმა რაფ. ერის-  
თავის საევაქროს გახსნის შესახებ. „მუშტარი იმდენი მიაწყდა, სარ-  
დაფში ტევა აღარ იყო... ერთ ნაწილს მუშტარებისას იზიდავდა პოე-  
ტის ნახვა, მისი ხუმრობის გაგონება, ყველანი მადლიერნი იყვნენ და  
შინ აღტაცებულნი ბრუნდებოდნენ“<sup>1</sup>.

ე. წ. „პატიოსანი ვაჭრობით“ რაფ. ერისთავმა მხოლოდ სახელი  
გაითქვა საკუთარი მამულის კარგი ღვინოებით, რომელსაც სანახევ-  
როდ ნისიად აძლევდა. „სინდისიან ალებ-მიცემაში“ რაფიელის სა-  
ევაქრო ხარჯები შემოსავალზე დიდი იყო, მან ვეღარ გაუწია კონკუ-  
რენცია „გაქნილ“ ვაჭრებს და რამდენიმე თვეში საევაქრო დახურ-  
კიდევ. ამ აზრს ადასტურებს აგრეთვე აკაკი წერეთლის მოგონება  
რაფიელ ერისთავზე. აკაკი ეკამათება ივ. გომართელს, რომელმაც  
აღნიშნა: რაფ. ერისთავი, ისე როგორც სხვა სამოციანელები განცხ-  
რომაში ცხოვრობდნენო. „როდის და სად? — პასუხობს აკაკი, —  
იქ, იმერეთში რა გადახდა, ის ხომ არ გინდათ გაიგოთ? აბა ეხლა  
ერთ აქაც მოიკითხეთ? პაერდახსულ სარდაფში გამომწყვდევა,  
ღვინის ყიდვა და მწვადების მომზადება სხვებისათვის, ვგონებ, რომ  
დიდი არაფერი ბედნიერება იყოს?.. და თუ, — განაგრძობს აკაკი, —  
ლევან მელიქოვს მისთვის ცენზორის ადგილი არ ეშოვნა, თქვენი  
ტაში და ბარაქალას ძახილი დიდხანს ვერ გააძლებინებდა“<sup>2</sup>.

## 90-იანი წლები

1889 წლის 2 მარტს 65 წლის რაფ. ერისთავმა გავლენიან ქართ-  
ველ მოღვაწეთა მხარდაჭერით მუშაობა დაიწყო კავკასიის საცენზუ-  
რო კომიტეტში — ადგილობრივ და აღმოსავლურ ენებზე გამოცემა-

<sup>1</sup> „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946 წ., № 14 თ. სახოკიას მოგონებიდან  
„რაფ. ერისთავი“.

<sup>2</sup> „ივერია“, 1901 წ., № 70.

თა ცენზორად. ამ თანამდებობაზე რაფიელ ერისთავმა დაჰყო 7 წელი — 1896 წლის 12 ოქტომბრამდე. პატრიოტი პოეტისათვის ცენზორად მუშაობა ცარისტული რუსეთის მძიმე რეჟიმის პირობებში ძნელი საქმე იყო; რაფ. ერისთავის ცენზორობის პერიოდი (90-იანი წლები) ხასიათდება თვითმპყრობელური ხელისუფლების ახალი შეტევებით ხალხის თავისუფლებაზე. მაშინდელი საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე, ჟანდარმერიის საიდუმლო აგენტი გაკელი დევნიდა ყოველივე პროგრესულს ნაციონალურ ჟურნალ-გაზეთებში. „ივერიის“ გარშემო შემოკრებილ ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი (აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, რაფიელ ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, გიორგი ზდანოვიჩი, დავით ერისთავი, ი. მანსვეტაშვილი, გრ. ყიფშიძე, სტ. ჭრელაშვილი, ალ. ნანეიშვილი, ნ. ხიზანიშივილი და სხვა) ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გამუდმებით მთავრობის საიდუმლო მეთვალყურეობაში იმყოფებოდნენ. 1894 წელს ილია ჭავჭავაძის შესახებ თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს მოხსენებითი ბარათი გაუგზავნია პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტში. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ი. ჭავჭავაძე, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ქართველებსა და სხვა თავისუფლად მოაზროვნე ხალხებს შორის, სათავეში უდგას ნაციონალურ მოძრაობას საქართველოში. იგი მართავს საიდუმლო კრებებს, სადაც მსჯელობენ საზოგადოებრივ და სოციალურ საკითხებზეო.<sup>1</sup>

მუშაობის ასეთ მძიმე პირობებში რაფ. ერისთავმა გამოიჩინა გამჭირაბობა და მისი ცენზორობის 7 წლის მანძილზე არა ერთი და ორი ეროვნული საქმე დაგვირგვინდა წარმატებით.

ერის აღიარებული ბელადი ი. ჭავჭავაძე რაფ. ერისთავს „ივერიის“ შეფად თვლიდა კავკასიის საცენზურო კომიტეტში. ამის დამადასტურებელია ილიას ერთი წერილი რაფიელის სახელზე. (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 227).

საქმის ვითარება ასეთია: „ივერიის“ ერთი ნომრისათვის გან-

<sup>1</sup> «Тифлисский рабочий», 1937, № 110.

კუთვნილ მიხეილ ნასიძის სატირულ ლექსში „ახალი ივენანა“ საცენზურო კომიტეტს ამოუშლია ლექსის ბოლო სტრიქონი—„მნოლოე ლეტაო“. ილია სთხოვს რაფ. ერისთავს ადადგინოს ლექსში წაშლილი სიტყვები. „გეფიცები, — წერს ილია, — ამ ლექსს წაუშლელადა თვითონ ლუკა სტეფანეს ძეც (ისარლიშვილი) კი დაუბრკოლებლივ გაუშვებდა. თქვენი ჭირიმე, ლექსს ნუ წაახდენთ. პასუხის გება ჩემი იყოს, თუ ვინმემ რამ შეჰქნიშნოს“. რაფიელის დახმარებით საცენზურო კომიტეტს ილიას თხოვნა დაუკმაყოფილებია და მ. ნასიძის ლექსი უცვლელად დაიბეჭდა 1890 წლის ოქტომბერში („ივერია“, № 225).

რაფ. ერისთავის მომსწრე ალ. ჯაბადარი ასე ახასიათებს მის ცენზორობას: „რაფ. ერისთავი გულით და სულით მოწადინებული იყო როგორც კარგი ქართველი და მსურველი სამშობლოს კულტურული განვითარებისა, რამდენადაც შეეძლო ხელი შეეწყო საზოგადოებრივი საქმიანობის წინსვლისათვის. ერთხელ შინაურულად მიუთხრა: „მე არ ვიცი ცენზორად როდემდე ვიქნებიო. თუ საექვო რამე გაქვთ დასაბეჭდი ცენზურის მხრივ, საჩქაროთ წარმოადგინეთ ცენზურაში, სანამ იქა ვარო“<sup>1</sup>.

ა. ჯაბადარი საინტერესო ცნობას გვაწვდის ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა გამოცემასთან დაკავშირებით. ა. ჯაბადარმა და ლალო აღნიაშვილმა მოამზადეს გამოსაცემად ალ. ყაზბეგის 4 ტომი, იგი საცენზუროდ გადაუციათ ქიშმიშოვისათვის, რომელსაც 4 ტომი ორ ტომზე დაუყვანია. რაფ. ერისთავის რჩევით ყაზბეგის ნაწარმოებთა გამოცემისათვის თხოვნა გაგზავნეს პეტერბურგის საცენზურო კომიტეტში, საიდანაც დადებითი პასუხი მიიღეს. „რაფ. ერისთავმა, — აღნიშნავს ა. ჯაბადარი, — განგებ წაუყრუა იმ ამბავს, რომ ყაზბეგის ნაწარმოებთა ერთი ნაწილი თბილისის ცენზურამ დაიწუნა და ყაზბეგის ნაწარმოებების გამოცემას თვითონ მისცა ვიზა“.

1895 წელს საცენზურო კომიტეტს კირილე ლორთქიფანიძემ წარუდგინა მამია გურიელის (მ. ფაზელის) თხზულებანი, რომელიც დასკვნისათვის რაფ. ერისთავს გადასცეს. რაფ. ერისთავი შესამჩნევ მზრუნველობით მოეკიდა მ. გურიელის ლექსების კრებულს და და-

ბეჭდვის ნებართვა გასცა 1896 წლის 16 მარტს. აღნიშნულ კრებულში რაფიელს გაუსწორებია ისეთი ადგილები, ყურადღება გაუმახვილებია ისეთ საკითხებზე, რაც ნაკლებად შედიოდა ცენზორის მოვალეობაში (სტილი, ენა, ლექსის მხატვრულობა), სამაგიეროდ მას დაბეჭდვის უფლება მიუცია მთავრობის საწინააღმდეგო პატრიოტული ლექსებისათვის.

რაფ. ერისთავი შესაძლებლობის ფარგლებში გვერდს უვლიდა ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათის წერილებს: ასეთი „წაყრუება“ ძვირად უჯდებადა მოხუც პოეტს და რამდენჯერმე მიუღია შენიშვნა.

ცნობილია, რომ რაფ. ერისთავის ცენზორობის პერიოდში (1889 — 1896 წწ.) „ივერია“, ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების ფართო პროპაგანდით. ეს გარემოება შენიშნული ჰქონდა მთავრობას, რასაც „ივერიის“ 8 თვით დახურვა მოჰყვა კიდეც (1896 წლის 10 მაისიდან, ვიდრე 1897 წლამდე).

1896 წელს „ივერიის“ თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ფელეტონი „სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდან“. წერილის ავტორი გმობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში გამეფებულ სწავლების რუსიფიკატორულ რეჟიმს. „ივერიის“ მთავრობის საწინააღმდეგო პოლიტიკისა და კერძოდ ამ ფელეტონის გამო კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე გაკელი 1896 წლის 17 აპრილს საიდუმლოდ ატყობინებდა მთავარმართებლის გენერალ ადიუტანტს შერემეტევს, რომელმაც იმავე წლის 30 აპრილის სხდომაზე საგანგებოდ განიხილა „ივერიის“ და მისი რედაქტორის ი. ჭავჭავაძის მიერ მთავრობის საწინააღმდეგოდ წარმოებული მუშაობა: „ივერია“ მისწრაფებდას ამქდავენებს მოსწავლე ახალგაზრდობაში დაუმორჩილებლობისა და ზიზღის გრძნობა გააღვივოს რუსი მღვდელისა და მასწავლებლებისადმი. ასეთი ხასიათის სტატიები მოგვევლინა გაზეთ „ივერიის“ თებერვლის თვის №№ 39, 40, 41-ში ფელეტონად, შემდეგი სათაურით: „სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდან“... რომელნიც პირდაპირ მოუწოდებენ მოწაფეებს დაუმორჩილებლობისა და ბრძოლისაკენ.

გაეცნო რა ამ სტატიების შინაარსს, კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარემ სასტიკი საყვედური გამოუცხადა ქართული ენის ცენზორს, რომელმაც წინდაუხედავობით ნებართვა მისცა მათი დაბეჭდვისათვის, რისთვისაც გაზეთ „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელს თავ. ი. ჰავჭავაძეს მითითება მიეცა, რომ მის გაზეთში სკოლის ახალგაზრდობისადმი მიმართული უღირსი პროპაგანდის წარმოებას შესაძლოა მოჰყვეს მეტად დამღუბველი და გამოუსწორებელი შედეგები და გამოიწვიოს ახალი უწესობანი თბილისის სასულიერო სემინარიის კედლებში“<sup>1</sup>

ამ დოკუმენტში რაფ. ერისთავის გვარი შემთხვევით არ არის დასახელებული, მაგრამ იგულისხმება, რომ ქართული ენის ცენზორი, რომელსაც „ივერიისადმი“ წაყენებული ბრალდების გამო 1896 წლის 2 აპრილს საყვედური გამოუცხადა, მხოლოდ რაფ. ერისთავი შეიძლება ყოფილიყო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ, გარდა ამ ოფიციალური სასტიკი საყვედურისა, რაფ. ერისთავი უთუოდ ბევრ უსიამოვნებას ითმენდა სამსახურში, ყოველშემთხვევაში ცხადია, რომ რაფ. ერისთავის სასტიკი გაფრთხილება (1896 წლის 2 აპრილი) „ივერიის“ ფურცლებზე მთავრობის საწინააღმდეგო წერილების ბეჭდვის გამო და „ივერიის“ 8 თვით დახურვა (1896 წ. 10 მაისს) ერთ და იმავე დროს ხდება. ასეთ მძიმე ატმოსფეროში მუშაობა თანდათან აუტანელი ხდებოდა რაფიელისათვის. სასტიკი საყვედურის გამოცხადებისთანავე 1896 წლის აპრილში მან თხოვნა შეიტანა იმპერატორ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის სახელზე სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, სადაც, რააკვირველია, მოტივად სხვა მიზეზს ასახელებდა: „30 წელზე მეტია. — აღნიშნავდა რაფიელი ამ განცხადებაში, — გარ სახელმწიფო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე. ამჟამად ვმუშაობ ცენზორად ქართული გამოცემის ხაზით. ჯანმრთელობის დასუსტებისა და მოხუცებულობის გამო აღარ შემიძლია ამ საპასუხისმგებლო სამსახურის შესრულება.

<sup>1</sup> „საისტორიო მოამბე“, № 3, 1947 წ., გვ. 241—244 (ა. იოვიძე, ირ. ჰავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები).

ამისათვის გთხოვთ გამათავისუფლოთ სამუშაოდან და დამინიშნოთ პენსია. ამასთანავე მოგაგონებთ, რომ ჩემს კმაყოფაზე არის ორი ქალი. მამული (ქისტაურში) დიდი ხნის უყურადღებობის გამო განადგურდა და შემოსავალს აღარ იძლევა“.<sup>1</sup>

რაფ. ერისთავის თხოვნა ცოტა მოგვიანებით დააკმაყოფილეს და 1896 წელს 12 ოქტომბრიდან სამსახურიდან გაათავისუფლეს.

თუ გავითვალისწინებთ რაფ. ერისთავის მძიმე ეკონომიურ პირობებს ამ წლებში, დავინახავთ, რომ მიუხედავად მოხუცებულობისა, იგი ჩვეულებრივ მდგომარეობაში სამსახურს თავს არ გაანებებდა, ვინაიდან ჯამგაირი ერთადერთი შემოსავლის წყარო იყრ. მისი ოჯახისათვის. ამას ადასტურებს რაფიელის არა ერთი თხოვნა მთავრობის სახელზე პენსიის დანიშვნისა და ქისტაურის მამულის გადასახადისაგან გაათავისუფლების შესახებ.<sup>2</sup>

ერთი ცხადია, საცენზურო საქმიანობაში ჟანდარმერიის ჩარევამ, რასაც „ივერიის“ დახურვაც მოყვა, გადააწყვეტინა რაფიელს თავი დაენებებინა სამსახურისათვის. ამ მოსაზრებას სხვათაშორის ადასტურებს ჟურნალ „მოამბეში“ 1901 წელს დაბეჭდილი შინაური მიმოხილვა.<sup>3</sup>

ყოველივე აღნიშნული მაინც ვერ ამოსწურავს რაფ. ერისთავის საცენზურო პერიოდის მუშაობის მთელ შინაარსსა და მნიშვნელობას, რაც ცალკე შესწავლას მოითხოვს.

1889 წლის შემდეგ რაფ. ერისთავი იშვიათად წერდა. მისი პოეტური ჩანგის ჟღერას მიჩვეული ქართველი საზოგადოებამ მოხუცი პოეტისაგან კვლავ ახალ ლექსებს მოელოდა. აი როგორ მიმართავდა „თეატრი“ 1889 წლის საახალწლო ექსპრომტში რაფ. ერისთავს!

„შენი ჰირიმე, მოხუცი ჩაგრულის ქვეყნისასაო,  
თუ ხელეური გამოსჰერ, შეკვრაცა შესძელ ძნისაო,  
ნუ გავიჩუმიდი, ხმა გავე, ისმინე ხვეწნა ყმისაო,  
კვლავ გავვაგონე ხარხარი, ან სევდით მოთქმა ძმისაო“<sup>4</sup>.

1 ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 18.

2 იქვე, № 19.

3 „მოამბე“, 1901 წ., № 2.

4 „თეატრი“, 1889 წ., № 1.

80-იანი წლების მიწურულში, მართლაც, კვლავ გაიღვა რაფა ერისთავის პოეტურმა ნიქმა. 1889-90 წლებში შეიქმნა მისი შესანიშნავი ლექსები: „მუხთალს“, „ნანა“, „ყვავილების სიმღერა“, „მგზავრები“, „შვილნი ვართ“, „სასჯელის განჩინება“ და სხვა.

1896 წელს რაფ. ერისთავმა დაამთავრა სერიოზული შრომა რუსულ ენაზე „Этнографические очерки о Сванетии“, რომელიც იმავე წლის „Новое обозрение“-ში დაიბეჭდა. გარდა ამისა, 1896 წელს რაფ. ერისთავმა დასაბუქდად მოამზადა „იგავ-არაკები“, რომელიც ქართველთა ამხანაგობას გადასცა. როგორც ჩანს, ამ გამოცემის საქმე თავდაპირველად შეფერხებულა, რის გამოც 1896 წლის 21 ივნისს ი. ჰავჭავაძე რაფ. ერისთავს სწერდა: „მე იმედი მქონდა ქართველთა წიგნთა მბეჭდვის საზოგადოების ფული მომგზავრა თქვენის იგავ-არაკისათვის, მაგრამ ამ საზოგადოებამ ამას წინათ გადასწყვიტა, რაც ფულია, სულ ალექსანდრე ჰავჭავაძის ლექსების ბეჭდვას მოახმაროს. თუ ამ გზით აღარა გახდა რა, — აღნიშნავს ილია, — მაშინ ფულს მოვაგროვებთ და ზ. კიკინაძის სტამბაში გამოცემთ“<sup>1</sup>... ილიას ღონისძიებით რაფ. ერისთავის იგავ-არაკები მაინც გამოუცია ქართველთა ამხანაგობას 1896 წელს.

\* \* \*

90-იანი წლების პირველ ნახევარში ქართულ სალიტერატურო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ესენია: ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება საქართველოში (1893 წ.) და რაფიელ ერისთავის ლიტერატურული და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე (1895 წ.).

1895 წლის მაისში გაზეთებში — „ივერია“, „კვალი“, „მწყემსი“, დაბეჭდილი წერილით „მცირე შენიშვნა იუბილეს მოწყობის შესახებ“ აკაკი წერეთელი ამცნობდა ქართველ საზოგადოებას:

„ყოველ ქვეყანაში, ყოველ ხალხისაგან, გარდა ველურისა, მი-

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 227.

დებულება, რომ თავიანთი გამოჩენილი შვილების 25 წლის მოღვაწეობა ილდესასწაულონ ხოლმე. ამ დღესასწაულს ეძახიან „იუბილეს“. ჩვენ ქართველები არ მივდევთ ამ ჩვეულებას, ალბათ იმიტომ, რომ ოცდახუთი წელიწადი არ მიგვაჩნია საკმარისად და მეტსა ვთხოვლობთ. კეთილი და პატიოსანი მაგრამ დღეს გამოდის, რომ ორმოცდაათი თურმე არ კმარა... ისე გვიყვარს ჩვენ ჩვენი მოღვაწეები, რომ სასიკვდილოთ არ გვემეტებიან, სულგრძელობით მოველით და ვუცდით საუკუნის შესრულებას... სწორედ ორმოც-და-ათი წელიწადია, რაც გამოსულა სალიტერატურო ასპარეზზე ჩვენი საყვარელი მოხუცი, პატიოსანი მოღვაწე თ. რაფიელ ერისთავი და დიდი უმადურობა იქნება ჩვენგან მის შესახებ გულ-მავიწყობა და ჩვეულებრივი დაუდევრობა<sup>1</sup>.

აკაკი წერეთლის განცხადებას გულთბილად გამოეხმაურა ქართველი საზოგადოება. დაიწყო სამზადისი. გამოიყო იუბილეს მოსამზადებელი კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მარიამ ორბელიანი. ცალკე იყო გამოყოფილი იუბილეს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმძღვანელო მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ლ. მესხიშვილი, გ. წერეთელი, კ. მესხი, ნ. ცხვედაძე და ვ. გუნია. იუბილეს ჩატარების დღედ დანიშნული იყო 22 ოქტომბერი.

1895 წლის ოქტომბრიდან რაფ. ერისთავის საიუბილეო კომიტეტი, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხელმოწერით, ყველა გაზეთების საშუალებით აცხადებდა, რომ 22 ოქტომბერს ჩატარდება საიუბილეო დღესასწაული რაფ. ერისთავისა. 19 ოქტომბრიდან გაზეთები აცხადებდნენ იუბილეს ჩატარებისათვის საჭირო ორგანიზაციულ ღონისძიებებს:

„1. დეპუტაციების და სიტყვის თქმის მსურველნი მიმართავენ დღესასწაულის წესრიგის მიმცემს გიორგი წერეთელს;

2. ლოჯისა და სხვა ადგილის კონტრამარკებისათვის წ. კ. გამა-ვრცელებელ საზოგადოების კანცელარიასა და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს;

<sup>1</sup> „კვალი“, 1895 წ., № 22, გვ. 3.



3. ნადიმზე დასწრების მსურველნი — ვ. გუნიას.

4. დეპუტაციებისა და მოლოცვათა შესახებ წეს-რიგის დადგენა თეატრის დარბაზში მინდობილი აქვს ვლ. ალექსი-მესხიშვილს, კ. მესხს და ვალ. გუნიას<sup>1</sup>.

დადგა იუბილეს ჩატარების სანატრელი დღე — 22 ოქტომბერი. თბილისის ქუჩები ვერ იტევდა საქართველოს ყველა კუთხიდან და მეზობელი ხალხებისაგან წარმოგზავნილ დელეგაციებს. დილის ათი საათიდანვე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში და ახლომახლო ქუჩებში დიდძალი ხალხი მოგროვდა. შუადღე ახლოვდებოდა, გამოჩნდა თეთრ ცხენებშებმული ეტლი, რომელსაც მოჰყავდა ლეთაებრივი სამება: ჰალარა იუბილარი, რაფიელის პირდაპირ იჯდა ილია, ხოლო ეტლის საფეხურზე იდგა იუბილარისაკენ ხელგაწვდილი აკაკი.

პარაკლისის სადღესასწაულო ცერემონიის შემდეგ რაფიელი, ილია და აკაკი გაემართნენ თეატრისაკენ. „ქართველი თავად-აზნაურობის ქარვასლის კიბეზე იუბილარს ხალხი დაუხვდა „ვაშას“ ძახილითა და ორკესტრმაც ქართული მარში დაუკრა...

შემობრძანდა თუ არა რაფიელი სცენის დერეფანში, მას მიეგება გურულების და მ. რატილის გუნდი და სიმღერით შემოიყვანა სცენაზე. იუბილარს მოჰყვებოდნენ აკაკი და ილია. როგორც კი გამოჩნდა სცენაზე იუბილარი, მთელი საზოგადოება ფეხზე წამოდგა და ერთხმად იგრიალა: „ვაშა, ვაშა“... აღტაცებული საზოგადოება ძლიერ ღელავდა, ეს იყო დიდებული სანახაობა!.. დაწყნარდა საზოგადოება და იუბილარმაც დაიკავა მისთვის დანიშნული ალაგო. იუბილარს გვერდს უმშვენებდნენ მარცხნივ ილია, მარჯვნივ აკაკი. დაიწყო მილოცვები. ყველა ცდილობდა მადლობა გადაეხადა, ფიანდაზად გაშლოდა სიხარულით სახეგაბრწყინებულ ცრემლმორეულ მოხუცს<sup>2</sup>.

საქართველოს ყველა კუთხე, ყველა სკოლა, თეატრი დღესასწაულობდა რაფ. ერისთავის იუბილეს. ეს იუბილე გახსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ხალხის დაბალ ფენებში. სოფლებიდან ასობით

<sup>1</sup> „ივერია“, 1895 წ., № 225.

<sup>2</sup> „საერო დღესასწაული“ 1899 წ., გვ. 28—29

გლები ფეხით ჩამოვიდა, რომ თავის თვალთ ენახა მათი გულის მესაიდუმლე მსცოვანი პოეტი. რაფიელის პატივისმცემელი „დაბალი ფენებისათვის“ ცალკე გაუშართავთ საიუბილეო წარმოდგენა ავჭაღლის ქუჩის „იაფთასიანი სასადილოს“ შენობაში, „დიდძალი მდაბიო ხალხი მოაწყდა ამ წარმოდგენას, — წერდა მიმომხილველი, — რადგან შენობამ სამასზე მეტი ვერ დაიტია, გულდაწყვეტილი ხალხი იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო. აქა-იქ გაისმოდა უკმაყოფილების ხმა: „მანეთს გაძლევთ შაურის მაგივრათ ოღონდ შეგვიშვითო“.

რაფ. ერისთავს სიტყვებით მიმართეს ილია ქავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გ. წერეთელმა, ივანე მაჩაბელმა, ეკატერინე გაბაშვილმა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადრესი წაიკითხა აკაკის მეგობარმა ლიტერატურის მეცენატმა ექიმმა ივანე ელიაშვილმა, რუსი მწერლების სახელით ვასილ ველიჩკომ, „კავკაზის“ რედაქტორმა იური მილიუტინმა, „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორმა ვასილ თუმანიშვილმა, „არძაგონქის“ რედაქტორმა აბგარ იოანესიანმა, „მშაკის“ რედაქტორმა ალექსანდრე ქალანტარმა, „ტარაზ აღბიურის“ რედაქტორმა ტიგრან ნაზარიანმა და სხვებმა.

რაფ. ერისთავის საპატივემლოდ ლექსები წაიკითხეს ნინო ორბელიანმა, დ. მაჩხანელმა, ი. ევდოშვილმა, ბ. იურკევიჩმა და სხვებმა.

დღის სამი საათისათვის დამთავრდა თეატრში მოწყობილი საიუბილეო ცერემონია. „იუბილარი სიმღერით გამოაცილეს გარეთ, სადაც აუარება ხალხი მიეგება „ვაშას“ ძახილით, მანდილოსნები თაიგულებს უფენდნენ გზაზე იუბილარს; სათავადაზნაურო შენობის გამოსასვლელ კარებთან თუშ-ფშავ-ხევსურებმა დასძახეს ხალხურად სიმღერა“<sup>1</sup>.

შესვენების შემდეგ, რვა საათზე თეატრის დარბაზში გაგრძელდა ზეიმი. დრამატიულმა დასმა წარმოდგინა იუბილარის პიესები: „ჭერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და „ბიძიასთან გამოხუმრება“, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული სცენის წამყვანი მსახიობები.

1 „საერო დღესასწაული“, 1899 წ., გვ. 28.

2 იქვე, გვ. 32.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ქართველ თავადაზნაურთა ბაღში (ახლანდელი ქვეკვაძის სახელობის მედიცინის მუშაკთა კლუბი); გაიმართა სადღესასწაულო ვახშამი, რომელსაც 300-ზე მეტი კაცი დაესწრო. „მრავალყამიერის“ გუგუნში შეისვა იუბილარის სადღეგრძელო, ამას მოჰყვა ილიას, აკაკის, ქართველი დედების, სტუდენტების, სუნდუკიანცის, რუსთა წარმომადგენლის და სხვათა სადღეგრძელოები.

იუბილარმა უამრავი საჩუქარი მიიღო, დაწყებული სურათებიანი ალბომებით, გათავებული სვანური და ხევსურული შალის წინდებით; ლექსები, დეპეშები თუ წერილები საქართველოს, კავკასიისა თუ რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან — მწერლების, მეცნიერების, სტუდენტების, ხელოსნების, გლეხების, სხვადასხვა საზოგადოებათა წარმომადგენელთაგან. რაფიელის პოეზიის უსაზღვრო მოტრფიალემ თედო რაზიკაშვილმა ვერ მოახერხა იუბილეზე დასწრება — პირადად გაცნობა და ლექსით მოაგონა თავისი თავი და სახელოვანი ძმები საყვარელ მოძღვარს — მასწავლებელს.

იუბილარისადმი მიძღვნილი შიო მღვიმელის მგრძნობიარე ლექსი დიდის ოსტატობით წაიკითხა კოტე მესხმა.

XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მესვეური დიდი ილია უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად თვლიდა რაფ. ერისთავის იუბილეს ჩატარებას. წერილში „შინაური მიმოხილვა 1895 წლისა“ ილია აღნიშნავდა, რომ უკანასკნელ პერიოდში მომხდარ ამბებს შორის რაფ. ერისთავის იუბილე ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობის მოვლენად ითვლებათ. ილია ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ეს იუბილე ჩატარდა არა მარტო მწერლის დამსახურების აღსანიშნავად, არამედ ამ დღემ დაგვანახა ეროვნული ძალების ისეთი მდგომარეობა, როცა ერმა გაიგო მისი ერთგული მოღვაწეების ღირსება და შესაფერად დაათვას მწერლის შრომა.

რაფ. ერისთავის ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების 50 წლის იუბილის ჩატარება დიდი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. იუბილის ცერემონია გასცილდა რაფიელის და

ლიტერატურისადმი პატივისცემის ფარგლებს. მან არა ნაკლები როლი შეასრულა ფართო მასების პოლიტიკური გათვითცნობიერებისა და ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი იდეების პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ამ იუბილემ აღორძინებული ქართული კულტურის ზეიმის ხასიათი მიიღო. ეს გარემოება მაშინვე გახდა ნათელი. ამიტომაც იყო, რომ ამ საიუბილეო დღესასწაულის გამო დაბეჭდილ საგანგებო კრებულს „საერო დღესასწაული“ ეწოდა<sup>1</sup>, რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი სტრიქონები წარემძღვარა:

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,  
საშვილიშვილოდ გარდაიცემის“.

### კოეტიის სიცოცხლის უკანასკნელი წლები

იუბილეს შემდეგ რაფ. ერისთავი მალე პენსიაში გავიდა. უმთავრესად ცხოვრობდა კახეთში, თავის სამშობლო სოფელ ქისტაურსა და თელავში გათხოვილ ქალიშვილ ანასტასია კახიძესთან.

რაფ. ერისთავს, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ გაუგდია კალამი ხელიდან, იგი მუშაობდა ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენაზე, დაუმთავრებელი დარჩა აგრეთვე მწერალს ლიბრეტო ოპერა „ნუგზარისათვის“.

ამავე დროს მოხუცი რაფიელი სამეურნეო საქმეებსაც ხელმძღვანელობდა; ერთ-ერთ კერძო წერილიდან ვტყობილობთ, რომ 1898 წელს მას 500 მანეთი ფული დაუბანდებია ნავთის საქმეში, რის გამო სიძეს ნიკო ხიმშიაშვილს სწერს: „ჩემი წილი იჭარით გაეცი და საქმე კარგათ აწარმოეო“. ამ წლებში რაფიელი გეგმავდა საკუთარი მეურნეობის განახლებისა და ახალი ორსართულიანი სახლის მშენებლობას ქისტაურში.

<sup>1</sup> იხ. კრებული „საერო დღესასწაული“ თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო, 1899 წ.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 1054.

რაფიელს ძალიან უყვარდა სამშობლო სოფელი ქისტაური. სი-  
ცოცხლის უკანასკნელ წლებში გლეხებთან საუბარში რამდენჯერმე  
გამოუთქვამს თურმე სურვილი, საგვარეულო ეკლესიაში თავის წი-  
ნაპართა შორის დაესაფლავებინათ.

1897 წელს აკაკიმ თელავში ინახულა უკვე ღრმად მოხუცებუ-  
ლი რაფიელი. პოეტი აღტაცებაში მოსულა აკაკისთან შეხვედრით.  
„დიდად გაიხარა, — გადმოგვცემს აკაკი, — და ახალგაზრდული აღ-  
ტაცებით იგონებდა ბევრს რასმე საზოგადო საქმის გამოისობით.  
ბოლოს ამოიხვნეშა და მწარე ღიმილით მითხრა: დავბერდი, დავჩა-  
ჩანაკდი, წვერი შემექნა ჭაღარა; შინ ცოლშვილს მოვძულებულვარ,  
ბატონს უნდივარ აღარაო“.

აკაკის სიტყვა შეუბრუნებია, — სცდები არავის დავიწყებინარ  
და კიდევაც ყველას უყვარხარო. — „რალადო“ უპასუხია რაფიელს,  
ის აღარა ვარ რაც ვიყავ, ძნელი ყოფილა ჭაღარა, თამამად ველარ  
ეძახის ჩემი დაფი და ნაღარაო“. მართლაც ის აღარ იყო რაც მინა-  
ხავს. ძალღონე აღარ შესტანდა, მაგრამ გულს კი გალობა მაინც არ  
მოშლოდა... წამდაუწუმ საზოგადო საქმეებზე ლაპარაკობდა“.

მთელი საქართველო ყურადღებით აღევნებდა თვალს მწერლის  
მოხუცებულობის წლებს, ხალხი არ ივიწყებდა თავის გულის მე-  
საიდუმლე მგოსანს. ჟურნალ-გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი  
„მწერლობის პატრიარქი“ რაფიელ ერისთავი მუდამ ჩუმი და უწყი-  
ნარი, საქმის მოსიყვარულე და მამულის ერთგული, უნაგაროთ ემსა-  
ხურებოდა ყოველ საერო საქმეს. რაფიელი „ბევრი შრომისა და მეცა-  
დინეობის გამო ცოტა არ იყოს მოღალულ-მოქანცულია, მაგრამ  
მაინც გული ჭაბუკური აქვს და აღსავსე იმედებით.“

1899 წლიდან რაფიელი ხშირად ავადმყოფობდა.

1900 წელს, შობა ღამეს, რაფიელთან კახიძის ოჯახში მისულა  
თელავის სამოქალაქო სასწავლებლის მომდერალთა გუნდი „ალი-  
ლოს“ სათქმელად, აღსანიშნავია, რომ ალილოს ნაცვლად გუნდს შე-  
უსრულებია „სამშობლო ხევსურისა“. კარები გაიღო და რაფიელის  
სიძემ ვასილ კახიძემ მიგვიწვია სახლში, სადაც ფეხზე ამდგარი, სა-  
ხეგაბრწყინებული, თვალებზე სიხარულის ცრემლებმომდგარი  
ღრმად მოხუცებული რაფიელის ნათელი სახე დაგვიხვდა, იგი ნელი

ლიდინით აყოლია გუნდს. სიმღერის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს რაფიელისათვის წიგნი გაუწვდიათ, რომელშიც რაფიელის რჩეული სასიმღერო ლექსები იყო დაბეჭდილი. რომელ სიმღერასაც პოეტი მოისურვებდა, გუნდი იმას ასრულებდა, რაფიელის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იგი მღეროდა, იცინოდა და ტიროდა კიდევ თავის გარდასულ დღეებზე.<sup>1</sup>

1901 წლის იანვარში რაფიელის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. თითონ კი შინაურებსა და მნახველებს ამშვიდებდა, რომ არც ისე ცუდად ვარ და თუ ქისტაურში წამიყვანენ, მოვმჯობინდებიო.

ავადმყოფ რაფიელს თავზე დასტრიალებდნენ ნათესაეები და თელავის საზოგადოება. ქალიშვილი ანასტასია ავადმყოფ მამას სახლიდან არ უშვებდა, რაფიელი კი თურმე სულ იმას გაიძახოდა, ქისტაურში წამიყვანეთო. ერთხელ ავადმყოფი რაფიელი გამოპარულა სახლიდან და ფეხით წასულა ქისტაურისაკენ. მის დასაბრუნებლად სასწრაფოდ გაგზავნეს ეტლი, რომელიც პოეტს დაეწია სოფელ ვარდისუბნის დასაწყისში. რაფიელი ეტლში ჩაუსვამთ და ისევ თელავისაკენ წამოუყვანიათ. ამის გამო რაფიელი წამომდგარა, ეტლის მოსართავეებს მიწვდომია და ნაცნობ მეეტლისათვის მიუმართავს — „გიორგი შენც როგორც ეტყობა გადაშირებული ყოფილხარ და ღალატს დადგომიხარო. ხალხნო, ხომ ხედავთ, რომ ჩემი დღეები დაიღია და მე მინდა ჩემს მამა-პაპათა საფლავებს შორის დავიმარხოვო“. ეს იყო 1901 წლის თებერვალი.

ამის შემდეგ რაფიელმა სამი დღე იცოცხლა. ავადმყოფს განუშორებლივ თავზე დასტრიალებდა მკურნალი დ. თ. ახვლედიანი. საერთო სისუსტე თანდათან გაუძლიერდა. 19 თებერვალს თითქოს მოიკეთა, მაგრამ საჭმელის ჭამაზე ავადმყოფს უარი უთქვამს. შემდეგ ერთბაშად თავი ჩაჰკიდა და ნაშუადღევის 3<sup>1/2</sup> საათზე სამუდამოდ დახუჭა თვალი. სიცოცხლეშიც უწყინარი, კეთილი მოხუცის გარდაცვალება მშვიდი და უტანჯველი ყოფილა.

---

<sup>1</sup> თელავის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები (მ. ყაზახიშვილის ჩინაწერი).

სალამოს კახიძის სახლისაკენ, სადაც გარდაიცვალა საყვარელი პოეტი, ხალხმა დინება იწყო. თელავის ახლომახლო თუ შორეული სოფლებიდან სათაყვანებელ მოხუცთან მოდიოდნენ მუხლის მოსაყრელად გლეხები, მწყემსები, მოსწავლეები, თელავის ინტელიგენცია.

რაფიელ ერისთავის გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო კახეთს, მთელ საქართველოს. გაისმა საყოველთაო გლოვის ხმა.

მეორე დღისათვის თბილისიდან, საქართველოს ქალაქებიდან და სოფლებიდან დაიძრა დელეგაციები. ხალხი კვლავ ფეხზე დადგა. იუბილეს შემდეგ მეორედ შეაერთა მსცოვანმა პოეტმა მთელი ერი. რომელმაც მოწიწებით მოიყარა მუხლი განსვენებული მოღვაწის წმინდა ცხედრის წინაშე.

რაფიელის გარდაცვალების ამბავი თბილისში გვიან სალამოს შეიტყვეს. 20 თებერვალს ილია ჭავჭავაძემ რაფ. ერისთავის ნეშტის დაკრძალვის გამო მოიწვია საზოგადო მოღვაწეებისა და დაინტერესებულ პირთა კრება, რომელსაც დაესწრნენ: აკაკი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ეკ. გაბაშვილი, კ. ა. სულხანიშვილი, ვ. ს. მიქელაძე, გაზეთების რედაქტორები, კორესპონდენტები, თავად-აზნაურობის წარმომადგენლები. შემუშავდა რაფ. ერისთავის ნეშტის დაკრძალვის ღონისძიება.

გადაწყდა რაფიელის თბილისში გადმოსვენების საკითხიც. ამის გამო ილია ჭავჭავაძემ ორჯერ გაგზავნა თელავში რაფიელის სიძის ვასილ კახიძის სახელზე ასეთი შინაარსის დეპეშა:

„საერთო სურვილია დავასაფლავოთ საყვარელი პოეტი თბილისში. ჩვენი საზოგადოება ლებულობს თავის თავზე ყველა და ყოველგვარ ხარჯებს. თქვენს პასუხზე არის დამოკიდებული ჩვენი შემდეგი ნაბიჯები“<sup>1</sup>

კახეთის საზოგადოებამ და რაფიელის ოჯახმა მტკიცედ გადაწყვიტეს პოეტის ანდერძის შესრულება და რაფიელის ქისტაურში დასაფლავება არჩიეს. ამის თაობაზე მათ ორი დეპეშა გამოუგზავნეს ი. ჭავჭავაძეს. ილიას აღარ უნებებია რაფიელის ანდერძის დარღვევა და დეპეშით უპასუხნია:

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 20.

„თქვენი კატეგორიული უარის გამო, საზოგადოებამ უკვე გადასწყვიტა სხვა, საშუალებით ვცეთ პატივი გარდაცვალებულს თბილისში, რისთვისაც გაცემულია საჭირო განკარგულება“<sup>1</sup>.

თელავში გაიგზავნა დელეგაცია, მათ შორის იყო იაკობ ნიკოლაძე, რომელმაც ნილაბი აულო მიცვალა ბუღალს, სკოლების, რედაქციებისა და წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენლები, ფოტოგრაფები და სხვ.

დასაფლავების დღეს, 25 თებერვალს ზღვა ხალხი მოაწყდა თელავს. კუბოს გარშემო თავი მოიყარეს გლეხებმა, ხელოსნებმა, ამქრებმა, ცხენებით მოვიდნენ ხევსურები, თუშები. 10 საათისათვის თელავი გაქვდილი იყო ხალხით. 11 საათზე თელავის ეკლესიაში გადაუხადეს პანაშვიდი. განსვენებულის სახელზე მოვიდა უამრავი დეპეშა, მათ შორის წაკითხული იქნა ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, სოფრომ მგალობლიშვილის, ანტონ ფურცელაძის და ნიკო ლომოურის უსაზღვრო გლოვის გამომხატველი სტრიქონები.

3 საათზე გლეხებმა გამოსვენეს ცხედარი. კუბოს მოუძლოდა შავი ძაძვებით მორთული 9 ხევსური ცხენოსანი, რომელთაც მოჰქონდათ ყვავილებში ჩასმული წარწერა:

„მოდით და იხილეთ სიკვდილი პოეტისა, როგორ გადიქცევის სიცოცხლედ“.

მთელი გზა ქისტაურამდე მოფენილი ყოფილა დვიით. თელავის ქუჩები ვარდისუბანში გასვლამდე დაფნის ფოთლებით დაუფარავთ.

ოთხ საათზე პროცესიამ მიაღწია ვარდისუბანს. ახლა მათ ჩაიბარეს რაფიელის ცხედარი; იმ ღამეს წმინდა გიორგის ეკლესიაში დაასვენეს და მთელი ღამე საპატიო ყარაული დაუყენეს. მეორე დღეს 11 საათზე პროცესია გაემართა ქისტაურისაკენ. ვარდისუბნელებს რუისპირელებმა ჩამოართვეს საპატიო ცხედარი, ამით კი იყალთოელი საზოგადოება შემოხვდათ, შემდეგ — ოყიოს, ზოხოლის, ხოდაშენის, აწყურის მცხოვრებნი რიგრიგობით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საოცარის გლოვითა და წესრიგის დაცვით. მთელ გზაზე მარჯვნივ და მარცხნივ ტაძრებსა და ეკლესიებში გამუდმებით რეკდნენ ზარები.

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 20.



ქისტაურის მისადგომებთან პროცესიას ამ სოფლის მცხოვრებნი შემოეგებენ; ყველამ დაიჩოქა რაფიელის წმინდა ცხედრის წინ. მიცვალებული ცოტა ხანს შეაჩერეს. ქალებმა, ბავშვებმა, მოხუცებმა დაიწყეს ზარით ტირილი. მოსთქვამდა ძაძვებში ჩაცმული ერთი გლეხის ქალი თინა, დანარჩენები ბანს ეუბნებოდნენ. შემდეგ პროცესია დაიძრა შუაგულ სოფლისაკენ, ზარითა და ტირილით დაასვენეს თავის სახლში, რაფიელმა უკანასკნელად დაპყრო მშობლიურ კარმიდამოში, შემდეგ კი სამუდამოდ დატოვა იგი და მისი ცხედარი წაასვენეს საგვარეულო სასაფლაოსაკენ. გვიან საღამოთი მიაბარეს იმ მიწას, „სადაც შობილა გაზრდილა და უსროლია ისარი, საღ მამა-პაპა ეგულვის და მისი კუბოს ფიცარი“.

თბილისში რაფ. ერისთავის დასაფლავების დღეს დიდი გლოვით იქნა გადახდილი სამგლოვიარო წირვა და პანაშვიდი. ქაშვეთის ტაძრის ეზოსა და მის მისადგომებში თავმოყრილი ხალხი რაფიელის გარდაცვალებას გლოვობდა. აქ იყვნენ ერის მოჭირნახულებნი: ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, ყურნალების რედაქტორები, ქართული დრამატიული დასი, მუშები, ხელოსნები, გლეხები, ახალგაზრდები, ძაძვით მოსილი ქალები. რაფიელის საპატივცემლოდ გალობდა რამდენიმე ქართული გუნდი.

განსვენებულნი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ღირსეული სიტყვით შეამკო აკაკი წერეთელმა.



1911 წელს, აკ. წერეთელი ჩავიდა თელავში, მოისურვა რაფიელის საფლავის ნახვა. რაფიელის ბიძაშვილმა კიაზო ერისთავმა დიდის პატივით მიიწვია აკაკი თავის მამულში სოფ. ქისტაურში. მეორე დღეს აკაკი სტუმრების თანხლებით ფეხით ავიდა რაფიელის საფლავის სანახავად და გადაუხადა პანაშვიდი.

აკაკი თურმე ნერვიულობდა, როცა სასაფლაოს უახლოვდებოდა. მწარედ ამოუოხრავს, როდესაც დაუნახავს ყრუ ტყეში მიგდებული პატარა დანგრეული ეკლესია. ძლივს მოუნახვს რაფიელის საფლავი, რამდენიმე წუთი მდუმარედ დასცქეროდა პოეტის საფლავის ქვას,

მუხლი მოუყრია, რამდენიმე კურცხალი ცრემლიც გადმოვარდნია თვალიდან, მერე ამდგარა და უთქვამს: ერთი მხრივ კარგია, რომ რაფიელი თავის მამა-პაპათა საფლავებს შორის მიუბარებიათ მიწისათვის, მაგრამ მისი ადგილი უფრო საპატიოთა შორის იყოვო. აკაკის გამოუთქვამს აზრი რაფ. ერისთავის ნეშტის გადასვენების შესახებ.<sup>1</sup>

გავიდა ხანი, საფლავის ხის მოაჯირი შემოირღვა; რაფიელის პატარა მეგობრებმა — კახეთის მოსწავლე-ახალგაზრდობამ ფული შეაგროვა და საფლავს რკინის მოაჯირი შემოაველეს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის დადგენილება რაფ. ერისთავისათვის ძეგლის აგების შესახებ პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო ვერ განხორციელდა. საფლავი კვლავ გაპარტახდა.

1938 წელს რაფიელის ნეშტი გადმოსვენეს თელავის სამხარეთ-მცოდნეო მუზეუმის ეზოში და დაასაფლავეს კახეთის მოღვაწეთა პანთეონში<sup>2</sup> ბარბარე ჯორჯაძისა და იოსებ დავითაშვილის საფლავებს შორის.

რაფიელის საფლავზე აღმართულია თეთრი მარმარილოსაგან გამოკვეთილი ქვა მოკლე წარწერით — „რაფიელ ერისთავი. 1824 — 1901 წ. გადმოსვენებულია 1938 წ“.

1951 წელს ქართველმა ხალხმა მადლიერების გრძნობით აღნიშნა რაფ. ერისთავის 50 წლის გარდაცვალების თარიღი. ამავე წელსვე რაფიელის სამშობლო ქისტაურში ერისთავთა საგვარეულო სახლში გაიხსნა რაფიელის სახლ-მუზეუმი, რომელმაც თითქოს გაუცოცხლა საყვარელი მოხუცი მადლიერ თანამემამულეთ.

---

<sup>1</sup> „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 373.

Հիմա՛յն

Ելի՛ր, Ելի՛ր,  
Ելի՛ր Ելի՛ր Ելի՛ր:



## პოეზია

მეცხრამეტე საუკუნის მწერალთა საერთო აღიარებით რაფიელ ერისთავმა მთიელთა ლიტერატურული კილოთი შემოიტანა საერო პოეზიის ახალი ნაკადი. ის იცნეს ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის შემაერთებელ ხიდად. მას თავის მიმდევრები ჰყავდა, მათ შორის ძმები რაზიკაშვილები.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში რაფ. ერისთავის შემოქმედების, კერძოდ ლირიკის შეფასებისას რატომღაც წინა პლანზე იყო წამოწეული 40—50-იანი წლების ლექსები, სიყვარულის თემატიკაზე, რომელთანაც მექანიკურად აკავშირებდნენ მწერლის შემდეგი პერიოდის სატრფიალო ლექსებიდან ამოგლეჯილ სტრიქონებს და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ თითქოს 80-იან წლებამდე რაფ. ერისთავის ლირიკის მთავარი მოტივი მომაკვდავი კლასის (თავადაზნაურობის) სულისკვეთების გამომხატველი ყოფილიყო.

რაფ. ერისთავის შემოქმედების თანმიმდევრული შესწავლა იმის საფუძველს არ გვაძლევს, რომ მწერალი მართლაც ქალის სხეულის, ხორციელი სიყვარულის, ღვინო-ქეიფის მქადაგებლად ვიცნოთ. მისი მოთხრობები, დრამატიული თხზულებანი და პუბლიცისტიკა კიდევ უფრო ნათელს ხდის ასეთი აზრის მცდარობას.

რაფ. ერისთავის პოეზიაში შესამჩნევია ორი პერიოდი, პირველი 40—50-იანი წლებით ისაზღვრება (ზუსტად 1857 წლამდე), მეორე 60-იანი წლებიდან მწერლის მოღვაწეობის დასასრულამდე.

პოეტის სიჭაბუკის პირველი წლების პოეზიაში, მართლაც ვხვდებით სატრფიალო ხასიათის ლექსებს, ქალის სილამაზის ხრტბას, „ამით რაფ. ერისთავმა, — აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე, — როგორც

თითქმის ყველა ჩვენმა პოეტმა მიართვა პირველ ხანებში თავისი ხარკი სიყვარულსა და ტრფიალებას<sup>1</sup>.

ილია, აკაკი და რაფ. ერისთავის სხვა თანამედროვე რეალისტი მწერლები, როცა რაფ. ერისთავის შემოქმედებას განიხილავდნენ, ძირითად მარცვლად მის პოეზიაში მიაჩნდათ მშრომელი ხალხის ბედ-აღბალზე ზრუნვა. მათ არსად არ აღუნიშნავთ რაფ. ერისთავის რომანტიკოსობა, მის ლექსებში არ დაუნახავთ ეროტიზმი და ბახუსის თაყვანისცემა. კიტა აბაშიძის მოსწრებული შენიშვნით: „რაფიელ ერისთავი თითქმის თანამედროვე იყო ჩვენი რომანტიკოსებისა (ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ვახ. ორბელიანი) და ანგარიშით რომანტიკოსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი ნიჭი სრულიად სხვა თვისებისა იყო და... მისი ნიჭი გლეხების დარდსა და ვარამს, მხიარულებასა და სიამოვნებას გვიხატავს“<sup>2</sup>.

სავსებით საწინააღმდეგო მოსაზრებას იცავდა თავის წერწლებში იპოლიტე ვართაგავა<sup>3</sup>. იგი აღნიშნავდა, რომ „1842 წლიდან დაწყებული, თითქმის 1885 წლამდე რაფ. ერისთავი ეროტიულ-სააშკო ხასიათის ლექსებსა წერს, რომ იგი უბრალო მოშაირე, სიყვარულზე მომღერალი, ხვევნა-კოცნის, ტლაშა-ტლუშის მოტრფიალე, უდარდელი ცხოვრების მალმერთებელია“... „სამშობლო ხევსურისა“ კი პროვინციელის სიმღერაა“.

იპ. ვართაგავას ეს ვულგარულ-სოციოლოგიური შეფასება ერისთავის შემოქმედებისა თავს იჩენდა საბჭოთა პერიოდის კრიტიკულ ნაშრომებშიც. ქართული ლიტერატურის ისტორიაში რომანტიზმი რაღაც უვარგის ლიტერატურულ მიმართულებად, ხოლო რაფ. ერისთავი მის წარმომადგენლად იყო მიჩნეული.

„რაფ. ერისთავი თავის პოეტურ შემოქმედებას იწყებს XIX საუკ. პირველი ნახევრის რომანტიკოსი მწერლების გავლენის ქვეშ.

<sup>1</sup> ი. ჰეკავაძე, თხზ., ტ. III, 1953 წ., გვ. 222.

<sup>2</sup> კ. აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, ტ. III, 1911 წ., გვ. 234—244.

<sup>3</sup> იურნ. „განათლება“, 1913 წ., IX, ნომბერი, გვ. 654. „თავ. რ. ერისთავის შემოქმედება“.

ეს ის ხანაა, როდესაც იმედგაცრუებული, ნიადაგმორღვეული, კალაპოტიდან ამოვარდნილი ქართველი თავადაზნაურობა მწუსარება-სევდით გაბრუებული გამოსავალს ვნებიან ეშხსა და ქეიფში-ლა პოულობდა, როდესაც ალ. ჭავჭავაძის... ლექსები „ლხინსა და ჭირში“ ჭმუნვის გამაქარებელ სიმღერა-ბაიათებად გათენებამდე განუწყვეტლად ისმოდა ქართველი თავადაზნაურობის დაუსრულებელ ქეიფში. და რაფ. ერისთავიც 40—50-იან წწ. ხომ ნიჭიერი გამომხატველია თავადაზნაურობის დეკადანსისა და მისი მსოფლმხედველობისა, მისი ლიტერატურული სტილისა, ისიც ეშხს, ვნებიანობას, ქეიფს, დროს გატარებას შესტრფის, იმათ გამაბრუებელ ექსტაზს ეძებს<sup>1</sup>.

ამ სტრიქონების ავტორი ქართული რომანტიზმის „უარყოფითი მხარეების“ გავზიადებით ცდილობს რაფ. ერისთავის პოეზიის ნაკლოვანებათა გაშუქებას და ქართული რომანტიზმის გავლენა რომელიმე მწერლის შემოქმედებაზე უარყოფით მოვლენად მიაჩნია. ამასთან ერისთავის რეალისტური ხასიათის ლექსები რომანტიკულად არის გამოცხადებული, ფაქტიურად კი რაფ. ერისთავის შემოქმედების არც ერთი პერიოდის ლექსები არ გამოხატავენ თავადაზნაურობის დეკადანსს, მის „ლიტერატურულ სტილს“, ქეიფს, დროსტარებას; მისი პოეზია თავისი შინაარსითა და „ლიტერატურული სტილით“ არ გავს რომანტიკოსი მწერლების პოეზიას და სიყვარულის აღმოსავლური გაგებისაგანაც იმიჯნება. რომანტიკოსი მწერლების სიყვარული ქალისადმი გაჰაეროვნებულია, განაზებულია, ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზა მივიდა რომანტიული სიყვარულის ჭეშმარიტ წარმოსახვამდე.

რაფ. ერისთავის სატრფიალო ლექსები ჭაბუკი პოეტის გრძნობების რეალისტური გადმოცემაა. ისინი ქალის ჭეშმარიტ სიყვარულს უმღერიან ან მიჯნურის დალატს კიცხავენ. რაფ. ერისთავის სატრფიალო ლექსების სათავე ხალხური პოეზიაა, მაგრამ თუ მაინც და მაინც შორეულ გავლენაზე ვილაპარაკებთ, მისი სატრფიალო ლექსები რამდენადმე გურამიშვილის პოეზიას ეხმაურება.

რაფ. ერისთავის პირველი ლექსი „დარიგება“ 1852 წლის „ცისქარში“ (№ 7) დაიბეჭდა. ეს ლექსი პოეტს 1844 წელს შეუთხზავს;

<sup>1</sup> მის. ზანდუკელი, „ახალი ქართული ლიტერატურა“, 1954 წ., გვ. 386—387, 1962 წ., გვ. 424 — 425.

იგი ხალხურ კილოზე დაწერილი რეალისტური ხასიათის ნაწარ-  
მოებია.

თავის პირველ ლექსში „დარიგება“ პოეტი რჩევას იძლევა მო-  
ვერიდოთ ლამაზ არშიყ ქალს:

„ტანად საროსა, კვიპაროზსა, ყელ ბროლ ფიქალსა,  
მის ტუჩთა ლალებს, შავსა თვალებს, მათ ცეცხლის აღსა“,

თორემ სიმუხთლეს შეგამთხვევს; — „ეკლით სავსეა მათი მსგავსი  
ყველა ვარდები“. თუ არ შეისმენთ ჩემს დარიგებას, ბოლოს ინანებთ,  
„თავს ზედ წააგებთ, გულს ააგებთ მათსა ეკალსა“.

პოეტი განურჩეველი ტრფობის მომხრე კი არ არის, იგი ახალ-  
გაზრდობას სიყვარულში ზომიერებისაკენ მოუწოდებს.

რაფიელის მეორე ლექსში „ყვავილს“, ყვავილის ხანმოკლე სი-  
ცოცხლეში გასიმბოლოებულია ადამიანური ცხოვრება: ადამიანიც  
შეჭხარის ბუნებას, ნავარდობს ვიდრე „სიყრმე მოიწვევს მოხუცე-  
ბასა“, ბოლოს ადამიანს „სიკვდილი აჰკნობს“ ისე, როგორც ყვავილს  
მცხუნვარე მზე.

მომდევნო ლექსებში რაფიელი ლალატობს თავის პირველ მცნე-  
ბას ლამაზი ქალის მორიდების შესახებ და ჭაბუკი პოეტი ასე მიმარ-  
თავს ლამაზი ქალის მომხიბვლელ შავ თვალებს:

„ვეტრფი შავსა თვალებსა,  
ვეტრფი სხივებრ მალებსა,  
სიყვარულით სავსეთა,  
ელვა არ მაქმარესა“.

(„თვალეები“).

ამავე ლექსით ვგებულობთ, რომ პოეტს არ უყვარს მწვანე თვა-  
ლები — „ემშაკობით სავსენი“... ნაცრისფერი თვალეები — „გრილნი  
მეტად მკრთალეები“; მაგრამ წაბლისფერი თვალეები კაცს ნეტარებას  
და სიმშვიდეს გვრის; ხოლო ცისფერი თვალეები პოეტს თავისი გუ-  
ლის წამლად ეხატება.

პოეტს სწვავს ქალის ეშხით სავსე, მომხიბლავი ცისფერი თვა-



ლები, რომელთა დანახვა სიყვარულის უნაზეს გრძნობებს აღუძრავს.

პოეტი თანდათან მეტ სითამამეს იჩენს, ვიდრე პირველ ლექსში „დარიგება“. იგი უკვე გაურბის შეყვარებულთან შორით კვდომას, შორით დაგვას („სიყვარული“ 1855 წ.).

პოეტი გმობს გაუტანლობას, შულლსა და მტრობას ადამიანთა ურთიერთობაში, რომელმაც იგი „სულის მეფეს“ მოაშორა და თითქოს — „გულსა დასცა მკრელი დანა“ („ნატვრა“ 1855 წ.).

სიყვარულის თემაზეა აგრეთვე დაწერილი რაფ. ერისთავის ლექსები: „ორჯერ დაბრმავებული“ (1852 წ.), „ნატვრა“ (1855 წ.), „ჩვიდმეტი წლის ქალს“ (1856 წ.), „სინანული“ (1856 წ.) — სულ 11 ლექსი.

1853 წელს რაფიელ ერისთავმა დაწერა ხალხური სასიმღერო შაირით შთაგონებული ლექსი „იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო“; რომელიც 1861 წლის „ცისკარში“ (№ 3) დაიბეჭდა. აკვანში ჩაკრულ ყრმას გამზრდელი დედა ტკბილი ხმით უმღერის — გამოვიდეს პატრიოტი, ერის მოსიყვარულე და მტრის ზარდამცემი.

1861 წლის „ცისკარში“ (№ 1) გამოქვეყნდა რაფ. ერისთავის ლექსი „ნაამბობი მოხუცისა — მიბაძვა ძველ მელექსეთა“, რომელიც 1854 წელს დაუწერია პოეტს. აღნიშნული პოემა-ლექსი პატრიოტული ხასიათის ხალხურ კილოზე დაწერილი ნაწარმოებია. რეალისტური შინაარსის გამო ი. ჭავჭავაძე ასეთ შენიშვნას უკეთებს ამ ლექსს: „ნაამბობი მოხუცისა“ ხერხიანი მიბაძვა არის ძველი მწერლებისადმი, მაგრამ უფრო გამოთქმის სახიერობით, ვიდრე აზრით<sup>1</sup>. ეს ლექსი საკმაოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ რაფ. ერისთავი არა მარტო პუბლიცისტიკაში, პოეზიაშიც თავიდანვე აშუქებდა სოციალურ სინამდვილეს.

რაფიელის შემოქმედების ამ პირველ პერიოდს მოსდევს, შემოქმედებითად უფრო მდიდარი, ფორმითა და შინაარსით სრული პერიოდი ცხოვრებისა, რომელიც რეფორმასა და სამოციანი წლების მოღვაწეთა ბობოქარ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 508, 1953 წ.

1857 წელს რაფ. ერისთავი სამეგრელოში იყო. ზუგდიდში მახრის უფროსად ყოფნის დროს, 1857 წლის 17 ნოემბერს, მან დაწერა ბატონყმური წყობილების მამხილებელი ლექსი — „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, რომელიც იოსებ მიქაბერიძის ფსევდონიმით დაიბეჭდა 1861 წელს ჟურნ. „ცისკარში“ (№ 1). ამ ლექსის შემდეგ ზედმიზეზად გამოჩნდა სოციალური ყოფის ამსახველი ლექსები: „ყაღის ჯორი“ (1857 წ.), „ბუზები“ (1857 წ.), „მთხოვარა გლახაკი“ (1859 წ.), „ნაამბობი მოხუცისა“ (1861 წ.), „ქრთამის წინააღმდეგ“ (1868 წ.), „ლარიბი“ (1868 წ.) და სხვა.

აქტუალური სოციალური საკითხების წინ წამოწევის თვალსაზრისით რაფ. ერისთავის შემოქმედებაში საინტერესოა სამოციანი წლების მიჯნაზე შექმნილი ნაწარმოებები.

მწერლის შემოქმედების ამ პერიოდს მართებული შეფასება მისცა დიდმა ილიამ: რაფ. ერისთავი, — აღნიშნავდა ილია, — „ქერკიდევ ბატონყმობის გადავარდნამდე რამდენიმე წლით ადრე გამოეხმაურა „საჭირბოროტო საგანს ცხოვრებისას“ და თავისი ლექსით „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ პირველმა აღიმალა ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ“<sup>1</sup>.

ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ რაფ. ერისთავმა ისეთ რთულ პერიოდში დაწერა, როცა ბატონყმობა, როგორც მომაკვდავი ფორმაცია, თავისი აგონიის შეგრძნებაში უფრო სასტიკი იყო. ხელისუფლების ორგანოები მხარს უჭერდნენ დასაღუპად განწირულ ბატონყმურ ინსტიტუტს და ყოველგვარ უკმაყოფილებას მთავრობა აფასებდა, როგორც ხელისუფლების ღალატს. რაფ. ერისთავი, რომელიც აჯანყებული გლეხების დასაწყენარებლად იყო გაგზავნილი სამეგრელოში, ოფიციალური მდგომარეობით შეზღუდული იყო მის შესახებ პროგრესული აზრების გამოთქმაში. ამიტომაც, რომ ზემოთ მოტანილი ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ დაიბეჭდა ფსევდონიმით.

<sup>1</sup> ი. ჯავახიანი, თხზ., ტ. III, გვ. 222, 1953 წ.

ამ ლექსში მტკიცე პროტესტია გამოთქმული ბატონყმობის წინააღმდეგ. საცოდავი დედა, ბედკრული ქალი, სიღარიბისა და მოხუცებულობისაგან ილაჯგაწყვეტილი ემუდარება მსაჯულს, რომ მან შეასმინოს გულქვა ბატონს, თავისი მარჩენალი შვილი დაუბრუნოს. უძლური, მაგრამ მოთმინებიდან გამოსული დედა პასუხს თხოვს. თამამად აცხადებს თავის უფლებას საკუთარ შვილზე:

„გთხოვ დამიბრუნო მე ჩემი შვილი,  
დედა ვარ მისი განა მოქალაქე?  
სსვა რად ჰპატრონობს ჩემსა ნაშობსა  
რისთვისა სტანჯავს მანდ ძღვოში სვაი?“

ეს კაცი მებრძვის, შვილი წამართვა,  
ვისი უპყრია მიბრძანე ძალი?“

მოხუცი ყმა ქალი თავისი ადამიანური უფლების დასაცავად ერთნაირად თხოვს პასუხს უსამართლობისათვის თავის ბატონს და მთავრობას. მაგრამ ვერც ბატონი და ვერც მოსამართლე პასუხს ვერ აძლევენ ქვეშარტების მაძიებელ ქალს; ხოლო შვილისკენ გახედვა დედას დაარწმუნებს, რომ ბატონის მოსალოდნელი რისხვის გამო შემკრთალი შვილი დედისკენ ბიჯის გადადგმასაც ვეღარ ბედავს; „რომ მისულიყო, გადაეკოცნა, დედაშვილურად ხვეოდა მკერდსა!“.

ბატონყმობის წინააღმდეგ ასეთი ფორმით პროტესტის გაცხადება პირველი ცდა იყო ქართულ ლიტერატურაში. იგი წინ უსწრებდა დ. ჭონჭაძესა და ი. ჭავჭავაძეს. დასაშვებად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ ილია ჭავჭავაძეს „კაკო ყაჩალი“ რაფ. ერისთავის ამ ლექსის შინაარსისა და სიუჟეტური ქარგით ჰქონდეს განვითარებული; კონფლიქტის საგანი ბატონსა და ყმას შორის ორივე მწერალს ერთი და იგივე აქვთ გამოყენებული, რაზედაც ადრე ვახტანგ კოტეტიშვილმა მიუთითა<sup>1</sup>.

ი. ჭავჭავაძე 50-იანი წლების მოღვაწეთა შემოქმედების მიმო-

<sup>1</sup> ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 508, 1959 წ.

ხილვაში მხოლოდ გაკვრით იხსენიებს რაფ. ერისთავის სატრფიალო ლექსებს, რომლებიც, როგორც ჩანს, არ მიაჩნდა მწერლის შემოქმედების განმსაზღვრელად, არამც თუ რაფიელის მთლიან ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, არამედ 60-იან წლებამდე დაწერილ ლექსებშიც კი. ამიტომ ილია იწყებს მხოლოდ წამყვანი ნაწარმოებების ანალიზით, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს რაფ. ერისთავის შემოქმედებას. ილია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ ტიპის ლექსების წერა რაფიელმა თერგდალეულებზე ადრე დაიწყო. ასეთი ხასიათის ნაწარმოებთაგან ილიამ გაარჩია რაფ. ერისთავის „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ და „მთხოვარა გლახაკი“. კერძოდ „მთხოვნელი მსაჯულისადმი“-ს ანალიზის საფუძველზე ილია ასე ახასიათებდა რაფ. ერისთავს: „ჯერ ბატონ-ყმობის [გადავარდნის] ჩუჩუნიც არსად იყო. რომ კაცთმოყვარემ გულმა პოეტისამ იგრძნო უსამართლობა მისი და ემა დედა აჩვენა მსაჯულთან: „სხვა რად ჰბატონობს ჩემსა ნაშობსაო. შვილი ჩემია და ბატონმა წამართვა, მიბრძანე: „ვისი უპყრია ძალი“.

ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწუედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის. რაფიელ ერისთავამდე ეს მწვავე ჩივილი ყმობით გაუპატიურებულ ღმრთის კერძო ადამიანისა არავის გაუთვალისწინებია, არავის უკითხავს თავის-თავისთვის ეს მართლადა ჰეინესი არ იყოს „დაწყველილი საკითხი“: ერთის ნაშობს მეორე რად ჰბატონობს. „ვისი უპყრია ძალი?“... ამ სახით ვხედავთ, რომ რაფ. ერისთავმა პირველმა დაჰძრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსებისათვის და ჩამოაგდოს იტყუა ადამიანურ დატყვევნილ უფლების აღსახსნელად და აღსადგენად“<sup>1</sup>...

ლიტერატურულ კრიტიკაში რაფ. ერისთავის ბატონყმობასთან დამოკიდებულების საკითხი ზოგიერთი მკვლევარის მიერ ყალბად

---

<sup>1</sup> ი. ჰავეკავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 223, 1953 წ.

გულსტიკვილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. ჰავეკავაძის ამ მნიშვნელოვანი სტრიქონების გაგრძელება (ხელნაწერის ერთი ფურცელი) დაკარგულია, სადაც რაფ. ერისთავის შემდეგი პერიოდის მოღვაწეობის შესახებ ყოფილა მსჯელობა.

იყო გაგებული. მაგალითად ივ. გომართელს იგი ბატონყმობის დამცველად გამოყავდა<sup>1</sup>. ამ უმართებულო გამოსვლას თავის დროზე პასუხი გასცა აკაკი წერეთელმა. აკაკი აღნიშნავდა, რომ „რაფიელ ერისთავი სხვა თავადებთან ერთად ბატონყმობისაგან გლეხის გათავისუფლების მომხრე იყო. თუ ეს წერილობით არ გამოაქვეყნა, ამაში დამნაშავეობა რაფიელს არ მიუძღვის, იმ დროს არა თუ წერილით გამოსარჩლება, ბატონყმობაზე კრინტის დაძვრაც არ ხერხდებოდა. მაშინდელ მოღვაწეებს ბევრი უსიამოვნება გადახდათ და რაფ. ერისთავს როგორც მოსამსახურე პირს, ვინ რას გააბედვინებდა. წერა აღარ შეიძლებოდა და საქმით კი დიდი თანმგრძნობი მომხრე იყო დაჩაგრულებისა. ამხნევებდა მებრძოლ ახალგაზრდობას და მათს ჭირსა და ლხინში თანამოზიარეობდა. ხანდახან წერაც წასცდებოდა ხოლმე... ერთი ლექსის გულისათვის „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ დაბეჭდვის გამო რაფ. ერისთავს დიდი უსიამოვნება შეხვდა და ადგილიც კი დაკარგა“<sup>2</sup>.

1895 წელს „ივერია“ რაფ. ერისთავის ლიტერატურული მიმართულების შესახებ აღნიშნავდა: „ლექსის „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ დაწერის შემდეგ რაფიელი ახალს მიმართულებას მიემხრო და გვერდში ამოუდგა ილიას და აკაკის“<sup>3</sup>.

1857 წელს დაწერილ მომდევნო ლექსში „ყადის ჯორი“ რაფიელმა გამოამჟღავნა სატირული ნიჭი, რომელმაც კიდევ უფრო გარკვევით იჩინა თავი შემდეგი პერიოდის ორიგინალურ და ნათარგმნ ლექსებში. ლექსში „ყადის ჯორი“ ალეგორიულადაა გააზრებული ქართული ზნე-ჩვეულების უარყოფელი, ევროპული ცხოვრების მიმბაძველი ბაქია ტიპები. რომელთაც „ქვეყანა მოუვლიათ“, მაგრამ სწავლა ვერ მიუღლიათ; თვითონ სიმდიდრის შექმნის შნო და ნიჭი არა აქვთ, მაშების ქონებას ყიდიან და სხვის დასანახად მდიდრულად ირთვებიან; მაშინ, როცა, მის სახლში „სიმშილი წივის“, იგი „კლუბში ამაყად დადის“, „აბნევს ფულებს და ყადის ჯორობს“

„ყადის ჯორი“ დაიბეჭდა 1861 წლის „ცისკარში“. ამ ლექსის გა-

<sup>1</sup> „კვალი“, 1901 წ., № 29, გვ. 684 — 685.

<sup>2</sup> „ივერია“, 1901 წ., № 168.

<sup>3</sup> „ივერია“, 1895 წ., № 90.

მო თავის მოკლე შენიშვნებში — „ცისკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“ ილია ჭავჭავაძეს აღნიშნული აქვს, ეს ლექსი „მართლა და ცხოვრებას შეეფერება“.<sup>1</sup>

სატირული ხასიათის ნაწარმოებია, აგრეთვე 1857 წელს დაწერილი ლექსი „ბუზები“. ამ ლექსში მწერალმა მკაცრად გაკიცხა სხვისი შრომის ხარჯზე მცხოვრები ახალგაზრდები, რომელთაც უთავბოლო სიარული და ბუზივით ბზუილი ფუტკრის მსგავს ნაყოფიერ მუშაობად მიაჩნიათ.

სამოციან წლებამდე დაწერილი ლექსებიდან ბატონყმური წყობილების მამხილებელ სურათს გვიხატავს ლექსი „მთხოვარა გლახაკი“, რომელშიც პოეტი დამაჯერებლად ასახავს გლეხი კაცის უბედურ მდგომარეობას. სახლ-კარის დაწვის შემდეგ ბატონმა დახმარები! ნაცვლად იგი გაძარცვა და უპატრონო გლეხი სოფლიდან ქალაქს გაეშურა. სანამ ჭანი და ღონე შესწევდა, მუშაობდა, ჯამბაზობდა და ისე სჭამდა ცოდვილ ლუკმას. ხოლო, როცა დაძაბუნდა, უბედურმა მოხუცმა ხელი გაიშვირა მოწყალეებისათვის. აგერ მოდის „უცხოოდ მოკაზმული“ „ყარაბაღის ცხენზე“ მკდომი მდიდარი, რომელიც მოწყალეების ნაცვლად ცხენს დაატაკებს და მკლავს მოტეხს გლახაკ მათხოვარს. არც „ვარსკვლავებით და ჯვრებით გავსებული“ მთავრობის კაცი წყალობს შიმშილისაგან განაწამებ ქალარა მათხოვარს და დახმარების ნაცვლად უკმეხი სიტყვით მიმართავს: „ასტავ! ბოლ დასტ! ტი პოლუჩიმ პოტომო!..“ არც ხავერდებში ჩაცმული მდიდარაა სხვაზე გულკეთილი, იგი ფულის ნაცვლად ქვას ჩაუდებს მათხოვარს გაწვდილ ხელში.

ამ ლექსით მწერალი ცილდება სოფლის საზღვრებს და საკმაო დამაჯერებლობით გვიჩვენებს უუფლებო ადამიანის გამოუვალ ბედს ქალაქის „განათლებული საზოგადოების“ ფონზე.

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა „მთხოვარა გლახაკის“ უდიდეს როლს უკუღმართი სოციალური წყობის მამხილებლობაში.

მისი აზრით რაფ. ერისთავს სოციალური უკუღმართობით დაბე-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 508.

ჩაგებული გლეხის ამ ტიპის დახატვაში ბუნებისათვის არ უმტყუნია...!

სოფლიდან ქალაქად წასული ყმა გლეხების ბედი არა ნაკლებ აწუხებდა თვით ი. ჭავჭავაძეს. ამ საკითხს მიუძღვნა ილიამ შესანიშნავი ლექსი „მუშა“, რომელიც 1860 წელს დაწერა. ი. ჭავჭავაძის „მუშა“ და რაფ. ერისთავის „მთხოვარა გლახაკი“ შინაარსით ეხმაურებიან ერთმანეთს.

როგორც ჩანს, რაფ. ერისთავმა პირველმა აღიმალა ხმა რეფორმადელი გლეხის უუფლებობაზე. ის პირველი ნიშანი იყო იმ დიდი ხანძრისა, რომელიც რუსეთიდან ჩამოსულმა ახალი იდეებით შეიარაღებულმა სამოციანელებმა დაანთეს. ამ დიდ ბრძოლას თავისი შედეგი მოჰყვა, მთავრობამ გლეხი „გათავისუფლა“.

დაიწყო რეფორმის პერიოდი. მთავრობის სამსახურში მყოფი რაფიელი თვითონ იღებდა მონაწილეობას რეფორმის გატარებაში. რაფიელი ყოველნაირად ცდილობდა დაჩაგრული ხალხის მდგომარეობა გაუმჯობესებულყო. მწერალი ამ ხანებში ფრთხილად აღევნებდა თვალყურს რეფორმის გატარებას, რომელსაც თითქოს (1862 — 1867 წლები) გლეხის ჭეშმარიტი გათავისუფლება უნდა მოჰყოლოდა.

70-იან წლებში კვლავ გამოჩნდა რაფ. ერისთავის სოციალური ყოფის ამსახველი ლექსები, დრამატიული ნაწარმოებები, „სცენები“, რომლებმაც სრულ გაფურჩქვნას მიაღწიეს 80-იან წლებში, სადაც დაგმობილია რეფორმის შემდეგდროინდელი ცხოვრების დუხჭირი სინამდვილე.

მამხილებელი ხასიათით საინტერესოა ლექსი „ქრთამის წინააღმდეგ“. ამ ლექსში მკაცრად არიან გამათრახებული მთავრობის მოხელენი, რომელნიც მლიქვნელობისა და მამამებლობის ატმოსფეროში ცხოვრობენ; ქრთამის აღება, სიცრუე, თაღლითობა, ჩვეულებად აქვთ ვადაქცეული. რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობის სისტემამ საქართველოშიც წარმოშვა „ვზიატკინები“, „გოროდნიჩები“, რომლებიც მუცელზე ხოხავენ თავიანთი უფროსების წინაშე, რომ სამსა-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 223 — 224.

ხურში დაწინაურდნენ. სამაგიეროდ თვითეული მათგანი, უფროსების მსგავსად, სასტიკად ეპყრობა თავისავე ქვეშევრდომს. აი როგორ აღწერს რაფ. ერისთავი მთავრობის სამსახურში მყოფი მოხელის მლიქვნელობასა და მექრთამეობას:

„დიდი კაცი ვარ თანამდებობით  
და ხალხის მოვლაც ხომ შეუძრება..  
მაგრამ, თუ ჩემზე უფროსი წყრება,  
მაშინ გავტრუნავ თავკივით სულსა.

ჩავლუნავ თავსა, დაუგდებ ყურსა...  
იციტ რისთვისა? — ვერ მკადრებს ცემას,  
ლანძღვით კი მლანძღოს, რამდენიც პნებაეს,  
ვერ მომაყენებს იმითი ენებასი“.

ამ ბიუროკრატ მლიქვნელს ქრთამის აღება ხელობად გადაუქცევია. მაგრამ „კარგი ბაჩა“, „ლაზარინოს წყვილი დამბაჩა“, „ირმის გავა“, „ჭეირანის სამწვადეები“, „ხოხობი, კაკაბი, დურაჯი“, „გარეული ღორისა და მშვლის ხორცი“, „კარგი ორაგული“, — რომლებიც მისთვის მიაქვთ თურმე, „ეს რა ქრთამია? — მოსაკითხია გარწმუნებთ ფიციტ“, ეს გაქნილი მექრთამე „არც კახურ ღვინოს“ თელის ქრთამად, არამედ უბრალო „პატივისცემათ მიაჩნია“, თუ „ოცი კაციტ სახლში სტუმრად დაპატიჟებთ“, როგორც „ნათესავი“ სახლში შემოვა, მასპინძლის „ცოლსაც მიუალერსებს“, მის „ქალსაც გულით გადაეხვევა და გადაკოცნის იქ, თქვენს თვალწინა“. ყველა ამისათვის მასპინძელს პირდება სამაგიერო პატივისცემას:

„ნაცვლად ამისა, თქვენს სულელს შვილსა  
ჩემთან დავნიშნავ და წაეწეე წინა!  
მისთვის ადგილი თუმცა არა მაქვს,  
მაგრამ მე გავხსნი იმავე წამში“...

მაგრამ ვის ადგილზე უნდა მიიღოს სამსახურში ახალი კაცი? ამაზე თავხედი მოხელე ცინიკურად აცხადებს: სამსახურიდან გააგდებს საქმისათვის თავდადებულ, პატიოსან, მაგრამ უფროსისათვის „ურგებ“ ღარიბ მოსამსახურეს. ეს გათავხედებული ჩინოვნიკი,



თურმე „ქრთამს არ იღებს“, ხელს არ გაისვრის „ოცდაათი თუმნი-სათვის“, არც, „სამოცს“ დაშურდება, არც ოთხმოცს; „ორასისათვის“ კი ხმას ჩაიკმინდავს, მაგრამ თუ მოეცემა შემთხვევა „ოციათასი თუმნის ოქროს“ აღებისათვის, —

„რა გაეწყობა, მოვიღებ ხელსა,  
თუ გინდ სახელი გამიობროსა  
თუ გინდ გამსვაროს თავით ფეხამდინ,  
სულ გამიჩირქოს ორივე ხელები  
არას დაგიღვე, საპნით დაიბან  
და ფულით მაინც ვისახელები“.

რადგ. ერისთავმა ამ ლექსით სამარცხვინო ბოძზე გააკრა მორა-ლურად დაავადებული ძველი რუსეთის ბიუროკრატიულ-ჩინოვნი-კური მმართველობა, რომელსაც თვით მთავრობის ორგანოები დარა-ჯად ედგნენ.

მწერლები სასტიკი ცენზურის პირობებში იგავ-არაკების საშუ-ალეობით ახერხებდნენ ამ თემაზე წერას. რაფიელმაც ამ ხერხს მი-მართა, მაგრამ ცენზურის მიზეზით ეს ლექსი პირველად („ცისკარი“, 1868 წ., № 8) მაინც 29 სტრიქონის შემოკლებით დაიბეჭდა. სრული სახით მხოლოდ 1893 წელს გამოქვეყნდა, მის კრებულში, პოეტის ცენზორად მუშაობის დროს.

1868 წლის მაისში რადგ. ერისთავმა დაწერა ლექსი „ღარიბი“, რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა „ცისკარში“ (№ 8). ამ ლექსის წყარო პუშკინის „ძუნწი გმირი“ (რომლის თარგმნას რაფიელი ამ წლებში შეუდგა) და ლ. არღანზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჭლანუა-შვილის“ შინაარსი ჩანს.

პოეტი „სულით ღარიბს“ უწოდებს ძუნწ მდიდარს, რომელიც ოქროებს ქისაში მალავს და „ხახა შიმშილისაგან უშრება“. „ოქროს ჭზინვარებისაგან“ თვალვებდარბავებული მდიდარი შიშითაა შეპყ-რობილი და ღამეები არ სძინავს. „ძუნწი მდიდარის“ ასეთი ტანჯ-ვით ცხოვრება პოეტმა დაუპირისპირა ღარიბი კაცის ცხოვრებას და მართებულად გაიაზრა: ღარიბიც კი უფრო ბედნიერია ისეთ

უგუნურ და ძუნწ მდიდარზე, რომელსაც ოქროების შექმნის დაუ-  
ოკებელ ცდაში ნამდვილი ცხოვრება ხელიდან ეცლება.

ლექსში „ერთი კაცის სურათი“ (1870 წ.) რეალისტურადაა  
დახატული ფუქსაეატი, უსწავლელი და შურიანი ადამიანის სახე,  
რომელსაც პატიოსანი შრომა ეზარება, არც მსახურობს და საზო-  
ვადობისათვის ზედმეტ მუწუჯად ქცეულა:

„მე ვიციან ერთ ყმაწვილს კაცს, თეთრსა, წითელ წვერასა,  
სწავლაზედ სუსტად არის, ცდილობს ლანძღვის წერასა,  
„ტყინი“ შარვალად აცეია, თავში არ უღვეს ტყინი,  
სათვალეებსა ხმარობს, ვითომც თვალთ აკლდეს ჩინი  
არ მსახურებს, შესცქერის მამა-პაპის კერასა...“

1871 წლის 25 მარტს ქუთაისში ყოფნისას რაფ. ერისთავმა  
დაწერა სატირული ხასიათის ლექსი „დათვი და ცხვრები“, რო-  
მელშიც ალეგორიულადაა დახატული თვითმპყრობელური რუსე-  
თის კოლონიური მმართველობის ტლანქი სისტემის უარყოფითი  
გავლენა მცირე ერების ცხოვრებაზე. ასეთი უხეში დამპყრობელუ-  
რი პოლიტიკის გამო, აღნიშნავს პოეტი, მას „ერთხელ თავი შეუტ-  
რუსეს, თვითონ ახსოვს ესა“, მაგრამ იგი მაინც „ღრინავს და ბუტ-  
ბუტებსო“. ეროვნული ძალადობის ამ მახინჯი სინამდვილის მარ-  
თებულად დახატვის შემდეგ პოეტი ანდაზისათვის დამახასიათე-  
ბელ ოვალ ჩამოფარებულ ფორმით გამოხატავს ბრძოლისა და  
პროტესტის შემცველ საკუთარ აზრებს:

„მტრედსა მისის სიმშვიდითა წისკარტი მოკრესო!“  
„რადგან „ჭირს გაძლება უნდა“, ვაი ჭირის მქეზელსაო!“...  
„მგლის შიშით ცხვარს არ გზწყვეტენ, არ ირცხვიან პირსა“.

რაფ. ერისთავის აღნიშნული ლექსი ეროვნულ-განმათავისუფ-  
ლებელი იდეების მატარებელია და ეხმაურება იმ ახალი, რევოლუ-  
ციური, დემოკრატიული პროგრესის ქარის ქროლვას, რომელიც  
პარიზის კომუნის ამბებმა კიდევ უფრო გააძლიერეს და მთელ  
მსოფლიოს მოსდეს. ცნობილია, თუ როგორ ძლიერად გამოხატა

დიდმა ილიამ ეპოქის ეს ძლიერი სუნთქვა თავის ლექსში „1871 წელი 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“. მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსის გამო „დათვი და ცხვრები“ წლების განმავლობაში ვერ დაიბეჭდა. მისი დასტამბვა, ისიც არასრულად, მოხერხდა რაფ. ერისთავის ცენზორად მუშაობის წლებში (იხ. თხზულებათა რეზიუმე. ნაწ. 1. 1893 წ.). მოიპოვება აღნიშნული ლექსის ორი ავტოგრაფი. ერთი მათგანის ვარიანტი (არასრული) ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, ხოლო ყველაზე სრული ვარიანტი — ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის კ. ლორთქიფანიძის არქივში (იხ. საქმე № 287 (2), რომლის მიხედვით სრული ტექსტი აღნიშნული ლექსისა დაიბეჭდა „ლიტერატურულ ძიებაში“ (№ XI, 1958 წ.).

თავისი დამრიგებლობითი შინაარსით საინტერესოა რეალისტური ყოფის ამსახველი იგავ-არაკი „მომკალი და კელა“. წყლის პირად მომუშავე გლეხი შეიბრალეbs ბზიკს და დახრჩობისაგან გადაარჩენს, მაგრამ „სიკეთისათვის“ ბზიკი მარჯვენაზე უკბენს. აქედან მწერალს გამოჰყავს მორალი „სიკეთისათვის სიკეთე — ამბობენ არვის უქნიაო“. ასეთი ქცევა, აღნიშნავს პოეტი, დასაგმობია, თუმცა ძნელია მოაშლევინო ავ კაცს სიძულვილი და ბოროტება ისე, როგორც ვერ მოაშლევინებ „მგელსა ღმუილს“, „ვირსა ტლინკებს“, „ძალსა ყეფასო“.

60-70-იან წლებში დაიწერა, აგრეთვე, მხატვრული გემოვნებით შესრულებული ლექსები: „შავი ზღვა“, „ჩემი ლოცვა“, „ეპიტაფია“, „ყანწი“, „ცრუ მოფიცარს“, „წყალი“, „ვარსკვლავს“, „ჩემი ჭალათები“, „ობოლი და მისი დედა“, „თაგვების და კატების ომი“ და სხვ.

მათ შორის ლირიკული მხატვრული ღირსებით გამოირჩევა „შავი ზღვა“. 1860 წელს ფოთში ყოფნისას პოეტზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია აბოხოქრებული ზღვის სრბოლას:

„ზღვის პირას ვდგე ვარ გაოცებული,  
მისის გრვეინისგან გაბრუებული...  
რა ვუზებერ მისსა ლელვას, ვაებას,  
ახლა ვგრძნობ ჩემსა ამაოებას“.

ადამიანის ხასიათის დახატვის თვალსაზრისით საინტერესოა ლექსი „კითხვა-მიგება“ (1876 წ.), სადაც მაშინდელი საზოგადოების უარყოფითი ტიპია გამოკვეთილი. ეს ლექსი ორიგინალურია აგრეთვე თავისი დიალოგური ფორმითაც.

გსურს მოგე ფული?

—ჩქარა.

თუ გაქვს სამშობლო?

—არა.

ეტრფი ცოლშვილსა?

—ძვირათ.

თუ სცრუობ ზოგჯერ?

—ხშირათ.

შენი ხელობა?

—ადლი.

რა უფრო გძულსა?

— მადლი.“

1876 წელს დაიწყო ბალკანეთის ხალხის გმირული ბრძოლა თურქი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებისათვის. რაფ. ერისთავმა გაბედულად აღიმადლა ხმა მოძმე ბულგარელი, რუმინელი და სერბი ხალხების დასაცავად. პატრიოტულ ლექსში „მოძმეთადმი“ (1876 წ.) იგი მოუწოდებდა ყოველგვარი საშუალებით დახმარებოდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლთ:

„ჩვენცა ვყოფილვართ ამ დღეში, უსჯულოთაგან წყლულითა,

მაშ, მოვეხმაროთ მოძმეთა: სისხლით, ნიჭით და ფულითა,

ჩვენც გავიხსენოთ ძველი დრო ვეცნეთ მტერს რკინის გულითა,

ნაცვლად გვიძღვნიან მადლობას სულითა დადაგულითა“.

განხილულიდან დამაჯერებლად ჩანს, რომ რაფ. ერისთავის 60-70-იან წლებში დაწერილ ლექსებში მცირე ადგილი უჭირავს სატრფიალო მოტივს. ის ძირითადად ამახვილებს ყურადღებას სოციალურ თემატიკაზე, მით უმეტეს ეს ითქმის ამ პერიოდის მთელ ლიტერატურულ პროდუქციაზე (მოთხრობები, დრამატიული ნაწარმოებები, წერილები), რომელშიაც სიყვარულის თემატიკას

მწერლის შემოქმედებაში ოდნავ შესამჩნევი ადგილი ეთ-  
ბობა. ამასთან რაფ. ერისთავის სატრფიალო ლექსების ჯანსაღი,  
რეალისტური ხასიათი, მისი ნამდვილი, წმინდა სიყვარულის მოტი-  
ვი მართებულად არ შუქდებოდა კრიტიკულ ლიტერატურაში. გა-  
ნა ზორციელი სიყვარულის ნიმუშად შეიძლება გამოვაცხადოთ  
რაფ. ერისთავის თუნდაც ეს სიტყვები:

„რომ არ ჩამწერე მე შენს გულში, ეს მიღუღებს ტვინს,  
რადღაც მივენლო მე შენს ალბომს, მცირე ფარატინს,  
თუ ჩემთვის შენს გულს არ აქვს ადგილი რომ დაითიოს,  
მეშ რად გინდივარ ან სააქავოს, ან საიქიოს?“

(„ალბომში“. 1856 წ.)

ფაქიზი სიყვარულის გრძნობის აღმძვრელია რაფ. ერისთავის  
გულწრფელი სიტყვები, რომელიც მან მიუძღვნა თავის მომავალ  
საცოლეს, უხვი სილამაზით დაჭილდოვებულ თეოდოსიას:

„დიდი ხანია ჩემსა გულსა. დაწყლულბულსა,  
ალარც ნუგეში, არც ალერსი, არ ჰკარებია,  
ღრდი ხანია თავი ჩემი აღარ სდევს გულსა,  
რომ ჰხედავს თვითონ აღარავის არ ჰყვარებია!..“

მაგრამ ორმოც წელს მიღწეული უცოლო პოეტი უიმედოდ  
თვლიდა თავის რომანს სავსებით ახალგაზრდა ერისთავის ასულ-  
თან, აი როგორი სიტყვით მიმართავდა რაფიელი თავის სათაყვანო  
არსებას.

„რად შემიყვარებ? განა არ ვიცი,  
შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოზუცი.  
მაგრამ, ლამაზო, გული არ ჰქნების,  
წინწკალი მასში ცხოვლად იხრწნების,  
თუ მოეკარე — მსწრაფლ აღენთების,  
იღეთქებს, დაგწეავს, თვითც დაიწვების!..“

ცნობილია, როგორ სათუთად შეინახა პოეტმა ეს წმინდა სიყ-  
ვარული თეოდოსია ერისთავისადმი. ამიტომ გულწრფელად მი-

მართავდა მგოსანი თავის სათაყვანო არსებას ქორწინების დიდო  
ხნის შემდეგაც:

„რად გინდა სარკე, შე ცელქო, შენა?  
ხომ იცი, ზეცამ რომ დაგამშვენა?  
შენს სილამაზეს ეგ ვერ გიჩვენებს, —  
მართლის ჩვენებას განგებ იჩემებს...  
დასტურ გსურს ნახო შენ შენი სახე?  
აბა ჩემს გულშიც ერთხელ მონახე,  
ჩამოიხედე, — იქ კნახავ შენს თავს,  
ნამდვილ სურათსა, ანგელოსის მსგავსს“...

ქეშმარიტი, ადამიანური სიყვარულის იდეალს ემსახურება  
რაფიელ ერისთავის ნათარგმნი ლექსების დიდი უმრავლესობა: პო-  
ეტი მაშინ არის ეჭვიანი და უნდობი, როცა უყვარს სატრფო:

„ვისაც ქეშმარიტად უყვარს, იგი კიდევ იჭვიანობს,  
კაცს რაც უყვარს, სჯობს დაკარგოს, ვიდრე სხვას გაუზიაროს“...

(„იჭვიანი“, გრეკოვიდან).

პოეტის სული ვერ ეგუება საყვარელი არსების ღალატს და  
მწარედ განიცდის ასეთი ადამიანის ბედს.

ეფიქრობთ, საკუთარი სულიერი სამყაროს საიდუმლოება  
გახსნა პოეტმა, როცა მან 1862 წელს თარგმნა ლერმონტოვის ფი-  
ლოსოფიური ხასიათის სატრფიალო ლექსი „მადლობა“.

„რისთვის შეგვეყარა ნეტა ჩვენ ხვედრმა,  
დავვაკაეშირა ჩვენ ერთს წუთს ბედმა,  
დანიშნულება თუკი სხვა იყო,  
რადგან ჩვენი გზა მალე გაიყო...“

მადლიერი ვარ მე ყრვლისფრისა,  
რითაც მოვტყუვდი მე მსხვერპლი მტრისა;  
ისე ჰქმენ აწი, არ გამიჭირდეს,—  
მეტი მადლობა აღარ დაშვირდეს!..“

70-იან წლებში რაფ. ერისთავის სატრფიალო ლექსები ახალა  
ნაბიჯია წინ. თავისი ჭანსალი ხასიათით ისინი მწერლის მსოფლმ-  
ხედველობის განვითარებაზე მიუთითებს. ამ პერიოდში შექმნილა

ლექსები მშრომელი ხალხის ყოფას და მის სულსკვეთებას გად-  
მოგვცემენ. აი როგორ უყვარს მეურმე ვლენს მისი გულის სატრ-  
ფო, რა აზრი და შეხედულება აქვს მას სიყვარულზე:

„—გოგოს ჰირიმე, გოგოსი, ჰირიმე ერთად-ერთისა,  
პ.წა გოგოსი, დილის მზის, ჰირიმე იმის ღმერთისა,  
გოგოს ჰირიმე, გოგოსი, ჰირიმე ლერწამ-ტანისა!“

(„გოგოს ჰირიმე“).

გაშლილი იალაღია, ბუნება თავის სიმშვენიერეს ზეიმობს: აგერ  
სილამაზის ქალღმერთი „შავთვალა“ მწყემსი ქალი ვაჟს შეხედება.  
ქალი მორცხვობს და უხერხულობისაგან თავის დასაღწევად „კა-  
ვებს იგრებს“, მაგრამ გამომწვევ თვალებს მაინც არ აშორებს  
ვაჟს:

„ბიჭი აენტო შმაგივით, თვალები დააბრიალა,  
წამოჭდა მარჯვედ, სალამურს ჩაპბერა, ჩააწკრილა!  
ჩააკაჟანა ხმა ტკბილი, სევდის ხმით შეაშხრიალა,  
შავთვალას გული მოუკლა, გონება გაუტიალა“...

განა ამაზე უკეთესად სხვაგვარად შეიძლებოდა ამ შეხვედრის  
შედევად გამოწვეული გრძნობის პოეტური განზოგადოება? რა-  
საკვირველია, არა. ამ ლექსში ჰეშმარიტადაა დახატული მწყემსი  
ქალ-ვაჟის იდილიური სიყვარული.

ცალკე განხილვის ღირსია რაფ. ერისთავის ორი ლექსი „ყან-  
წი“ და „ღვინო“, რომელნიც პოეტმა ერთ და იმავე დღეს დაწე-  
რა — 1868 წლის 7 აგვისტოს და დაიბეჭდა იმავე წელს (ურნ.  
„ცისკარი“, № 7). ეს ლექსები საკმაო მხატვრულობით ხასიათდები-  
ან, რაც ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში აღნიშნული იყო კიდევ,  
მაგრამ მათი მოტივების მნიშვნელობა ჯერ კიდევ სათანადო დამა-  
ჯერებლობით არ არის გახსნილი რაფ. ერისთავის პოეზიის საერ-  
თო ხასიათსა და მიმართულებასთან დაკავშირებით, ზოგიერთ  
შემთხვევაში კი ყალბად არის გაგებული და ინტერპრეტირებული.  
მაგ., პროფ. მ. ზანდუკელი იმისათვის, რომ დაასაბუთოს თითქოს  
„რაფიელ ერისთავი თავისი შემოქმედების 40—50-იან წლებში  
გამგრძელბელია დაცემის გზაზე მდგარი თავადაზნაურობის ლი-

ტერატურული ჰანგისა“ — სწორედ ამ ლექსებს იყენებს საილუსტრაციო მასალად, თუმცა ეს ლექსები 70-იან წლებს უფრო ეკუთვნის. ამ წლებში კი პოეტს ღვინოზე არც ერთი სტრიქონი არ დაუწერია. ამასთან ერთად, ამ ლექსებში სრულებით არ მოიპოვება სიყვარულის მოტივი, „დეგრადაცირებული კლასის“ განცდა და ღვინის გამო „ეშხში შესვლის“ მაგალითები. „რაფ. ერისთავი ეშხის ამგზნებ სხვა ატრიბუტებსაც უმღერს. ამგვარი ფსიქოიდეოლოგიისათვის ხომ ქალის ტრფობა შეუძლებელი იყო ღვინისა, ქეიფისა და ყანწის ტრიალის გარეშე; ეშხში მოსული პოეტი ძალუმად განიცდის ღვინის მნიშვნელობას და ღირსებას“. თითქოს ამ ლექსებში „მოცემულია ტიპიური განცდა დეგრადაციის გზაზე დამდგარი კლასისა, როშელიც ღვინოსა და ქეიფის ექსტაზში ჰკლავს მგესლ ჰიას. ასე დაუნდობლად რომ ღრღნის მას“ (მ. ზანდუკელი, „ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. II, გვ. 388—389, 1954 წ.)<sup>1</sup>.

რაფ. ერისთავის პოეზიის შეფასებისა და მწერლის მსოფლმხედველობის გარკვევისათვის ამ ლექსების მართებულ გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ლექსებში („ღვინო“, „ყანწი“) არა თუ არაფერია ფეოდალური კლასის დეგრადაციის მანიშნებელი, არც ღვინისა და ყანწის ისეთი გააზრებაა როგორც იგი ზოგიერთი რომანტიკოსების ლექსებში გვხვდება; პირიქით, რაფ. ერისთავს კარგად ესმის ლოთობის უარყოფითი მნიშვნელობა. ლექსში „ღვინის ძალა“ პოეტმა საგანგებოდ გააიციხა ლოთობის მოყვარულნი.

გარდა ამისა, 70-იან წლებში რაფ. ერისთავი მკვიდრო კავშირში იყო თერგდალეულებთან, მათთან ერთად საზოგადო საქმიანობაში იყო ჩაბმული და მისი პოეტური ხმაც ერის სამსახურით იყო შთაგონებული.

ლექსი „ღვინო“ თავისი შინაარსით წმინდა რეალისტური ხასიათის ნაწარმოებია. აქ ლაპარაკია ღვინის დადებით და უარყოფით მხარეებზე, მხატვრული გემოვნებით დეტალურადაა ჩამოთვლილი ღვინის თვისებები და დანიშნულება ადამიანისათვის,

<sup>1</sup> ეს სიტყვები უცვლელადაა შესული „მეოთხე შესწორებულ და შევსებულ გამოცემაში“. გვ. 425—426, 1962 წ.



რაც მას რეალურად ყოველთვის ჰქონდა, აქვს და მომავალშიც ექნება. მაგალითად:

„ღვინო ჩენი სიციხლე, ძალა...  
გამბედაობა, ნუგეში, ფული  
...ღვინო, რომ მხდალს აგულიანებს,  
ღვინო, რომ ჟანს უმატებს ჩენს მკლავს  
...ღვინო წყაროა ბოროტებისა,  
ღვინო — წამალი უძღურებისა...  
...ღვინო, რომ ჩვენ გვართმევს ნებასა,  
თვალის სინათლეს და გონებასა“...

ჩვენს მოსაზრებას, რომ „ღვინო“ არ გამოხატავს დაღმავალი კლასის და რომანტიკოსების სულისკვეთებას, ადასტურებს აგრეთვე რაფ. ერისთავის ლექსი „წყალი“. ეს ლექსიც 1868 წელს დაიწერა და საგულისხმოა მისი მსგავსება „ღვინოსთან“ რიტმით, სიტყვიერი მასალით. გააზრებითა და დანიშნულებით:

„მაუ, ძმაო ჩემო, წყალია ჩენი  
ხვედრი, სიციხლე გამოსაჩენი;  
წყალი—ბუნება, ძალა, ცხოვრება,  
წყალი სიმდიდრეს შეესწორება...  
...წყალი გზა არის ჩვენთვის მტრობისა,  
„წყალია ჩვენთვის—გზა ვაქრობისა“.  
წყალი—წამალი სნეულებისა,  
წყალი წყაროა უკვდავებისა“

როგორც ვხედავთ აქ კიდევ უფრო მეტი კონკრეტულობითაა ახსნილი წყლის სხვადასხვანაირი თვისება, დანიშნულება, დადებითი და უარყოფითი. მაგრამ გამოხატავს იგი რომელიმე კლასის „დეგრადაციას“? რასაკვირველია, არა! ეს ლექსიც ისეთივე რეალისტური ნაწარმოებია, როგორც „ღვინო“. ამიტომ უმართებულაა მოსაზრება თითქოს, ვინაიდან „შინაარსეულად დაცლილი კლასი ქეიფისა და დროსტარების კულტს ამახვილებს“, ხოლო რაფ. ერისთავი თავადაზნაურული წარმოშობისაა, ყანწი კი „ქეიფის სიმბოლოა“ თურმე, ამიტომ „ქეიფის მამოძრავებელი ძარღვი

პოეტს სიამოვნებას აღუძრავს და ის ექსტაზში შეყავს. ქალის ეშხი, ვნებიანობა, ღვინო, ქეიფი ყანწით, შინაარსეულად დაცლისათვის ხარვეზის შემავსებელია, თავდავიწყების გზით გამოსავალია იმ სევდა-ნალღელისა. რომელიც მის გულს მგესლი გველივით შერმობხვევია და მოუშხამავს“ (მ. ზანდუკელი, გვ. 389). არაფერი ამის მსგავსი რაფ. ერისთავის მართლაც და შესანიშნავ ლექსში „ყანწი“ არ არის. ეს ლექსი წარმოადგენს გლეხის მონოლოგს, რომელშიც ცოცხლად არის დახატული ქართული ყოფის ერთი კუთხე თავისი სიხარულითა და მწუხარებით, მოგონებებითა და განცდებით. ლექსი იწყება იმით, რომ გუთნის დედას მოუკვდება ერთგული ხარი ირმა და მის სახსოვრად გლეხის სუფრას ამშვენებს ირმას რქისაგან გაკეთებული ყანწი. ამის შემდეგ ჩამოთვლილია ყანწით სმის საწესო ჩვეულება ქართულ სუფრაზე, ჭირში და ღვინოში, მისი უპირატესობა თუნდაც ბროლის ჭიქებთან და სხვა:

„ყანწი მიყვარს მე, სპეტაკად თლილი,  
ტურფად მოხრილი, ბოლოში წვრილი,  
ყანწით მიყვარს სმა ძველებურად:  
ღვინით, ღვინით, ტკბილად, ძმურადა  
რად მინდა ჭიქა, რად მინდა ბროლი,  
მე ყანწი მიყვარს, ყანწი ნასროლი  
ტოლუმბაშისგან... აგერ მეც დავცლი  
და მეორესა აღარ დავაცლი“... და ა. შ.

როგორც ჩანს, აქ ყანწის დანიშნულების ეთნოგრაფიული აღწერაა, აგრეთვე გადმოცემულია ქართველი გლეხის სიყვარული მამაბაბაური ყანწისადმი.

\* \* \*

80-იან წლებში მთელი სისრულით გამოაშკარავდა ცარისტული მთავრობის რეფორმის მთელი სიყალბე. გლეხს ერთი ბატონის ნაცვლად ათი ბატონი გამოუჩნდა: ბატონი, გზირი, ვაჭარი, მამასახლისი, ჩაფარი და ბიუროკრატიული მმართველობის მთელი ჩინოვნიკური ხროვა და რაფ. ერისთავის პოეტურმა ლირამ მშრომე-

ლი ხალხის კირ-ვარამზე დაიწყო გოდება. ამ პერიოდში პოეტის მხატვრული გემოვნება უფრო დახვეწილია. პოეტი ახლოს მიდის ცხოვრების სინამდვილესთან, ხასიათები ჩამოყალიბებულია, ნაწარმოებთა გმირები ტიპიურია.

80-იან წლებისათვის თერგდალეულთა დამოკიდებულება ბატონყმობის საკითხებისადმი შედარებით 60-იან წლებთან შერბილებულია. რეფორმის პერიოდის მებრძოლი ტონი შეიცვალა ლიბერალური, შემარიგებელი პოლიტიკით, თითქოს კლასთა ბრძოლის გარეშე შესაძლებელი იყო ცხოვრების გაუმჯობესება, მემამულის განათლება, გლეხისა და მემამულის შერიგება.

რაფ. ერისთავმა კარგად იცოდა მომხდარი რეფორმის მოჩვენებითი ხასიათი: უმიწოდ მინიკებულ თავისუფლება ახალი მონობის დასაწყისი იყო გლეხობისათვის. მაგრამ პოეტს შესანიშნავად ესმოდა გლეხკაცის როლი საზოგადოებრივ ძალთა განვითარების, ერის გაჯანსაღების საქმეში. არჩილის სიტყვებს: „თუ ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა“ არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელი საქართველოსთვისაც.

80-იან წლებში რაფიელმა ქების ჰიმნი უმღერა გლეხობას, მის პატიოსან შრომას, იმ კლასს, რომელიც მთავრობისა და მემამულეების დამცირების, გაქვლის და ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენდა, ხოლო შრომა სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა. ამ ჩაგრულ გლეხის შრომას, მისი ადამიანური ღირსების დაცვას უძღვნა რაფიელმა არა ერთი და ორი ხელიხელ საგოგმანებელი ლექსი, რომელთა საერთო დევიზი იყო არა მის ბედში მყოფი ადამიანის, არამედ, ბედისაგან დაჩაგრული გლეხკაცობის ტვირთის გაზიარება, ამით რაფ. ერისთავმა სამართლიანად მოიპოვა ქართველ-ხალხში ისეთი დიდი პოპულარობა, როგორც რუსეთში გლეხთა ცხოვრების მომდერალმა პოეტმა კოლცოვმა.

80-იან წლებში დაწერილ რაფ. ერისთავის ლექსების ერთ ნაწილში პოეტს დახატული ყავს არა მემამოხე, არამედ მომთმენი, პატონისანი, შრომისმოყვარე გლეხები. ამით რაფიელმა უჩვენა საზოგადოებას, რომ ეს დიდი მოთმინების ადამიანები — გლეხები გაცილებით უფრო მაღლა დგანან თავიანთ მჩაგვრელებზე. გლეხე-

ბის ასეთი სულით მაღალი, ჯანსაღი სიცოცხლის საზოგადო ასპარეზზე გამოტანა თავადაზნაურობის სიზარმაცესა და დაცემას ააშკარავენდა.

პოეტი აგვიწერს ზამთრის შემდეგ გაღვიძებულ შრომის სუფევას. გაზაფხულის დასაწყისია, ბუნება თოვლის საბანს იცილებს და მიწას შრომისათვის ათავისუფლებს. ბავშვები მხიარულებენ, მოხუც პაპას მზიანი ადგილი მოუნახავს და ძვლებს ითბობს, ყოველი ცოცხალი არსება შრომისათვის ემზადება; გლეხი კაცი „სახნის-საკვეთსა სწევრავს“, „ბოსტანს ზღურბლს ავლებს“, ფრინველებიც ბუდეებს იკეთებენ, მრავალფერად აყვავებული ბუნებაც შრომის ხელის შემწყობია და „დეე ცივ ზამთარს ჰშურდეს, ამგვარი ძალა, სიცოცხლე გაზაფხულისა“ („გაზაფხული“).

პოეტის გლეხი გამრჩეა, იგი ვერ ისვენებს, თუ არ მუშაობს. გაზაფხულდება თუ არა, მაშინვე მინდვრად გადის სამუშაოდ დითიქოს ისვენებს კიდევ მიწასთან ბრძოლაში, ხენასა და თესვაში: „არიქა, ბიჭო, ვიჩქაროთ, — იჩქარის ყველა სულდგმული: კარგს ნიშნებს ვხედავ, ღვთის მადლმა, უსაქმოდ მიწუხს სულ გული!...“ („გაზაფხულდა“).

გაზაფხულს ზაფხული მოჰყვა, „სიმინდები დაითონხა, თივა დადგეს“, ანეულს კარგი აზინდები დაუდგა. ამ პატარა ლექსში „ზაფხული“ მინდვრად გაჩაღებული შრომის ისეთი მიმზიდველი სურათია დახატული, რომ მკითხველს სურვილს აღუძრავს თვითონაც ჩაებას შრომის ფერხულში.

მიმზიდველი, მხატვრული ფერებითაა აღწერილი აგრეთვე შრომის პროცესი ყურძნის კრეფის დროს. მხიარულია პოეტის გლეხი მოსავლის აღებისას, რომ „არ უღალატა გუთანმა“ და ხედავს თავისი შრომის ნაყოფს, რომელიც ჩქარა მოვლა-დაბინავებას მოითხოვს: „ყურძენი დამწიფებულა, დახე, როგორ წითლად ღუის, ჩქარა, ჩქარა რთველი თორემ კოლო, ბუზი თავს დაჰბზუის“ („რთველი“).

ასევე დღესასწაულია გლეხის ოჯახში პურის მოსავლის აღებისას. გლეხი ამაცობს თავისი შრომით მოწეული პურის კარგი მოსავლით, რომელსაც შინდის კურკის ოდენა მარცვლები გაუკეთე-

ბია („პურის მოსაველი“). ამ ლექსის მხატვრულობის გამო აკ. წერეთელი „ივერიაში“ წერდა: „რაფიელის ლექსებში ერთი პატარა ლექსი ურევეია „პურის მოსაველი“, რომელიც ობოლი მარგალიტია მთელ ჩვენს მწერლობაში!“<sup>1</sup>

პოეტს არ ავიწყდება ბეჩავი ავადმყოფი ქვრივი თინიაც, მას ერთადერთი, წვით და დაგვიტ გამოზრდილი შვილი ჰყავს, რომელიც დღის მეხრეობაში მუშაობს; ამიტომ თინიას მოუხნენ ერთი დღის ნაოში, მაგრამ ამ პატარა მიწისათვის არ აღმოაჩნდა სათესლე. ქვრივი თინია თავის თანამემამულეებს მიმართავს დახმარებისათვის. მუჰა-მუჰა მოაგროვა თესლი და მაინც დათესა პური. კარგი ყანა დაუდგა, მაგრამ მომკალი არ გააჩნია. გაჭირვებულ ქალს მამითადი დაეხმარა მომკაში. თინიას სიხარულს საზღვარი არა აქვს, „ციბრუტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია, მამითადი ჰყავს თინიას, დღეს არის მისი ღვინია“.

გლეხის მძიმე შრომის სურათია დახატული რაფ. ერისთავის ლექსში „სურათი სოფლის ცხოვრებიდან“. პაპანაქება სიცხეში ახალგაზრდა გლეხი დილიდან საღამომდე მომქანცველ შრომას ეწევა. საღამო ხანს სახლში დაბრუნებულს ცოლი ცარიელ მკადასა და წყალს დაახვედრებს, მაგრამ გლეხი სულიერად არ ეცემა. მას გაჭირვებას უმსებუქებს ოჯახური მყუდროება, ახალგაზრდა ცოლი, პაწია გიგლა, რომელიც „ულვაშებზე ხელს უცაცუნებს“. გლეხის ხასიათს გაუტეხელსა და მხნეს ხდის პატიოსანი შრომა და იგი კიდევ ამაყობს ამით:

„ამაყობს ცოლით, ამაყობს შვილით,  
ამაყობს რომ აქვს ბევრი ნაშკალი,“

რაფიელის ყველა ლექსი სოფლის ყოფის ამა თუ იმ რეალურ სურათს გვიხატავს. იგი გვაცნობს გლეხის გაჭირვებულ ცხოვრებას, შიმშილს, ავადმყოფობას. პოეტს არ ავიწყდება არც აღზევანს მარილისათვის მიმავალი გლეხები („აღზევანს წასვლა“), არც თრიალეთის იალაღებზე წასული მეცხვარე („მეცხვარე თრიალეთ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1901 წ., № 168, „მცირე შენიშვნა“.

ზედა“), არც მიწის მხენელ-მთესველი გუთნის დედა და ღამის მეხრე („ღამის მეხრე“), არც უპატრონოდ მიტოვებული თავთავ დამძიმებული მოუძველი ყანა, რომლის პატრონი ლოგინად ჩავარდნილა („მოუძველი ყანა“), არც შიმშილისაგან გამწარებული გლეხის ჯალაბობა, რომელიც სიმწარის გამო ღმერთს უარს ეუბნება შესაწირავზე („შიმშილი“), არც მოხუცი დედა, რომელსაც კარგი მეურმე, კარგი მომკალი შვილი მოუყვდა და ოჯახი დაღუპვაზეა, ბატონი კი დახმარების ნაცვლად დარდებს უმატებს ღარიბი გლეხის გულს („დედაბერის მოთქმა“) და სხვა.

ვაზის მოვლა-პატრონობა საქართველოში, ყურძნის კარგი მოსავლის მოყვანა პატრიოტიზმის, ერთგულებისა და ქების საქმედ ითვლებოდა. ვაზის მოვლასთან დაკავშირებული შრომის კულტურა, ღვინის დაყენების სიფაქიზე, ყოველთვის ხოტბის საგანი იყო ქართულ ზეპირსიტყვიერებასა თუ ცნობილი მწერლების შემოქმედებაში. ლექსში „მევენახის სიმღერა“ რაფ. ერისთავს მეტად პოეტურად და ცოცხალი ფერებით აქვს დახატული გლეხიკაცის სიყვარული ვაზისადმი:

„ვაზო შეილივით ნაზარდო, უღვაშებ დაგიგრებია,  
ჩაქონებობარ კიგოსა, შუაზე გადგიტებია...“

გლეხი როგორც საყვარელ არსებას, ისე ესაუბრება ვაზს, რომელსაც იმდენი დაუსხამს, რომ ჭიგო გაუტებია; იგი მადლობას უხდის ვაზს კარგი მოსავლისათვის და სამაგიეროდ ფიცს აძლევს არ მოაკლოს მზრუნველობა:

„ვაგსხლა, შეგველო, გაგთოხნო, არც კი ჩნდეს მონათხარია,  
გაფუჩრჩქნო, გაგალამაზო, როგორც, რომ პატარძალია,  
აღარ დავზოგო მე შენთვის ჩემი ღონე და ძალია.“

ასევე ხარობს აღზევანს მარილზე მიმავალი გლეხი, რომელიც ამაყობს თავისი ხარ-კამეჩით, მაგრად და ღამაზად გაწყობილი ურმით, რომელსაც „ღერძი უდგია წიფლისა, გასაპნულ-გაპოხილია, ზედ თვლები ნიგვზის მორგვებით გახეშილ-გაჰედლილია.“ ეს ლექსი,

აღნიშნავდა „დროება“ 1883 წელს, „ყველა ხალხურის ლექსების გვირგვინია, უკეთეს ვერ ინატრებს ადამიანის გაუმძღარი გული. ძნელია გამოხატოს ის სიამოვნება, ის ღელვა სულისა, რომელსაც ეს ლექსი აღძრავს მკითხველში“<sup>1</sup>.

გლუხკაცის მესაიდუმლე, მისი შრომის შემამსუბუქებელი ხარ-კამეჩია, ლომა და ირმა, რომელთაც იგი ენდობა და ბოლომდე არ უღალატებს. გიშერა ხარი გლუხს სულსა და გულს ურჩევნია. ამიტომ აფრთხილებს მის ტოლ შინდას ზღაზვნით ნუ მიდის, სწორად გაუწიოს უღელი გიშერას:

„გაუწი, შინდავ, გიშერას, რადა ლალატობ ტოლსაო?  
გაუწი, ქედის კირიმე, გიშერა ცოლო ხარია,  
უშველე, ნურას ეულღუტობ, ტოლს დაუპირე მხარია.“  
(„ალზევანს წასვლა“).

მართებულად არის გლუხის ხასიათი გახსნილი ხენის დროს—  
ხართან „საუბარში“.

ნიშავ, ნიკორას გაუწი, მაგას შობი მხარია,  
მეხრევე, გაუჯარ შეინდასა, ცოტა ზარმაცი ხარია...“  
(„გუთან“).

ლექსში „თანდილას დარდი“ რაფ. ერისთავი დამაჯერებელ სა-  
ხეებში იძლევა ხარის დაკარგვით გამოწვეულ გლუხის ოჯახის უბე-  
დურებას. თანდილა ჩაფიქრებულია გიშერას დაკარგვით. რა ქნას,  
რით მოხნას, დათესოს, მომკას, როგორ გაუძღვეს ოჯახის საქმეს,  
როგორ აიცილიოს მოსალოდნელი შიმშილი. მხატვრულად ძლიერა  
ადგილია ლექსის მეორე ნაწილი, რომელიც ცალად დატოვებულ  
ირმა ხარის ბედს გვაცნობს:

„რა უყო შენს ცალ ირმასა,  
ვერ მოვიკარე თივითა,  
დარბის თვალ-დაფეთებული,  
ყვირის ხარ-ირემივითა“.

<sup>1</sup> „დროება“, 1883 წ., № 210.

თვითეული სიტყვა ამ ლექსში გულწრფელია, მკითხველი თანდილასთან ერთად განიცდის გლეხის გაჭირვებას, მისი გიშერა ხარის სიკვდილს, ირმას დაობლებას.

რაფ. ერისთავის შემოქმედებაში საინტერესოა გლეხისა და ბუნების დამოკიდებულება, რასაც პოეტი მხოლოდ პრაქტიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით გვიხატავს. იგი ყურადღებას არ აქცევს ბუნების სილამაზეს, მას არ აინტერესებს ლურჯი, მოწმენდილი ან მოღრუბლული ცა, მისი რომანტიული სილამაზე, გაზაფხულის თუ ზაფხულის წვიმა, შემოდგომის შავი ღრუბლების სრბოლა ან სხვა რამ, თუ ყველა ეს მოვლენა გლეხის სამეურნეო ცხოვრების საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული.

ბუნების სისასტიკე — ყინვა, ნიაღვარი, გვალვა, სეტყვა გლეხის კარმიდამოს ანადგურებს. ბუნების სიმკაცრისაგან კატასტროფიულ მდგომარეობაში მყოფი გლეხები ისევე მოსთქვამენ სიღარიბეზე, როგორც ბატონისა და ვაჭრისაგან გაძარცვული და გაუბედურებული ბერეუბი, სესიები, თანდილები და სხვა.

პოეტის გაგებით გლეხებს ბუნება იმდენად უყვართ, რამდენადაც მის ნაშრომს ხელს უწყობს. მეცხვარეს თრიალეთი თავისი გაშლილი მდელოებითა და გორაკებით უყვარს იმიტომ, რომ „აქ მწვანედ დელავს ბალახი... კალმახი იცის ოქროსი, დაწინწკლულ-დაჩითულია, ყველს მაძლევს, მატყლსა საჩოხეს“... („მეცხვარე თრიალეთზედა“).

აგერ გლეხის ყანას მზე თავზე დადგომია და „კარგი თვალით უყურებს“. ციდან ტოროლა დამღერის დამწიფებულ მოსავალს, რომელსაც სეტყვის ღრუბელმა „გრგვინვით გადაუარა“. გლეხი გახარებულია, რომ არ დაისეტყვა ყანა და სასოებით ლოცულობს:

„ღმერთო, აგცილდეს ავია, შენდა მოვხარე თავია,  
დალოცე ჩვენი ნაშრომი, გვიბოძე კარგი ხეაია!...“

(„ყანა“)

ინტერესით იკითხება ლექსი „საბრუას სახლკარობა და შეძლება“, სადაც გლეხი თვითონ აღწერს თავის სიმდიდრეს, მტერ-მოყვარეს: „ჩალური სახლი მიდგია, ხულა დერეფნით სრულია,



სხენი მაქვს წიფლის ფიცრისა, კედლები გამოწნულია“. რაფიე-  
ლის გლეხი ღარიბია, ღანდახან მშვიერიც, ლობიოს, მჭადის და ცა-  
რიელი წყლის მეტი არაფერი აქვს: შრომისა და ჯაფისაგან ხელები  
დაკორძებია, კისერი მზისგან დამწვარი და ჩაქანგებული აქვს,  
მაგრამ იგი მაინც ამაყად გრძნობს თავს და მედიდურად მიმართავს  
თეთრხელებიან არისტოკრატს:

„რად გიკვირს, ძმაო, შენ ჩემი დაკორძებული ხელები?  
ტულს და ბარს მოვაქნევიწე, ვვარიხე და ვვარიხე წწელები,

გინდა შანთს ავალებინებ, არც კი ამეწვას კანია.  
რად მაძლევ? არას მარგია მე შენი ხელთათმანები...

რად გიკვირს, ძმაო, შენ ჩემი აქეცებული კისერი?  
ქელი ამომწვა მზე-ყინვამ, ლაპლაპებს როგორც გიშერი“.

(„არას შემომტყერი, ძმობილო“).

ამგვარი ლექსებით რაფიელ ერისთავი გლეხის პატიოსან  
შრომას ამოდგომია გვერდით. გლეხი თავისი დაკორძებული ხელე-  
ბითა და თავდადებული შრომით ამაღლებულია, ყოველ მის ლექს-  
ში სითბო და თანაგრძნობა, პატივისცემა და სიყვარული იგრძნო-  
ბა მშრომელი გლეხისადმი. შრომის სუფევის ასეთი თავდადებული  
ქადაგება, გლეხის შრომის ამდაგვარი ხოტბა, პოპულარიზაცია და  
დაფასება არც ერთ მის თანამედროვე მწერალს ასეთი დამაჯერებ-  
ლობით და სიძლიერით არ დაუხატავს.

გლეხური ყოფის ჩვენებით არ შემოფარგლულა რაფ. ერისთა-  
ვის ნიჭი. მისმა გლეხებმა შეიგნეს, რომ მათი უმიწოდ გათავისუფ-  
ლება გლეხის მოსატყუებელი ხერხი იყო. გლეხი უარეს მდგომარე-  
ობაში აღმოჩნდა. მას არ გააჩნია მიწა, არც ფული, რომ მემამუ-  
ლისაგან მიწა-ნადელი შეისყიდოს. ამიტომაც, რომ პოეტი დღენია-  
დაგ მისი თანდილა-ბერუებისათვის ზრუნავდა:

„შენ შეიბრაღე გლეხი საწყალი,  
დაუსაკუთრე მიწა და წყალი,  
„ნადლის“ შეხსნა ნუ გაუძნელე,  
ჩვენც შევეწიოთ, შეგვაძლებინე“.

(„ღმერთო გვიშველე“).

მაგრამ პოეტი ხედავდა, რომ გლეხი გაჭირვებისაგან ვერ იხსნა პატიოსანმა შრომამ და ბედის მორჩილებამ. მან ნათლად დაინახა, რომ რეფორმამ არ მოუტანა გლეხობას თავისუფლება, მისი შრომის ნაყოფი სხვას მიაქვს. რაფიელის გლეხმა უკვე შეიცნო თავისი მძიმე ხვედრი და თუ ჯერ ფიქრს მისცემოდა („სესიას ფიქრები“, „ბერუას ჩაფიქრება“, „ბერუას ჩივილი“), შემდეგ აშკარა პროტესტსაც აცხადებს, რომ „ხნავს, თესავს, ებრძვის მიწასა და შრომა მაინც ფუჭია“. მისი გლეხი ახლა ყველას გასაგონად აცხადებს, რომ ვერ გაუგია ასეთი სამართალი, მიწას ქირაობს, წლიდან-წლამდე მუშაობს, ნაყოფი კი სხვას მიაქვს („ბერუას ჩივილი“).

რაფ. ერისთავის გლეხთა ხასიათების ასეთი ცვლილება ბუნებრივია. იგი რეალური ცხოვრების უკუფენაა. პოეტის გლეხის აზროვნება, უდარდელი „ღამის მეხრედან“ „ბერუას ჩივილამდე“ ან „ბერუას ჩაფიქრებამდე“ უსათუოდ უნდა მისულიყო, ხოლო „თანდღილას დარდიდან“ „სესიას ფიქრებამდე.“

მიწა გლეხისათვის ყველაფერია, იგი მისი „დედ-მამაც“ არის, „დაც, ძმობილიც“, ბერუა მზადაა ყოველგვარი გაჭირვება გადაიტანოს, მხოლოდ „მიწის ღალა მთესველს ასცილდეს“, მიწა მიწის მუშას ეკუთვნოდეს. მას სიკვდილამდე არაფერი არ დაალონებდა „შავი მიწა მაინც რომ სასყიდლად არ ჰქონოდა“ („ბერუას ჩაფიქრება“).

გლეხი ბერუა თავის მძიმე ცხოვრებაზე მოთქვამს; ჩარჩ-ვაჭრები, გზირი და მოხელეები ჩამოკიდებია კისერზე, სისხლს სწოვენ. როგორ არა სთქვას თავისი გაჭირვება? გეო-ვაჭრის ფული ემართა, თავნში პურ-ღვინო მისცა, ვახშში ფული. ვაჭარმა არ დაინდო, პირი უშალა, სოფლის მამასახლისის დახმარებით ვალი მეორედ გადაახდევინა. „არ შეარჩინეს ზედაშე, გოჭი, ქათამი, წიწილა, არც საბუდარში კვერცხები,—გამოუღიეს სინსილა“. „გეო ვაჭარი მის სახლში ნავარდობს როგორც ქორია, გზირიც, არყისგან გამტყვერალი გორაობს როგორც ღორია“. რა ქნას ბერუამ? მან შეიგნო, რომ გზირი, მოხელე, ვაჭარი, ჭირად გადაექცა და საჭირთა მათი თავიდან მოშორება („ბერუას ჩივილი“).

ლექსში „დემეტრეს ჩივილი“ გლეხის ოჯახს „ნათლის“ სამო-

სელში შემოეპარა თაღლითი და გაუმადლარი ჩარჩი-ვაჭარი, რომელიც ათი წელია ტყავს აძრობს გლეხს. მან დემეტრეს ოჯახი თავის ბუნაგად გაიხადა და დაუსჯელად თარეშობს მის კარმიდამოში.

პოეტი ხედავდა თავადაზნაურობის გაკოტრებას, ადგილმამულის ვაჭრების ხელში გადასვლას, შეწუხებული იყო გაკოტრებული მემამულისა და გაღარიბებული გლეხის ბედით. ერთ საახალწლო მილოცვაში, რომელიც 1886 წელს დაწერა, პოეტი უსურვებს გლეხებს, რომ ადვილად გადაურჩნენ მათ ჩასაყლაპად მომდგარ ჩარჩ-ვაჭრებს და მოვალეებს:

„მსურს, მუშა ხალხს გაუმარჯოს, თავის ოფლით და სწავლითა“. რომ გლეხი აცდენოდეს მამასახლისის, პრისტავის, ვაჭრის შემოტევას, ხოლო მემამულე „პრიკაზში“ მამულს გაყიდვას („საახალწლო მილოცვა“).

ბატონსა და ყმას შორის გაუთავებელ დავას მიუძღვნა რაფ. ერისთავმა 80-იან წლებში მთელი რიგი ლექსები.

დარდისაგან ცრემლგამშრალი, სიცოცხლეგამწარებული მოხუცი თევდორე გულხელდაკრეფილი დგას და დედამიწას ჩასჩერებია. ღრმა ფიქრებს წაუღია მოხუცი. თევდორეს ბატონმა ერთადერთი შვილი წაართვა თავისი ქალიშვილის სამზითვოდ. ბევრი ფიქრის შემდეგ გაბედა და შემკრთალმა ყმამ ფეხი შედგა ბატონის სახლში — თავისი ერთადერთი შვილის დაბრუნება ითხოვა. უღმერთო ბატონი ცეპით გაუმასპინძლდა მოხუც ყმას.

მკითხველი მოელის, რომ თევდორე ხმას აიმაღლებს ბატონის წინააღმდეგ, ან ვინმე გამოჩნდება, რომელიც გამოესარჩლება უსამართლოდ დასჯილ, შეურაცხყოფილ მოხუცს. მაგრამ არა. პოეტის გმირები ამას არ ჩადიან. ბეჩავ თევდორეს ისევე ხმა ჩაუკმენდია, ჩასკქერის შავ მიწას, თითქოს მისგან მოელის სამართალს („სამზითვო“):

რეფორმის შემდეგ მთელი სიმწვავეით დაისვა ხიზნების საკითხი. მთავრობის კანონი არაფერს შეიცავდა ხიზნის გათავისუფლებაზე. ფაქტიურად ისინი კვლავ მემამულის სრულ განკარგულებაში დარჩნენ. ყმა-გლეხების ჩამორთმევის გამო მიყენებულ ზარალს მემამულეები ხიზნების ექსპლოატაციის ხარჯზე ინაზღაურებდნენ. შეკამამულეთა თარეში იქამდე მივიდა, რომ ხიზნებს წამოუყენებდნენ

ხოლმე მიწაზე საიჯარო ხელშეკრულებებს, რომლის ვადის გასვლის შემდეგ ყრიდნენ თავიანთი მიწებიდან, როგორც დროებით შემოხიზნულებს. ხიზანი გლეხი ან უბრალო მოჯამაგირე უნდა გამხდარიყო. ანდა მთელი სახლკარობით უნდა გადასახლებულიყო. ხიზანი გლეხის სავალალო მდგომარეობა დაგვიხატა პოეტმა ლექსში „მოხუცი ხიზანი ყმაწვილ მემამულეს“. სიღარიბისაგან ილაჩგაწყვეტილი მოხუცი ხიზანი ევედრება ყმაწვილ მემამულეს, რომ ფუძიდან არ აყაროს და ცდილობს თავი შეაბრალოს: „პაპაშენს ბაბუაჩემი სიტკბოთი შემოხიზვნია“, ჩვეულებით ტკბილად გვიცხობვრია და ახლა რატომ გვექცევით უსამართლოდ?

„ნუ მიზამ, ღმერთი გაცოცხლებს,  
ი მამიშენის ლხენასა!  
შემოვხიზნივარ შენს კალთას,  
შენგნითვე ველი რჩენასა!..“

ასეთია რაფ. ერისთავის 80-იანი წლების სოციალური ხასიათის ლექსების მოკლე დახასიათება.

\* \* \*

90-იანი წლების სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება ახალი ძვრებით აღინიშნა. გლეხი თავისი შრომითა და უფლებებით აღარ იყო მებატონეზე დამოკიდებული, თუმცა ისინი კვლავ ცდილობდნენ წინანდელი უფლებების შენარჩუნებას. ძველ მებატონესა და გათავისუფლებულ გლეხებს შორის დამოკიდებულების სურათი დაგვიხატა რაფ. ერისთავმა 1890 წელს დაწერილ ლექსში „მგზავრები“, რომლის შინაარსი ასეთია: ერთხელ გლეხები გზაში შეხვდებიან თავადს. გლეხები ზრდილობიანად მიესალმებიან მებატონეს. ეს უკანასკნელი არ კადრულობს მათ სალამს, უფრო მეტიც, ბატონი ბრაზდება: როგორ გაუბედეს გუშინდელმა ყმებმა მისალმება. გლეხს შეგონებული აქვს რა თავისი უფლებები, სთხოვს მებატონეს განუმარტოს: რატომ საპასუხო სალამი არ იკადრა. მებატონე რისხვის გამო-

მულაგნებას ველარ ბედავს, უხერხულ მდგომარეობაში ვარდება და უსუსურად უპასუხებს: „გუშინ არ იყო, თავს მადგნენ შენგვარი ქალ-მებთან?...“

ალეგორიული ხასიათის სატირულ ლექსებში („ღმერთი დიდია, ღარიბო“, „ღმერთო გვიშველე“, „ღმერთო მაშორე“ და სხვ.) პოეტი ღმერთს მოიშველიებს, რომ ლოცვით შეუმსუბუქოს გლეხს თავისი დუხჭირი ცხოვრება.

რად. ერისთავი თავის ლექსებში მხატვრული განზოგადოების თვალსაზრისით ხშირად იყენებს ღმერთის სახელს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში, რაფიელისათვის „ღმერთი“ მარტო რელიგიური ცნება კი არ არის, არამედ პირობითი საფარი, რომ სრულყოფილად ასახოს თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში ორმაგი ექსპლოატაციის ქვეშ მგმინავი გლეხის დაბეჩავებული ყოფა.

ლექსში „ღმერთი დიდია, ღარიბო“, პოეტი აღწერს გლეხის მშვიერ-მწყურვალ ცხოვრების სხვადასხვა სურათს. მაგრამ არსებულ სინამდვილეში პოეტი ვერ ხედავს გლეხის ქვეშაირი თავიანთობის გზას და მხოლოდ ირონიული, წინწყლებში ჩასმული გამოთქმით მიმართავს ღარიბს: „ღმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“-ო.

მკვლევართა ერთმა ნაწილმა აღნიშნული ნაწარმოები წარმავალი კლასის ფსიქოიდეოლოგიის მატარებლად მიიჩნია „როცა პოეტი პირად გრძნობებს თავს ახვევს გლეხსაც“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ლექსი სატირული ხასიათისაა და თვითული სტროფის ბოლოს წინწყლებში ჩასმული რეჟერენით გვაგრძნობინებს თავის ირონიას და უარყოფით დამოკიდებულებას იმ რეჟიმისადმი, რომელმაც გლეხი გადატაკებამდე მიიყვანა. პოეტი ასე არიგებს გლეხს:

„რამ დაგაღონა, ძმობილო, პური თუ შამოგელია?..  
მოხან, მოთესე, მოიმე, ბუნება მწყალობელია...  
გამხნევდი, ძმაო, იმედი არსად არ გაგიფრინდება,  
„ღმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“.

გაპირებულმა გლეხმა თავ-თავის დროზე უნდა გადაიხადოს მთავრობის, გზირის, მევაზნის, მღვდლის ვალები, მაგრამ თუ მამასახლისო, მღვდელი ან სხვა რომელიმე მევალე ჰკუთას გადავა, აუხირდე-

ბა და ძალიან შეავიწროვებს — „ღმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“. ამ სიტყვებით რაფიელი მოთმინებას კი არ ქადაგებს, არამედ მასში ალეგორიულად მთავრობის საწინააღმდეგო პროტესტს აქსოვს.

ასეთი გაგებით „ღმერთს“ პოეტი არაიშვიათად იყენებს. ლექსში „ღმერთო გვიშველე“, პოეტი გადმოგვცემს, რომ ცოდნის შექმნას მოწყურებულ ბავშვებს სიღარიბის გამო სწავლა არ შეუძლიათ, მათი ზვედრი სიბნელეში ყოფნაა და რაფიელი მათ დასახმარებლად თითქოს კვლავ ღმერთს იშველიებს. აქაც კარგად ჩანს ღმერთის სახელს ამოფარებული პოეტი, რომელიც შეუფერავად გვიხატავს სოციალური უსამართლობის სურათებს.

პოეტის ბერუები, თანდილები, ტეტეები, თინიები ცხოვრებიდან აღებული მხატვრულად განზოგადებული ტიპებია. იმ დროის უკუღმართი ცხოვრებისაგან ილაგაფაწყვეტილი პასიური გლეხობის მთელ ოკეანეში აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა მუამბოხე გლეხი.

რაფ. ერისთავმა თავის ლექსებში, როგორც ჩანს, გლეხობის იმ უმრავლესი ნაწილის ცხოვრება აგვისახა, რომელიც შებრძოლების გარეშე ურიგდებოდა უსამართლობას, როგორც გარდუვალ ბოროტებას, ხოლო მებრძოლი გლეხობა, რომელიც უმცირესობას წარმოადგენდა, რაფ. ერისთავის ნაწარმოებში იარაღს არ ისხამს, მაგრამ პროტესტანული განწყობილებით მაინც ხასიათდება. ეს გარემოება მაშინდელი ეპოქისათვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობით აიხსნება. მან ვერ განჰკრიტა და არც შეეძლო განეჰკრიტა გლეხის მომავალი. გლეხობა ფიქრებსა და გარინდებაში იყო, ტორტმანობდა და ჭეშმარიტი ბრძოლის გზებს ეძებდა. რაფიელმა ცხოვრებას წინ ვერ გაუსწრო, ვერ დასახა კონკრეტული ბრძოლის გზები.

აღსანიშნავია, რომ ვ. ი. ლენინი 1905 წლის რევოლუციის პერიოდის გლეხობის უმრავლესობის პასიურობაზე მიუთითებდა. მით უმეტეს გასაგებია, რომ 80-იანი წლების გლეხობა კიდევ უფრო უპერსპექტივო უნდა ყოფილიყო. აი როგორ ახასიათებდა ლენინი ამ რევოლუციის მონაწილე გლეხობას: რევოლუციაში „გლეხობის უმეტესი ნაწილი ტიროდა და ლოცულობდა, რეზონირობდა და ოც-

ნებობდა, თხოვნებს წერდა და „შუაჯაცებს“ გზავნიდა... და ხელში უფარდებოდა უპრინციპო მლიქვნელ ბურჟუაზიულ ინტელეგენტებს<sup>1</sup>.

რაფიელ ერისთავმა შესძლო რეალისტი მხატვრის თვალთ ზოგიერთი არსებითი მხარე აესახა, აღეძრა გლახთა ყოფის მეტად საჭირო, მტკივნეული საკითხები.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მებრძოლი ტონი, რომელიც რაფიელ ერისთავის სამოციანი წლების ლექსებში გამოჩნდა („მთხოვნელი მსაჯულისადმი“, „მთხოვარა გლახაკი“), 80-იან წლებში ერთგვარად შერბილებულია. თვით ოთხმოციანი წლების ყველა ლექსი ერთნაირი აქტუალობით არ ეხმაურება სოციალურ საკითხებს და ზოგიერთ მათგანში მოთმინებისა და მორჩილების ხმები ისმის („მგზავრები“, „მოხუცი ხიზანი ყმაწვილ მემამულეს“, „სამზითვო“, „ღმერთო მამორე“ და სხვა). ასეთი წინააღმდეგობით ხასიათდება არა მარტო რაფ. ერისთავის, არამედ ყველა მესამოციანელ მოღვაწის შემოქმედება. ასეთი ვითარება ტიპიური იყო 80-იანი წლების ლიტერატურისათვის. აჯანყებისაკენ მოწოდების ხმები სოციალური საკითხების გადაწყვეტაში შეიცვალა შემგუებლობით. რუსულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბუნტარობის შემარიგებლობით შეცვლა ცნობილია ნადსონური განწყობილებით (ნადსონი, ნიკიტინი, მაიკოვი, მინაევი და სხვა).

მაგრამ რაფ. ერისთავის შემოქმედებაში საბრძოლო განწყობილების პულსის მოდუნებას, სოციალური საკითხების გადაწყვეტაში, ავსებდა ამ პერიოდში შექმნილი ეროვნული მოტივის გამომხატველი მებრძოლი ხასიათის ლექსები და პოემები.

სოფლის სურათებისა და გლახის ცხოვრების ასახვის საკითხში ბევრი რამ არის საერთო რუს მწერლებსა და რაფ. ერისთავის ლექსებს შორის. რაფიელის ბევრ ლექსს პოეტის ხელით მიწერილი აქვს. „აზრი რუსულიდან“, „გადმოკეთებული რუსულიდან“ და სხვა. გარდა ამისა გლახის ცხოვრების თემაზე დაწერილ რაფ. ერისთავის ორიგინალური ლექსებიც ძალიან ჰგავს რუსი მწერლების, განსაკუთრე-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 242—243, 1950 წ.

ბით კოლცოვის, ნიკიტინის, ტურგენევის და ზალტაროვის ლექსებზე, განსაკუთრებით შეინიშნება კოლცოვისა და რაფიელის ლექსებში ასახული გლეხების ხასიათების დამთხვევა. ბედთან შერიგებული გლეხის ცხოვრება და სოფლის იდილია კოლცოვის თითქმის ყველა ლექსის დამახასიათებელია. ასევე უმღერის გლეხის ცხოვრებას ტურგენევი, („მონადირის წერილები“). მასაც დახატული ყავს არა მუამბოხე, არამედ შრომისმოყვარე და დიდი მოთმინების მქონე გლეხები.

ისე როგორც რაფ. ერისთავმა კარგად იცოდა ქართული ყოფა, კოლცოვმაც ზედმიწევნით ზუსტად იცოდა რუსული სოფლის ცხოვრება და ყოველგვარი შელამაზების გარეშე ხატავდა მას. ამაშია მათი პოეზიის თავისებურება. ამ მოსაზრებით ბ. ბელინსკი შენიშნავდა, რომ რუსული ყოფის ასახვაში კოლცოვს პუშკინიც კი ვერ შეედრებაო<sup>1</sup>.

გარკვეული აზრით იგივე შეიძლება ითქვას რაფ. ერისთავის პოეზიის საერთო ხასიათზე, როცა მას ქართული სიტყვის დიდი ოსტატების პოეტური შემოქმედების ნიმუშებთან ვიხილავთ.



რაფ. ერისთავის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს პატრიოტულ მოტივს, რაშიც ჩანს ქართველი მესამოციანელების მემკვიდრეობა. ეს არის ქართველი ერის ნაციონალური დამოუკიდებლობისა და ქართული ენის შენარჩუნებისათვის ბრძოლა. ეროვნულ-პატრიოტული მოტივის გამომხატველი ნაწარმოებებია: „სამშობლო ხევსურისა“, „დედა ენა“, „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო“, „ნეტა რას სტირი, დედილო“, „რაზე მიწყრები, ყენო“, „დაკოდილი“, „სურათი“, „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ და სხვა მრავალი.

მწერალი პატრიოტულ მოტივს ენის სიწმინდის შენარჩუნებას უკავშირებს. ამ მხრივ საყურადღებოა მეტად შინაარსიანი, მაღალი მხატვრული ღირსების ლექსი „დედა ენა“, რომელიც პირველად დაბეჭდა „ივერიაში“ 1881 წელს, ხოლო შემდეგ ყველა ჟურნალ-გაზეთმა

<sup>1</sup> В. Г. Белинский, Собр. соч., т. III, стр. 135, 1948 г.



და საბავშვო გამოცემებმა. ამ ლექსის ცალკეული ადგილები „ენით-  
ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა, მიყვარს სამშობლოს მე დედა-  
ენა“ და სხვა — ეპიგრამად ჰქონდათ იმ პერიოდის წერილებს.

დედა ენის სიყვარულის უწმინდესი აზრი არა ერთ ლექსში აქვს  
გამოთქმული რაფ. ერისთავს. ენის სიწმინდე და თვითმყოფობა მას-  
ერის ძლიერებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების საშუალებად  
მიაჩნდა, ამიტომ დედა ენისადმი სიყვარული წითელი ზოლივით  
ვასდევს რაფიელ ერისთავის შემოქმედებას, რამაც ძლიერად იჩინა  
თავი არა მარტო მის ლექსებში, არამედ მთელს მის შემოქმედებაში  
და აზროვნებაში.

სამშობლოს დასაცავად წასულმა მებრძოლებმა იციან თავიანთი  
სამართლიანი საქმე, თუ რისთვის უნდა დაღვარონ სისხლი. ამ აზრს.  
გამოხატავს რაფიელი ლექსში „მოკითხვა“. ჯარში წასული მებრძო-  
ლი მოკითხვის წერილში დედას ატყობინებს თავისი ვაჟყაცურო-  
ბრძოლის ამბავს:

„ომი გადაგვხვდა სამჯერა, სამჯერვე გავიშარქვენით,  
ფეხ-და-ფეხ ვსდიეთ თათრებსა, ვხოცეთ და ვკაფეთ არჩევით,  
ხუთი აეჩეხე ხმალ-და-ხმალ, სამიც მოვკალი თოფითა“...

მებრძოლი კმაყოფილია იმით, რომ სამშობლოში ეგულება წმინ-  
და ოჯახი და მეზობლის თამრო გოგო. მათი სიყვარულისათვის ზუ-  
რია მზად არის შმაგივით იბრძოლოს, მაგრამ მორიგი ჯარი რომ მოვა-  
და დაითხოვენ „ფეხს დაეკრავ, გადმოვქანდები“ — პირდება დედას  
და სატრფოს („მოკითხვა“).

„სამშობლო ხევსურისა“ რაფ. ერისთავის პოეტური მრწამსის  
მკაფიო გამოხატულებაა. სამშობლოს სიყვარულის უსაზღვრო-  
გრძნობა, რომელიც პოეტს მთელი სიცოცხლის განმავლობაში შთა-  
აგონებდა, თითქოს ამ ლექსთან ერთად დაიბადა. ამ დიდ გრძნობას  
პოეტმა ისეთი მძლავრი მხატვრული სული შთაბერა, ყოფის ისეთი  
დამახასიათებელი დეტალები გაიხაზრა, რომლითაც მთლიანად გამო-  
ხატა ქართველი ერის გულისთქმა; ბუნებრივი უშუალოდით გადმოგვ-  
ცა ხალხის კეთილშობილური გრძნობები. ლექსი „სამშობლო ხევსუ-

Handwritten header text at the top of the page.

122

1) Handwritten text block, possibly a list or notes, starting with a circled '1'.

Handwritten text block, possibly a continuation of the list or notes.

2) Handwritten text block, starting with a circled '2'.

XC Handwritten text block, possibly a section separator or a specific note.

Handwritten text block, possibly a list or notes, starting with a circled '2'.

Handwritten text block, possibly a continuation of the list or notes.

რისა<sup>1</sup> თავისი ემოციური ძლევამოსილებით ერთბაშად იპყრობს და ატყვევებს მკითხველს. ამიტომაც, რომ ეს ლექსი ისეთ უქცნობ ნაწარმოებთა რიგში დგას, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ინარჩუნებენ სიდიადეს. ეს ლექსი რაფ. ერისთავის დიდი გამარჯვება იყო და სხვა რომ არაფერი დაეწერა, ამ ლექსითაც მოიპოვებდა უკვდავებას.

„სამშობლო ხევსურისა“ დაწერისთანავე ყველა ქურნალ-გაზეთმა გამოაქვეყნა. „დროების“ რედაქცია წერდა: „ივერიის“ უკანასკნელს (სექტემბრის) წიგნში, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა სხვათაშორის დაბეჭდილია თ. რ. ერისთავის ლექსი „სამშობლო ხევსურისა“, რომელიც ისეთი ჩინებული რამ არის, რომ ვერ მოვიტმინეთ არ გადმოგვებეჭდა იმ ჩვენი მკითხველებისათვის, რომელთაც „ივერია“ არ მისდითო.“<sup>1</sup>

ამ ლექსით რაფ. ერისთავმა გააფართოვა ქართულ ლიტერატურაში მის მიერვე აღრე შემოტანილი ნაკადი თუშ-ფშავ-ხევსურეთის პოეზიისა; მთის კილომ და პოეზიამ თვისობრივი ხასიათი მიიღო. ქართულ ლიტერატურაში, ვაჟას თქმით, დამკვიდრდა „საერო კილო“ მთის პოეზიისა, რამაც ბიძგი მისცა და ლიტერატურის ფართო ასპარეზზე გამოიყვანა თვითონ ვაჟა და მთელი პოეტური ოჯახი რაზიკაშვილებისა.

დიდი ვაჟა სიამაყით აღნიშნავდა რაფ. ერისთავის პოეზიის გველენას მის შემოქმედებაზე. „ყველაფერს, რაც კარგი და ხელოვნური რამ დაწერილა, — ზემოქმედება, ძალა ჰქონია, ალტაცებაში მოუყვანივარ, მომწონებია. რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული; სხვანაირად შესძრა იგი. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმასაც რომ, თუმცა მაშინ შეგირდი გახლდით, მაგრამ ხალხური, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდით; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა; თუმცა მაშინაც ლექსებს ვწერდი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ვჭლახნიდი, მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექ-

<sup>1</sup> „დროება“, 1881 წ., № 194.

სების წერის კილოდ არ აყო მიღებული. ჩვენმა სახელოვანმა მცხოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივერია“ გზა დაუომო, შეც გაბედულება მომემატა“<sup>1</sup>. ვაჟა-ფშაველამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ რაფიელის პოეზიას. ბაჩანას სიტყვები რაფიელ ერისთავისადმი და რაფ. ერისთავის პასუხი — პოეტური გაბაასების შესანიშნავი ნიმუშია. ეს ლექსები ძალიან მოსწონდა დიდ ილიას და საგანგებოდ წაიკითხა ისინი რაფ. ერისთავის იუბილეზე 1895 წელს.

რაფიელმა, — აღნიშნავდა ი. ჰავეჰავაძე, — „შექმნა თავის საკუთარი სკოლა ხალხური პოეზიისა. მისი მიმდევარნი არიან ძმები რაზიკაშვილები. ჩინებულად ასურათებს ამ გარემოებას ჩვენი პოეტის გალექსვით მიწერ-მოწერა ერთ ხალხიდან გამოსულ პოეტთან, რომელმაც, აი რა გრძნობით გამოხატა ჩვენი მოხუცებული პოეტის გავლენა ახალშობილს პოეტზე:

„შენი ჰირიშე, მოხუცო,  
ია შესროლე, მამაო  
ძილშით გამომალვიდა  
შენმა ფანდურის ზმამაო:  
შეერთო გრძნობის მორეცა,  
ჩემს გულშიც აიჩამაო,

ბუნებამ ჭერი მიიღო,  
მთამ ქედი მოგიხარაო,  
დუშმანი გათაეებულა,  
სამშობლომ გაიხარაო,  
ბილწსა სძლო სათნობებამა,  
სიციცხლე გაუმწარაო,  
საწყალმა ღამის მებრემა  
მადლობა დაგიბარაო..  
ნება მიეცი დაგდაფნოს  
გამოუცდელმა ყმამაო“.

ამ მშვენიერ წერილზე, აი როგორ უპასუხა ჩვენმა სახელოვანმა მოხუცმა:

<sup>1</sup> „ივერია“, 1896 წ. № 43.

„გადმახალისა, ძმობილო,  
 შენგან ნასროლმა იამა,  
 შენი ფანდურის ელერაი  
 მოხუცს გულს მეტად იამა!..  
 ყური დავუგდე სიმებსა:  
 დამიტყბეს ბერი სულია,  
 გადამახედეს ფშაველში,  
 მთლად ამიჩქროლეს გულია!..  
 მასმინა შენმა ფანდურმა  
 მთის ყვავილების ქებანი,  
 „ფშაური ქალის ტირალი“  
 და „ტყუეს სიმღერით“ შევბანი...  
 ბაასი ბებერ მუხასთან  
 აღმასებრ ლექსით მსმენია,  
 დავლონებულვარ, ბეჩავი,  
 ცრემლი ვერ დამითმენია!..  
 შენ ყმაწვილი ხარ, მე — ბერი,  
 „მგზავრის სადამო მთებშია“, —  
 ფრთები დაუშვი მე დაბლა,  
 ველარ მოგყვები ფრთებშია:  
 შენ ყმაწვილი ხარ, მე — ბერი,  
 ღმერთმა გიკურთხოს ჩანგია!  
 მაწაფე, მოძმევ ახალო,  
 ბერსა ახალი ჰანგია.“<sup>1</sup>

რაფიელ ერისთავის თანამედროვე მწერალთა საერთო აღიარებ-  
 ბით, მის გზას პოეზიაში გაჰყვენენ აგრეთვე შ. მღვიმელი, ი. დავითა-  
 შვილი, ხოლო პროზაში — ნ. ლომოური, სოფრ. მგალობლიშვილი,  
 ეკატერინე გაბაშვილი და სხვ.

\* \* \*

ახალი სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ქარ-  
 თული საბავშვო ლიტერატურის შემქმნელის იაკობ გოგებაშვილის

<sup>1</sup> „საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო“, გვ. 112—113,  
 1899 წ.

ცნობილ „ბუნების კარში“, სადაც გამოჩენილი ქართველი მგოსნების პორტრეტებია, რაფიელ ერისთავი ილიასა და აკაკის სურათების გვერდითაა მოთავსებული.

ეს საპატიო ადგილი რაფ. ერისთავმა დაიმსახურა იმ დიდი ამაგიტ, რაც მას ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში მიუძღვის. „ბუნების კარის“, „დედა ენის“ არც ერთი გამოცემა და 80—90-იანი წლების არც ერთი საბავშვო ჟურნალ-გაზეთი არ გამოდიოდა რაფ. ერისთავის ლექსების გარეშე. რაფ. ერისთავი ბავშვებს ესაუბრებოდა ცოცხალი ხალხური ენით, მის თხრობაში ყოველი სიტყვა თვითონ ლაპარაკობდა, აზრი სუფთა, დახვეწილი და ანკარა წყაროსავით მომდინარეობდა. პოეტი ღრმად იცნობდა ბავშვის ფსიქოლოგიას, სხვანაირად მას არ შეეძლო შეექმნა ისეთი ხელი-ხელ საგოგმანებელი ლექსები, რომლებზედაც აღიზარდა ქართველი საზოგადოების მთელი თაობები.

ცნობილია, რომ რაფიელ ერისთავი ნორჩი თაობის სწავლას და გონების გახსნას მხოლოდ დედა ენის საშუალებით მოითხოვდა. „მიყვარს მე ენა ჩემის მშობლისა, რომლითაც „ნანას“ მეტყოდა ისა, ალერსს მაგონებს დედისას ტკბილსა, ჩემის ტოლების მღერა-ქლივილსა!.. ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა, მიყვარს სამშობლოს მე დედა ენა!“ („დედა ენა“).

დედა ენისადმი სიყვარული მტკიცედ დაიცვა რაფ. ერისთავმა სემიონოვთან პოლემიკაში. „ყმაწვილისათვის გაუგებარ ენაზე განათლების დაწყება იქნება უაზრო, უმნიშვნელო და თვითონ შაგირდისაგან გაუგებარი საგანი... მსგავსი თუთიყუშისაგან ლაპარაკის სწავლისა“<sup>1</sup>.

რაფ. ერისთავის ორიგინალური საბავშვო ლექსებიდან თავისი მხატვრული სისადავით გამოირჩევა: „ზამთარი“, „მერცხალი“, „გაზაფხული“, „დედა ენა“, „შემოდგომა“, „სურათი“ და სხვა.

ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს ლექსი „ზამთარი“, მისი მეხსიერებიდან არ შეიძლება ამოიშალოს თვალწარმტაცი ზამთრის

<sup>1</sup> „ღრობა“, 1880 წ. № 212.

ბუნება და მოთამაშე ყმაწვილების ცოცხალი სურათი, რომელიც პოეტმა დახატა, ანდა არ მოაგონდეს ლალი ბავშვობა.

„მახსოვს, როცა ბალღი ვიყავ,  
მიხაროდა თოვლის მოსვლა,  
თოვლის გუნდის გაკეთება,  
სროლა, თოვლში გორვა, მოსვრა.

შვილდ-ისარით შაშვსა ესდევდით,  
ჩიტს უდგამდით კაკანათსა,  
ლახტს უდებდით ბელურებსა;  
ვერ მხედავდნენ მუხანათსა.

შეეებოდრი მე ციგაში  
და ზედ მიჭდა გოგიელა,  
გადაბრუნდის ჩენი ციგა —  
კოტრიელა, კოტრიელა!..

მეორე დღეს ყინულზედა  
ვკურაობდით ნელა-ნელა...  
უკან კობი, შუბლზედ კობი,  
კოტრიელა, კოტრიელა!..“

დასაწყისშივე გიტაცებს ლექსი „მერცხალი“ და გაიძულებს ბოლომდე ჩაიკითხო.

„ეს რა ჩიტი მოფრენილა,  
საიდან და სადაური?  
თეთრგულა და ყელწითელა,  
შაეზურგა და უცნაური?“

და მართლაც, ამაზე უფრო ლამაზად შეიძლებოდა გაზაფხულის დილით აივანზე შემოფრენილი სტუმარი ჩიტის მისამართით ექსპრომტის თქმა? მაგრამ განა მართო მერცხლის მოსვლას იგებს ამ ლექსით ნორჩი მკითხველი? ამ ლექსში ყმაწვილი შეიტყობს იმ ამბავსაც, რომ მერცხალი თურმე, როდესაც ქღურტულებს, ამბობს—

„ბერი ცხონდა, ბერი ცხონდა, უნდა ყმაწვილები ქლიტო“... — რისთვის? გაიოცებენ პატარები და შემდეგ გაიგებენ... — მისთვის:

„რადგან ბუღეს უშლით,  
აღარ დაუშალო, ტიტო,  
ასე უთხარ, არას გერჩით,  
ჩვენო მტრედო, ჩვენო გვრიტო“.  
(„მერცხალი“).

რაფ. ერისთავის საბავშვო ლექსების დიდი ღირსება ისიცაა, რომ ისინი შრომისა და სწავლის სიყვარულს უნერგავენ ყმაწვილებს. ლექსი „ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „გაზაფხული“, „მიპატიეება სასწავლებელში“ და სხვ. პატარაობიდანვე აჩვენებს ბავშვებს პატიოსან შრომას.

ლექსი „ჯერ შრომა, მერე ხტომა“ გერმანულიდან უთარგმნია რუსულად პოეტ ლ. შეის. 1868 წელს ლექსი რუსულიდან თარგმნა და „ბუნების კარში“ დაბეჭდა ი. გოგებაშვილმა. აღნიშნული ლექსი უფრო გვიან გადმოაკეთა რაფ. ერისთავმა, რომელმაც მისთვის დამახასიათებელი ქართული იერი და პოეტური სისადავე შეიტანა მასში. 1884 წელს ქუთაისში „ნობათის“ პირველი ნომერი რაფიელის ამ ლექსით იხსნება:

„სწავლობს გიგლა ტიტინა,  
მზემ შემოუწყიტინა:  
— გიგლავ, გეყოფა სწავლა,  
ახლა კარგია გავლა...  
გამო, შეათამაშე,  
არვინ ეტყვის მამაშენს...“ და ა. შ.

ი. გოგებაშვილმა დაუსაბუთებლად დაუწუნა რაფ. ერისთავს ეს შესანიშნავი ლექსი, თუმცა მათი ლექსების უბრალო შედარებით დან ჩანს, რომ რაფ. ერისთავის თარგმანი პოეტურად გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე ი. გოგებაშვილის იმავე სახელწოდების ლექსი. აი ადგილი გოგებაშვილის ამ ლექსიდან:



„ერთი პატარა ყმაწვილი  
ფანჯარასთან დიდ ხანს იჯდა,  
წინა ეღვა გაკვეთილი  
და ბეჭითად კითხულობდა;  
ფანჯრიდან კი მზე ბრწყინვალე  
შეიყურებოდა სახლში,  
უნდა პატარა მოსწავლე  
გაეტყუებინა კარში:  
გეყოფა ამდენი სწავლა  
თამაშობის დროა ახლა“ და ა. შ.

შემდგეში სულ მალე „ბუნების კარში“, „დედა ენაში“ და სხვა საბავშვო გამოცემებში თავისი საპატიო ადგილი დაიჭირა რაფ. ერისთავის ლექსმა — „ჯერ შრომა, მერე ხტომა“.

სკოლის ასაკის ბავშვებს უძღვნა რაფ. ერისთავმა ლექსი „მიპატიება სასწავლებელში“: რომელიც პოეტმა თარგმნა რუსული ლექსიდან „Приглашение в школу“<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ პოეტის მიერ თარგმნილი საბავშვო ლექსები ისეთი ოსტატობითაა შესრულებული, რომ ხშირ შემთხვევაში ეჭვიც კი არ დაგებადებათ მათ ორიგინალურობაში. რუსი და უცხოელი პოეტებისაგან ნათარგმნი და გადმოკეთებული ლექსებიდან მხატვრულობით გამოირჩევა: „მიპატიება სასწავლებელში“, „ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „დედა და შვილები“, „ნანა“, „შვილნი ვართ“, „ყვავილების სიმღერა“ და სხვა.

გარდა ამისა, რაფ. ერისთავს ეკუთვნის ისეთი საბავშვო ლექსებიც, რომლებიც რელიგიური ხასიათის მატარებელია. ასეთებია: „ბზობა“, „აღდგომა“, „მეკვლევი“ და სხვ. ეს გარემოება ერთგვარად ანელებს რაფ. ერისთავის ზოგიერთი საბავშვო ლექსის მნიშვნელობას.

---

<sup>1</sup> აღნიშნული ლექსი უშინსკის თხოვნით დაუწერია პოეტ მოზალევესკის, ეს ლექსი დიდი პოპულარობით სარგებლობდა და დიდხანს იბეჭდებოდა რუსულ საბავშვო სახელმძღვანელოებში.

რაფ. ერისთავი დიდ მუშაობას აწარმოებდა სულხან-საბა-ორბელიანისა და კრილოვის იგავ-არაკების გალექსვა-გადმოკეთებაზე. სატირული ჟანრისადმი რაფ. ერისთავს თავიდანვე ჰქონია მიდრეკილება. ამას ადასტურებს მისი ორიგინალური ხასიათის ლექსები: „ყადის ჯორი“ (1857), „ბუზები“ (1857), „მომკალი და კელა“ (1871), „დათვი და ცხვრები“ (1871) და სხვა.

1876 წლიდან იბეჭდებოდა რაფ. ერისთავის მიერ კრილოვისა და სულხან-საბა ორბელიანის თარგმნილ-გადმოკეთებული იგავ-არაკები, რომლებიც 1878 და 1881 წლებში ცალკე წიგნებად გამოიცა<sup>1</sup>. ამ გამოცემებში დაიბეჭდა სულხან-საბას 16 იგავ-არაკი. მათ შორის: „კუ და მორიელი“ „ვირი და მგელი“, „ობოლი და მისი დედა“, „დათვი და გლეხი“, „ენა“, „მეფე და მხატვარი“, „მეხილე და მწყემსი“, „ზეგნელი“ და სხვა. ხოლო კრილოვის 52 იგავ-არაკი: „საზანდრები“, „მგელი და მელა“, „გლეხი კაცი და ავაზაკი“, „ქრიჭინა და ჭიანჭველა“, „ბერიკაცი და მოჯამაგირე“, „ლომი წილადობაში“, „მაიმუნნი და სარკე“, „ყრილობა ერისა“ და სხვა.

1881 წლის იგავ-არაკების გამოცემის წინასიტყვაობაში მწერალმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები იგავ-არაკთა დანიშნულებაზე: „დევნა ბოროტმოქმედებისა და გასწორება ადამიანის მრუდის და უსაქციელო ზნეობისა. ქართულს ლიტერატურას აკლია ამგვარი იგავ-არაკი. მქონდა რა სახეში განსვენებულ ივანე კრილოვისაგან შეკრებილი საუკეთესო იგავ-არაკები: ეზობისა, ლაფონტენისა და სხვა ფილოსოფოსთა და ჩინებულათ გალექსილნი მისგან რუსულს ენაზედ; აგრეთვე მრავალნი ესე გვარნი, მისგანვე შეთხზულნი, ვისარგებლე ამით და გამოვკრიბე მათგან ორმოცი ისეთი იგავ-არაკი, რომლებიც უფრო დაუახლოვდებოდ-

---

<sup>1</sup> ა. „იგავ-არაკნი“ გამოკრებილნი „სიბრძნე-სიცრუიდან“ და გალექსილნი თ. რაფ. ერისთავის მიერ. გამოცემელი გრ. ჩარკვიანი. თბილისი, ენფინჯიანცის სტამბა, 1878 წ. ბ. „იგავ-არაკნი“, კრილოვისაგან და „სიბრძნე-სიცრუიდან, გალექსილი თ. რაფ. ერისთავისაგან. თბილისი, 1881 წ. წერა-კითხ. საზ. გამოც. № 3.

ნენ ჩვენი ხალხის ნაკლოვანების სურათებს და უფრო გადავთარგმნე და ზოგი გადავაკეთე და ყველა კი გავლექსე მოსწავლეთა ყრმათათვის იმ განზრახვით, რომ მათ სიყმაწვილითგანვე შეისწავლონ და გაივარჯიშონ ადვილად მიმოხვრა ქართული ენისა, დაიმახსოვრონ მნიშვნელობა იგავ-არაკებისა და დაინერგონ გულში ვითარ სასაცილოა ადამიანში საკიცხავი ნაკლულოვანება და მრუდი და უსაქციელო ზნეობა.“

სულხან-საბა ორბელიანისა და კრილოვის იგავ-არაკების ერისთვისეულ თარგმანებში, საერთო ღირსების მიუხედავად, შესამჩნევია ზოგი შეუსაბამობაც. ორბელიანისა და კრილოვის სხარტ ლაქონიურ მეტყველებას თარგმანებში ხშირად ცვლის გავიანურებული ფრაზეოლოგია, რაც დედნის მხატვრულ ღირსებას ზოგიერთ შემთხვევაში ჩრდილავს კიდევ. ასეთებია: „მეფე და მხატვარი“, „მეხილე და მწყემსი“ და სხვ. (საბა); „მგელი და მელია“. „ვირი და ბულბული“, „საზანდრები“ და სხვა (კრილოვი).

ერისთავის თარგმანთა ამ ნაკლს თავის დროზე ყურადღება მიაქცია ი. გოგებაშვილმა, მაგრამ მისი შენიშვნები ზოგიერთ შემთხვევაში გაზვიადებულად გამოიყურებიან.

გრ. ორბელიანისა და განსაკუთრებით აკ. წერეთლის თარგმანები კრილოვისა მხატვრულობის თვალსაზრისით მაღალხარისხოვანია, რაც არ ითქმის რაფ. ერისთავის გადმოკეთებულ იგავ-არაკებზე; მაგრამ რაფ. ერისთავის კრილოვიდან გადმოკეთებული იგავ-არაკების დადებითი მხარეა ის, რომ მისი თარგმანები უფრო ახლოა დედანთან, ვიდრე გრ. ორბელიანისა და აკაკისა. ამასთან ერთად რაფ. ერისთავის იგავების გარკვეული ნაწილი, მსგავსად აკაკისა, გადმოკეთებულია ქართული სინამდვილის შესაბამისად, რაც, როგორც წინასიტყვაობიდან ვიცით, ავტორის ერთ-ერთი მიზანდასახულებაც იყო.

ეს დაპირება პირნათლად შეუსრულებია რაფიელს იგავში „ცნობისმოყვარე“. განსაკუთრებით ოსტატურად დაუძლევეია მთარგმნელს იგავის ბოლო სტრიქონები, სადაც რაფიელი ჯობნის კიდევ როგორც ორიგინალს, ისე აკაკისაც. აი მაგალითად:

«Ну, братец, виноват:  
, Слона-то я и не приметил».

(კრილოვი)

«—მართლა უნდა გამოგიტყდე,  
ვერ შევირცხვენ ტუუილად თავს:  
ყველა დავათვალიერე  
და სპილო არ შემინიშნავს“.

(აკაკი)

«—სპილო არ ნახე?... თითქო დევია...  
— უი, დამიდგა ორიე თვალბი! —  
სპილო კი აღარ შემიმჩნევია!..“

(რაფიელი)

მაგრამ ასეთ გამარჯვებას ერისთავი ყოველთვის ვერ აღწევდა. რაფიელ ერისთავმა არა მარტო თარგმნა კრილოვის იგავ-არაკები, არამედ შეისისხლხორცა ისინი და შემოქმედებითად იყენებდა დიდი სატირიკოსის მახვილ ენას. ესტატე მჭედლიძესთან (ბოსლეველი) პოლემიკაში რაფ. ერისთავმა მართებული აზრი გამოსთქვა, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი მხოლოდ უარყოფითს ხედავს; დადებითის აღმოჩენა და შეფასება უცოდინარობის გამო უძნელდებათო. წერილს რაფიელმა ეპიგრაფად წარუმძღვარა კრილოვის სიტყვები რუსულად: «Имеет дар одно худое видеть» ამ საინტერესო წერილს რაფიელი ამთავრებს კრილოვისავე სტრიქონებით:

...რომ ზოგს კრიტიკოსს ნიკი არ ახლავს:  
მარტო აეს ამჩნევს, კარგს კი ვერ აგნებს...  
მაშ მისი გესლი ჩვენ როგორ შოგვეკლავს?  
მისი კალამი ჩვენ როგორ გვაენებს?!<sup>1</sup>

დიდი რუსი კლასიკოსის სატირული ენა, მისი იგავ-არაკების ქართული ბუნების შესაფერისად გადმოკეთება ეხმარებოდა მწერალს არსებული წესწყობილების მხილებაში.

<sup>1</sup> „დროება“, № 138, 140, 141, 1880 წ. იხ. რაფ. ერისთავის საპასუხო რეცენზია — „საბაასო, ევ. მკ-ძენს (პასუხად)“.

ცალკეულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, რაფ. ერისთავის იგავ-არაკებმა დიდად შეუწყვეს ხელი კრილოვის იგავების პოპულარიზაციას და ნიადაგი მოუმზადეს მის შემდგომ თარგმნას. ამასთან ერთად, მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდისა და რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საქმეში.

გარდა კრილოვის იგავ-არაკებისა, 80-იან წლებამდე სოციალური ცხოვრების თემატიკით რაფიელის დაინტერესებას ადასტურებს მწერლის სხვა თარგმანებიც, რომლებიც შესანიშნავი მხატვრული გემოვნებით და ორიგინალის ღირსების დაცვითაა შესრულებული. ასეთებია: გენიალური პუშკინის „ძუნწი გმირი“, რომელიც 1872 წელს დაიბეჭდა, „მებადური და ოქროს თევზი“, „რომანსი“ და სხვ.

რაფ. ერისთავის მახვილ გონებას არ გამოორჩენია არც ფრანგი დემოკრატისა და რევოლუციონერის ბერანეეს ლექსები. ბერანეეს ლექსებიდან რაფ. ერისთავმა თარგმნა სოციალური უკუღმართობის მამხილებელი ლექსი „მოხუცი მატანტალა“.

\* \* \*

რაფიელ ერისთავმა ისტორიულ თემატიკაზე დაწერა ორი პოემა — „ასპინძის ომი“ და „თამარიანი“. აღნიშნული პოემები რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელ ათეულ წლებშია შექმნილი. „ასპინძის ომი“ 1880 წელს, ხოლო „თამარიანი“ 1886—87 წლებში. მის პოემებში იგრძნობა სამოციანი წლების პროგრესული იდეების კეთილისმყოფელი გავლენა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რაფიელ ერისთავის ლექსები ყურადღებას იქცევენ სიუჟეტიანობით. იგი ახერხებდა რამდენიმე სტროფიან ლექსში დაუფიწყარი სახეების, ტიპებისა და ხასიათების დახატვას.

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ რაფ. ერისთავის ლექსები — „მოხონელი მსაჯულისადმი“, „ყადის ჯორი“, „ნაამბობი მოხუცისა“, „მოხუცი ხიზანი ყმაწვილ მემამულეს“, „ხინჩლას გალაშქრება ქისტებზედ“, „ფერხულის ხმაზედ“, „თავებისა და კატების ომი“, „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო“, „თინიას

მამითადი“, „დაკოდლი“, „ხმა ღვთისა, ხმა ერისა“, „სამი სურათი“ და სხვა, მართალია, ფორმით ლირიკული ლექსები არიან, მაგრამ თავისი შინაარსით, პოემის თვისებებს ატარებენ, რადგანაც მთხოველი დედა, მოხუცი ხიზანი, მთხოვარა გლახაკი, ხინჩლა, ქვრივი თინია, დაკოდლი მეომარი, მოურავი და მისთანები, ეპიური ნაწარმოებების გმირების თვისებით არიან შემკულნი.

ლექსი „ნაამბობი მოხუცისა“ ორ ვარიანტად დაიბეჭდა („ცისკარი“ 1861 წ. № 1 და № 5). ეს ნაწარმოები რაფ. ერისთავმა 1854 წელს დაწერა და მისთვის დაურქმევია პოემა; მაგრამ მის გამოქვეყნებაზე პოეტი თავს იკავებდა. ზუგდიდში მყოფი მწერალი შემდეგ სწერდა „ცისკრის“ რედაქტორს ივანე კერესელიძეს:

„თქვენთან ჩემ მიერ გამოგზავნილს რვეულებში, სხვათა თხზულებათა შორის, ჩემსავე შეცდომით (როგორც სჩანს), გამოჰყოლია მოკლე პოემა „ნაამბობი მოხუცისა“, რომლის დაბეჭდვა მე არ მსურდა... მის დაბეჭდვას არ მოველოდი და არ მსურდა მისთვის, რადგანაც მე იგი დავწერე (ამ ექვსი წლის წინათ), გამოსაცდელათ ჩემისა თავისა“.

1861 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში შეუსწორებლად შავიდან დაუბეჭდავთ აღნიშნული პოემა. ამის შემდეგ რაფ. ერისთავს გადაუმუშავებია პირვანდელი ვარიანტი და შესწორებული გამოუგზავნია „ცისკრის“ რედაქციისათვის. „ნაამბობი მოხუცისა“... შეეასწორე რაც შეიძლებოდა და გიგზავნით ამ გასწორებულს პოემას და გთხოვთ მისცეთ ამას ადგილი თქვენს ეურნალში ხელახლა დაბეჭდვისათვის“<sup>2</sup> წერდა რაფ. ერისთავი.

აღსანიშნავია, რომ ნაწარმოებში „ნაამბობი მოხუცისა“ ვარიანტული სხვაობა პოემის მხოლოდ ფორმას ეხება, მისი შინაარსი და მწერლის პირვანდელი ჩანაფიქრი (1854 წ.) უცვლელად არის დატოვებული. ამ „მოკლე პოემის“ შინაარსი ასეთია: ქალაქისაკენ გზად მიმავალ მოხუცს ლილოში შემოაღამდა; ღამის გასათევად დარჩენილი სტუმარი მასპინძელს უყვება თავის თვალთ ნახულ ძველ ამბავს — ქართველთა ლაშქრობას ქისტების წინააღმდეგ;

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1861 წ. № 5.

<sup>2</sup> იქვე.

ამ ბრძოლაში გიორგის გმირულად დაღუპვას, რომელსაც სიკვდილის წინ გაუმედავენებია თავისი საიდუმლო: ჭაბუკ ვაჟს უსაზღვროდ ჰყვარებია მშვენიერი ნინა. ნინასაც თანხმობა მიუტია იმ პირობით, თუ ომში მამაცი ვაჟაკის სახელს მოიხვეჭდა. გიორგი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. სიკვდილის წინ იგი თხოვს ამხანაგს — მიწას მიაბაროს, ხოლო მისი ვაჟაკური დაღუპვის შესახებ უამბოს მამას და საყვარელ ნინას.

რაფ. ერისთავის „მოკლე პოემა“ უსწრებს სამოციანელთა სამწერლო მოღვაწეობას. გარდა ამისა, ქისტების, ლეკების და ჩრდილოეთით მოსაზღვრე სხვა მუსლიმანური მძარცველების წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის სურათები მასზე ადრე სხვა მწერალს არ აუხანავს. ცნობილია, თუ როგორი მხატვრული გაღრმავება და განზოგადოება ჰპოვა რაფ. ერისთავის ამ წამოწყებამ ვაჟაფშაველას, ბაჩანას, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვათა ნაწარმოებებში.

ქართველი ხალხის მრავალრიცხოვან ბრძოლათა შორის ასპინძის ომი ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია არა მარტო ერეკლე მეორის ცხოვრებაში, არამედ მთელი ქართველი ხალხის სახელოვანი ბრძოლის ისტორიაში, ასპინძის ომმა თავისი გამოხატულება ჰპოვა როგორც XVIII საუკუნის ისე XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ერეკლე მეორის თანამედროვემ და ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე ბესიკმა შესანიშნავი პოემა უძღვნა ამ თემას. რაფიელ ერისთავმა თავის პოემაში ერთი საუკუნის შემდეგ კვლავ გააცოცხლა ასპინძისთან ქართველების სახელოვანი ბრძოლის და გამარჯვების ეპიზოდები.

პოეტი აღწერს ერეკლესა და გენერალ ტოტლებენის ერთობლივ გალაშქრებას საქართველოს მიწა-წყალზე შემოსული საერთომტრის — ოსმალებისა და ლეკების წინააღმდეგ. პოემაში თითქმის ზუსტადაა დაცული ისტორიული სიმართლე, აწყურის ციხესთან გენერალ ტოტლებენის ღალატი, ერეკლეს მიტოვება და მისი მარტო შებმა მტერთან.

რაფიელ ერისთავმა ეს ისტორიული ამბავი ქრონიკის სახითკი არ გადმოგვცა, არამედ წარსულში მომხდარი ფაქტი გააცოცხ-

ლა, ახალი იდეური შინაარსით შეავსო და დღევანდლობის თვალსაზრისამდე აამალა. რაფ. ერისთავმა სასტიკად გაკიცხა ანგარებრიანი ტახტის მემკვიდრე (გიორგი ბატონიშვილი) და მისი მომხრე თავადები. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ გიორგისა და მისი ამაღას მწერალმა დაბალი ფენების წარმომადგენელი ექიმბაში ივანე დაუპირისპირა, რომელმაც ზურგში უზრუნველად ყოფნას ბრძოლაში სიკვდილი არჩია. პოეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მაღალი წრის ზოგიერთ წარმომადგენლებს საიდუმლო ინტრიგის ძაფები ჰქონდათ გაბმული სასახლის ანგარებიან მოხელეებთან, ისინი ვერ ეგუებოდნენ საქართველოს გაერთიანების ერეკლე II-ის პოლიტიკას. სეპარატისტ-ანგარებიანი ფეოდალების საპირისპიროდ მწერალმა ივანეს სახით დახატა ქართველი პატრიოტის გმირული სახე.

მწერალს ორიგინალურად გადაუწყვეტია ბრძოლის ერთი ცნობილი მომენტიც, როცა გმირი ერეკლე და ლეკების სარდალი კონტაბელადი შეეტაკებინან ერთმანეთს, ბრძოლა მარტო კონტაბელადის მოკვლით კი არ მთავრდება, როგორც ეს ბევრ ქართულ თხზულებებშია მოცემული, არამედ გრძელდება და ამ გამარჯვებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული მებრძოლთა უსახელო გმირებიც. ზოგი მათგანი კი თაობიდან თაობას გადაეცემა:

„კოხიო ბობლიაშვილი, — აქებენ: — რაებს შერებაო?  
გამგელებულა ეს თუში, წინ ვერვინ დაუდგებაო;  
ნაკულა ქუიძესშვილი, რა კანჯარივით ხტებაო, —  
— შეიდი დაკაფა ხმალ და ხმალ, რიგი ხანჯალზე დგებაო“<sup>1</sup>.

„ასპინძის ომი“, როგორც მხატვრული ნაწარმოები პოეტის ლექსებთან შედარებით სუსტია. პოეტური სამკაულებით, რითმითა და რიტმით პოემა ნედლი, დაუმუშავებელი, შავად დაწერილი ნაწარმოების შთაბეჭდილებას სტოვებს. ესოდენ პროგრესულ-ამაღელ-

<sup>1</sup> ამ სახალხო გმირების შესახებ, რაფიელი აღნიშნავს, რომ ეს თუშები (კოხიო და ნაკულა) მესტიურულ ლექსებში არიან მოხსენებულნი „არებული“, 1873, წიგნი VII, გვ. № 27.



ვებელ იღვას, რითაც ფრიად საყურადღებოა ეს ნაწარმოები — ვერა აქვს შესატყვისი მხატვრული ფორმა მონახული.

რაფ. ერისთავის მეორე პოემა „თამარიანი“ პირველად ცალკე წიგნად დაიბეჭდა გრ. ჩარკვიანის სტამბაში 1887 წელს. პოემის ავტოგრაფს ჩვენამდე არ მოუღწევია. როგორც ირკვევა მწერალი დიდხანს მუშაობდა ამ პოემის შექმნაზე. გაზეთი „ივერია“ (№ 169) 1886 წელს იტყობინებოდა, რომ „ჩვენს პატივცემულს პოეტს თ. რ. ერისთავს გაულექსავს ისტორიული რომანი „თამარ ბატონიშვილი“ გრ. რჩეულიშვილისა და აპირებს დაბეჭდვას“. ერთი წლის შემდეგ „ივერია“ ათავსებს ცნობას „თამარიანის“ დაბეჭდვის შესახებ; რაფ. ერისთავს ბევრი უფიქრია ნაწარმოების სათაურზე. თავდაპირველად პოემის სათაურად განუზრახავს გრ. რჩეულიშვილისებური — „თამარ ბატონიშვილი“<sup>1</sup>, შემდეგ იგი შეუცვლია „შალვა-თამარიანით“, მაგრამ საბოლოოთ შეჩერებულა გავრცელებულ სათაურზე — „თამარიანი“. „თამარიანის“ დაწერის ზუსტი თარიღი დაუდგენელია; მწერლის პირად არჩივზე მუშაობისას ჩვენ მივაკვლიეთ „თამარიანის“ პროზაულ ავტოგრაფს<sup>2</sup>, რომელიც რაფ. ერისთავის 70-იანი წლების ნაწარმოებთა შორისაა მოთავსებული.

ქართულ კრიტიკაში რაფ. ერისთავის პოემა „თამარიანი“ არ არის სათანადოთ დაფასებული, თუმცა იგი სრულებით არ ჩამოუვარდება ამ თემაზე დაწერილ ს. გუგუნავას „თამარიანს“, ხოლო გაცილებით მაღლა დგას კ. მესხის 5 მოქმედებიან დრამად გადაკეთებულ „თამარიანზე“.

რაფ. ერისთავი „თამარიანის“ წინასიტყვაობაში წერს: „საგანი ამ პოემისა მე ავიღე ქართლის ცხოვრებიდან და მქონდა სახეში რჩეულოვის რომანი „თამარ ბატონიშვილი“ ამ წყაროებს ბევრით არ უხვევს პოემა. განსხვავება მხოლოდ შემდეგშია:

1. შალვასაგან გამიჯნურება თამარისა, რომელიც ქართლის ცხოვრებაში არ არის მოხსენებული;

<sup>1</sup> გრ. რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილი“ დაიბეჭდა 1862 წ.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი. რაფ. ერისთავის ფონდი, № 162.

2. ივანე, შალვას ძიძიშვილად არის ნახსენები პოემაში და ქართლის ცხოვრებაში კი — ძმად;

3. იქვეა მოხსენებული, რომ ლაშას ქცევა გააკიცხესო და დავით ისევ მამას დაუბრუნესო და პოემაში კი, როგორც რჩეულოვის რომანში, — ელისაბედი ქვრივით არის გამოყვანილი და 4. ელიზბარზე და მის ჩადენილს შფოთზედ არა არის მოხსენებული ქართლის ცხოვრებაში. იქ ყრულ არის ნათქომი: ლაშას სილოდაში თვალი გამოუთხარაო. ქალაქის და ქართლის აოხრება ჯალალედინისაგან, ყველა ნამდვილი ფაქტებია, როგორც — ჩინგისყაენის შემოსვლა რაოდენჯერმეა საქართველოს გასანადგურებლად.

ყოველშემთხვევაში რომანს და პოემას ბევრი მოეტყვებათ<sup>1</sup>.

როგორც რაფიელ ერისთავის „თამარიანის“, ისე სიმონ გუგუნავას ამავე სახელწოდების პოემის სიუჟეტური ქარგა რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილიდან“ არის აღებული. ორივე ნაწარმოები თითქმის დროის ერთ მონაკვეთშია შექმნილი და იდეურ-მხატვრული ღირსება-ნაკლოვანებებითაც დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. „ქართლის ცხოვრებიდან“ და სხვა ისტორიული წყაროებიდან რა ფაქტები აიღო მწერალმა და როგორი ინტერპრეტაციით წარმოგვიდგინა ისინი, ამის შესახებ იგი საკმაოდ და გარკვევით მოგვითხრობს ზემოთ; ხოლო წარსულისადმი მწერლის პოზიციის შესახებ ასეთი აზრი იყო გამოთქმული:

„რაფ. ერისთავი და ს. გუგუნავა იძლევიან ლირიულ გადახვევებში სრული უიმედობის განწყობილებას... ამ ორი პოეტის, მათი სოციალური კლასის პატრიოტიკა და პესიმიზმი მთელი სიგრძე-სიგანით და სიღრმით დაიტია ამ რომანმა. ორივემ შესანიშნავად მოგვცა რღვევის პერიოდის ფეოდალური არისტოკრატის გაბზარული გულის ტკივილი და X-II საუკუნის ფაქტებმა ისე მძლავრად დაიმორჩილეს ორივე, რომ (რაფ. ერისთავი და ს. გუგუნავა) თავისი დროის გულუბრყვილო დემოკრატიული მსოფლმხედველობის დახმარებითაც ვერ შეძლეს „ქართლის ცხოვრებაში“ მოცემული სოციალურა

<sup>1</sup> რ. ერისთავი, პოემები, 1936 წ., ტ. II, გვ. 197.

ყოფის გაფართოებული გამოხატვა — დაბალი კლასების და გლეხობის და ხელოსნების მოქმედების მოცემა“<sup>1</sup>.

შინაარსობლივ-იდეურ მონაცემებს თუ ობიექტურ მსჯავრს დავდებთ რაფ. ერისთავის „თამარიანს“ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მხოლოდ წარსულის იდეალიზაცია ჰქონდეს მიზნად დასახული, რადგან დადებითი გმირების (თამარის, შალვას, ელიზბარის და სხვათა) საპირისპიროდ პოემაში მოცემულია უარყოფითი პერსონაჟები, რომლებიც, აგრეთვე, უბრალო მოქალაქენი კი არ არიან, არამედ სახელმწიფოს მესვეურნი და ქარის სარდლები (ლაშა-გიორგი, რუსუდანი, ივანე არღუთაშვილი-ათაბაგი და სხვ.). რაფ ერისთავს ობიექტურად აქვს დანახული როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მოვლენები. რაც შეეხება ბრალდებას, რომ სოციალურ ჩაგვრაზე არაფერია ნათქვამიო, ამის თაობაზე უნდა ითქვას შემდეგი: მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, თუ განსახილველი ნაწარმოები რომელ ისტორიულ ეპოქას ასახავს და რა კონკრეტული თემა უძევს მას საფუძვლად. რაფ. ერისთავს „თამარიანში“ XIII-ე საუკუნის საქართველოს ცხოვრების ის მომენტი აქვს აღებული, როდესაც მონღოლთა ურდოებმა და ჯალალედინმა რამდენიმეჯერ ააოხრა საქართველო, მისი დედაქალაქი თბილისი. ასეთ ვითარებაში სოციალური წინააღმდეგობანი უკანა პლანზე გადაიწეეს ხოლმე და წინ ეროვნული თვითმყოფობა — პატრიოტიზმი გადმოდის. ყველა წოდების წარმომადგენლები ერთიანდებიან საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით გამართლებულია, როდესაც თამარის, შალვას, ელიზბარის და სხვა დადებითი გმირების გვერდით ავტორი პოემაში სიყვარულით მოგვეითხრობს დაბალი ფენების წარმომადგენლებზე. ესენია: შალვას აღმზრდელი ივანე ერთგულაძე, დავით ნარინის აღმზრდელი სოსანა, მწყემსი ჭათარა და სხვები. მაღალი წოდების წარმომადგენელი პერსონაჟების თამარის, შალვას, დავითის და სხვათა სულიერ ფორმირებას დაბალი წოდების ადამიანები ახდენენ; ივანე ერთგულაძემ, სოსანამ და თამარის აღმზრდელმა სოფიომ ბევრჯერ ჩააგდეს საკუთარი სიცოცხლე საფრ-

<sup>1</sup> „თამარიანი“, ლექსად თქმული ს. გუგუნიას მიერ, 1935 წ. გვ. XXIII.

თხეში და აუცილებელი დაღუპვისაგან იხსნეს თავისი აღზრდილნი. ივანეს, სოსანას და სხვათა სახით პოეტი მთელ ქართველ ხალხს გულისხმობს და ყოველგვარი სიკეთის შემქმნელად და ქვეყნის საიმედო ბურჯადაც ისინი მიაჩნია. აღნიშნული ნაწარმოები გამსჭვალულია ჯანსაღი პატრიოტიზმით. პოემის თითოეულ სტრიქონში ჩაქსოვილია ეროვნული გრძნობა. წარსულის მართებული გაშუქებით, სიყვარულის გრძნობით გემსკვალავს თანამედროვე და მომავალი საქართველოს მიმართ.

პოემა „თამარიანი“ შედგება ორმოცდასამი თავისაგან. პირველი თავი შესავლის როლს ასრულებს, სადაც მოკლედ, რამოდენიმე სტროფში თამარის დროინდელ საქართველოს დიდებაზეა ლაპარაკი. შემდეგ მოთხრობილია საქართველოს ტრადიკულ ბედზე რუსუდანისა და ლაშა გიორგის მეფობის პერიოდში. პოეტი უსაყვედურებს თავის შორეულ წინაპრებს იმისათვის, რომ ნადირობასა და დროსტარებაში დაღუპეს საქართველო. ასევე მკაცრად კიცხავდა აკაკი წერეთელი თეიმურაზსაც („ბაში-აჩუი“). თუმცა რაფიელ ერისთავს აკაკი წერეთელთან შედარებით უფრო მეტი საფუძველი ჰქონდა გაეკიცხა ლაშა გიორგი და მისი ფუქსავატი და რუსუდანი. რაფიელი დაახლოებით ათი წლით ადრე, ვიდრე აკაკი, გამოვიდა ჩვენი წარსულის მსაჯულად და საკადრისი მსჯავრი გამოუტანა ქვეყნის უღირს მმართველებს. ასევე მართებულადაა დახატული რუსუდანის ვერაგული საქციელი საკუთარი შვილის დავით ნარინის მიმართ. არა ნაკლებ აღმაშფოთებელია ამირსპასალარის ივანე ათაბაგის მუხანათური მოქმედება შალვასადმი. ყველა ამით პოეტს იმის თქმა სურდა, რომ თამარის გარდაცვალების შემდეგ პირადულმა ანგარებამ დაფარა ყოველგვარი საზოგადო. კერძო ინტერესებს ეწირებოდა საქვეყნო და ეროვნული საქმე. მწერალი არა ერთგზის უსვამდა ხაზს, თუ რთგორ იმსხვერპლა საქართველოს საუკეთესო შვილები: თამარ ბატონიშვილი, შალვა, ელიზბარი და სხვა მრავალი თავდადებული მამულიშვილი სამეფო კარზე გამეფებულმა შურმა, მტრობამ და ანგარებამ. პოეტი გამოხატავს იმ აზრს, რომ თუ არა შინაური კინკლაობა, გარეშე ძალებს არ შეეძლოთ დაემხოთ დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი და თამარ მეფის მიერ განმტკიცებული ესოდენ ძლიერი ქვეყანა.

ამ გარემოებისათვის, ცხადია, პირველად რაფიელ ერისთავს არ მიუქცევია ყურადღება და მარტო მის შემოქმედებაში არ ასახულა ეს მოვლენა. ამას თავის დროზე ხაზგასმით აღნიშნავდნენ ჯერ არჩილი, ხოლო შემდეგ უფრო ნათლად დავით გურამიშვილი. XIX საუკუნის დასაწყისში კი ბარათაშვილმა გულისტკივილით თქვა, რომ ჩვენმა უთაობამ დაგვლუპაო. სამოციან წლებში ილია, აკაკი, შემდეგ გ. წერეთელი, ვაჟა და სხვები არა ერთხელ შეხებიან ამ საკითხს.

თამარი ტიპიური ზოგადი სახეა წმინდა, სათნო ქართველი ქალისა, ხოლო შალვა პატიოსანი გმირი ქართველი ვაჟაკის ტიპს განასახიერებს. ასევე უნდა ითქვას ელიზბარის შესახებაც. მწერლის მიზანია ამ სამი ადამიანის თავგადასავალში გვაჩვენოს საქართველოს და ქართველი ხალხის წარსული ცხოვრება. შალვას, თამარის და ელიზბარის თითოეულ სიტყვაში მთელი ერის გულისტკივილია ჩაქსოვილი, მათ ცალკეულ ბედში მთელი ხალხის ისტორიული ხვედრი იგრძნობა. მათი შეურყეველი ხასიათი იყო ის მტკიცე დუღობი, რომელიც ასალკდევებდა და აკავშირებდა ქართველი ერის ნებისყოფას.

რაფიელ ერისთავმა მზამზარეული სიუჟეტური ქარგა აიღო თავისი პოემისათვის (რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილი“), მაგრამ არ იქნება მართებული თუ ვიტყვით, რომ რაფ. ერისთავის „თამარიანი“ მხოლოდ და მხოლოდ პროზაული ნაწარმოების ლექსად გარდათქმას წარმოადგენდეს. პოემის ავტორმა მარტო უანრული ფორმა კი არ შეუცვალა ამ ნაწარმოებს, არამედ მასში ისტორიული ამბებისადმი თავისი მრწამსი, თავისი პირადი დამოკიდებულებაც გამოხატა. რაფ. ერისთავმა მემატრიანეს მიერ ჩაწერილი ისტორიის მშრალ ქრონიკებს ცოცხალი სული შთაბერა და პოემაში ასახული მოვლენები და ადამიანები XII—XIII საუკუნის ეპოქას დაუკავშირა. თამარი, შალვა, ელიზბარი და ნაწარმოების სხვა გმირები მარტო ისტორიის მტკრით დაფარულ ამბებსა და თავგადასავლებს კი არ მოგვითხრობენ, მარტო იმიტომ კი არ თანაუგრძნობთ, რომ ისინი გარდასულ დროთა მძიმე ამბების მოწმენი არიან, არამედ იმიტომ, რომ მწერლის მიერ დახატული გმირები თანამედროვეობის თვალაზრდითაა დანახული.

„ასპინძის ომსა“ და განსაკუთრებით „თამარიანში“ რაფ. ერისთავი მკვეთრად განიცდის რუსთაველის უკვლავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ გავლენას (შედარებები, მეტაფორები, მოვლენის მხატვრული აღწერა, დადებით და უარყოფით გმირთა თავგადასავლის გადმოცემა, მათი დახასიათება და ურთიერთობა). პოემა „თამარიანი“ დაწერილია სადად, უსამკაულოდ, მაგრამ პოემა თავიდან ბოლომდე რუსთველური შაირით გამართული ტაქეებით ვითარდება.

შინაარსობლივ გავლენაზე როდესაც დაისმის საკითხი, ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ განსაკუთრებით ნაწარმოების გმირთა ხასიათებს და მათ ურთიერთობას. ამ მხრივ კი, რაფ. ერისთავის პოემის გმირები: თამარი, შალვა, ივანე ერთგულაძე, თამარის გამზრდელი სოფიო და სხვანი ერთგვარად ენათესავენ იან „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს. მართალია, თამარისა და შალვას მიჯნურობას ტრაგიკული დასასრული აქვს, განუხორციელებელია მათი სიყვარული, მაგრამ მათი სიყვარულის თავგადასავალი ბევრ შემთხვევაში ტარიელ-ნესტანისებურია, გავიხსენოთ შალვასა და თამარის პირველი შეხვედრა, თამარის მიერ შალვასათვის სამიჯნურო ნიშნის მიცემა, თამარის გამზრდელის მოქმედება, როგორც დამაკავშირებელი ამ ორი მიჯნურისა და სხვა. თამარის წერილები შალვასადმი განცდების გამოხატვის ბუნებით ნესტანის წერილებს ჰგავს. ივანე ერთგულაძე და თამარის გამზრდელი შერმალინ-ასმათისებურ ერთგულებას იჩენენ და ყოველთვის თავის გაზრდილებთან არიან; თამარის დედა ქერივი რუსულდანი ხასიათით და საქმიანობით ინდოეთის მეფის ფარსადანის ქერივ დას დავარს მოგვაგონებს. ამ მხრივ შეიძლება უფრო მეტი დეტალების მოტანა, მაგრამ რუსთაველის გავლენა პოემის დასაწყისიდანვე ისე ნათლად ჩანს, რომ ამის მტკიცება საჭიროდ აღარ მიგვაჩნია.

რაფიელ ერისთავის „თამარიანი“ და „ასპინძის ომი“ როგორც მხატვრული ნაწარმოებები გვერდში ვერ ამოუღდება XIX საუკუნის კლასიკოსი მწერლების ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის. აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას პოემებს; მიუხედავად მთელი ჭიგი ძლიერი მომენტებისა, ხშირად გვხვდება მხატვრულად სუსტი ადგილები. ამბის თხრობისა თუ გმირთა დახასიათებისას პო-

ეტი სათანადოდ ვერ იმარჯვებს რუსთველურ შაირს. ამიტომ აზრის, სახის, შედარების თუ მეტაფორის სხარტ ცოცხალ გამოხატვას ვერ ახერხებს და პოეტური მეტყველება უბრალო პროზაიზმამდე ჩამოჰყავს. მიუხედავად ამისა რაფ. ერისთავის პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარულის მხატვრული ხორცშესხმა, ამ პოემებში, არ ჩამოუვარდება XIX საუკუნის ცნობილ ქართველ კლასიკოსთა ისტორიულ პოემებს. მაგრამ პატრიოტიზმის გამოხატვის მხატვრული (რუსთველისებური) ფორმა ამ პერიოდში უკვე მოძველებულია. რამაც მის მშვენიერ ლექსებთან შედარებით ერთგვარად დაბლა დასწია პოეტის მხატვრული ოსტატობა.

როდესაც პოეტური ეპოსის ძველ და ახალ ფორმებზე ვლაპარაკობთ, ცხადია, ენა ამ მხრივ როგორც შინაარსთან, ისე ფორმასთანაც განუყრელ კავშირშია. ამ მხრივ რაფ. ერისთავის პოემებში, როგორც „ასპინძის ომში“ ისე „თამარიანში“ თავისებურ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

რაფ. ერისთავის მდიდარი და ძარღვიანი ქართული ძირითადად ხალხური მეტყველების საფუძველზეა აგებული, თუმცა ენის დემოკრატიზაცია სრული სახით შეღავნდება მის ყველა ჟანრის თხზულებაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, „თამარიანში“ არა იშვიათად გვხვდება არქაული გამოთქმებიც, როგორცაა მაგ: „ძოდან“, „სალამი მიართვის“, „გიება“, „მცბიერი“, „წატანა“, „მეცრუებიან მიართვის“, „მეცავკრით იახლის“ და სხვ.

რაფ. ერისთავს საკმაოდ შემოაქვს პოეტურ მეტყველებაში კუთხური გამოთქმები, მაგრამ ამ მხრივ მისთვის დამახასიათებელია არა მარტო ერთი რომელიმე მხარისა თუ კუთხის დიალექტის გამოყენება, არამედ საქართველოს ყველა კუთხის ცალკეულ დიალექტებს იგი ოსტატურად აქსოვს თავის ლიტერატურულ ქმნილებებში. მის ნაწარმოებებში ვხვდებით როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ ცალკეულ გამოთქმებს. როგორცაა: „სტაქნით ჰსომს“, „შაბრუნდნენ“, „შაჰხედა“, „ძნიადი“, „შასვეს“, „ტეტერი“, „დრუსო“, „აგი სთქვა“, „შაგაშინა“, „დასცეს“, „მწვირი“, „ძოდანდელი“, „აჯა“, „ჯაჯა“, „ხადილი“, „სა-

ხიობა“, „სამსალა“, „კურცხალი“, „სიყმილი“, „რაცხაფრათ“, „მჯილ-  
ვი“ და სხვა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცოცხალი მეტყველებიდან მართებული სიტყვების გამოყენების საფუძველზე ერთიანი სალი-  
ტერატურო ენის შექმნის აზრი მრავალჯერ გამოსთქვა რაფიელ ერისთავმა თავის შრომებში და სტატიებში. ამიტომ შეიძლება ამ მხრივაც ეს მოვლენა გამართლებული იყოს.



რაფ. ერისთავის პოეზიის სათავე ქართული ხალხური პოეზიაა. ხალხის უშრეტო საუნჯიდან ამოჰქონდა მას ლექსიკური მასალა, სი-  
სადავე და უბრალოება. მის ბევრ ლექსს ხალხური ამბავი; თქმულება-  
ან გადმოცემა უდევს საფუძვლად და პოეტის ნიჭი მათ თავის შე-  
მოქმედებაში ახალი მხატვრული ძალით აღჭურავს. რაფ. ერისთავის  
ბევრი ლექსი გადავიდა ხალხში და ვარიანტებად გავრცელდა საქარ-  
თველოს სხვადასხვა კუთხეში. ასეთი ლექსებია: „პურის მოსავალი“,  
„ქალი-აყვანა“, „ქოროლი“, „სამშობლო ხევსურისა“ და სხვა.

რაფ. ერისთავის პოეზია ეროვნული ხასიათისაა. ეს არის მისი  
ლირიკის ნიშანდობლივი მხარე. მწერლის პირად არქივში ჩვენ მი-  
ვაკვლიეთ ხალხურ კილოზე დაწერილი ისტორიული შინაარსის  
შემცველი შესანიშნავი ლექსი — „მეჟე სვიმონმა რომ გაგზავნა  
კაცი“. აი, ეს ლექსიც:

„ოფიშკვითიღგან გამოქცეულსა  
ცხენი წყალსა მთხოვს მეჯუდაზუნდა  
გასწი, ტიელო, რა დროს წყალია,  
გაგარონინებ, გასმეე ქსანზუნდა“<sup>1</sup>.

ამ ოთხ სტრიქონიან ლექსში პოეტური ფანტაზიის წყალობით  
გაცოცხლებულია ჩვენი ისტორიული წარსულის ერთი დამახასიათე-

<sup>1</sup> ლექსისათვის რაფ. ერისთავს დაურთავს ასეთი შენიშვნები: ოფიშკვითი —  
სოფელია ქუთაისის დაბლა, მეჯუდა მდინარეა, მეჯვრისხევეს გამოდის და ლიახვს  
შვერთვის გორის ახლოს. ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა 1958 წელს. იხ. „ლიტე-  
რატურული ძიებანი“ ტ. XI, გვ. 216.



ბელი დეტალი: ლექსი დაწერილია ქართლის მეფე სიმონ I იმერეთზე გალაშქრებასთან დაკავშირებით.

სიმონ I მეფობის პერიოდი აღსავსეა ოსმალების წინააღმდეგ მრავალი გამორეული ბრძოლებით. მან გაათავისუფლა გორის ციხე ოსმალებისაგან (1599 წ.), ზრუნავდა ოსმალთა მუდმივ რბევა-აწიოკებაში მყოფი დასავლეთ საქართველოს მოძმე ხალხების შემოერთებაზე... ამის გამო რამდენჯერმე ილაშქრა იმერეთში, რაჭაში და სამეგრელოში. ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის დროს სოფელ ოფიშკვითთან, როგორც ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, მეფემ ონი წააგო, შეჯდა „დამარცხების“ ცხენზე შურდანზე და გამოეშურა ქართლისაკენ. ეს ისტორიული ფაქტი შემდეგნაირადაა მოთხრობილი მარიამ დედოფლისეულ ქართლის ცხოვრებაში: გაძლიერებულმა სიმონ მეფემ 1590-იან წლებში გოფონთოსთან დაამარცხა იქერეთის მეფე ლეონი, მაგრამ ვინაიდან ამ დროს გორის ციხე ოსმალებს ხელთ იყო, სასწრაფოდ გამობრუნდა უკან. ლეონმა კვლავ დაიბრუნა იქერეთი. 1593 წ. სიმონ I მეორედ ილაშქრა და დაიპყრო იმერეთი. მაგრამ გაბრუნდა თუ არა ქართლში, სამეგრელოს მთავარმა მამია დადიანმა იმერეთის ტახტზე აიყვანა მისი სიძე როსტომი. იმავე წელს (უკვე მესამედ) სიმონ მეფემ „გარდავლო მთა, მივიდა რაჭის. აიღო კვირის ციხე, ციხე სკანდისა და ციხე კაცხისა, მივიდა ქუთაისის და კვლავ დაიპყრა იმერეთი.“ როსტომ მეფემ თავი შეაჯერა მამია დადიანთან, რომელმაც მეფეს თავისი სიძის პატიება სთხოვა: „შეირიგე როსტომი, იყოს დამონებულ და მორჩილი ბრძანებისა თქვენისა. მეცა ვიქმნები დამორჩილებულ, ვითარცა ერთი თავადი შენი ერთგული... და ესრეთ ერთობით დაიმკვიდრე საქართველო. ვითარცა დავით აღმაშენებელმა“. მეფე! არ მიუღია დადიანის სამართლიანი წინადადება. მაშინ დადიანი მოულოდნელად თავს დასხმია სიმონის ბანაკს და სოფ. ოფიშკვითში მომხდარა დიდი ბრძოლა. ისტორიკოსი შენიშნავს, რომ „სძლო სამართალმან დადიანისამან და მიეცა გამარჯვება“. მრავალ ბრძოლებში გამოცდილ მეფეს, შენიშნავს ჟამთ აღმრიცხველი, თურმე წინასწარ შეეძლო განეკვრიტა ბრძოლის ბედი. ამისდა მიხედვით მას ორი რჩეული ცხენი ჰყოლია: ფალავანი (გამარჯვების ცხენი), რომელზედაც გამარჯვების

რწმენის შემთხვევაში შეჯდებოდა და შურდანი (დამარცხების ცხენი), რომელზედაც შეჯდომა დამარცხებას მოასწავებდა. ოფიშკვითის ბრძოლის წინ მეფეს „დამარცხების“ ცხენი შურდანი მოუთხოვია. გაბედულად ჩაბმულა ბრძოლაში, მაგრამ შეუტყვია რა დამარცხება, გულმოსული „უკუნ იქცა და წარმოვიდა მარტო თავ კაცად. ამოვლო იმერეთი... ჩავლო ზემო ქართლი“, და დაუსვენებლივ მივიდა მდინარე მეჯუღაზე, სადაც სოფელ კავთისხევში „რამეთუ ფრიად დამვრა და ვერლარა ძაღედვა სლვა, მიაღვა ერთსა მუნ მკვიდრსა მცირეთაგანსა გლეხსა და ინება მუნ მცირედ ჟამ განსვენებაჲ“.<sup>1</sup>

ეს ისტორიული ამბავი — ოფიშკვითის ბრძოლა და უცნობი ცხენოსნის მიერ იმერეთიდან ქართლის შუაგულამდე შეუსვენებლივ გადმოსვლა რამდენიმე სტრიქონში გაულექსავს პოეტს, მაგრამ მას, ალბათ, არ ცოდნია, რომ ეს მსწრაფლმსრბოლი ცხენოსანი თვით სვიმონ მეფე იყო. ამიტომ მიუცია ლექსისათვის ასეთი სათაური. „მეფე სვიმონმა რომ გაგზავნა კაცი“.

სიმღერა, ღიღინი, გალობა — რაფ. ერისთავს თავისი გმირების განწყობილების გამომხატველ ატრიბუტებად აქვს გამოყენებული („აღზევანს წასვლა“, „ზაფხული“, „საბრუას სახლკარობა და შეძლება“, „ტეტიას მოთქმა“, „ღამის მეხრე“, „მევენახის სიმღერა“, „მორიგი ჯარის სიმღერა“, „გუთან“, „პოემების — „თამარიანის“ და „ასპინძის ომის“ ცალკეული ადგილები და სხვა). პოეტის ლექსების ერთი ნაწილი მესტვირული ხასიათისაა („უცნაური მეჭიანურე“, „რას აზუზუნებ მაგ ფანდურს“, „ფერხულის ხმაზედ“, „თარის დაკვრაზედ“, და სხვა). ხალხური ლეგენდების შთაგონებით დაიწერა რაფიელის ლექსები: „ქალი-აყვანა“, „ქოროდლი“, „ბაზალეთის ტბა“ და სხვ. მოთხრობას „ობორვანეც“ ხალხური გადმოცემა აქვს თემად, მას პოეტმა თვითონ უწოდა ფშაური თქმულება.

რაფიელის შესანიშნავი ლირიკული ლექსია „უცნაური მეჭიანურე“. ეს ლექსი საინტერესოა სხვა მხრივაც. მასში მწერალი გვამცნობს თავის შეხედულებას ხელოვნებაზე. რაფიელი კიცხავს ისეთ

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, ექ. თაყაიშვილის გამოცემა, 1906 წ., გვ. 963—966.

პოეტებსა და მომღერლებს, რომლებიც შეეკვეთით, ყალბად წერენ. მღერიან ან ტირიან. მას კი, როგორც პოეტს ასე არ შეუძლია, იგი მღერის მაშინ, როცა შთაგონებულია, ეტირება ან ემღერება. იგი მხოლოდ მაშინ ააყენებს კიანურს, როცა დარდი ეწვევა, ხოლო მაშინ მოილხენს, როცა მის გულში ვარდი ჰყვავის:

„აჰა, პოეტო, სურათი  
შენის სულისა, გულისა  
ტრემლიც ასეა მჩქეფარე  
ღმობისა, სიხარულისა.“

თავისი პოეტური კრედიო კიდევ უფრო გარკვევით ჩამოაყალიბა რაფ. ერისთავმა ლექსში „კაცი ის არის“.

პოეტის თქმით, ნამდვილი კაცი ჩვენს დროში ის არის, ვინც „იბრძვის ერისთვის და ქვეყანას მისცემს შვებას“, ვინც მამულს ეტრფის, ეთაყვანება და ნამდვილ შვილად გამოადგება მას:

„ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს  
თავი — სამსხვერპლო წილადა,  
ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო,  
ვერც მისი მკაცრი ბრძანება,  
ვისაც სამშობლოს ოხერისთვის  
ლომ-გული მოეფხანება,  
ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს,  
მოწამეს დაეგვანება!“

რომ არ იცოდეთ ამ ლექსის ავტორი, შეიძლება შემცდარიყავით და გეტქვათ, რომ იგი ეკუთვნის აკაკის კალამს, რომელმაც არა ერთი და ორი მსგავსი ხასიათის ლექსი უძღვნა სამშობლოს თემას. აქვე შევნიშნავთ, რომ რაფ. ერისთავმა თვითონაც განიცადა აკაკი წერეთლის პოეზიის გავლენა. აკაკისეული ლექსის („აღმართ აღმართ“, „თავო ჩემო“) ფორმითაა დაწერილი რაფიელის რამდენიმე ლექსი („სიმღერა“, „ავი არვის არ უყავი ჩემს დღეშია“, „სულ მტრისაგან კბენა, სულ წყენა, წყენა.“ და სხვ.). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ლექს-

სებში ვხედავთ არა გავლენას, არამედ წამბაძველობას. მათში არ ჩანს რაფიელ ერისთავის ლექსისათვის დამახასიათებელი პოეტური ოსტატობა, ისინი არ გამოხატავენ ავტორის ორიგინალობას და აშკარად იგრძნობა, რომ რაფ. ერისთავმა ვერ დაძლია აკაკის ლექსი, ვერ გათავისუფლდა მისი გავლენისაგან, მაგრამ აკაკის ლექსის დონემდეც ვერ ამაღლდა. რაფ. ერისთავისათვის ნიშანდობლივია ქართულ ხალხურ კილოზე გამომუშავებული საკუთარი პოეტური სტილი. შორდება თუ არა პოეტი თავის არჩეულ გზას, იგი მარცხს განიცდის. ასე მოუვიდა ამ შემთხვევაშიც, როცა აკაკი წერეთლის პოეზიის გავლენით სცადა რამდენიმე ლექსის დაწერა, ასეთივე მარცხი განიცადა მისმა პოეტურმა ოსტატობამ, როცა რუსთველისებური შაირით დაწერა პოემები.

რაფ. ერისთავის ენისა და პოეტური ოსტატობის საკითხებს ჩვენ ვეხებოდით გზადაგზა. ბევრგან თქმულისაგან გამომდინარე ჩვენ ვასკვნით, რომ რაფ. ერისთავის პოეზია ქართული ეროვნული ხასიათისაა. ეს არის მისი პოეზიის ერთი მთავარი მხარე.

თავისი ლექსისათვის რაფიელი ყოველთვის მარტივ ხალხურ სიტყვებს იყენებს, გაურბის დახლართულ და შელამაზებულ ფრაზებს. საოცარი ოსტატობით ხმარობს სიტყვას, რითაც ძალზე უადვილდება ბუნების სურათის დახატვა, ამ მხრივ უამრავ სხვა ლექსთა შორის მოწონებას იმსახურებს დიდებული კავკასიონის მრისხანე სილამაზის აღწერა:

„უშირეთი კავკასის მთანი  
ცის კამარასა სწუდებიან,  
ყინვარის ჯავშნით მოსილნი,  
ბარს დანთქვას ემუქრებიან!  
ახლავან ორბნი, არწიენი,  
ჯიხვებიც ეხიზნებიან,  
და ხშირად შავნი ღრუბელნი  
მოჰბერვენ, ესტუმრებიან;

იხატებს, დილის შვის სხივზე  
ღრუბლები აიყრებიან;  
აქ დაბერტყავენ კალთებსა: —

თვალ-მარგალიტი კვრთებიან!“  
შეკუყრებ, თხემნი კავკასის  
ისევ სპეტაკად ჩნდებიან  
და მედიდურნი, ტურფანი  
ლაქეარდს ცას ებჭინებთან!“

(„კავკასია“)

ან

„კავკასიონის კლდე-ფიქალს  
ვეშაპნი გადმოსწოლიან,  
მთა — მთასა, სალი — სალს აწეეს,  
ხეენი წყლებს ჩამოსძლოლიან.“

მთების მწვერვალთა ღრუბელნი  
აღერსით ჩაქონებთან  
სჩანს უმძიმთ გაყრა იმათი,  
მარგალიტს იცრემლებთან.

(„სამი სურათი“).

რაფ. ერისთავის ლექსები რიტმულად მესტვირული სასიმღე-  
რო ხასიათისაა. ეს არის 8-მარცვლიანი ხალხური ლექსის ზომა. რა-  
ფიელს არ შემოუტანია ლექსის ახალი ფორმა. მისი ლექსები უმ-  
თავრესად 8 და 10-მარცვლიანია. გვხვდება აგრეთვე 14-მარცვლი-  
ანი, რუსთაველური — 16-მარცვლიანი და ჩახრუხაული — 20-მარ-  
ცვლიანი ლექსებიც.

• • •

მწერლის პოეზია სასტიკად ამხელს დრომოკმულ წესწყობილე-  
ბას, ააშკარავებს მის მახინჯ მხარეებს და შეიცავს პროტესტს  
მოძალადეთა, მტაცებელთა და თვითმპყრობელური წყობილების  
სულის შემხუთავი რეჟიმის წინააღმდეგ.

რაფ. ერისთავის პატრიოტულ ლექსებს არც საბჭოთა ეპოქაში  
დაუყარგავს თავისი მნიშვნელობა.

ღრმა ეროვნული სულით გამსჭვალული რაფ. ერისთავის პატრიოტული ლექსები საოცრად თვითმყოფია და მკვეთრად უპირისპირდება ყოველივე კოსმოპოლიტურს. მშრომელი ხალხის გულის მესაიდუმლე პოეტის თითოეული სტრიქონი, ყოველი ლექსი უაღრესად კოლორიტული, გულში ჩამწვდომი და მასების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის მძლავრი საშუალებაა. ჩვენს ეპოქაში რაფ. ერისთავის და სხვა კლასიკოსი მწერლების შემოქმედება ახალიდურ შინაარსს იძენენ და ისინი მასების პატრიოტული განწყობილებით აღზრდის ახალ ძალად იქცევიან.

პოეტის უკვდავი სიტყვები: „სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“... ანდა „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“... აკენიდანვე შთააგონებდა ყოველ ქართველს სამშობლოს გულწრფელ სიყვარულს, სოციალური უსამართლობისა და დამპყრობთა წინააღმდეგ თავდადებით ბრძოლას.

## პ რ ო ზ ა

რაფ. ერისთავის პროზაული თხზულებანი მისი მრავალფეროვანი შემოქმედების ყველაზე ნაკლებად შესწავლილი უბანია.

მწერლის შემოქმედებითი მეთოდის ევოლუცია, ლიტერატურულ ჟანრებისადმი დამოკიდებულება, მხატვრული ინდივიდუალობა, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისი რაფ. ერისთავის შემოქმედებაში მეტად საგულისხმო სურათს გვიშლის.

ამ სურათის გაანალიზებისათვის ჩვენ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილავთ რაფ. ერისთავის ზოგიერთ განსაკუთრებულ მნიშვნელოვან ნაწარმოებს და შემდეგ შევეცდებით გამოვთქვათ მოსაზრება მწერლის მხატვრული მეთოდის შესახებ.

XIX საუკუნის 50-იანი წლები ქართული პროზის განვითარებაში ძირითადად რომანტიკულ პერიოდადაა ცნობილი. ამ ხანებში ძლიერია აგრეთვე სანტიმენტალური (სხვანაირად ე. წ. პერომანტიული) პროზის ხედვითი წონაც (გ. რჩეულიშვილი. კ. მამაცაშვილი).

რაფ. ერისთავის პირველი მოთხრობები „Оборванец“ და „ნინო“ ამ ორი ლიტერატურული მიმდინარეობის ზეგავლენით შეიქმნა. მწერლის პირველ ვრცელ პროზაულ თხზულებას წარმოადგენს რუსულ ენაზე 1855 წელს დაწერილი მოთხრობა — „Оборванец“, რომელიც იმავე წელს გამოქვეყნდა რუსულ ალმანახში — „ზურნა“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველმა მწერალმა თავისი პირველი მხატვრული ნაწარმოები რუსულ ენაზე დაწერა. ამ ენაზე აზერტი ქართველი წერდა. საკმარისია გავიხსენოთ ა. ჰავჭავაძე მისი საქართველოს მოკლე ისტორიით, ნ. ნიკოლაძის, აკაკის, დ. ერისთავის

ვის და სხვათა შესანიშნავი პუბლიცისტიკა რუსულ ენაზე, ნ. ლომო-  
ურის მოთხრობები და მრავალი ქართველი პოეტის ლექსები.

რაფ. ერისთავის პუბლიცისტური წერილები და მხატვრული  
ნარკვევები ხშირად იბეჭდებოდა 50-იანი წლების რუსული პერიო-  
დული პრესის ფურცლებზე და სწორედ ამ გზით მივიდა მომავალი  
მწერალი სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოებების შექმნამდე.

რომანტიული პროზის ზოგიერთი ხერხების მიუხედავად, ეს ნა-  
წარმოები რეალისტური ხასიათისაა, რომელიც საქმის ცოდნითა და  
ღრმა დაკვირვებით აგვიწერს ქართველი მთიელების მძიმე ყოფას.  
ჯერ კიდევ შემორჩენილი მამაპაპური ადათწესებით.

მართალია, მოთხრობაში იგრძნობა ავტორის ერთგვარი ცდა,  
დააინტერესოს მკითხველი მთის ცხოვრების ეგზოტიურობით, მაგ-  
რამ მწერალი არ კარგავს ზომიერებას მთის ცხოვრების მართლად  
გადმოცემაში.

კომპოზიციური წყობით „Оборванец“ გავს ტურგენევის „Запис-  
ки охотника“-ს. მოთხრობა იწყება ავტორის მოგზაურობის აღწე-  
რით.

ფშავში მოგზაურობისას სოფელ ხოშორში რაფიელი შეხვდება  
ერთ მოხუც ქალს, სახელად გულთამხეს, იგი უყვება მას სოფელში  
მომხდარ ნამდვილ ამბავს, რომელიც მწერალს მოთხრობად გადაუშუ-  
შავენია.

ზაფხულის ერთ დღეს ფშავში სოფელ შუაფხის მახლობლად  
არაგვის პირს ცხვრის ფარას ორი მწყემსი დარაჯობდა. ერთი მათ-  
განი—ლაშქარა ცნობილ ახალგაზრდა ვაჟკაცად ითვლებოდა. გულ-  
მართალი, კარგი მოჯირითე, შამაცი მეომარი, მუყაითი, ხელხავიანი  
ნი მუშა და გამოცდილი მწყემსი, ყველას უყვარდა იგი და ყვე-  
ლა პატივსა სცემდა. მასზე მრავალ ახალგაზრდა ქალიშვილს ეჭირა  
თვალი. მაგრამ ამაყი ლაშქარა არავის ყურადღებას არ აქცევდა, იგრ-  
სხვაზე იყო შეყვარებული. ეს სხვა ახალგაზრდა ფშაველი მერცხალა  
იყო, ქალი მეტად ლამაზი, სათნო და პატიოსანი.

ლაშქარასა და მერცხალას მიჯნურობას თავისებური „მოკლე ისტო-  
რიაც“ კი აქვსო, გვეუბნება ავტორი და შემდეგ იწყებს ამ სიყვარ-  
რულის ისტორიის გადმოცემას. სხვათა შორის ასეთი კომპოზიციუ-



რი ხერხი ე. ი. თხრობაში ავტორისეული რემარკის ჩართვა და შემდეგ რაიმე ჩართული ამბის გადმოცემა ხშირად გვხვდება რაფ. ერისთავთან.

ლაშქარა ადრე დაობლებულა. მას ქისტებმა მამა მოუკლეს. ლაშქარას დედას, მოხუც სანდუას, ძალზე გასჭირვებია მართოცხოვრება და სიხარულით დათანხმებულა ერთი შეძლებული ფშავლის წინადადებაზე, რომ გადასახლებულიყო მასთან მეზობელ სოფელ ხოშორში და შვილი მწყემსად მიეცა. გასამრჯელოდ სანდუას ეძლეოდა წლის სარჩო, ხოლო ლაშქარას კი რამდენიმე წლის შემდეგ მიეცემოდა განსაზღვრული წილი მდიდარი მეცხვარის ფარიდან.

ამის შემდეგ ავტორი მოკლედ აღწერს ლაშქარასა და მისი ბატონის ქალიშვილის მერცხალას მწყემსობას, მათი შეხვედრის ეპიზოდებს. ეს ამბავი უფრო ძველი ბუკოლიკური პოემების პლანშია გადმოცემული და ყურადღებას ამახვილებს არა იმდენად მწყემსური ცხოვრების სიძნელეებზე, რამდენადაც მწყემსური ყოფის ეგზოტიკაზე და რომანტიკულ შუქში გვიხატავს მწყემსური იდილიის სურათებს.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს ლაშქარა გაანდობს ქალს თავის გრძნობებს და ცდილობს ჩამოართვას. მას ფიცი, რომ იგი მის მეტს ცოლად არავის გაჰყვება.

შეწუხებული ქალი უამბობს ლაშქარას, რომ მას უპირებენ გათხოვებას ხევისბერის შვილზე, უშიშარაზე რომელიც 30 ძროხას აძლევდა მამამისს ქალის საფასურად. უშიშარას გარყვნილი და ლოთი ადამიანის სახელი ჰქონდა მთაში გაეარდნინი. ამასთან ერთად თანამემამულეები მას იცნობდნენ როგორც ლაჩარს და ცუდი ყოფაქცევის ახალგაზრდას. აღშფოთებული ლაშქარა მიდის მერცხალას მამასთან და დაიყოლიებს, რომ ქალი მიათხოვოს. ეს ამბავი მალე მთელ სოფელს მოედება, ყველა ულოცავს ახალგაზრდებს მომავალ ბედნიერებას, მაგრამ აქ მოხდა ერთი შემთხვევა, რომელიც წინ გადაეღობება ლაშქარასა და მერცხალას ბედნიერებას. ორი ფშაველი ერთმანეთს წაეჩხუბება, შუაფხოვლი შოკლავს ხოშორელს, რაც ჩამოაგდებს შუღლს ორ გვარს შორის, მერცხალასა და ლაშქარას ვარისწერა ჩაიშლება. ლაშქარა გაქცევით დააღწევს თავს სიკვ-

დილს, მაგრამ შემდეგ ქალის ნებართვით დაბრუნდება ხოშორში მერცხალას მოსატაცებლად. მიწურში შესულ ლაშქარას მისვლას გაიგებს მერცხალას მამა გამიხარდი, რომელიც თოფს მიუღერებს ლაშქარას, მერცხალა თავისი ტანით გადაეფარება ლაშქარას, მაგრამ ბრაზისაგან გონებაარეულმა მოხუცმა იქვე მოკლა თავისი ქალი და მოჰყვა ყვირილს. მოცვენილმა ხოშორელებმა მოჰკლეს მამაცი ლაშქარაც. შეიღის მოკვლის შემდეგ გამიხარდომ მიატოვა სახლკარი, შემდეგ ჭკუაზე შეიშალა და სოფლისაგან გარიყული უბედურების მაცნეს წარმოადგენდა.

ამრიგად, ავტორმა მთის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტიპიური შემთხვევა გამოიყენა, როგორც მოთხრობის კვანძი, მანვე ტრადიციის (სისხლის აღების) დამლუბველობის საილუსტრაციოდ.

მოთხრობა თავდება იმავე დიალოგით ავტორსა და მოხუც ქალს შორის, რომლითაც დაიწყო.

მოთხრობის ეს უკანასკნელი ნაწილი, რომელიც კომპოზიციური შენების თვალსაზრისით ეპილოგს ემსგავსება, მეტად საინტერესოა, იმ აშკარა კრიტიკული დამოკიდებულებითა და მამხილებელი სურათით, რომლითაც რაფ. ერისთავი იმდროინდელ მართლმსაჯულებას გვიხატავს. ამ „მართლმსაჯულებამ“ ფშაველთა შორის სისხლის ღვრის მიზეზად და მერცხალა — ლაშქარას ტრაგიკული სიკვდილისათვის დამნაშავედ ლაშქარას დედა სანდუა ჩასთვალა. საწყალი მოხუცი ქალი დააპატიმრეს და დასაკითხად გაგზავნეს. გულთამზეს სიტყვებში, რომლითაც იგი მართლმსაჯულების სიბეცეზე ლაპარაკობს, აშკარად იგრძნობა ავტორის ირონია და მამხილებლობა.

ავტორმა თავდაპირველად, მაგრამ მაინც სრულყოფილად დაგვიხატა მთიელთა გაჭირვებული ყოფა, მათი სიღატაკე და სიბეჩავეცხადია, რომ ლაშქარას ბედნიერების მთავარი შემაფერხებელი მიზეზი სწორედ ეს სიღატაკეა; ლაშქარა ხომ ადრევე შეირთავდა მერცხალას და მაშინ საბედისწერო შემთხვევას შეიძლება ასეთი დამლუბველი შედეგები არ მოჰყოლოდა.

სიბეჩავე, ჩამორჩენილობა, სიბნელე და მთიელთა გაჭირვებული ყოფა გამოსკვივის არა მარტო ქვრივი ქალის სანდუას სიღატაკეში, არამედ გამიხარდის ოჯახის აღწერაშიც.

მთიელთა გაჭირვებულ ყოფასთან ერთად ავტორი ცდილობს გააცნოს რუს მკითხველს მათი ზნე-ჩვეულებანი, ეთნოგრაფიული და ყოფითი დეტალები. მწერალი ფშაველთა ცხოვრებიდან აღებულ მასალას იყენებს არა ეგზოტიკური ეფექტის შესაქმნელად, არამედ მკითხველში შემეცნებითი ინტერესის აღძვრისათვის. ამიტომაცაა ეს მოთხრობა ასე მდიდარი სქოლიოებით, რომლებშიც ნაჩვენებია თუშ. ფშავ-ხევსურეთის გეოგრაფიული მდებარეობა, მათი მხარის ბუნება, მცხოვრებთა რიცხვი, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ეთნიური ლუთენილება, რელიგია და მრავალი ისეთი რამ, რაც გამოდის მხატვრული ნაწარმოების ფარგლებიდან და პოპულარული ნარკვევის სპეციფიკას შეადგენს, თუმცა წერის ასეთი მანერა ერთგვარად ეპოქის თავისებურებით იყო გაპირობებული. ასეთი ნაწარმოებების შექმნა რუსულ ენაზე იმ პერიოდში (50-იან წლებში), როცა რუსეთთან ახლად შეერთებულ საქართველოს შესახებ რუსულ ლიტერატურასა და მეცნიერებაში მცირე და ხშირ შემთხვევაში მცდარი ცნობები იყო გავრცელებული, უსათუოდ სასარგებლო და მისასალმებელი იყო და მას არა მარტო მხატვრულ-ესთეტიკური, არამედ უალრესად გამათვითცნობიერებელი ღირებულება ჰქონდა.

ავტორი ცდილა, რაც შეიძლება ზუსტად და რეალისტურად დაეხატა ქართველ მთიელთა ცხოვრება, გადმოეცა მათი ფსიქოლოგია, ნაციონალური ხასიათის თავისებურებანი.

ყველაფრიდან ჩანს, რომ რაფ. ერისთავი კარგად იცნობდა თავის მოთხრობის ობიექტს. და ეს არცაა გასაკვირი, თუ გავიხსენებთ, რომ იგი კარგა ხანს მსახურობდა თუშ-ფშავ-ხევსურეთში მომრიგებელ მოსამართლედ. ამ მხრივ ნაწარმოების კომპოზიციაში იგრძნობა ავტობიოგრაფიული ელემენტიც.

ავტორის პოლიტიკურ-სოციალური იდეალები ამ მოთხრობაში გარკვევით არ მოჩანს, უკეთ რომ ვთქვათ, ავტორი მოხერხებულად მალავს მათ, მაგრამ ზოგიერთი გაკვრით ნაჩვენები ნიუანსი მაინც გვანიშნებს თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული რეჟიმის სიმახინჯეს.

ასეთია მაგალითად „მრისხანე“ ყაზახის ბოჩკოვის პორტრეტი. რბევას დაჩვეული ყაზახი ყოველგვარი ცერემონიის გარეშე მიდის

პირველ შეხვედრილ მოსახლის ეზოში და იქიდან მოჰყავს ძროხა. საწყალი დედაბერი ემუდარება ყაზახს, მაგრამ იგი ყურსაც არ იბერტყავს და ძროხას ყაჩაღვით მიერეკება.

ამ პატარა დეტალში მოჩანს ქართველ მთიელთა მთელი უფლებობა და ის შეუზღუდავი ძალმომრეობა, რომელიც მინიჭებული ჰქონდა რუსეთის თვითმპყრობელური ბიუროკრატიის თვით მცირე მოხელესაც კი. რაფ. ერისთავის ყაზახი პროტოტიპია ცარიზმის იმ სულთამხუთავი მოხელეებისა, რომლებიც შემდეგში აწიოკებენ გოგია უიშვილს, „ეგზეკუციით“ ხუთავენ გურიას, ციმბირში მიერეკებიან გაბროსა და პეპიას, კლავენ ელგუჯას, ხვრეტენ პეტროგრადის, მოსკოვის, ბაქოს, ბათუმისა და თბილისის მუშათა დემონსტრაციებს.

არანაკლებ საგულისხმოა მოთხრობის უკანასკნელი გვერდი: გაღატაკებული ფშავლებისათვის ნაცვალის არა სახარბიელო თანამდებობაც კი სანატრელი გამხდარა და მოხუცი დედა თვითონვე იხვეწება შვილი ნაცვლად აიყვანეთო.

მოთხრობის პერსონაჟთა შორის განსაკუთრებული სისრულით ლაშქარა და მერცხალა არიან წარმოდგენილი. მაგრამ ამ ხასიათებსაც აკლიათ ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა, რამდენადაც ავტორის მთელი ყურადღება უფრო გარეგნული დინამიკის, სიუჟეტის მეტყველი და დამაინტერესებელი ხვეულებისკენაა მიმართული, ვიდრე ტიპიური ხასიათების შინაგანი გამოქანდაკებისაკენ.

ნაწარმოები კომპოზიციურად კარგადაა შეკრული და დიდი ინტერესითაც იკითხება. კომპოზიციური შენების თვალსაზრისით რაფ. ერისთავის „ობორვანეცი“ ვხედებით ისეთ მხატვრულ ხერხს, რომელიც ტურგენევის „Записки охотника“-ს შემდეგ ქართულ ლიტერატურაშიც გავრცელდა: ეს თავისებური ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი მოგზაურობის დროს წააწყდება ისეთ მთხრობელს, რომლის მონაყოლიც ნაწარმოების სიუჟეტსა ქმნის. შემდეგ აშკარავდება, რომ ეს მთხრობელი მის მიერ გადმოცემული ამბების ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა. ასეა აგებული ი. ჭავჭავაძის „გლახას ნამბობი“.

რაფ. ერისთავის „ობორვანეცი“ დიდი მსჯელობის საგანი გახდა რუს მკითხველში. ცნობილი რუსი მწერალი სოლოგუბი, რომელიც

ადრე თბილისში მსახურობდა, ალმანახ „ზურნას“ ქ. რიაზანში 1855 წელს გაეცნო. მან გაზეთ „კავკაზში“ გამოგზავნა კრიტიკული წერილი ამ ლიტერატურულ კრებულში მოთავსებული მასალების შესახებ.

სხვათაშორის, სოლოგუბი კმაყოფილებით იგონებს საქართველოში გატარებულ წლებს და აღნიშნავს, რომ ქვეყანაში სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე პოეზიის სული ტრიალებს და მოწყენას ვერ იგრძნობ, ისეთ ქვეყანაში, სადაც ლიტერატურის დიდი ტრადიციებია. უსათუოდ დროული იყო აღნიშნული ლიტერატურული ალმანახის გამოსვლა. სოლოგუბი ჯერ კიდევ ამ წლებში გამოსთქვამს მართებულ მოსაზრებას, რომ არა მარტო რუსული კულტურა ახდენს გავლენას კავკასიის ხალხთა ენაზე და ლიტერატურაზე, არამედ თავის მხრივ „ზურნამ“ დაგვანახა, „Влияние края на русское слово“. სოლოგუბი განსაკუთრებით დაინტერესებულა რაფ. ერისთავის ამ მოთხრობით. იგი აღნიშნავდა, რომ „ბეჩავი“ („ობოროვანეც“) ხასიათდება მხატვრული მთლიანობითა და თხრობის სისადავით. ერისთავი მიხვდა, რომ რაც უფრო დიდებულია საგანი, მით უფრო სადა უნდა იყოს მისი თხრობა. ეს თვალსაზრისი მისი კრიტიკული შეხედულებების ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რაც გვაიმედებს, რომ მომავალში ის შექმნის უფრო სრულყოფილ მოთხრობებს, რამდენადაც რაფ. ერისთავმა შესანიშნავად იცის მთიელთა ცხოვრება, რომელსაც აღწერს მხატვრის თვალით<sup>1</sup>.

ეჟურნალ „ზურნა“-ში მოთავსებული ნაწარმოებების შესახებ დადებითი რეცენზია დაბეჭდა „სოვრემენიკში“ ნ. ჩერნიშევსკიმ, რითაც პირველი ქართული ლიტერატურული ალმანახი რუსულ ენაზე მთელი რუსეთის მოწინავე საზოგადოებას გააცნო.

\* \* \*

რაფიელ ერისთავის პირველი პროზაული ნაწარმოები ქართულ ენაზე არის მოთხრობა „ნინო“.

„ნინოს“ თემას უბედური სიყვარული წარმოადგენს. ტრაგიკუ-

<sup>1</sup> «Кавказ», 1855 г., № 59.

ლი სიყვარულის თემა ქართული ლიტერატურისათვის ახალი არც მაშინ იყო, მაგრამ რაფ. ერისთავის ამ მოთხრობის ერთ-ერთი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ შემოიზღუდა რომანტიული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ვნებათა ლელვისა და სამიჯნურო ეპიზოდების თავდავიწყებული ხატვით და სიყვარულის თემა სოციალური შინაარსით აავსო.

რაფ. ერისთავმა პროგრესული მოაზროვნისა და თანამედროვე სინამდვილისადმი კრიტიკულად განწყობილი მწერლის თვალთ შეაფასა თავისი დრო. რეალისტი მწერლის ალლომ საშუალება მისცა პირველს დაენახა და აესახა მხატვრულად ის უმნიშვნელოვანესი მოვლენები 50-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომლებიც შემდეგ მომდევნო თაობის მწერალთა შემოქმედების ძირითად საგნად იქცა და ლიტერატურის მთავარ თემად მოგვევლინა. (თავადაზნაურული წოდების ბუდეების რღვევა სოფლად. ზედმეტი ადამიანების გაჩენა, რუსეთში განათლებამიღებული „ახალი თაობის“ წარმომადგენლების სახე, საზოგადოების ერთი ნაწილის ცრუმორწმუნეობა, გაუნათლებლობა და სხვ.).

მოთხრობა დაწერილია სანტიმენტალურ-რომანტიკული პროზისათვის დამახასიათებელი მანერით. სიუჟეტი ვითარდება არა გმირთა მოქმედების უშუალო ჩვენებით, ხასიათების დამოკიდებულების ხატვით, პერსონაჟთა ენობრივი დახასიათებით, დიალოგების გადმოცემით, არამედ მესამე პირში თხრობით. თხრობა მარტივი, ლაპიდარული და მხატვრულ ორნამენტაციას მოკლებულია და ხშირად ქართული კლასიკური პროზის (განსაკუთრებით სულხან-საბა ორბელიანის) გავლენას ამჟღავნებს. პერსონაჟის დახასიათება ასეთნაირია:

„ამ ყმაწვილს სახელად ალექსანდრე ერქო, ერთი ღარიბი თავადის შვილი იყო. შვიდი წლისა ობლად დარჩომილიყო, პატრონი აღარაჰყვანდა და იყო ესრეთ სოფელში, მანამ ათი წლისა შეიქმნებოდა“ მსგავსი ადგილები სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე სიცრუიდან ბევრი შეიძლება მოვიტანოთ. მაგალითად: „სიძე ჩემი ერთის მოხუცებულის კაცის მეგობარი იყო“... („საგათის მკურნალი“); ანდა „მამის მამა ჩემი, აბდულ-აზიმ, დავრიში იყო... ისეთისა ტილისმისა ხე-

ლოენება ჰქონდა, რომე მას საქმე ვერ გადაურჩებოდა“... (აბდულ-აზიმ დავრიში). და სხვა.

სიყვარულის ცეცხლისაგან ერთნაირად იბნიდებიან რაფ. ერის-თავის ალექსანდრე და ვისრამიანის რამინი. ამის დამადასტურებელი მაგალითის მოტანა უხვად შეიძლება.

მოთხრობის მოკლე შინაარსი ასეთია: ალექსანდრე მერცხალაძე ადრე დაობლდა და ერთგული მსახურის, მოხუცი თევდორეს ამარა დარჩა. ცოცხალი, გონებამახვილი, მიმზიდველი გარეგნობის ყმაწვილი 10 წლის ასაკში ერთმა გზად მიმავალმა შემთხვევით გაცნობილმა მდიდარმა რუსმა ვინმე დობრინმა იშვილა, მამობილმა ალექსანდრე რუსეთში წაიყვანა და კარგი განათლება მიაღებინა. ალექსანდრემ რუსეთში 11 წელი დაჰყო და დობრინის უეცარი სიკვდილის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.

სოფელში ჩამოსვლისას გულკეთილმა ალექსანდრემ ინახულ ბიძაშვილი, რომელიც იღუმალად მისი მამულის ხელში ჩაგდებას ნატრობდა. რა ალექსანდრემ თავის მამის ნასახლარი დაინახა, ვერ იკისრა გაპარტახებული მამულის მოვლა და თავისი ყმა და მამული ბიძაშვილს გადასცა, თვითონ კი თბილისში გაემგზავრა სამსახურში მოსაწყობად. მალე ალექსანდრე თბილისელი საზოგადოების საყვარელ ადამიანად იქცა.

ერთ-ერთი წვეულების დროს ალექსანდრე შეხვდება ლამაზ ახალგაზრდა 17 წლის ქალს ნინო სალამაძეს და პირველი ნახვისთანავე შეუყვარდება. ნინოსაც შეუყვარდება ლამაზი ახალგაზრდა, რომელიც მას „სულ თვალწინ ედგა“. ალექსანდრე ნინოს სიყვარულს განუცხადებს, იწყება რომანი. მაგრამ ნინოს დედამ ელენემ ალექსანდრეს სიღარიბის გამო სიძობაზე უარი უთხრა.

ამპარტავანი, ანგარებიანი და პატივმოყვარე ქვრივი ლამაზი ქალიშვილის მდიდარზე გათხოვებით ფუფუნებისა და უზრუნველი ცხოვრებისაკენ მიილტვოდა. მან მოციქული გაუგზავნა ლევან გორდაძეს „კარგი გვარის შვილსა“ და „დიდის ყმისა და მამულის პატრონს“.

ალექსანდრე შემთხვევით გაიგებს ნინოს მომავალი ჯვრისწერის ამბავს და პაემანს უნიშნავს. საუბრის დროს ნინო სთხოვს ალექსან-

დრეს დასთმოს იგი, ვინაიდან ნინო წინ ვერ აღუდგება დედის სურვილს.

ამის შემდეგ მოთხრობაში იწყება ნინოს საქმროს ლევან გორდაძის ბიოგრაფიისა და ხასიათის გადმოცემა.

ლევანიც ადრე დაობლებულა და წინდაუხედავ და არც თუ ისე ჰკვიან მამიდას აღუზრდია. ცუდი სწავლისა და ყოფაქცევისათვის ლევანი სასწავლებლიდან დაითხოვეს, შემდეგ კარტის თამაშს მიეჩვია, ღვინის სმა შეიყვარა, ზნედაცემულ ადამიანებს დაუმეგობრდა და გარყვნილი ცხოვრების მორევში გადავარდა. ლევანმა ვაფლანგა მამაპაპეული დიდი ქონება და თავისი შერყეული ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადაწყვიტა მდიდარი ქალის შერთვა. ამ მიზეზით იგი სიხარულით დასთანხმდა ელენეს წინადადებას — შეერთო მისი ქალი.

ზნედაცემული ლევანი პირველ ხანებში მოიხიბლა ნინოს სათნოებით და პატიოსნებით, მაგრამ მალე აიცრუა გული ოჯახზე და ისევ ქეიფს აპყვა.

ნინოს გათხოვების შემდეგ ალექსანდრე სოფელში გადასახლდა, მაგრამ ვერც იქ გასძლო დიდხანს და ქალაქში დაბრუნებულმა ნინოს ბინის მახლობლად იქირავა სახლი. შემთხვევით საქმე ისე მოეწყო, რომ ალექსანდრე ნინოს მამულის მზრუნველად დადგა. ამ შემთხვევამ ალექსანდრეს ნინოს ოჯახის კარი გაუღო და საშუალება მისცა მასთან ხშირი შეხვედრისა.

გავიდა ოთხი წელიწადი. ნინოს შეეძინა ბავშვი და საწყალმა ქალმა მთელი თავისი სიყვარული, მზრუნველობა და იმედი მას დაუკავშირა. მაგრამ ქმრის უმსგავსოებამ იმსხვერპლა ბავშვიც, დაავადმყოფებული ნინო ვეღარ უძლებს ამდენ უბედურებას და ისიც გარდაიცვლება. ნინოს სიკვდილის შემდეგ მისი დედა ელენე შეიშალა. სალამაძიანთ ოჯახი გაპარტახდა.

საყვარელი არსების გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრე მონახლისედ ჩაეწერა ჯარში და ჩაჩნეთში საომრად წავიდა. მტერთან ერთ-ერთი შეტაკების დროს ალექსანდრე მოჰკლეს და მისი ერთგული მოხუცი მსახური თევდორეც ბატონს დააკლეს.

ასე ტრაგიკულად მთავრდება ეს მოთხრობა.



მოთხრობის მთავარი გმირების ნინოსა და ლევანის ურთიერთობა რაფ. ერისთავს საკმაოდ ნატურალისტურად აქვს გადმოცემული. ეს გარემოება გვეუბნება, რომ მწერლის რეალისტური მეთოდი ჯერ კიდევ მოიკოჰლებს. სინამდვილის მრავალი დეტალისა და მოვლენის ასახვაში იგი სანტიმენტალიზმსა და რეალიზმს შორის მერყეობს.

რაფ. ერისთავის ამ ნაწარმოებში, სამი მთავარი მოქმედი პირია: ნინო, მისი ქმარი ლევანი და შეყვარებული ალექსანდრე. ასეთი დრამატიული „სამკუთხედი“ საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა იმ დროის ლიტერატურაში, მაგრამ გმირთა ბედის ამ ტრაფარეტული გადაბმის მიუხედავად, ავტორმა მაინც შესძლო თითოეული ეს პერსონაჟი დამაჯერებლად აესახა. ლევანის, ალექსანდრეს და ნინოს სახით რაფ. ერისთავმა რეალისტურად დაგვიხატა ქართული საზოგადოებრივი ყოფა, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ერთ-ერთ ფაზაში. მართალია, მოთხრობის სამივე მოქმედ პირს ხანდახან სქემატიურობის ელფერი ადევთ, მაგრამ ამ ხასიათებში ბუნებრივი, რეალური და ტიპიურიც მრავლად მოიპოვება.

ამ თვალსაზრისით მოთხრობის პერსონაჟთაგან განსაკუთრებით საინტერესოა ნინოს ქმრის, ლევანის ხასიათი.

ლევანის სახის გამოძერწვით რაფ. ერისთავმა დიდი სიახლე შეიტანა ქართულ ლიტერატურაში. ჩვენი მწერლობის ისტორიაში მან პირველმა დაგვიხატა გადაგვარების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის ტიპიური წარმომადგენელი. რაფ. ერისთავმა პირველმა შენიშნა ეს „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ და მისი მრავლის მეტყველი პორტრეტი დახატა. ამ მხრივ მწერალმა სათავე დაუდო იმ „ზედმეტ ადამიანთა“ ასახვას, რომელთა შესანიშნავი სახეები შემდეგში ასე ბრწყინვალედ დახატეს ი. ჭავჭავაძემ (დათიკო, „გლახის ნაამბობი“), გ. წერეთელმა (იერემია წარბა, „პირველი ნაბიჯი“), ე. ნინოშვილმა (ტარიელ მკლავაძე) და სხვა ქართველმა ბელეტრისტებმა და დრამატურგებმა.

თავადი ლევან გორდაძე ერთ დროს მდიდარი და დიდგვარიანი ოჯახის ერთ-ერთი მემკვიდრეა. ლევანი სიყრმეშივე დაობლებულა და მამიდას აღუზრდია. ავტორი გვანიშნებს, რომ ამპარტავანი, ამა-

ყი, მაგრამ ჩამორჩენილი განათლების მქონე მამიდა ვერ გამოდგებოდა ჭაბუკის აღმზრდელად და მართლაც მისმა ნებიერმა აღზრდამ და გადაჭარბებულმა პატივმა ახალგაზრდა ლევანი გააზარმაცა, ფუქსავატობას მიაჩვია და 16 წლისამ ძლივს იცოდა წერა-კითხვა.

აღსანიშნავია, რომ ამ მოთხრობაში გვერდი აქვს ავლილი საკითხს, თუ რატომ სცემა ლევანმა თავის მასწავლებელს. ცნობილია, რომ იმ დროს სკოლებში საშინელი რეჟიმი იყო გამეფებული. არამშობლიურ ენაზე სწავლა, უცხო სიტყვების მექანიკური გაზეპირება და სასტიკი ტუქსვა ბევრ მოსწავლეს უტრუებდა გულს სწავლაზე. ძველი სკოლის სქოლასტიკური სწავლების საშინელებანი შესანიშნავად აღწერეს ქართული ლიტერატურის კლასიკოსებმა ილია ჭავჭავაძემ („გლახის ნამბობი“) აკ. წერეთელმა („ჩემი თავგადასავალი“) და გ. წერეთელმა („ჩვენი ცხოვრების ყვავილი“), მაგრამ რაფ. ერისთავი ამ საკითხს გვერდს უვლის. ასეა თუ ისე ლევანმა თავისი უზნეობა სკოლაშივე გამოამჟღავნა.

ლევანის მამიდამ, გონებაშეზღუდულმა თავადის ქალმა, საყვედურის მაგიერ ძმისწული დააშოშმინა და ალერსიანად მიმართა: „შვილო, მამაბაპეული ყმა და მამული ტიალდება, შენ დიაკვნათ ხომ არ მინდიხარ, იმათი აჩა-ბაჩა რას გარგებს, წადი მამულს მოუარეო“.

ავტორი აქ მრავალმეტყველად გვეუბნება: „ლევანსაც ეს უნდოდა... თავის თავი რომ მებატონეთ და თავისუფლად დაინახა, სიხარულით ფეხზე ვეღარ დადგა, მაშინვე სოფელში წავიდა. ჯერ კარგა ხანი კურდღლებსა სდია, შემდეგ გლეხკაცებს ფული შეაწერა და ქალაქში ჩამოვიდა“. ამ რამდენიმე სიტყვაში მეტად დიდი სოციალური აზრი დევს. აქ რეალისტურად არის გადმოცემული თავისუფალ, უღარდელ მებატონედ გახდომის სურვილი, რადგან მებატონეობა — მხოლოდ უსაქმურობას და დროსტარებას ნიშნავდა.

რაფ. ერისთავის მოთხრობის ეს ნაწილი მოგვაგონებს გ. ერისთავის პიესის „გაყრის“ იმ ადგილს, სადაც ცბიერი მოურავი ბარამი რჩევას აძლევს თავის მებატონეს ანდრუყაფარს — შევაწეროთ ფული გლეხებს და იმითი გადავიხადოთ ვალებიო.

როგორც ცნობილია, მეფის რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებას არ მოჰყოლია ბატონყმური წესწყობილების შეცვლა. პირ-

იქით, ქართველ გლეხკაცობას ორმაგი ექსპლოატაციის უღელი დაადგეს კისერზე, მეფის მთავრობა თავის დასაყრდენ ძალას ეძებდა. ამიტომ თვითმპყრობელური რუსეთის მმართველი წრეები საერთო ენაა ნახულობდნენ სოციალურად მათთვის ახლობელ თავადაზნაურობასთან. მოთვინიერების მიზნით ქართველი მებატონეები უფლებით გაუთანასწორეს რუსეთის მებატონეებს, ჩააბეს ისინი სახელმწიფოს მართვაგამგეობაში, გათქვიფეს მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო სამსახურის ბიუროკრატიულ ქსელში. გარდა ამისა, ფეოდალებს გაუფართოეს უფლებები ყმებზე; არავის უფლება არ ჰქონდა ბატონის საქმეში ჩარეულიყო.

გლეხს აკრძალული ჰქონდა ბატონის წინააღმდეგ რაიმე საჩივრის აღძვრა. მემამულეები გლეხებს უყურებდნენ, როგორც თავიანთ საკუთარ საქონელს, უფლება ჰქონდა ყმების ყიდვა-გაყიდვის, გადასახლების, ცემის და სხვ. იმდროინდელი გაზეთების ფურცლებზე ხშირად ვხვდებით ყმების ტორგით ვაქრობის ფაქტებს.

საქალაქო მეურნეობის გამოცოცხლებამ, თავადაზნაურობის წარმომადგენლების ფუფუნებისაკენ მიმართულმა აღვირაზნისილმა მადამ კიდევ უფრო გააძლიერა გლეხთა ექსპლოატაცია, მებატონე არ კმაყოფილდებოდა მარტო ნატურ-ანაზღაურებით და თავის სურვილის მიხედვით უკანონოდ აწერდა ფულად გადასახადს პრიმიტიულ მეურნეობაზე დამყარებულ ყმა-გლეხებს. გაუბედურებული ხალხისაგან დიდის ვაივაგლახით შეგროვილი ფულით მებატონე თავისი მეურნეობის გაუმჯობესებაზე კი არ ფიქრობდა, არამედ დროსტარებაზე, ქეიფზე, ქალაქურ ფუფუნებაზე. მებატონის ყოველი წამოსვლა ქალაქში გლეხების ახალი უბედურება იყო. რაფ. ერისთავმა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე სხვა ქართველმა მწერალმა, დახატა საქართველოს ყოფის ეს საგულისხმო და მრავლის მთქმელი მოვლენა.

გლეხებზე შეწერილი და უკანონოდ აკრეფილი ფულით ლევანი ქალაქში ჩამოდის და ბოჰემურ ცხოვრებას იწყებს. ლევანი უმეგობრდება უსაქმურ, დროსტარებაში და გარყვნილებაში გადავარდნილ ადამიანებს და მათთან ერთად იწყებს თავზეხელაღებულ ცხოვრებას. ქონების განიავების შემდეგ ამხანაგებმა ურჩიეს ლევანს:

„ერთი მდიდარი ქალი შეირთე, თორემ ზაფხული მოდისო და ზამთრად არ გადაგექცესო“. აი, სწორედ ამ რჩევას მიჰყვება ლევან და მიტომაც სწრაფად დასთანხმდა ელენეს წინადადებაზე შეერთო მისი ქალიშვილი. ამ ქორწინებიდან ლევანი დიდ გამორჩენას ელოდა, მისთვის ცოლი მხოლოდ გამდიდრების წყარო იყო. „...მე ცოლი რათ მინდა, მე ფული მინდა, ფულიო!“ გაიძახის ლევანი.

მაგრამ თავადაზნაურული წოდების წარმომადგენელთა ჩვენებაში რაფ. ერისთავი ხშირად არათანამიმდევრობას იჩენს. ლევანის გარემოცვაში ჩვენ თავადიშვილებს ველარ ვხვდებით. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ლევანი მხოლოდ ერთია ასეთი.

მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობა ხშირად სიმართლის შელამაზებისაკენ ეწევა რაფ. ერისთავს. მას ლევანში კეთილი თვისებების დანახვაც კი სურს: „ზემოთ გამოხატულის ხასიათების პატრონს ლევანს ერთი კარგი თვისება ჰქონდა: ნათესავების სიყვარული და ამისთანა საკვირველი ჩვილი გულის პატრონი იყო, ეტყობა, რომ თესლი კარგი იყო, მაგრამ ჩამომავლობით დამთესს ცუდს ალავს დაეხნია და მებაღეც კარგი ვერ შეხვედროდა. ღმერთო, რამდენი ყმაწვილი კაცი იღუპება, უპატრონობით, ცუდის მაგალითით და გარყვნილს საზოგადოებაში ყოფნით!“

ამრიგად, თუ შემდეგში ილია ჭავჭავაძემ დათიკოს, ლუარსაბის და ზაქროს ბატონის მხეცური ბუნება, მათი მორალური დაკნინება რღვევის გზაზე დამდგარი თავადაზნაურული კლასის განმაზოგადოებელ სახედ მოგვცა, და ამ პერსონაჟებში მათი კლასისათვის დამახასიათებელი ტიპიური ნიშანთვისებები დაინახა („თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოსო“), რაფ. ერისთავი ლევანის სულიერ სილატაკეს და მორალურ დაცემულობას მისი პირადი ინდივიდუალური თვისებებით ხსნის და აღზრდას აბრალებს. მაგრამ ავტორის ამ მიზანდასახულობის მიუხედავად, მისი მოთხრობა როგორც ყოველი სინამდვილის ნათლად ამსახველი ნაწარმოები, ობიექტურად მაინც თავადაზნაურობის დეგრადაციის მამხილებელია.

უპირველეს ყოვლისა, ლევანი უაღრესად ხარბი ადამიანია, იგი ჭამით ვერ ძღება. „ლევანი გარყვნილი მუცლის პატრონი იყოვო“.—

გვეუბნება ავტორი. ღორმუცელობა უსაქმური, ლეშად ქცეული თავადაზნაურობის ტიპური თვისებაა, რაც ასე შესანიშნავად დახატეს რუსეთში გოგოლმა და გონჩაროვმა, და საქართველოში ილ. ჭავჭავაძემ. ტიპურია ლევანის დროსტარებაც და „საქმიანობაც“, რომელთაც რაფ. ერისთავი ასეთნაირად აღწერს: „ლევანი მხოლოდ განთიადისას მივიდოდა ხოლმე შინ და შუადღემდის ეძინა, შემდეგ ღორმუცელური სიხარბით შესქამდა აუარებელ ხორაგს, დააყოლებდა ზედ ათ ჩიბუხს... შემდეგ ტანთ ჩაიცვამდა, ერთს დაუსტვენდა (რომელიც ნიშნავდა: დროშკა მომიყვანეთო), ჩაჯდებოდა შიგ და გასწევდა. არავინ იცოდა, სად იყო მისი ბინა ან როდის დაბრუნდებოდა შინა“. მწერალმა ბოლომდე განავითარა ამ დრომოკმული საზოგადოების ტიპის — ლევანის ხასიათი. იგი იღუპება ისე, როგორც დაიღუპა ის კლასი, რომლის მკვიდრი შვილებიც იყვნენ ლუარსაბები, დათიკოები, ანდლუყაფარები, დაზგები და სხვა. ამ მხრივ საყურადღებოა მოთხრობის პირველი ვარიანტი, რომელიც 1857 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“. მწერალი აშკარად გვაგრძნობინებს თავის ანტიპათიას გარყვნილი და გადაგვარებული ლევანის მიმართ: „ლევანი ცოცხალია, მაგრამ — ვაი იმ სიცოცხლეს! დღეს-ხვალ მოვალეები ყმას და მამულს ჩამოართმევენ და შეიქნება კარდაკარ მატანტალა გლახაკი... მოვალეები ციხეში ჩასმასაც უპირებენო“. — „მე ასე გავიგე. ვითომ ლევანი ღვინისაგან დამღრჩვალაო!“ და სხვა. რეალისტი მწერალი სხვა გზით ვერ განავითარებდა ნაწარმოებს. რანაირი სიმპათია არ უნდა ჰქონოდა მწერალს ლევანის მიმართ; ცხოვრების ქვეშარიტი ძალა აიძულებდა მას, რომ ლევანის ბოლო უნდა ყოფილიყო სრული გადატაკება და სასირცხვილო დასასრული.

მწერლის კრედო მთელი სისრულით ჩანს ნაწარმოების ფინალში. რაფ. ერისთავი წუხს ალექსანდრეს დაღუპვის გამო და აღშფოთებებს გამოსთქვამს, რომ გადაგვარებული ლევანი ცოცხალია, თუმცა ასეთი საძაგელი ადამიანის ბოლო არ შეიძლება კეთილად დამთავრდესო.

რაფ. ერისთავმა ლევანის სახით სამარცხვინო ბოძზე გააკარა დროგასული ბატონყმური სისტემა, ხოლო ლევანის ტრაგიკული ბედი მთელი პოლიტიკური ყოფის სასტიკი განაჩენი იყო. მართალი

იყო ილია, როცა ერისთავზე ამბობდა, რომ რაფიელმა პირველმა დასძრა ენა დრომოკმული ბატონყმობის წინააღმდეგო. ამიტომ არ შეიძლება არ დავინახოთ ერთგვარი დამთხვევა რაფ. ერისთავის მოთხრობის „ნინოსა“ და ილია ჭავჭავაძის „კაცია აღამიანი?!“ ფინა-ლებს შორის; რაფ. ერისთავის მოთხრობის „ნინოს“ ფინალში ფეოდალური წყობის წარმომადგენლის ლევანის შესახებ ვკითხულობთ: „გარყვნილი და საძაგელი კაცი ისევ ცოცხალია, ადრინდელბრივ ლოთობს, ყომარბაზობს და შეექცევა!.. და რა გვარი ბოლო ექნება: კეთილი თუ ბოროტი, თქვენ განსაჯეთ, საყვარელნო მკითხველნო!“.

ილია ჭავჭავაძის „კაცია აღამიანი?!“ ასე ბოლოვდება: „მკითხველო... ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მართო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამოდენადაც შეძლება აქვს—შენი ცუდი, შენი ავი... თუ მაინც და მაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენი წყრომისა არ მეშინიან... მე მიყვილია და გათენდება თუ არა, ეგ ღმერთმა იცის!“<sup>2</sup>.

„ნინოს“ შინაარსის გაცნობით მკითხველი გვერდს ვერ აუვლის დიდაქტიკურ ჩანაფიქრს, რომლის მიზანია დადებითად აღიქვან ალექსანდრეს და ნინოს სახეები. მაგრამ ეს არ ანელებს მხატვრულ დამაჯერებლობასა და წინ სწევს ავტორის იდეას. ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სოციალური ხასიათის რომანის შექმნა. ნაწარმოების მთავარი გმირები: ნინო, ალექსანდრე, ლევანი, სოლომონი, ელენე, ალექსანდრეს ბიძაშვილი, თევდორე — ცხოვრებიდან აღებული ტიპებია. მათი ხასიათები მოთხრობაში ბუნებრივად ვითარდება.

მეორე ცენტრალურ ფიგურას ნაწარმოებში წარმოდგენს ალექსანდრე, რომელიც რუსეთში სწავლამიღებული ახალგაზრდა ქართველი თავადიშვილია და რომელმაც ვერ შეძლო თავისი დანგრეული კარმიდამოს აღდგენა და ქალაქში მიდის კარიერისათვის. იგი წინამორბედი იმ „ახალი თაობისა“, რომლის ტიპიური წარმომადგენელი მოგვცა გ. ერისთავმა პიესა „გაყრაში“ ივანეს სახით. მოსალო-

<sup>1</sup> რაფ. ერისთავი, ტ. 111, გვ. 246. 1936 წ.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 388—389, 1937 წ.

დნელი იყო, რომ კონფლიქტი ლევანსა და ალექსანდრეს შორის მოხდებოდა, მაგრამ ეს ორი სხვადასხვა წარმომადგენელი ქართველი თავადაზნაურობისა — ერთი ბნელი და მავნე, მეორე კი პატიოსანი და განათლებული, ერთმანეთს ებრძვიან არა სხვადასხვა საზოგადოებრივი იდეალებისათვის, არამედ ქალისათვის. შეიძლება ავტორს ვუსაყვედუროთ კონფლიქტის საგანში, მაგრამ, ორი საპირისპირო შეხედულების გამოვლინება შესაძლებელია ქალისადმი დამოკიდებულების ჩვენებითაც.

ალექსანდრე მეტად ჰგავს „ახალი თაობის“ ტიპურ წარმომადგენლებს. იგი საზოგადოებრივი საქმისათვის ემზადება, მაგრამ ქვეყანა მისგან ვერაერთარ სარგებლობას ვერ ღებულობს. იგი ისე იღუპება, რომ ერთი კეთილი საქმის გაკეთებასაც ვერ ასწრებს. ხასიათის სისუსტე, არაპრაქტიკულობა, გათიშულობა იდეალსა და მისი განხორციელების გზებს შორის, რაც დამახასიათებელი იყო ახალი თაობისათვის — ალექსანდრეს ხასიათში გამოვლინდა. ეს რაფ. ერისთავის დიდი დამსახურებაა. აქ ავტორი, იმ დროინდელი ცხოვრების მეორე „ახალი ტიპის“ ერთ-ერთ პირველ აღმომჩენად გვევლინება. საყურადღებოა, რომ ალექსანდრე მთელ თავის ყმასა და მამულს ბიძაშვილს აძლევს, ეს ახალი თავისებური შტრიხია. თუ ქართველი თავად-აზნაურები მზად არიან ერთმანეთს ყელი გამოჰრან ერთი ადლი მიწისათვის, ალექსანდრე თავისას სხვას აძლევს. იგი იმ თავად-აზნაურთა წინამორბედია, რომლებიც შემდეგ სამოციან წლებში თავისი სურვილით ათავისუფლებენ ყმებს.

არა ჩანს ალექსანდრეს საზოგადოებრივი სახეც. იგი თითქოს არსადაც არ მუშაობს. ნინოს გათხოვების შემდეგ მთლიანად გრძობას აყოლია და აქეთ-იქით აწყდება, კვლავ სოფელში მიდის საცხოვრებლად, მერე ისევ ქალაქში გადმოსახლდება. ერთი სიტყვით, მან ვერ მონახა თავისი ადგილი არსებულ სინამდვილეში, სიყვარულშიც დამარცხდა. ამიტომ იგი იქ, დაღესტანში, ბრძოლის ველზე მტერთან ბრძოლაში პოულობს შვებას, სადაც იღუპება კიდევც.

ავტორმა შემთხვევით არ დაგვიხატა „ახალი თაობის“ წარმომადგენლის ასეთი სახე. მართლაც, იმდროინდელი თავადაზნაურული

ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა მოქალაქეობრივად ასეთი გაურკვეველი და საზოგადოებრივად უსარგებლო იყო.

ნინოს სახით ავტორმა განიზრახა კეთილშობილი და ოჯახისათვის თავდადებული ქართველი ქალის პორტრეტის შექმნა. ნინოს სახე ავტორმა მეტად გულთბილად დახატა. ავტორის სიმპათია უკუღმართი სოციალური გარემოს ამ მსხვერპლისადმი აშკარაა. ნინოს სწავლა-აღზრდის აღწერაში მოცემულია სურათი 50-ანი წლების ქართველ თავადაზნაურულ ოჯახთა ქალიშვილების ტრადიციული განათლებისა, „ვეფხისტყაოსანზე“ აღზრდილი ნინო, ამ პოემის გმირებივით, პირველი ნახვისთანავე შეიყვარებს ალექსანდრეს და მისადმი სამუდამო ტრფობით განიმსკვალება, მაგრამ ალექსანდრესადმი სიყვარული სრულიადაც არ უშლის ხელს მას სულ სხვაზე გათხოვდეს, რათა ამით დედის სურვილის წინააღმდეგ არ წავიდეს და მისი ურჩი არ გახდეს. უნდა ითქვას, რომ ნინოს ხასიათის დახატვაში ერთგვარი ხელოვნურობა გამოსჭვივის. ავტორი ისე გაიტაცა ოჯახისა და ქმრის ერთგული ქართველი ქალის სახის შექმნის სურვილმა, რომ არაბუნებრივად აამოქმედა ნინო. ის „ქრისტიანობისათა“ გაყენებული და „ბოროტების წინააღმდეგობის“ მიმდევარსა ჰგავს. იგი არა მარტო მორჩილია ქმრისა, რომელმაც მას სიცოცხლე გაუმწარა, დაამცირა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეურაცხჰყო, იგი სიკვდილის წინ მაინც თავის დესპოტ ქმარს ესიყვარულება. არ შეიძლება ექვი არ დაგვეზადოს ნინოს მოქმედების არაბუნებრიობაში. მართლაც, რატომ დააცილა ერთმანეთს შეყვარებული წყვილი მწერალმა და ნინოს მშვენიერი სიცოცხლე გარყვნილი ლევანის მსხვერპლი გახადა? ნინოს სიყვარული გაორებულია. იგი ნამდვილი ქალია მაშინ, როცა თავდავიწყებით უყვარს ალექსანდრე და მზად არის ყველაფრისათვის. მოსალოდნელი იყო, რომანი ამ გზით განვითარდებოდა, მაგრამ ნინომ ვერ გადალახა ყალბი საზოგადოებრივი ტრადიციული მორალური მრწამსი, ნინო სიყვარულში დამარცხდა. ამის შემდეგ მისი მოქმედება, როგორც ცოლისა, მისი ღირსების სიმადლეზე დგას, რითაც ქეშმარიტი ქართველი ქალის სახელს ამართლებს. ქმრის ერთგული, ოჯახის პატიოსანი დიასახლისი, სუსტი, როგორც ქალი, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით დაჯილდოებული ნინო



ახერხებს დაფაროს შინაგანი ქალური გულის დეღვა. იგი ტრადიციული შთაგონებით გარეგნულად ზუსტად ასრულებს თავის მოვალეობას, რომელიც მტკიცე არ არის და შინაგანად ყოველწამს ირღვევა — აი ნინოს ნამდვილი სახე. საზოგადოებაში გამეფებულ აზრს, ოჯახის დიასახლისის და დედის წმინდა მოვალეობას ანაცვალა. ნინომ თავისი პირადი სიამოვნება. ეს გრძნობა იმდენად ძლიერია. ნინოში, რომ გათხოვების შემდეგ ალექსანდრესთან განმეორებითმა შეხვედრამაც კი (როცა მას საშუალება ჰქონდა ფარულად მაინც განეხორციელებინა თავისი სურვილი), ვერ ააცდინა ნინო მართალი გზიდან.

ასეთივე წინააღმდეგობებით ხასიათდება ა. ს. პუშკინის „ევეგენიონეგინის“ ტატიანას სიყვარული. მრავალმნიშვნელოვანია ბ. ბელინსკის სიტყვები, როცა ტატიანას გაორებულ სიყვარულზე წერდა, რომ ის „უზნეოდ იქცეოდა, „როცა ერთ და იმავე დროს ორ მამაკაცს ეკუთვნის — ერთი უყვარს, ხოლო მეორეს ატყუებს“. მაგრამ როგორ შეუძლია ტატიანას მოიქცეს სხვანაირად ამ მაღალ საზოგადოებაში! მის უკანასკნელ საუბარში ონეგინთან „იმალება მონური შიში საზოგადოებრივი აზრის წინაშე“ და ისიც უსიტყვოდ ემსახურება თავის მოვალეობას. „ვიდრე ტატიანა მაღალ საზოგადოებაშია, საზოგადოების აზრს იგი მუდამ კერპივით ეთაყვანება და მისი სამჯავროს შიში მუდამ ტატიანას სათნოება იქნება“<sup>1</sup>...

რაფ. ერისთავმა ნინოს ხასიათი რეალისტურად განავითარა და მართებულად გადაწყვიტა მისი ბედი. ტრადიციები, სულის შემხუთველი ატმოსფეროს ფონზე, საზოგადოებრივი აზრი ისეთი ძძიმე ბორკილი იყო, რომელსაც ასე ადვილად ადამიანი თავს ვერ დააღწევდა. საკითხის სხვანაირად გადაწყვეტა ხელოვნური — მხატვრულადაც გაუმართლებელი ნაბიჯი იქნებოდა.

ნინოს დედის, ელენეს, ჭიუტი, პატივმოყვარე და ანგარებიანი თავადის ქალის ხასიათის შექმნით რაფ. ერისთავმა გაკიცხა მსგავსი ადამიანები და ჯანსაღი ოჯახის შექმნის აუცილებელ პირობად ქალვაჟის ერთმანეთისადმი სიყვარული დასახა.

საინტერესოა თავადაზნაურული წოდების წარმომადგენელთა

<sup>1</sup> ბ. გ. ბელინსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, გვ. 448—453, 1948 წ.

ორი ტიპიური პორტრეტიც. ასეთებია ალექსანდრეს ბიძაშვილი და მდიდარი თავადი გრიგოლი.

პირველი განასახიერებს ცბიერსა და ხარბ მემამულეს, რომელიც მზადაა ყველაფერზე წავიდეს, ბოროტმოქმედებაც კი ჩაიდინოს, ოღონდ ერთი გოგი მიწა წაიმატოს. გულცივი, ცრუ და გარეგნულად ტკბილმოუბარი ბიძაშვილი ალექსანდრეს მამულის დანარჩუნებას ცდილობს. ცბიერებით არის აღსავსე მისი სიტყვები ალექსანდრესადმი. იგი ატყუებს ალექსანდრეს, ვითომც მის მამას დიდი ვალი დარჩენოდა და მას გადაეხადოს. თავს იკატუნებს, სიყვარულს ეფიცება და ისე გამოჰყავს თავი, ვითომც თავისი გულკეთილობით მართო ალექსანდრესათვის იღწვის. ალექსანდრეს ცბიერი ბიძაშვილის სახით ავტორმა ნილაბი ახადა გაიძვერა თავადაზნაურებს.

არანაკლებ ანტიპატიურია ამაყი, გოროზი და გულცივი გრიგოლ სირმოვი (ნინოს ნათლია). ამ დიდ მოხელეს არავის და არაფრის არ ედარდება. ეგოიზმით გამსჭვალულ თავადს პირადი კეთილდღეობის მეტი არა ახსოვს რა.

მეტად საყურადღებოა ალექსანდრეს გამზრდელის მოხუც თევდორეს სახის გააზრება. ეს ადამიანი განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, საოცარი ერთგულებით ემსახურება თავის ბატონს. თევდორეს პირადი ცხოვრება არც კი გააჩნია, იგი ალექსანდრეს დანამატად ქცეულა. ბავშვობაში ალექსანდრეს ლალა იყო, მერე რუსეთში გაჰყვა და რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა მას. ერთგული თევდორე ალექსანდრეს საომარი მოქმედების ადგილზეც გაჰყვება და იქ თავის ბატონთან ერთად იღუპება. ბატონსა და ყმას ერთ საფლავეში ჩამარხავენ.

უნდა აღინიშნოს, რომ რაფ. ერისთავმა თევდორესა და სხვა ეოგო-ბიჭების სახით გლეხობის წარმომადგენლები შემოიყვანა ქართულ ლიტერატურაში. მოთხრობაში გაკვრიტ ნაჩვენებია ქართველი თავადაზნაურული ახალგაზრდობაც, რომელსაც მართო დროსტარებაში და ქეიფში ვხედავთ. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ „ნინოში“ მოცემულია ცრუმორწმუნეობის სატირული მხილებაც. ელენე მკითხავს დააძახებინებს. მკითხავი სწორედ ისევე, როგორც ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანში“ ეზოში ნაგვის გადასაყრელ ადგილზე

ძველ ჩვრებს აღმოაჩინეს და მათ ჯაღოდ გაასაღებს. აქ აშკარად მოჩანს ავტორის გალაშქრება უმეცრებისა და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ და მკითხვე-მისანთა გამასხარება-განქიქება.

„ნინოში“ თავადაზნაურთა წარმომადგენლები, მათი ბუნებ-დსახატულია სანტიმენტალიზმისათვის დამახასიათებელი მანერით, რაც გამომდინარეობს რაფ. ერისთავის იდეური მიზანდასახულობისაგან და მიმართულია თავადაზნაურული წოდების ზნეობრივი გაჯანსაღებისაკენ. მწერალს სურს უზნეობის მავნე მხარეების ჩვენებით სარკეში ჩაახედოს ფუქსავატი, უსაქმური ფეოდალური წოდება და ხელი ააღებინოს ასეთ დამღუპველ მოქმედებაზე.

რაფ. ერისთავის „ნინო“ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ქართული კლასიკური პროზის ისეთ შესანიშნავ ნაწარმოებებს, როგორცაა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ (1859—60 წ.წ.), ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიძე მეჭლანუაშვილი“ (1861 წ.), „მორჩილი“ (1863 წ.) და ამდენად ქართული პროზის აღორძინების წინამორბედაა. ვფიქრობთ აგრეთვე, რომ „ნინოს“ სიუჟეტურ ქარგას ეშუალო გავლენა უნდა მოეხდინოს ლ. არდაზიანის „მორჩილზე“. ამ ნაწარმოებების შინაარსის შედარებისას უბრალო თვალთაც კი შეინიშნება მათი სიუჟეტური მსგავსება, ერთი და იგივე ფაბულა. მთავარი მოქმედი პირები „მორჩილის“ პერსონაჟების პროტოტიპებია. უფრო მეტიც, „მორჩილში“ მწერალს მხოლოდ მოქმედ პირთა სახელები შეუცვლია, ხოლო ნაწარმოების გმირების მოქმედება და მათი ხასიათების განვითარება რაფ. ერისთავის „ნინოს“ პერსონაჟთა მსგავსად — ერთნაირ გარემოში და მსგავს სიტუაციებში მიმდინარეობს. როგორც „ნინოში“. ასევე „მორჩილში“ ნაწარმოების შინაარსი სამი მთავარი პერსონაჟის მოქმედებასთანაა დაკავშირებული; „მორჩილის“ და „ნინოს“ ქალთა ხასიათები მსგავსნი არიან; განათლებული თავადიშვილი მიხაკო თავისი ქცევით იგივე ალექსანდრეა, ხოლო „ნინოს“ ლევანი და „მორჩილის“ თეიმურაზი ისე გვანან ერთმანეთს, როგორც ორი წვეთი წყალი.

„ნინოსა“ და „მორჩილის“ შედარებისას შეინიშნება არა მარტო მათი შინაარსობრივ-სიუჟეტური მსგავსება, არამედ „ნინოს“ ტიპი-

ზაციის ხერხები და ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვიერი მასალაც კი თითქმის უცვლელადაა გადატანილი „მორჩილში“.

ჩვენ საკმაოდ ვრცლად შევვხებით „ნინოს“ პერსონაჟებს. ვიცით, რომ ნინო ქართულ ადათ-წესებზე გაზრდილი და დედის ნების უსიტყვო შემსრულებელია. ასევე მორჩილად არის გაზრდილი ალექსანდრაც; „ჩემი მშობლების მონა ვარ, აღნიშნავს ალექსანდრა, იმათგან დატყვევებას არა თუ სოფელში, გამოქვაბულშიც სიხარულით მოვითმენ“<sup>1</sup>.

სიმდიდრისა და დიდი გვარის მაძიებელი ალექსანდრას მშობლები (მარიამი და კონსტანტინე), ნინოს დედის (ელენეს) მსგავსად თავის ქალიშვილის დაუქითხავად და მისი თანხმობის გარეშე დაეძებნენ სასიძოვებს; მაქანკალ რიფსიმეს დეჩმარებით მართლაც მოძებნეს ალექსანდრას საქმრო, გარყვნილი და გადაგვარებული თეიმურაზი. ალექსანდრას მშობლების ისეთი შიში და რიდი აქვს, რომ წინ ვერ აღუდგა მათ გადაწყვეტილებას და ცოტა ყოყმანის შემდეგ ადვილად დათანხმდა თეიმურაზზე ჭვარისწერას; ეს მაშინ, როცა იგი სხვა კაცზე (მიხაკოზე) არის შეყვარებული და ჰირივით ეჯავრება თეიმურაზი. მშობლებისადმი ალექსანდრას უსიტყვო მორჩილების მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება: „... ჩემმა დედ-მამამ თავიანთი ნება უნდა აღასრულონ და მე წინააღმდეგი არ შემიძლიან. უარის თქმით დედ-მამას ვერ გადავათქმევენებ სიტყვასა, ისინი ნებას აასრულებენ, მაშასადამე, სჯობს ისევ დავემონო“ („მორჩილი“, გვ. 211). ანდა „... ჩემი მშობლების სიტყვა უნდა აღსრულდეს! კარგი იყო, ჩემი მშობლები არ შეგეცდინათ; ახლა, რადგან შეაცდინეთ, მეც თანახმა გახლავარ სრულის მორჩილებით აღვასრულო მათი ნება“... („მორჩილი“, გვ. 215).

როგორც ნინოს შინაარსიდან ვიცით, ნინოც მშობლების საამებლად თავისი სურვილის წინააღმდეგ თხოვდება მისთვის საძულველ ადამიანზე (ლევანზე).

ნინოსა და ალექსანდრას მოქმედება შინაარსობლივად ერთნაირია, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ნინო გათხოვების შემდეგ შეიტყობს თავისი ქმრის ლევანის გარყვნილებას, რის გამოც მსხვერ-

<sup>1</sup> ლ. არღაზანი, თხზ., გვ. 187, 1936 წ.

პლად შეეწირა ამ საზიზლარ „მგელკაცასა“. მორჩილში ეს „შეცდომა“ გამოსწორებულია; აქ ალექსანდრას მშობლებს გათხოვებამდე დააჭერებენ თეიმურაზის ავკაცობაში და უარს ეუბნებიან სიძობაზე. ალექსანდრა თხოვდება თავის შეყვარებულზე.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ „მორჩილის“ ასეთი უკონფლიქტო ფინალი მკითხველისათვის მოულოდნელია. იგი არ ეთანხმება მოთხრობის მთლიან შინაარსს და ნაძალადევად გამოიყურება.

ლ. არდაზიანმა ბოლომდე არ განავითარა თავადაზნაურობის წარმომადგენლების — თეიმურაზის, კონსტანტინეს, მიხაკოს, მარიამის, ალექსანდრას ხასიათები. ისინი, თეიმურაზისა და გორჯარსპირის გარდა, გულკეთილ და მოწყალე ბატონებად არიან წარმოდგენილი, უზრუნველად ცხოვრობენ და ასევე რჩებიან ბოლომდე. თეიმურაზი, თუმცა ვალებშია ჩაფლული, მაგრამ მაინც მდიდრულად ცხოვრობს, ქალაქში დიდებული სახლი იყიდა, სოფელშიც შენარჩუნებული აქვს მამაპაპეული სახლკარი. ამდენად, ნაწარმოების არც ერთი პერსონაჟი სწორად არ გამოხატავს დალუპვის გზაზე დამდგარი ფეოდალური წყობილების ნამდვილ სურათს. ბატონყმური წყობილების შელამაზებულად ასახვის ტენდენცია შეინიშნება აგრეთვე ლ. არდაზიანის მოთხრობა „სოლომონ ისაკიჩ მეჭლანუაშვილშიც“. ამ შესანიშნავ ნაწარმოებში მთელი სისრულითაა დახატული ვაჭართა კლასის წარმომადგენლების სახე, მაგრამ, როცა მწერალი ბატონყმური წყობის დამახასიათებელ ადამიანთა ტიპის შექმნას ცდილობს — კვლავ სინამდვილეს შორდება.

რაფ. ერისთავის „ნინოში“ დახატული ბატონყმური წყობილები-სათვის დამახასიათებელი ჟარყოფითი ტიპის, ლევანის ხასიათს თავისი მოქმედებით და დანიშნულებით ძალიან გავს „მორჩილის“ თეიმურაზის ხასიათი. როგორც ერთი, ისე მეორე გაუნათლებელი, გარყვნილი, ანგარებიან თვისებებითაა აღქურვილი, ორივენი მეოთხე კლასიდან არიან გამოსული და ანგარიშით ირთავენ ცოლებს. მოვიტანოთ დამახასიათებელ ადგილებს: „მე ცოლი რად შინდა, მე ფული მინდა, ფული. ერთი ფულები ჩავიგდო ხელში და რაც მე იმ ქალებს მიუჯდე გვერდით, მაშინ თავის კბილებჩაცვენილ დედას დააქალოსო“. „— გაიძახის ლევანი („ნინო“. გვ. 20). ასეთნაირად მსჯელობს, აგრე-

თვე, თეიმურაზი: „მე ცოლი არ მინდა, არც მეყვარება, მაგრამ მინდა შევიტოო სხვადასხვა მიზეზების გამო.. ცოლის ფულით ვალებს გადავიხდი და მერე მე ვიცეო“ — გაიძახის თეიმურაზი („მორჩილი“, გვ. 113—127, 185).

ალექსანდრას და ნინოს შეყვარებულები მიხაკო და ალექსანდრე რუსეთში სწავლამიღებული, კეთილი თვისებებით დაჯილდოებული თავადიშვილებია. მათ წრფელი გულით უყვართ თავიანთი სატრფოები, მაგრამ სიღარიბის გამო გაუბედობას იჩენენ და მხოლოდ შორით ტრფიალით, ოხვრითა და ცრემლთა დენით კმაყოფილდებიან.

ალექსანდრე სიღარიბის გამო დაიწუნა ნინოს დედამ სასიძოდ, ამიტომ მისი სიცოცხლე განუხორციელებელმა სიყვარულმა შეიწირა. მოხალისედ წავიდა ომში და იქ დაიღუპა. მიხაკოც მზად იყო იგივე ჩაედინა თუ ალექსანდრას სიყვარულს დაკარგავდა: „ამ მიზეზის გამო არ ხდიდა თავის თავს ბედნიერად და ნატრობდა, რომ მოეკლათ ომში“. („მორჩილი“, გვ. 105).

თვედორესავით შერმადინისებური ერთგულებით ემსახურება მიხაკოს თავისი ყმა როსტომი. ძალიან გვანან აგრეთვე ნინოსა და ალექსანდრას დედების ხასიათიც. როგორც ელენე, ისე მარიამი ქალიშვილების დაუკითხავად, მაჰანკლების დახმარებით წყვეტენ საქმროების ამორჩევისა და შვილების გათხოვების საკითხს. მათ კარგად იციან, რომ მორჩილად გაზრდილი შვილები უარის თქმას ვერ გაუბედავენ და უყოყმანოდ გაყვებიან მათ მიერ ამორჩეულ სასიძოებს. დედების მოულოდნელ გადაწყვეტილებას უკმაყოფილოდ ხვდებიან შვილები, მაგრამ დიდი ოხვრის შემდეგ მაინც თანხმდებიან მათ არჩეულ საქმროებზე გათხოვებას. ლ. არდაზიანის „მორჩილი“ მხატვრულად უფრო სრულყოფილია, ვიდრე რაფ. ერისთავის „ნინო“. მაგრამ „ნინოში“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვევით ჩანს ფეოდალური წყობის წარმომადგენელთა უნიადაგობა, ახალი ცხოვრებისადმი შეუგუებლობა, რის გამოც ისინი თავის კლასთან ერთად იღუპებიან (ალექსანდრე, ლევანი, ნინო, ელენე). რაფ. ერისთავმა „ნინოში“ არც ერთი სიტყვა არ თქვა ახალი კლასის საავტორო კავიტალის წარმომადგენლებზე და ძირითადად ფეოდალური კლასის ჩვენებით შემოიფარგლა. ამის გამო მის მიერ დახატული მაშინდელი სა-

ზოგადოებრივი ცხოვრების სურათები („ნინოს“ მიხედვით) ცალმხრივია, არ გვიჩვენებს ცხოვრების მთლიან სახეს (ყველა სოციალური კლასის ცხოვრებას).

რატ. ერისთავმა თბილისში სამსახურის პერიოდში (1848—1854 წ.) დაწერა „ნინო“. გამოქვეყნდა „ცისკარში“ 1857 წ. (№ 5, 6). ყოველ შემთხვევაში „ნინო“ შეთხზულია 1857 წლამდე. თუ იგი ბექდურად არ გამოქვეყნდა მანამდე, ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ერთადერთი ქართული გამოცემა გ. ერისთავის „ცისკარი“ 1854 წელს დაიხურა და მხოლოდ 1857 წ. განახლდა, სადაც იმავე წელსვე დაიბეჭდა რატ. ერისთავის აღნიშნული მოთხრობა. „ნინო“ რატ. ერისთავმა მეორე ვარიანტის სახით გამოსცა ცალკე წიგნად 1878 წელს. ამის შემდეგ ეს მოთხრობა აღარ გამოცემულა 1937 წლამდე. სხვათა შორის, საინტერესოა ზოგიერთი ხასიათის ვარიანტული სხვაობა, რომელიც რატ. ერისთავმა შეიტანა 1878 წლის ტექსტში. ბოლო გამოცემაში ცალკეული ადგილები სტილისტურად უფრო დახვეწილია, არ შეიძლება არ დავინახოთ აგრეთვე ის შინაარსობრივი ცვლილება, რომელიც მოთხრობის ზოგიერთმა პერსონაჟმა განიცადა. ამ მხრივ საინტერესოა ლევანის სახე. პირველ გამოცემაში („ცისკარი“, 1857 წ.) გადაგვარებული ზებატონის — ლევანის ხასიათი ბოლომდე ვითარდება, მკითხველმა იცის, რომ იგი დალუპებისათვისაა განწირული. შემდეგ გამოცემაში (1878 წ.) ავტორს შეუკვცია მოთხრობა „ნინო“, ფინალიდან ბატონყმობის მამხილებელი ლევანის საბოლოო ბედის განმსაზღვრელი ზოგიერთი სიტყვები ამოუღია და მოლიბერალო ფრაზებით შეუცვლია.

„ნინოს“ დაბეჭდვა 1857 წელს დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. იგი ერთბაშად მკითხველი საზოგადოებისა და კრიტიკის მსჯელობის საგანი გახდა. ნაწარმოების რეალისტურ ხასიათსა და მომქმედ პირთა ტიპიურობას ისიც გვაძეცნობს, რომ ბევრმა ზებატონემ დაინახა თავისი თავი ამ ნაწარმოებში. მოთხრობის დაბეჭდვის გამო „ცისკარის“ რედაქტორი ივ. კერესელიძე ერთ-ერთ პირად წერილში რატ. ერისთავს ატყობინებდა.

„ნინო“ დაბეჭდილია „ცისკარში“, თბილისში ძალიან მოსწონთ, იძახიან ვითომც განსვენებულ არჩილ მუხრანსკიზე იყოს დაწერილი.

ახ, რაფიელ! ხომ იცი, როგორ უყვარდა სათარას და უნდა გესმოდეს, თუ ვითა მღერობს ტირილით, ახალს სიმღერას თავის არჩილზედ და ვითა ტირის!!! „ნინოს“ გამოსვლა უყურადღებოდ არ დარჩა რუსულ გაზეთს „კავკაზსაც“. ივ. კერესელიძე საგანგებოდ ატყობინებდა რაფ. ერისთავს ზუგდიდში, რომ თვალი ედევნებინა გაზეთ „კავკაზის“ უკანასკნელი ნომრებისათვის, სადაც „ცისკრის“ შესახებ რეცენზია იბეჭდებოდა და ვრცლად იქნებოდა გარჩეული რაფ. ერისთავის „წინა“<sup>1</sup>.

კრიტიკოსი ნ. ბერძენიშვილი „კავკაზში“ დაბეჭდილ რეცენზიაში (1857 წ. № 88) უპირველეს ყოვლისა ხაზს უსვამდა „ნინოს“ ორიგინალობას, იგი სიხარულით შეეგება იშვიათ მოვლენას ქართული პროზის დარგში. კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ რაფ. ერისთავი თავის სამშობლოს ძალიან კარგად იცნობს, ამიტომ „იგი არ დაიწყებდა უცხოური ლიტერატურის სარდაფში ხელის ფათურს“. ორიგინალური ქართული ნაწარმოების შექმნა რეცენზენტმა პატრიოტულ საქმედ მიიჩნია და მას „მოვლენას“ უწოდებს. ნ. ბერძენიშვილი დაწვრილებით შეეხო „ნინოს“ შინაარსს და აღნიშნავს, რომ ამ ორიგინალურ საინტერესო მოთხრობაში ბევრია საგულისხმო წვრილმანი, თხრობა-ცოცხალი და წარმტაცია, ნაწარმოები არ არის მოკლებული დრამატიზმს, დასასრულ, „ნინო“ დახასიათებულია, როგორც თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის საუკეთესო ნიმუში.

რაფიელ ერისთავის მოთხრობა „ნინო“ ზოგიერთი სუსტი მხარის მიუხედავად, უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს XIX საუკუნის ქართული რეალისტური პროზის განვითარებაში.



1862 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მეთერთმეტე ნომერში გამოქვეყნდა რაფ. ერისთავის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პროზაული

<sup>1</sup> „ლიტერატურული მეგვიდრეობა“, შ. რადიანი — ივ. კერესელიძის წერილი, გვ. 538, 1935 წ. ამავე წერილიდან ჩანს, რომ ივ. კერესელიძე ხშირად ასწორებინებდა ქუთაისში მყოფ რაფ. ერისთავს „ცისკრის“ მასალებს. მაგალითად რაფ. ერისთავს გაუსწორებია ბარბარე ჟორჯაძის პიესა „შური“ და ისევე უკან დაუბრუნებია დასაბეჭდად.



ნაწარმოები რუსული სათაურით „Литературный вечер“. ამ მოთხრობის შესახებ ცისკრის რედაქტორი ივ. კერესელიძე წერდა რაფ. ერისთავს: „შენი პროზა მივიღე, რომელსაც დავებეჭდავ დიდი კმაყოფილებით, თუმცა მეც გამათრახებული ვარ ერთის მხრივ და მეორეს მხრივ კიდევ მამართლებ. მაინც მთლიანად დადებით შთაბეჭდილებას სტოვექსო“.

ნაწარმოებში „გამათრახებულია“ არა მარტო ივ. კერესელიძე, არამედ მთელი იმდროინდელი ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენცია და წარმომადგენს სამოციანი წლების ერთ-ერთ სატირული ხასიათის ნაწარმოებს მთელ ქართულ ლიტერატურაში. რაფ. ერისთავის „Литературный вечер“ გამოირჩევა ძლიერი მამხილებელი ტონითა და სარკაზმით.

XIX საუკუნის სამოციან წლებში რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდნენ ქართული პროგრესული ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენლები („თერგდალეულები“), რომელთაც ი. ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით მედგრად შეუტეეს რეაქციულ თავადაზნაურობის კონსერვატულ ბანაკს და დაიწყეს ბრძოლა ახალი დემოკრატიული ლიტერატურისათვის, ახალი ერთიანი სალიტერატურო ენისათვის. ქართული კულტურის ამ ენერგიული მოამაგეების პარალელურად იღვწოდნენ თავადაზნაურული ინტელიგენციის ისეთი წარმომადგენლებიც, რომლებიც თავიანთი ინტელექტუალური და მოქალაქეობრივი ჩამორჩენილობის გამო ფაქტიურად ზიანს აყენებდნენ ქართული კულტურის განვითარების საქმეს. „საზოგადო საქმეებში“ თვალთმაქცურად ჩაბმული ეს ვაუბატონები სინამდვილეში მარტო ანგარებიანი მიზნებით ხელმძღვანელობდნენ და პირადი კეთილდღეობისათვის იბრძოდნენ. ასეთი „რუსეთუმები“, „მსაჯულები“, „აპელაციის მცოდნენი“ მახვილად გაკიცხეს ილ. ჭავჭავაძემ, აკაკიმ და გ. წერეთელმა. უკანასკნელმა დაგვიხატა მოლაცხებებისა და კარიერისტების შესანიშნავი სახეები კიკოლიკის, ჩიკოლიკისა და კუდაბზიკას სახით. ასეთ „საზოგადო მოღვაწეებს“ მარტო ზიანი მოჰქონდათ და მათი მხილება-გამოაშკარავება იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მეტად სასარგებლო საქმე იყო.

აი, სწორედ ასეთი ამოცანა დაისახა რაფ. ერისთავმა თავის „Лит-

тературный вечер“-ში და უნდა ითქვას, რომ კარგადაც გადაწყვიტა იგი. მოთხრობა იწყება სურათით: გიორგი ქარიბერტყოვი (სხვათაშორის, ამ ნაწარმოებში რაფ. ერისთავმა პერსონაჟთა გამოგონებული გვარები მათი ირიბი დახასიათებისათვის გამოიყენა) ლიტერატურული საღამოს მოსაწყობად ემზადება. მან დაპატიჟა ათიოდე „კარგი განსწავლული ყმაწვილი“ და მათი შემწეობით გადაწყვეტილი აქვს ქართული ლიტერატურა „სამარიდან“ წამოაყენოს. აი, რასა ფიქრობს იგი: „რახანია მინდოდა დამეწესებინა „ლიტერატურნი ვეჩერი“, მაგრამ არა ხერხდებოდა, ახლა კი ათიოდ კარგი სწავლული ყმაწვილები რომ ვიშოვნე, იმედი მაქვს რომ ქართულ ლიტერატურას წინ წავაყენებთ... ამალამ, აქ ჩემთან შეიყრებიან და გვექნება ლიტერატურაზე კითხვა მათგან დაწერილ თხუზულებათა და ჩვენს ლიტერატურას, ვგონებ, სამარიდგან წამოვაყენებთ!“

ქარიბერტყოვის პატივმოყვარე ზრახვები მეტად ტიპიურია იმდროინდელი ინტელიგენციისათვის. ბევრი მათგანი, „მესიანიზმის“ იდეით შეპყრობილი, თავის თავს ქართული ლიტერატურის სამსხვერპლოზე დასადებად ამზადებდა, მაგრამ ასეთ „პატრიოტულ წვას“ ბოლომდე ვერ უძლებდა და მალე ამგვარი ლიტერატურის მოამაგისაგან აღარაფერი რჩებოდა.

გიორგი ქარიბერტყოვი შეძლებული მემამულე იყო და ავტორის სიტყვით „არაფერს ზოგავდა სახლის მორთვისათვის“. მას „დიდი სურვილი ჰქონდა ეზრუნა ქართული ლიტერატურისათვის, ჰკრეფდა ქართულ წიგნებს, მაგრამ თვითონ ძვირად კითხულობდა, უფრო რუსულს ეწყობოდა“. ქარიბერტყოვი და მისი მეგობრები ივანე ლაფანოვი, დიმიტრი მოლაროვი, აპოლონ მრავალძარღვოვი და სხვანი ანტიეროვნულ გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის ტიპური წარმომადგენლები არიან. მათ სურთ „ევროპეისტები“ იყვნენ და ამ მიზნის განსახორციელებლად კუროზებამდე მიდიან. ასე მაგალითად: გიორგი ქარიბერტყოვს ვახშმის ჭამისა რცხვენიან. მათ ვახშმის ჭამა სათაკილო ქართულ ჩვეულებად მიაჩნიათ და ეშინიათ ამხანაგებმა არ შეატყონ, რომ ისინი ხანდახან ჩუმ-ჩუმად ვახშმობენ.

გადაგვარებული თავადიშვილები თავიანთი „ქართული ბუნების“ ჩვენებას მართო გარეგნული საშუალებით ახერხებენ. ასე მაგალი-

თად, თავის ქართველობის დასამტკიცებლად ქარიბერტყოვს სასტუმრო ოთახში გამოუფენია უამრავი ყანწები, თასები, აზარფეშები, ჩარქები, კულები, მათარები, საომარი იარაღი და საჭურველი, სხვადასხვა ჩიბუხები. აქვეა მუსიკალური საკრავები: დაირები, ჩონგურები, კიანურები, დუდუკები, დიპლიპიტოები, სალამურები, და მრავალი სხვა რამ და ამ გარეგნულად წმინდა ქართულ გარემოში, საოცრად დამახინჯებული ქართულით ლაპარაკობენ.

გიორგი ქარიბერტყოვთან თავმოყრილი მოწინავე და განსწავლული ახალგაზრდების გონებრივ განვითარებას, საზოგადოებრივ ინტერესებს, ცოდნის შეზღუდულ ჰორიზონტს ავტორი მეტად ოსტატურად ახასიათებს. საინტერესოა მათი თავმოყრის მიზანი და ხასიათი. თავდაპირველად ისინი ლიტერატურული სალამოს ჩასატარებლად იკრიბებიან, მაგრამ ეს ხალხი იმდენად უვიცია. იმდენად შორსაა ლიტერატურული საქმიანობისაგან, რომ არც კი იციან რა უნდა გააკეთონ, საიდან დაიწყონ, ან რას ნიშნავს ლიტერატურული სალამოს ჩატარება.

ავტორი შესამჩნევი სატირული სიმკვეთრით გვიხასიათებს ამ გამოფიტულ ადამიანებს, რომელთაც თითქოს ლიტერატურის წინ წამოწევა განუზრახავთ და აბსოლუტურად არავითარი წარმოდგენა არა აქვთ არც ლიტერატურის მიზნებსა და ამოცანებზე და არც მათი თანამედროვე ქართული ლიტერატურის მდგომარეობაზე. მთელი მათი შესაძლებლობა იმაშია, რომ გამოიტანონ და მაგიდაზე დაკყარონ „ვარდ-ბულბულიანი“, „რუსუდანიანი“, „ვისრამიანი“, „ქილილა და დამანა“, „ლეილ-მეჩენიანი და სხვა.

რაფ. ერისთავი მოხერხებულად გვიჩვენებს ქართული ლიტერატურის ისეთი „მომამაგეების“ სახეს, რომელთაც დიდი ბჭობა და მძაფრი კამათი აქვთ არა მშობლიური ლიტერატურის მდგომარეობასა და მისი განვითარების შესახებ, არამედ იმაზე თუ როგორ უნდა გადაითარგმნოს რუსულიდან ქართულად ესა თუ ის სიტყვა.

ავტორი მათ ლაპარაკებს იმდროინდელი საზოგადოებრივი და კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების ყველაზე საქარბოროტო საკითხებზე და სწორედ ამ თვალსაზრისითაა რაფ. ერისთავის ეს მოთხრობა ყველაზე უფრო საინტერესო ჩვენთვის. ამ საკითხებზე

მსჯელობისას ჩანს ავტორის მიერ ქართული სინამდვილის მშვენიერი ცოდნა და მისი მამულისშვილური გულისტკივილიც. რაფიელი მართებულად ხატავს სალიტერატურო ჟურნალის „ცისკარის“ საეკლავო მდგომარეობას. ამასთან ერთად, მწერალმა გვიჩვენა ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენციის გულცივობა ამ ერთადერთი ქართული ბეჭდვით ორგანოსადმი. თავადიშვილები დოლ-საზანდრებით ბალებში ქეიფებზე და ქალაღდის თამაშში დიდ თანხას ფლანგავდნენ და „ცისკარისათვის“ კი მთელი წლის მანძილზე ექვსა მანე-ი არ ემეტებათ...“ „ლიტერატურული საღამოს“ მონაწილეთა შორის გამართული კამათის დროს გამოირკვევა, რომ ქართული ლიტერატურის ამ ვაიმზრუნველთა ნახევარსაც თურმე თვითონ არ ჰქონიათ გამოწერილი „ცისკარი“.

მეორე მნიშვნელოვანი თემა, რომელიც ამ მოთხრობაში აისახა და იმ დროის ქართული ლიტერატურის მძაფრი კამათის საგანს წარმოადგენდა, ენის საკითხი იყო. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის გალაშქრება ენის მოძველებული ნორმების წინააღმდეგ იქცა საბაბად სამოციანი წლების ძველსა და ახალ თაობათა შორის გაჩაღებული ისტორიული ბრძოლებისა, რომელიც იდეოლოგიურ კამათში გადაიზარდა.

რაფიელ ერისთავმა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ერთი მეტად დამახასიათებელი შტრიხი რეალისტურად დაგვისურათა და ორი მოკამათის საპირისპირო აზრების გადმოცემით დაგვიხასიათა ის განსხვავებული პოზიცია ენის საკითხში, რომელიც „ახალი“ და „ძველი“ თაობის წარმომადგენლებს ეჭირათ. მოთხრობის ერთ-ერთი მოქმედი პირი მოლაროვი ამბობს: „ან კი რათ გვინდა ისეთი სიტყვები შემოვიტანოთ ქართულში, რომლებიც არ მოეწყობა ჩვენ ენას? თუ შევიძლებთ, აზრი გადმოვიტანოთ და გამოვსტქვათ ქართულისავე სიტყვით, მარილიანად“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოლაროვი რაფ. ერისთავის პიროვნებას ასახიერებს ამ ნაწარმოებში. მწერალი ამ აზრს ქართული ენის და ლიტერატურის ამგვარი გამდიდრების შესახებ სხვაგანაც გადმოგვცემს. ეტყობა, ეს აზრი ეთანხმებოდა რაფ. ერისთავის გულისნაღებს და ამიტომაც იმეორებდა მას ასე ხშირად. ჩანს, ენის საკითხშიც რაფ. ერისთავი ძირითადად ილია ჭავ-

ქავაძისა და მის თანამოაზრეთა მხარეზეა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოთხრობაში ჯერ კიდევ იყენებს ხმარებიდან გამოსულ ასოებს, რომელთა ამოღებასაც მოითხოვდა ი. ჭავჭავაძე, უმთავრესად მისი ენა უდავოდ ახალ ნორმებზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, ექვის ქვეშ შეიძლება დავაყენოთ საკითხი, ნამდვილად იყენებდა რაფ. ერისთავი ენის ძველ ნორმებს, თუ „ცისკრის“ რედაქცია არ ლალატობდა რა თავის პოზიციას, თვითნებურად უმატებდა ტექსტში ბეჭდვის დროს ხმარებიდან გამოსულ ასოებს. რაფ. ერისთავის აღნიშნული ხელნაწერი ხელთ არ გვაქვს, მაგრამ იმ პერიოდში დაწერილი სხვა წერილები და თვითონ „Литературный вечер“-ში ჩართულ ლექსების ავტოგრაფებზე<sup>1</sup> დაკვირვება საფუძველს გვაძლევს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრების გასამტკიცებლად.

ნაწარმოებში ვხვდებით უსაგნო ლირიკის, დრომოკმული ვარდ-ბულბულიანური პოეზიის, სააშიკო ლექსების და სხვა მსგავსი აპოლიტიკური ლიტერატურის მახვილ დაცინვას. რაფ. ერისთავი თავის პერსონაჟებს რიგრიგობით ლექსებს ათქმევინებს და ამ ლექსების ტრაფარეტულობაში, უსაგნობასა და ბანალობაში გვაჩვენებს უსისხლხორცობას ცხოვრების აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემათიკისაგან მოწყვეტილი ლიტერატურისას, რომელსაც ასე მძაფრად აკრიტიკებდა ი. ჭავჭავაძე რევაზ ერისთავისეულ თარგმანისადმი მიძღვნილ წერილში.

ავტორს კარგად აქვს დახატული „მორცხვი“ პოეტების ლექსთა კითხვის სურათი. თავდაპირველად ასეთი პოეტები „მორცხვობენ“, მაგრამ შემდეგ, ზოცა როლში შევლენ, მათ კითხვას ბოლო აღარ უჩანს და მსმენელი გასაავათებამდე მიჰყავთ. გიორგი ქარიბერტყოვთან შეყრილი პოეტები კითხულობენ მაგალითად ასეთ ლექსებს:

„ქალთა ქება“, რომელშიც ანბანთქების ყაიდაზე შექმნილია ქალთა ოცდაათამდე სახელი. მსმენელებს იქვე გამოაქვთ მათთვის მსჯავრი. „ახლა რა გამოვიდა მაგ შენი ლექსებიდანო“ — იკითხავს ერთერთი — „რა უნდა გამოსულიყო? გრძნობა გამოვიდაო“ — პა-

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 23, 70.

სუხობს ნაწყენი ავტორი და თავის ლექსების დახვევაც კი უნდა, მაგრამ ქარიბერტყოვი არ ახევენებს და დასაბეჭდადაც კი ართმევს მათ.

მეორე პოეტი კითხულობს ლექსებს მიძღვნილს მეგობრისადმი, „როცა იგი დაქვრივდა“ და „ძლივს შეირთო ცოლი“; მესამე — ერთი ქალისაგან მიღებულ ქების წიგნზე პასუხობს ტრადიციული მაჯამით; მეოთხე — ლექსს უძღვნის „ქვრივ კაცს, რომელიც იგზნებოდა ერთი ქალის სიყვარულისაგან“; მეხუთე — კითხულობს თარგმანს „Монтекристо“-დან „იმისათვის, რომ აჩვენოს თუ რა ენით უნდა ვსწეროთო“ და სხვ.

რაფ. ერისთავი სწორად შენიშნავს პროზის ჩამორჩენილობას ქართულ ლიტერატურაში. ამიტომ მან სამართლიანად გაჰკიცხა უნიჭო მელექსეობით გატაცება. „მაინც ყველანი ლექსებზედა ვართ შეშლილნი“, გულისტკივილით ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟი. რაფ. ერისთავი მახვილი იუმორით დასცინის მამებლობას კრიტიკაში, როცა პოეტები გულუხვი და პურმარილიანი სახლის პატრონის უნიჭო ლექსებს ერთხმად პირმოთნედ აქებენ.

მეტად საგულისხმოა მოთხრობის ფინალი. სალიტერატურო სადამოზე შემოიჭრა გაღეშილი თავადიშვილი სოლომონ მოლალურაშვილი, რომელიც დასცინის „ქართული ლიტერატურის მხსნელებს“ და ასე მიმართავს მათ: „თქვენ ყველანი რუსულს, ფრანგულს, ლათინურს და კიდევ რაღაც ჭანდაბურს კითხულობთ, სწერთ და ქართულს კი სულ არა, ან ძალიან ცოტას. სხვას ჰმატებთ და თქვენს ენას კი არაფერი!

ბრავო დაიძახა ყველამ“.

სოლომონ მოლალურაშვილს უსარგებლოდ მიაჩნია ამხანაგების შრომა და მათ ასეთი მომხიბლველი წინადადებებით მიმართავს: „გეყოთ ამდენი აჩა-ბაჩას კითხვა და წერა, ახლა გადააწყვეთ ეგ თქვენი ქალაღებები, საწერ-კალამი და წავიდეთ ერთაჭალას“. წავიდეთ! წავიდეთ! — დაიძახეს სხვებმაც. ნახევარს საათს უკან, ზემოაღნიშნული ლიტერატორები, ორთაჭალის ბაღებისაკენ მიაქროლებდნენ დროშეებს, ზურნის კვრიით“.

რაფ. ერისთავი ამ თავის მოთხრობას მეტად მრავალმეტყველი შეძახილით ამთავრებს „ვ ა ი, ქ ა რ თ უ ლ ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა ვ!“

აი, ასეთ პრაქტიკულ შედეგებს იღებდნენ ის უამრავი „ვეჩერები“, რომლებზედაც განებივრებული ფუქსავატი ქართველი თავადაზნაურობა „ქართული ლიტერატურის წინ წაწევის“ ნიღბით დროსა ჰკლავდა. ასეთ „ვეჩერთა“ ფუქს ხასიათს კარგად ახასიათებს ერთ-ერთი პერსონაჟის მეღანქოლიური აღსარება: „არცა თანამშრომლებისა გადაწვევითეთ რამე, არც-არა ხელის მომწერლებისაო“. ეს ნაწარმოები დაწერილია არა უგვიანეს 1856—1857 წლებისა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ რაფ. ერისთავის პირად არქივში აღმოჩენილია ამ მოთხრობის ზოგიერთი ადგილის მოკლე ჩანაწერები, მასში ჩართული ლექსები და ნათარგმნი ნაწარმოებები („მაგდალინა“, „ქალთა ქება“, „გრაფ-მონტეკრისტო“ და სხვ.). რაფ. ერისთავის ამ ავტოგრაფებს (ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № № 23, 118, 112) უზით თარიღი „1856“ და „1857 г. 19 марта“.

რაფ. ერისთავის ეს მოთხრობა საყურადღებო მხატვრული ნაწარმოებია, რომელსაც სავსებით გარკვეული და მკაფიო კრიტიკული მიზანდასახულობა აქვს. ამ მხრივ იგი 60-იანი წლების ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ნიმუშია და მას რაფიელ ერისთავის იდეური პოზიციის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ შეხედულებათა დადგენა-გარკვევის თვალსაზრისით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

რაფ. ერისთავის „Литературный вечер“-ის გამოქვეყნება მეტად საყურადღებო მოვლენა იყო თავის დროზე. მისი კრიტიკული შესწავლა ახალ შუქს ჰფენს რაფ. ერისთავის დამოკიდებულებას სამოციანელებთან და უფრო გასაგებს ხდის მწერლის მსოფლმხედველობას.

## დ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ა

### პ ი ე ს ე ზ ი

1850 წელს აღდგენილი ქართული თეატრით გ. ერისთავმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ რეალისტურ დრამატურგიას. ხელმოკლეობისა და მთავრობის რეპრესიების გამო ამ თეატრის მუშაობა მალე შეწყდა (1856 წ.), მაგრამ გ. ერისთავის თეატრალურმა სკოლამ განაგრძო ქართული რეალისტური კომედიოგრაფიის ტრადიციები (ზ. ანტონოვი, გ. სუნდუკიანი, ა. ცაგარელი, ი. კერესელიძე, ა. მეიფარიანი, ბ. ჯორჯაძე და სხვა). თეატრის განახლებაში (70-იანი წლები) წარმოდგენები მაინც იმართებოდა როგორც თბილისსა და ქუთაისში, ისე საქართველოს სხვა რაიონებში.

დრამატურგიის უპირატესად სატირული ხასიათი აღმავალი კაპიტალიზმის ინტერესების გამომხატველი იყო, მაგრამ, როცა ბურჟუაზიამ განიმტკიცა ბატონობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კომედიის მამხილებელი ხასიათი მისთვის სასარგებლო აღარ იყო. პირიქით, ბურჟუაზიას უკვე ესაჭიროებოდა არა სოციალური უკუღმართობის, კლასობრივი ჩაგვრისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეების მხილება, არამედ არსებულის შელამაზება, შეფერადება, მასების ყურადღების გადატანა საყოფაცხოვრებო დეტალებზე და უშინაარსო სანახაობებზე, რომ ამით მშრომელთა ფიქრები აქტიური სოციალური ბრძოლისაგან მოეწყვიტათ. ამან გამოიწვია კომედიის გადაგვარება, მისი მძაფრი მამხილებელი ძალის შესუსტება და კომედიის უკბილო ვოდვევილად, ან უშინაარსო, ეფექტურ პიესა-სანახაობად გადაქცევა. ეს პროცესი შეინიშნება ყველა ქვეყნის დრამატურგიაში და განსაკუთრებით



იქ, სადაც ბურჟუაზიამ ეკონომიურ ბატონობასთან ერთად პოლიტიკურ ჰეგემონიასაც მიაღწია. ვოდევილი საფრანგეთიდან რუსეთში გავრცელდა. მართალია, რეალისტური რუსული დრამატურგიის და ძლიერი პროგრესული სულისკვეთებით გაყვნილი რუსული კლასიკური ლიტერატურის არსებობის პირობებში უიდეო ვოდევილების გავრცელების არე მცირე იყო, მაგრამ ვოდევილურმა ჟანრმა 50-იან წლებში იქაც მძლავრად მოიკიდა ფეხი. რუსეთში ბურჟუაზიული ვოდევილური ჟანრის ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ კარატიგინი, კონი და სხვ.

რუსეთის გზით ვოდევილი საქართველოშიაც გავრცელდა. განსაკუთრებით 80-იან წლებში ვოდევილები მრავლად იღმებოდა ქართულ სცენაზე, ვოდევილის გარეშე არ ტარდებოდა არც ერთი აქტიორის ბენეფისი. საყურადღებოა, რომ ქართველი დრამატურგების მიერ დაწერილ ვოდევილთა საგრძნობი ნაწილი წარმოადგენს რუსულ და უცხოურ ვოდევილთა ორიგინალურ გადმოკეთებას.

70—80—90-იან წლებში ქართველმა დრამატურგებმა მრავალი ვოდევილი შექმნეს. პიესა-ვოდევილებს ქმნიდნენ აკაკი წერეთელი („ბუტიანობა“), ბ. ჭორჭაძე, დ. ერისთავი, ვ. გუნია, ივ. გომართელი, ვ. შალიკაშვილი, ვასო აბაშიძე და სხვები; მაგრამ ვოდევილური ჟანრის დიდ და ნაყოფიერ შემომქმედად ქართველ დრამატურგთა შორის რაფიელ ერისთავი გვევლინება, რომელმაც ვოდევილის სტანდარტულ ფორმაში სოციალური ყოფის მამხილებელი ელემენტები შეიტანა. მისი კომედია-ვოდევილები იღმებოდა 60-იან წლებში, მაგრამ მათ შესახებ ცნობები არ შემონახულა. რაფ. ერისთავის გადმოკეთებული ვოდევილები „ჭერ დაიხოცენ შერე იქორწინეს“ და „მბრუნავი სტოლები“ დაიბეჭდა „ცისკარში“ 1868 წელს. ამას მოჰყვა „იკვიანი“ (1870 წელი), შესანიშნავი „სცენები“ „სურათები სოფლის ცხოვრებიდან“, რომლებიც უხვად იბეჭდებოდა „დროებაში“, „ივერიაში“, და სხვ.

რაფ. ერისთავის კომედია-ვოდევილების მოსწრებულ და მხვდელ სტრიქონებზე არა ერთი და ორი ნიჭიერი ქართველი აქტიორი აღიზარდა. ესენია ნ. ავალიშვილი, ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა-აბაშიძე,

ნ. გაბუნია, კ. ყიფიანი, კ. შესხი, ლ. ალექსი-მესხიშვილი, ე. ჩერქე-  
ზიშვილი, ვ. გუნია, კ. შათირიშვილი და სხვ.

რაფ. ერისთავი არ განეკუთვნება ქართული ორიგინალური  
დრამატურგიის წამყვან ძალთა რიცხვს, თუმცა მის შემოქმედებას  
გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ლარიზი თეატრალური  
ცხოვრების აღორძინება-განვითარების საქმეში.

ჭერ კიდევ ქუთაისში ყოფნისას (60-იანი წლები) რაფ. ერის-  
თავმა შეკრა ქართული ტრუპა, რომელმაც პირველი ქართული წარ-  
მოდგენები აჩვენა ქუთაისსა და თბილისში. აკაკი წერეთელი აღ-  
ნიშნავდა: რუსეთიდან „მეორეთ რომ დავბრუნდი, იმ დროს ქუ-  
თაისში მომრიგებელ მოსამართლედ იყო პოეტი რაფ. ერისთავი  
რომლის მეცადინეობითა და გრაფინია ლევაშოვის (ქუთაისის გუ-  
ბერნატორის მეუღლე) დახმარებით შედგა სცენის მოყვარეთა  
წრე. მუდმივი მოთამაშეები იყვნენ: ქალთაგან ეფროსინე კლდიაშ-  
ვილისა, ყიფიანის ქალი, კაცებთაგან მე, უმორჩილესი მონა თქვე-  
ნი, და ზაქარია ჭეიშვილი... რეპეტიციები ხან რაფიელის სახლში  
იყო ხოლმე, ხან ეფროსინე კლდიაშვილთან. თვითონ რაფიელი  
სუფლიობობდა, სწერდა პიესებს და ორჯერ-სამჯერ კიდევ ითამა-  
შა... ხალხი დიდძალი დაიარებოდა. ორმა სეზონმა კარგათ ჩაი-  
არაო“... „ამ დროს თბილისში ხსენებაც არ იყო თეატრისა. ერთხელ  
დაგვიბარეს თბილისში... მაშინ ჭერ კიდევ რკინიგზა არ იყო... ჩა-  
მოვედით და წარმოვადგინეთ „ყვარყვარე ათაბაგი“...

წარმოდგენამ ისე კარგად ჩაიარა, რომ ქალებს ლოქაში ისტე-  
რიკა დაემართათ, რის გამო ყაფლან ორბელიანს დაუძახნია—დაანე-  
ბეთ თავი მაგ წარმოდგენას, თორემ ქალები დაგვეხოცებიანო!<sup>1</sup>

70—80-იან წლებში რაფიელ ერისთავი ი. ჭავჭავაძის დავალებ-  
ით აკაკი წერეთელთან და სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად  
ხელმძღვანელობდა ქართული თეატრის აღდგენას. ამავე ხანებში  
მიჰყო ხელი მან ვოდვეილების წერას და რამდენიმე წლის განმავ-  
ლობაში იგი უკვე ავტორი იყო რამდენიმე ცნობილი პიესისა, რო-  
მელნიც წარმატებით იღმებოდნენ ქართულ სცენაზე.

<sup>1</sup> „თეატრი და ცხოვრება,“ 1910 წ., № 35, 36. გახსენება თეატრზე, გაზ.  
„თემი“, 1912 წ., № 55.

რაფ. ერისთავის დრამატული შემოქმედება არ არის ქანრობრივად მრავალფეროვანი. როგორც მართებულად აღინიშნა ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში, მისი პიესები უმთავრესად კომედიავოდვეილებს წარმოადგენენ და ის სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ამ ქანრის პირველ წარმომადგენლად ქართულ დრამატურგიაში. მისი კომედია-ვოდვეილები რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში არ მოხსნილან სცენიდან და ზოგიერთი მათგანი ეხლაც ამშვენებს ჩვენი თეატრების რეპერტუარს.

მისი კომედია-ვოდვეილები ხასიათდებიან სცენიურობით, ხალისიანი დიალოგებით, სხარტულობით, თანადროულობითა და საინტერესონი არიან სცენური განსახიერებისათვის, რის გამოც ყოველთვის სარგებლობდნენ მაყურებლის სიმპათიით.

რაფ. ერისთავის კომედია-ვოდვეილები არ წარმოადგენენ უშინაარსო გამართობ პიესებს, რომლებშიც ეფექტური სცენიური ტრიუკები, მიშხიდველი ეგზოტიკა, ან გარეგნული ფორმალისტურა ხერხები ფრავდნენ უშინაარსის უბადრუკობასა და სილატაკეს. რაფ. ერისთავის კომედია-ვოდვეილები ხასიათდებიან სალი რეალისტური თვალთახედვით, ყოფა-ცხოვრებითი დეტალების სწორი ასახვით, უარყოფითი მოვლენების მახვილი კრიტიკით, ბუნებრიობით, მიზანდასახულობით.

ჯერ კიდევ გ. თუმანიშვილმა აღნიშნა, რომ რაფ. ერისთავი ყოველი სცენური ხასიათის შექმნას ამა თუ იმ მსახიობს უფარდებდა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი მის მიერ შექმნილ პიესათა ბუნებრიობისა, სცენიურობისა. „ბიძიასთან გამოხუმრება“ რაფიელმა საგანგებოდ დაწერა მსახიობების კ. ყიფიანისა და საფაროვ-აბაშიძისათვის.<sup>1</sup> ამასთან დაკავშირებით, აკაკი წერეთელი იგონებს, რომ ერთხელ მე და რაფიელი მიწვეული ვიყავით აბელოვის ოჯახში, სადაც 16—17 წლის მაკო საფაროვამ თავი გამოიჩინა თავისი შეუღარებელი არტისტული ნიჭით. იგი „ლხინის პაპა“ იყოვო. რაფიელ ერისთავმა, აღნიშნავს აკაკი, „შესანიშნავი ვოდვეილი „ბიძიასთან გა-

<sup>1</sup> Г. М. Туманов, «Характеристики и воспоминания», 1913 г., стр. 138.

მოხუმრება, რომ გადმოაკეთა ქართულად, სახეში მაკო საფაროვი-  
სა ჰყავდაო“<sup>1</sup>.

რაფ. ერისთავს ეხერხება არა მარტო კომედიური ხასიათების, არამედ სიტუაციების შექმნაც. მის მიერ შექმნილი მრავალი მხატვ-  
რული სახე და მდგომარეობა ერთგვარი ტიპიურობითაც ხასიათდე-  
ბა და ხშირად იმ დროინდელი სინამდვილის მართალ სურათად  
გვევლინება. ახასიათებდა რა რაფ. ერისთავის დრამატულ ოსტატო-  
ბასა და წერის სტილს ს. მესხი წერდა:

„რაფ. ერისთავის კალამს ისეთი ღირსება აქვს, რომელიც ჩვენი  
ახლანდელი ლიტერატურისათვის სწორედ ძვირფასია: ეს კალამი  
სწერს ხშირად შესანიშნავის სიმახვილით, ოხუნჯობით და ავტორ-  
ში ცხოვრების დაკვირვების ნიჰს გვიჩვენებს. გადაიკითხეთ მხო-  
ლოდ თუნდ მარტო ის სცენები, რომელიც შარშან და შარშანწინ-  
დელ „დროების“ ნომრებში და „კრებულის“ მეშვიდე წიგნშია და-  
ბეჭდილი და თქვენ დარწმუნდებით ჩვენი უკანასკნელი სიტყვების  
სიმართლეში. მართლაც, რომ ამ სცენიდან ცხადად დაინახავს ყო-  
ველი მკითხველი, რომ რაფ. ერისთავს მახვილი კალამი და დამკ-  
ვირვებელი თვალი აქვს. ამჟამად ჩვენში ორ-სამ მწერალს  
გარდა არავინ გვეგულეება ისეთი, რომელიც  
ჩვენ ცხოვრებას რაფ. ერისთავზე უკეთ იც-  
ნობდეს და უკეთ ხატავდეს ამ ცხოვრების სურათებს  
და ხასიათს“<sup>2</sup>.

რაფ. ერისთავის დრამატურგიული შემოქმედების გასათვა-  
ლისწინებლად განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ორიგინალუ-  
რი კომედია-ვოდევილები „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხ:-  
რის უმძლავრესია“, „პარიკმახერისას“, „ადვოკატები“, „ქაჩუა“  
და გადმოკეთებული „ჯერ დაიხოცნენ შერე იქორწინეს“, „მბრუნა-  
ვი სტოლები“, „იპვიანი“, „ბრილიანტი“, „ნათლია და ნათლულები  
სცენაზე“, „ბიძიასთან გამოხუმრება“, „სადილი მარშალისას“ და  
სხვა.

<sup>1</sup> „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წ., № 37.

<sup>2</sup> „დროება“, 1872 წ., № 19.

ორმოქმედებიანი კომედია „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“ ტიპიური კომედია-ვოდევილია.

კომედიური ხასიათის გამოძერწვის მანერით, კომიკური სიტუაციების შექმნით, ისევე როგორც მოქმედ პირთა ენობრივი დახასიათებით, იგი ძალიან უახლოვდება გ. ერისთავის სკოლის დრამატურგთა წრეს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რაფ. ერისთავი ისევე, როგორც მისი თანამედროვე ასიკო ცაგარელი ქართული დრამატურგიის ფუძემდებლის გ. ერისთავის დიდ გავლენას განიცდიდა, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია დრამატურგიულ ოსტატობასა და ენაში.

რაფ. ერისთავის კომედია-ვოდევილებში ენა სწორად კომიკური ეფექტის შექმნის საშუალებად გვევლინება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენის განზრახი დამახინჯება, ან დამახინჯებული ენის ნატურალისტური გადმოცემა, რაც გ. ერისთავის სკოლის მრავალ დრამატურგს მოსდგამდა, და რაც ნაწილობრივ რაფიელ ერისთავსაც ახასიათებს, ვერ ჩაითვლება მაღალხარისხოვან დრამატურგიულ ხერხად.

საერთოდ რაფ. ერისთავის ენა უმეტეს შემთხვევაში წმინდა ქართულით ხასიათდება. იგი მკვეთრი და ზუსტია. მას ხალხური თქმების ფართო გამოყენება მოსდგამს. აი რას წერდა რაფ. ერისთავის ენის შესახებ გაზეთი „ივერია“: „ქართული ენა ახლანდელს მწერლობაში ისე მდიდრად არსად არ სჩანს, როგორც რაფ. ერისთავის ნაწერებში; აქ ენას ნაკლებად ეტყობა დანათესავება რუსულს და სხვა უცხო ქვეყნურს ენებთან; აქ ენას ქართული ხასიათი აქვს და ამავ ხასიათს აძლევს თვით უცხო ქვეყნურს თხზულებასაც. ეს ფრიად დიდი ღირსებაა ახლა ჩვენში, როდესაც სხვა ქვეყნის ნაწარმოებში არამც თუ ნათარგმნს, ორიგინალურს თხზულებასაც კი მცირედ ეტყობა ქართულობა“.<sup>1</sup>

ამ ორმოქმედებიანი კომედიის „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“ სიუჟეტი სადა და მარტივია: სომეხ ვაჭარს არტემ დოვლათოვს ჰყავს ლამაზი ქალიშვილი კეკელა, რომელზედაც შეყვარებულია ქართველი თავადი გრიგოლ სირმაძე.

<sup>1</sup> „ივერია“, 1881 წ., № 2, გვ. 132—133.

დოვლათოვს არა სურს თავისი ერთადერთი ქალიშვილის ქართველ თავაღზე გათხოვება, მაგრამ კეკელა მამის სურვილის წინააღმდეგ გრიგოლ სირმაძეს თანაუგრძნობს. ქართულმა დრამატურგიამ ბევრი იცის ასეთი სიუჟეტური ქარგა. გ. ერისთავიდან და ზ. ანტონოვიდან დაწყებული ყველა ქართველი დრამატურგი (განსაკუთრებით კომედიოგრაფები) გაკოტრებული თავადიშვილებისა და მდიდარი სომეხი ბურჟუაზიის დამოყვრებაზე წერდა. ამ დამოყვრების ხელშემშლელი მიზეზები უმეტეს შემთხვევაში სომეხ ვაჭართა წინააღმდეგობა პიესის დრამატიული ან კომიკური კოლიზიის საფუძველს შეადგენდა.

ასეა აქაც, პაემანზე შეხვედრის დროს გრიგოლსა და კეკელას მოულოდნელად დოვლათოვი მოუსწრებთ; ახალგაზრდები იმალებიან. მოსამსახურე გოგო, რომელიც კეკელას ერთგულია, დოვლათოვს კარებს არ უღებდა იმ საბაბით, რომ ვითომც მის ხმას ვერა სცნობს. დოვლათოვი იძულებულია ღამე ქუჩაში გაათენოს. კომიზში შექმნილია ამ ეპიზოდით და ე. წ. სასხვათაშორისო სიტუაციებით. პაემანზე შეყრილ ქალ-ვაყს მოსიარულე მგზავრები ლაპარაკს უშლიან და აიძულებენ მათ ქუჩაში დადგმულ ძეგლებს უკან წარამარა იმალებოდნენ. ეს გარემოება ქმნის აგრეთვე კომიკურ სიტუაციას.

მეორე მოქმედებაში გრიგოლი ვაჭართან მიდის, მას ქალიშვილის ხელსა სთხოვს. ვაჭარი უარზეა და ცდილობს თავის ქალიშვილსაც უარი ათქმევინოს, მაგრამ კეკელა მამის წინააღმდეგ გამოდის, გრიგოლ სირმაძესთან ერთად სახლიდან გარბის.

პიესის ყველაზე უფრო კომედიურ ელემენტს ვაჭრის მოსამსახურე ბიჭი დათიკო წარმოადგენს. იმერლის ბიჭები ძველი ქართული კომედიების აუცილებელ მოქმედ პირებს წარმოადგენდნენ. მათი სხარტი იმერული დიალექტი კომიზმის ერთ-ერთ წყაროდ იყო გამოყენებული. იმერული დიალექტისა და სომხური ქარგონის შეზავება კომიკურობით აღბეჭდილ კონტრასტსა ჰქმნის. კომედიურობის შექმნის ამ ხერხს იყენებდნენ გ. ერისთავი (მაგალითად მისი ლომინ გოდაბრელიძე), ზ. ანტონოვი (მისი მოსამსახურე იმერელი) და სხვები.

მსუბუქი ვოდვეილური სიუჟეტის მიუხედავად, რაფ. ერისთავ-მა მაინც შესძლო ამ ვოდვეილში რეალისტური მხატვრული ხასიათების ჩვენება. არტემ მინაიჩ დოვლათოვი მდიდარი ვაჭარია, მან გ. ერისთავის ვაჭრების მსგავსად ცხოვრების მძიმე სკოლა განვლო და ეხლა უზრუნველყოფილ და საკმაოდ მდიდრულ ცხოვრებას მი-აღწია. იგი პრაქტიკული ჰკუისა და მახვილი ალღოს კაცია, მაგრამ ავტორი ხანდახან კომიკურ მდგომარეობაში აყენებს. დოვლათოვის გამოყვეჩება იქამდე მიდის, რომ საკუთარ ქალსაც ვედარა სცნობს. უფრო სადად და რეალისტურად გამოიყურებიან სხვა პერსონაჟები, გრიგოლი, კეკელა, მაგრამ ისინიც მეტად სქემატიურად არიან დახატულნი და ეს გასაგებიცაა, რადგან ვოდვეილს ახასიათებს არა იმდენად ხასიათების გაღრმავება, რამდენადაც გარეგნული დინამიკა და სიუჟეტური ტრიუკებით დამაინტერესებელ სვლებით ეფექტის მიღწევა.

გმირების ენობრივი დახასიათების ის გზა, რომელსაც რაფ. ერისთავი და XIX საუკუნის კომედიოგრაფები ადგენენ, დღეს მართებულად ვერ ჩაითვლება. აღნიშნულ პიესაში კი სწორი სალიტერატურო ენით გამართული დიალოგები და მონოლოგები ტექსტის ერთ მეხუთედს არ აღემატება. დანარჩენი ოთხი მეხუთედი დიალექტი და დამახინჯებული ენაა. რაფიელ ერისთავის გმირები ვერ ლაპარაკობენ თავიდან ბოლომდე ერთი ენით. მაგალითად, დოვლათოვი ხან წმინდა ქართული ენით ლაპარაკობს, ხან რალაც ჟარგონით, რომელშიაც არეულია რამდენიმე ენა და რამდენიმე დიალექტი. ცხადია, რომ ეს თვით ავტორის მიერ შეკოწიწებული ქართულ-სომხურ-რუსული ენაა.

აი დოვლათოვის მეტყველება: „ტო, ახმახ! ხელს არ აიღებ? ეს ინჩ ტრაკე?“, ან ასეთი ვაჭრული ჟარგონიც ისმის: „გნებამს ატსტრო-ჩიტს გიზამ, ვექსილი გამოვცვალოთ“. თანაც დამახინჯებულია ქართული მეტყველება: „დღეს ბევრმა მეძინა, ის ყურუმსალი გოგო კარმა არ გამიღო. ჩემი დოვლათმა ანგარიშები ვნახო, ანდერძივით ემე ვქნა“..... პიესის ზოგიერთი სიტუაცია ხელოვნურობით ხასიათდება და არაბუნებრიობის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ასეთივე ტიპის პიესას წარმოადგენს ერთმოქმედებიანი ხუმრობა-ვოდევლი „პარიკმახერისას“.

პარიკმახერ გრიგოლ ლილიფარაშვილთან იზრდება ობოლა გოგონა ნინო, რომელიც გატაცებით უყვარს პარიკმახერის შეგირდს გიგოს. ერთ დღეს პარიკმახერი თავის ცოლთან ერთად სასეირნოდ გაემგზავრება. საპარიკმახეროში ოსტატის მაგივრად მისი თანაშემწე გაბრო თავხედიანი რჩება, რომელიც მუშტარს უნდა მოემსახუროს, მაგრამ, რადგან პარიკმახერის თანაშემწე საცოლესთან წასვლას ამჯობინებს, ნინოს სტოვებს მუშტრის მომსახურეობისათვის. მაგრამ ნინოს, როგორც ქალს, ძველი ჩვეულების თანახმად, უფლება არ ჰქონდა მამაკაცის წვერს შეხებოდა და მამასადამე არც მისი პარიკმახერობა შეიძლებოდა, ოსტატის თანაშემწე მუხლმოდრეკით თხოვს, რომ მან ბიჭურად ჩაიცვას და მოსულ მუშტარს თავი გაჰკრიჭოს. ნინო დათანხმდება, მართლაც ბიჭურად გადაიცვამს, შეგირდ გიგოს კი ქალურად ჩააცმევინა და მოსამსახურის მოვალეობის შეწარულებას დააკისრებენ. ეს ფერიცვალება ნინოსი ბიჭად და გიგოსი ქალად კომიკური სიტუაციების საფუძველი ხდება. ასე მაგალითად, საპარიკმახეროში შემოსულ ქალს ნინო არშიყობას დაუწყებს. ქალს იგი მართლაც ბიჭად მიაჩნია, გაურბის მას, ქალურად ჩაცმულ გიგოს კი გულში ეხუტება. ასეთნაირადვე იქმნება სხვა კომიკური სიტუაციებიც: საპარიკმახეროში შემოდის ნინოს დეიდა, რომელიც სოფლიდან ჩამოვიდა, თავისი დისწულის წასაყვანად. დეიდა დისწულად გიგოს მიიჩნევს და მას გათხოვებაზე ლაპარაკს დაუწყებს. თავი რომ არ გასცეს, გიგო იძულებულია ნინოს შაგიერ ილაპარაკოს. ბოლოს, საპარიკმახეროში პირის გასაპარსად შემოდის თავადი ბაადური, ნინო იძულებულია დაიწყოს თავადის გაპარსვა, მიუხედავად იმისა, რომ სამართებელი ხელში არასოდეს არა სჭერია. თავადს ქალურად გადაცმული გიგო მოეწონება და არშიყობას დაუწყებს. ნინოს კი, რომელიც პარიკმახერად მიიჩნია, წყრომით ელაპარაკება. თავადს სურს, რომ როგორმე გიგო დაიმარტოხელოს. პარსეის დროს გამოუტდელი ნინო სამართებლით სახეს დაუჩიხავს გამოყეყეჩებულ თავადს. ამ დროს ბრუნდებიან პარიკმახერი და მისი მეუღლე. როცა



ისინი დაინახვენ, რომ გიგოს პარიკმახერის ცოლის ტანსაცმელი ჩაუცვამს და ნინოს კი თვით პარიკმახერისა, გაბრაზდებიან და ორივეს სამსახურიდან ითხოვენ. კომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდება ცალ მხარეს ჩამოპარსული თავადიც, რომელიც რწმუნდება, რომ აქამდე თურმე ვაჟს ეარშიყებოდა.

ამ მსუბუქი სიუჟეტის უკან არ იმალება რაიმე სერიოზული იდეა, სოციალური პრობლემა. ნაწარმოები წმინდა ტრაფარეტული სქემითაა შექმნილი, როგორც გამართობი ხასიათის პიესა, მაგრამ ამასთან სცენიურია, აჩქარებული რიტმით მიმდინარეობს, ხასიათდება დინამიურობითა და უბრალოებით, რის გამოც წარმატებით იდგმებოდა სცენაზე.

პიესის პერსონაჟთა შინაგანი ბუნების მოქმედებაში ხასიათის ჩვენება ავტორს მიზნად არ დაუსახავს და ეს არც ევალეზოდა მას, რამდენადაც ვოდვეილი საერთოდ არ იძლევა ხასიათის ღრმად გახსნისა და მოქმედ პირთა ფსიქოლოგიურად დახასიათების შესაძლებლობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პიესის ენა. იგი სავსებით თავისუფალია იმ ნატურალისტური გადამლაშებისაგან და კუთხური დიალექტიზმებისა და ვულგარიზმებისაგან, რაც დამახასიათებელია რაფიელ ერისთავის ზოგიერთი კომედია-ვოდვეილისათვის. ეს ვოდვეილი დაწერილია სუფთა ქართული ენით. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს მომქმედ პირთა ენობრივ დახასიათებასთან. თვითვეულ პერსონაჟს თავისებური მეტყველება აქვს. ასე მაგალითად, სხვანაირად ლაპარაკობს საბედრო (ნინოს დეიდა) და სხვანაირად თავადი ბაადურო. აქ პერსონაჟის ენობრივი დახასიათება შექმნილია არა სპეციფიკური ფრაზების და აკვიატებული სიტყვების ხმარებით, არამედ მომქმედ პირთა ენის სინტაქსური, ლექსიკური და ინტონაციურ-რიტმული დახასიათებით.

რაფ. ერისთავის აღნიშნული პიესა ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე და ყოველი მისი დადგმა დიდ სიამოვნებას გვრიდა თეატრის მაყურებელს. 1880 წლის ნოემბერში ერთ-ერთი დადგმის გამო, როცა გიგოს როლს ვ. აბაშიძე, ხოლო ნინოს როლს საფაროვა ასრულებდა, „დროება“ წერდა: „რ. ერისთავის პიესის „პარიკმახე-

რისას“ თამაშის დროს მაყურებლებს მუცლიდან ხელი არ მოუშორებიათ იმდენს იცინოდნენ“...<sup>1</sup>

„პარიკმახერისას“ დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1888 წ. გრ. ჩარკვიანის სტამბაში. ამ ვოდვეილს ქართულმა თეატრალურმა კრიტიკამ დადებითი შეფასება მისცა. „პარიკმახერისას“ როგორც საზოგადოდ ყველა პიესა, რომელიც რაფიელ ერისთავის კალამიდან გამოსულა, ცოცხალი, მოძრავი, მხიარული და ნამდვილი სასცენო ქმნილებაა. ერთ სიტყვას ვერ ნახავთ მასში მომეტებულს, ერთ მოძრაობას, რომელსაც სცენისათვის რაიმე მნიშვნელობა არა ჰქონდეს.“<sup>2</sup>

მეტად საყურადღებოა რაფ. ერისთავის სამმოქმედებიანი პიესა „ადვოკატები“. ეს ნაწარმოები ბევრი რამით გამოდის ვოდვეილური ქანრის ჩარჩოებიდან და მშვენივრად გააზრებული, განსაზღვრული იდეის მქონე, საინტერესო თემის ნაწარმოებად გვევლინება. იგი პირველად გამოქვეყნდა ი. ჰავუაძის „ივერიაში“ 1880 წელს. ჭერ კიდევ გაზეთი „დროება“ 1880 წელს აღნიშნავდა, რომ „ადვოკატები“ „ჩინებული სასცენო პიესაა და ავტორის აზრიც — ახლანდელი ადვოკატების დაცინება—ცოცხლად არის მასში გამოხატული. უბრალო მომქმედ პირსაც ვერ ნახავთ ამ პიესაში, რომ ნამდვილის ახლანდელ ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული და გამოხატული არ იყოს. მიიღეთ მხედველობაში რ. ერისთავის მშვენიერი ენა, ზედმიწევნითი ცოდნა სცენისა, მახვილად მოგონილი ინტრიგა პიესისა“.<sup>3</sup>

„ადვოკატების“ პირველ რეცენზენტს სწორად აქვს შენიშნული მისი რეალისტური ხასიათი და სინამდვილის ამსახველობა. ცხოვრების სიმართლე ბუნებრიობას და დამაჭერებლობას სძენს ამ პიესას, რაც უმრავლეს შემთხვევაში ასე აკლავთ ხოლმე ტიპიურ ვოდვეილებს. პიესის ერთ-ერთი მთავარი მომქმედი პირია ყოფილი მკერავი სოლომონ საპონაშვილი, ეხლა მას გვარი გადაურქმევია და თავს მილოვს უწოდებს. სოლომონი ძველი აზნაურია. ეს მეტად დამახასიათებელი შტრიხია, რომლითაც ავტორი ქართველი თავადაზნაურობის დენაციონალიზაციას გვაცნობს.

<sup>1</sup> „დროება“, 1880 წ., № 236.

<sup>2</sup> „დროება“, 1880 წ., № 217.

<sup>3</sup> „დროება“, 1880 წ., № 226.

სოლომონს შეუამხანაგებია ძველი ფესსაცმლის მკერავი გაბრო მორგვაძე და მათ საადვოკატო კანტორა გაუხსნიათ, სადაც მომჩივან ხალხს ატყუებენ და ფულს სცინცლავენ.

უცოდინარ, უვიც ხელოსნების ადვოკატებად ქცევისა და სასამართლოს საქმეებში მათი მონაწილეობის ჩვენებით ავტორმა მოხერხებულად გაიციხა ძველი მართლმსაჯულება, გვიჩვენა, რომ შემთხვევით და ყოვლად უვიც ადამიანებს ჰქონდათ მინდობილი ხალხის ბედის გადაწყვეტა.

სოლომონი გვიამბობს, რომ მას ჯერ სასამართლოებში დაუწყია სიარული, მერე კანონის წიგნები უყიდია, შიგ რამოდენიმე მუხლი გაუზეპირებია, ბოლოს წვრილი საქმეებისათვის მიუყვია ხელი, ეხლა კი ცნობილი ადვოკატი გამხდარა, რომელთანაც აუარებელი მთხოვნელები მოდიან. რაფ. ერისთავი გვიჩვენებს, თუ რა იოლად იკაფავენ გზას მოხერხებული და გაიძვერა ადამიანები.

სოლომონი ჩქარა გამდიდრდა ვექილობით. „ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა, — ამბობს იგი, — აღრე კვირაში ერთი სერთუკი უნდა შემეკერა, ხუთჯერ ნემსი მეჩხვილიტა, ან უთოთი თითები დამეწვა და ერთი თუმანი ძლივს დამრჩებოდა, ეხლა კი ერთ დღეში ორას თუმანს ვიღებთ“.

სოლომონთან მოდის თავადი სულხან ამაყაძე. მას ჰყავს მეტად ლამაზი ქალიშვილი, რომელიც ადვოკატს უყვარს, თუმცა ვერ ბედავს მის თხოვნას, რადგან წინასწარ იცის, რომ თავადი ამაყაძე თავის ქალს ცოლად არ გაატანს. თავადი სოლომონს საქმეს ანდობს და სთხოვს მას დაეხმაროს მისი ქალის დედისეული მამულების დაბრუნებაში, რომლებიც ქალის დედის ბიძას თავად სარიდან ბრუნდაძეს უკანონოდ მიუთვისებია.

სოლომონი კისრულობს საქმის დაცვას. ქალისადმი სიყვარულურ სრულიად არ უშლის მას, რომ მომავალ სასიამაოროს რაც შეიძლება მეტი ფული დასტყუოს.

ამ სცენაში რაფ. ერისთავმა გვიჩვენა, როგორც თავდაზნაურობის ვიწრო ბუნება და გაუნათლებლობა, ისე ჩინოვნიკების თაღლითი ხასიათი. თავად ამაყაძის წასვლის შემდეგ შემოდის მისი მოწინააღმდეგე თავადი ბრუნდაძე და სთხოვს ადვოკატს მისი საქმის აღე-

ბას, ამაში იგი გასამრჯელოდ აძლევს იმაზე ოთხჯერ მეტს, რაც ადვოკატმა ამაყაძისაგან მიიღო. ხარბი ადვოკატი ადვილად სთანხმდება მასაც და ერთდროულად იწყებს ორი მომჩივნის, ორი მოწინააღმდეგის საქმეთა ვეჭილობას.

გარდა რვაასი მანეთისა, ბრუნდაძე შეპირდა ადვოკატს სადავო მამულების ნახევრის მიცემას, თუ იგი ამ საქმეს მოაგებინებდა და თანაც პირობა მისცა თავისი დისწულის მითხოვებაზე. ამით ავტორმა შეძლო ნასკვის მოხერხებული შეკერა და დამაინტერესებელი ინტრიგის შემოტანა პიესაში.

მოქმედების განვითარების მსვლელობაში რაფ. ერისთავი პიესაში რამოდენამე ეპიზოდს ჩაურთავს. უნდა ითქვას, რომ რაფ. ერისთავი ჩართული დრამატიული ეპიზოდების დიდი ოსტატია. ასეთია, მაგალითად ადვოკატთან გაქირვებულ გლეხის მისვლა, რომელიც უკანონოდ წართმეული ხოდაბუნის დაბრუნებას ცდილობს. ამ სცენაში ავტორმა მოხერხებულად გვიჩვენა ადვოკატის სრული უფიცობა. მას საქმეების საწერად აყვანილი ჰყავს ლოთობისათვის სამსახურიდან გამოგდებული რუსი ჩინოვნიკი, რომელიც ადვოკატს საჭირო ქაღალდებს უწერს. ამ ჩინოვნიკის გარეშე მიღოვს უბრალო ქაღალდის დაწერაც არ შეუძლია. ეს გაკვრითი სცენა დიდი ცინიზმით ხასიათდება და გვიჩვენებს იმ ტრაგიკულ სიტუაციებს, რომელთაც მართლმსაჯულების უცხო ენაზე წარმოება ქმნიდა.

ამასთან ერთად, ავტორმა ადვოკატთან საქმეზე მოსული გლეხების მეოხებით, გაკვრით, გვიჩვენა ქართველი გლეხობის გაქირვებული ყოფაც. პიესაში არის კოლორიტული სცენებიც. ასეთია, მაგალითად. სოლომონთან მაჰანკლის მოსვლა. გამოჩნდა თუ არა სცენაზე მაჰანკალი. წმინდა ქართული ენა, რომლითაც დაწერილია ეს პიესა, შეიცვალა თბილისური ყარაჩოღული ქარგონით.

მეორე მოქმედებაში ავტორი გვიჩვენებს ფუქსავატი ქართველი თავადაზნაურების ცხოვრებას, გაუთავებელ ჭორებს, ლაპარაკს ჩაცმა-დახურგაზე, სიმდიდრეზე, გართობა-ქეიფებზე.

მეორე და მესამე მოქმედება თავად ამაყაძის ოჯახში მიმდინარეობს. თავადის ქალს თამარს უყვარს ლამაზი და მიმზიდველი თა-

ვადიშვილი სანდრო ვარსკვლავაძე. ქალი მზადაა გაიქცეს მასთან ერთად, თუ მამა წინააღმდეგი იქნება.

პიესაში გამოყვანილია სომეხი ვაჭარი არუთინა, რომელიც გ. ერისთავის გმირების მსგავსად დასცინის ქართველ თავადაზნაურობას და სარგებლობს რა მათი სიბრძოლით, საკუთარ საქმეებს აჭახრავს. „ქართველის თავში როდის შესულა ხეირიანი ფიქრი, რომ ეხლა შევიდეს“, ამბობს იგი. პიესის დადებითი პერსონაჟი თავად ამყაძის ქალიშვილი თამარი, ავტორმა გამოიყენა თავისი აზრის გამოსათქმელად. თამარი პროგრესულად აზროვნებს და ემანსიპაციური იდეალების მქადაგებლად გვევლინება. იგი წინააღმდეგია ქალებზე გარიგებით გათხოვებისა და მოითხოვს, რომ ცოლქმრობას საფუძვლად სიყვარული ედოს. რაფ. ერისთავმა ამ პერსონაჟით განათლებული, კეთილშობილი, მხნე ქართველი ქალის მხატვრული სახე დაგვიხატა, რითაც ახალი შტრიხი შეიტანა ჩვენს დრამატურგიაში. რამდენადაც მისი გმირი ქალი მხოლოდ სასიყვარულო ინტრიგაში ჩაბმული არსება კი არ არის, მარტო რომანიული ეპიზოდების წამყვანად კი არ გვევლინება, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმის ტენდენციებსაც ამჟღავნებს.

თამარის ინიციატივით სანდრო ჩაერევა სასამართლოს საქმეში. იგი უკანონოდ წაგებულ საქმეს მოაგებინებს თავად ამყაძეს, რომელსაც უკვე ჩამოერთვა ქონება იმის გამო, რომ ძველი ადვოკატი მილოვი ანგარებით მოეკიდა მისი მამულების დაცვის საქმეს. პიესის ფინალში მილოვი მხილებულია, როგორც თაღლითი და გაიძვერა ადამიანი და მას პრისტავი აპატიმრებს. გახარებული სულხანი, რომელსაც თამარის და სანდროს წყალობით კვლავ დაუბრუნდა მამულები, ბედნიერებას უსურვებს ორივეს და მათ ჯვარისწერის ნებას ერთავს.

თავის დროზე ამ პიესამ ერთგვარი მიოქმე-მოქმე გამოიწვია ქართულ თეატრალურ საზოგადოებაში. როგორც ჩანს, „ადვოკატი-ები“ წარდგენილი ყოფილა თეატრალურ კომიტეტში პრემიისათვის. მოუწყუიათ მისი საჯარო წაკითხვა. შემდეგ იგი ცალკე წასაკითხად გადაუციათ ზოგიერთი პირისათვის, რომელთა დასცენის საფუძველზე რაფ. ერისთავისათვის პრემია აღარ მიუნიჭებიათ. ამასთან და-

კავშირებით გ. თუმანიშვილი შემდეგს წერს „დროების“ რედაქტორისადმი გაგზავნილ წერილში:

„პირველი კაცი, რომელიც ალტაცებაში მოვიდა ამ პიესისაგან, მე გახლდით. პატივცემულ ავტორის ხელოვნურ კითხვამ მაფიქრებინა, რომ ეს პიესა ნამდვილი სასცენო კომედიაა. ხელმეორედ რომ ყურადღებით გადავიკითხე, დავრწმუნდი, რომ პირველი ჩემი აზრი შეცდომა იყო და „ადვოკატები“ — გრძელი ვოდვევილური სცენები. ავტორს ვთხოვე, რომ ზოგიერთი სცენა წარმოდგენილიყო. ავტორმა ნება არ მომცა და პიესა დარჩა წარმოუდგენელი“.

თუმანიშვილი აღნიშნავს: „შარშან ჩემი რეჟისორობის დროს ვფიქრობდი, რომ თეატრის რეპერტუარი გამძლიერებინა ისეთი კომედიებით, რომელიც მოკლედ სხარტულად გადმოგვცემენ აზრებს. მაყურებლამდე მალე მივა ჩანაფიქრის მიზანი... ამგვარ პიესებს, გაკვიანურებულებს რამოდენიმე მოქმედებად, ჩემ დროინდელ რეპერტუარში ადგილი არ ჰქონდათ. თ. ერისთავის კომედია მე ჩავთვალე „გრძელ ვოდვევილურ სცენებად“....1

ამის შემდეგ „დროების“ 229-ე ნომერში რაფ. ერისთავს დაუბეჭდავს საპასუხო წერილი, რომელშიც იგი თუმანიშვილს „ორგვარი გრძნობისა და ორგვარი შეხედულების“ ადამიანს უწოდებს, ამავე წერილში რაფ. ერისთავი იძლევა თეორიულ ახსნას ვოდვევილური და მელოდრამული ჟანრის ნაწარმოებისას... ამის შემდეგ რაფ. ერისთავი დასძენს, რომ „ადვოკატები“ პირველს წარმოდგენაშივე საზოგადოებამ ალტაცებით მიიღო და რამდენჯერმე თვითონ მეც გამომიძახესო“2.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ რაფ. ერისთავის „ადვოკატებს“ საკმაო ინტერესი აღუძრავს საზოგადოების ფართო წრეებში. ამას მოწმობს ჟურნ. „იმედის“ 1882 წლის №1 მოთავსებული დ. ა. აბდუშელიშვილის რეცენზიაც: „ადვოკატებმა“ ნამუსი და პირის წყალი სულ დაუმხვეს ჩვენს გაუნათლებელ ხალხს. ძმა ძმას აუჩივლეს. სიმაართლეს სისულელე დაარქვეს, სიცრუე და ფიცის გატეხა ჩალის ფასად გახადეს“...

1 „დროება“, 1880 წ., № 227.

2 იქვე, № 229.

მაშასადამე, ლიტერატურის ვალი იყო ემხილა ყოველივე ეს და ხალხისათვის დაენახებინა ადვოკატების ნაკლოვანება. „ამისთანა მიმართულებისა არის სწორედ რაფ. ერისთავის კომედია „ადვოკატები“... ნათერძალი სოლომონი უკანასკნელ ხუთ მანეთს ართმევს საწყალ გლეხს და უწერს არზას, რომელსაც ეშმაკი ვერას გაუგებს და რომლისაგანაც, რასაკვირველია, არაფერი გამოვა-რა...<sup>1</sup>

80-იან წლებში ქართული თეატრის სცენაზე ხშირად იდგმებოდა რაფ. ერისთავის პიესები „ადვოკატები“, „ბიძიასთან გამოხუმრება“, „პარიკმახერისას“ და სხვა. ამის გამო 1881 წლის „დროების“ საახალწლო მილოცვაში აექსენტი ცაგარელი ასე მიმართავდა რაფ. ერისთავს:

„შენ კი ვერ დაგემღერებით, ჩვენ მწერალთა ბლალოჩინო პატივემულო კარმაგო სიცოცხლევ და თვალისჩინო ტყავები სულ გააძვერი ბიძიებს, ადვოკატებსა:  
ზოგი დათვებს დაამსგავსე და ზოგი მჩხავან კატებსა“<sup>2</sup>.

1881 წლის თებერვალში გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა აგრეთვე აკაკი წერეთლის ლექსი „ადვოკატები“. ამ ლექსში აკაკიმ, მსგავსად რაფიელ ერისთავისა, სასტიკად დასცინა ვეჭილების უპატიოსნო ქცევას, მათ გაიძვერობასა და ყალთაბანდობას.

არანაკლებ საინტერესოა სატირული ხასიათის ვოდევილი „ქაჩუა“. ამ პიესის შესახებ 1887 წელს „ივერია“ (№254) წერდა: „დრამატიულ საზოგადოებას მიუღია თავ. რაფ. ერისთავისაგან სამი პიესა—ერთი ორიგინალური, და ორიც გადმოკეთებული. ორიგინალური არის ორმოქმედებიანი ვოდევილი „ქაჩუა“... გადმოკეთებული — „სოფლის მასწავლებელი“ და „ბამბა“.

ქაჩუა ფუქსავატი და ზარმაცი თავადის ლუარსაბ იბლალაშვილის მეტსახელია. ლუარსაბი გ. ერისთავის პავლეს მსგავსად მხოლოდ ნადირობითაა გართული და არავითარი სხვა საქმეებისათვის არა სცალია. ლუარსაბის საოჯახო საქმეებს გაიძვერა მოურავი განაგებს და თავის სასარგებლოდ აქაზარაკებს.

1. ურნ. „იმედი“, 1881 წ., № 1, გვ. 112—113.

2. „დროება“, 1881 წ., № 1.

ლუარსაბის მაგიერ ოჯახს მისი ცოლი ენერგიული მაია ხელმძღვანელობს. ლუარსაბი უნიათო და უსაქმური ქართველი თავად-აზნაურობის ტიპური სახეა. ავტორმა იგი სატირულ ფერებში დაახასიათა. ლუარსაბის ქალი უყვარს ლევან გულმართალიშვილს. ლევანი მოიტაცებს ლუარსაბის ქალს თაფლოს. ლუარსაბი მდევრით გამოუღდება, მაგრამ ფინალში ყველაფერი ბედნიერად მთავრდება და მამითადისათვის გაშლილი სუფრა საქორწილო სუფრად იქცევა.

ვოდევილში გამოყვანილი არიან ქართველი გლეხები, მათი მუშაობის სცენები ხასიათდებიან ბუნებრიობით, პერსონაჟები ლაპარაკობენ სადა მხატვრული ენით. ვოდევილში ბევრია ხალხური იუმორით აღსავსე დიალოგები. მაგრამ რაფ. ერისთავის გლეხები უფრო მარჯვე „ბიჭებად“ და ბატონებისადმი კეთილგანწყობილ მუშაკებად გვევლინებიან, ვიდრე თავისუფლებისათვის მებრძოლი სოციალური კლასის წარმომადგენლებად.



რაფ. ერისთავის მუშაობა არ შემოიფარგლებოდა მარტო ორიგინალური პიესების შექმნით, მას მოძმე ხალხის დრამატურგების ნაწარმოებებიც უთარგმნია. მაგალითად „დროების“ 1874 წლის 426-ე ნომერში ვკითხულობთ:

„რაფ. ერისთავმა თვითონ ავტორის დახმარებით ქართულად თარგმნა სუნდუკიანცის პიესა „პეპო“. ჩვენ ერთი ნაწილი წაგვიკითხა უფ. რაფ. ერისთავმა და როგორც თხზულება, ისე თარგმანი ძალიან მოგვეწონა. იმედია, რომ ავტორი „კრებულში“ დასაბეჭდათ გადმოგვცემს ამ მშვენიერ თხზულებას“.

გადმოკეთების დროს რაფ. ერისთავი ხშირად ძალიან შორსაც მიდიოდა და მხოლოდ სიუჟეტურ ქარგას ტოვებდა ხელუხლებლად. ამიტომ მის მიერ გადმოკეთებულ ვოდევილთა უმრავლესობაში კარგად არის გადმოცემული ქართული გარემო და ქართული ხასიათები.

ბევრი რამით არის საყურადღებო რაფიელ ერისთავის მიერ რუსულიდან გადმოკეთებული ერთმოქმედებიანი კომედია „სადილი მარშალისას“.



როგორც ცნობილია, ამ ნაწარმოების ორიგინალს წარმოადგენს ტურგენევის ერთმოქმედებიანი პიესა, რომელიც დაბეჭდილი იყო 1856 წელს. ჩვენ შევადარეთ ტურგენევის ორიგინალს რაფ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული. პიესის „სადილი მარშლისას“ მოქმედი პირნი (სულ 11 კაცი) ავტორს უცვლელად ყავს დატოვებული. სახელებიც დატოვებულია უცვლელად, ხოლო გვარები გაქართულებულია. ასე მაგალითად:

ბალაგადევი — გადაკეთებულია ბაზიერიძედ,

სუსლოვი — შამანიძედ,

ალუპკინი — აბრაგუნაშვილად და ასე შემდეგ...

უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედ პირთათვის რაფ. ერისთავის მიერ შერქმეული გვარები უფრო მრავალმეტყველია და გპირთა შინაგანი ბუნების დახასიათებას ემსახურებიან. ასე მაგალითად, ჭირვეული და ჯიუტი ქალი კაუროვა რაფ. ერისთავთან მონათლულია ხორეშან ჭირვეულიძის ქვრივად, ხოლო მისი ძმა, თავნება მებატონე ბერბატიანი — ოთარ უძლეველად. მამის სახელები რაფიელ ერისთავს ყველგან მოშლილი აქვს.

პირველი გამოსვლა ძირითადში იგივეა, მაგრამ რაფიელს ზოგი რამ საგრძნობლად შეუცვლია, რათა ნაწარმოებს ქართული ცხოვრების ამსახველი ხასიათი მიეღო. ასე მაგალითად, ტურგენევეთან მარშლის მსახური მეტად თავხედიანია. იგი თამამად, ირონიულად და თითქმის როგორც თანასწორს ისე ელაპარაკება ღარიბ მებატონეს, რომელიც სტუმრად მოვიდა მის ბატონთან. რაფ. ერისთავთან კი მსახური თავდაპირველი, ზრდილია, ღარიბ მებატონესაც დიდი მოწიწებით ელაპარაკება.

რაფ. ერისთავს პიესისათვის ნაციონალური ხასიათის მისაცემად არა მარტო შეუცვლია გვარები, არამედ მასში შეუტანია ისეთი დეტალებიც, რომლებიც ქართული სინამდვილის ელფერს აძლევენ პიესას და ნაციონალურ კოლორიტს უქმნიან. ასე მაგალითად, სტუმრად მისული ღარიბი მებატონე მარშალს ძღვნად ნანადირევ ხოხობსა და კურდღელს მიართმევს. მას რუსული არყით კი არ უმასპინძლებიან, როგორც ტურგენევეთანაა, არამედ ყვარლური და წინანდლური ღვინით. ღარიბ მებატონეს განზრახული აქვს მარშალს შემა-

სთხოვოს, რაფ. ერისთავთან კი იგი ჰიგოს თხოულობს ვენახისათვის; რუსული სამოსლის ნაცვლად ქართველ გმირებს ეროვნული ტანი-სამოსი აცვიათ, ფაეტონ-ბრიჩკის მაგიერ ურმით მოგზაურობენ, ტამ-ბოვის მაგიერ გორიდან მოდიან და სხვა. ალაგ-ალაგ რაფ. ერისთავი სიმახვილისათვის თავის მკირე რეპლიკებსაც ურთავს. მაგ., სადაც ლაპარაკია გორზე, რაფიელს მოყვანილი აქვს გორის ასეთი დახა-სიათება:

„აქეთ წყალი, იქით წყალი, ქვევით წყალი, ზევით წყალი... ცა-ლი გვერდიც წყალმა გამოხრაო“. ეს, რა თქმა უნდა, დედანში არ არის. თარგმანში ხშირია ასეთი გამოთქმები: „ვაი შენ თავსა“; „თა-ვის კბილა კაცი“; „მამათქვენის მზესა“; „ჩემი ცოდვით სავსე“ და სხვ., რაც ორიგინალში არაა. ტექსტის შედარებიდან ცხადად ჩანს, რომ რაფ. ერისთავის გადმოქართულებული პიესა წარმოადგენს ი. ტურგენევის პიესის („სადილი მარშლისას“) საკმაოდ ზუსტ თარგ-მანს; მაგრამ ამასთან რაფ. ერისთავი ახერხებს რუსული ხალხური თქმების, იდიომების და ანდაზების ქართული შესატყვისების მოძებ-ნას. უმეტეს შემთხვევაში ეს ქართული შესატყვისები ორიგინალური ხასიათისაა და რაფ. ერისთავის მხატვრული ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენენ.

ქართული იერის შესაქმნელად მთარგმნელი მიმართავს ქართუ-ლი ყოფის დამახასიათებელი დეტალების ტექსტში უნარიანად ჩაწე-ნას, ისე, რომ არ იკარგება დედნის აზრი და თარგმანი თვითმიზნური, ან ეთნოგრაფიული არ გამოდის.

რაფ. ერისთავს ღრმად გაუაზრებია დიდი რუსი მწერლის მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოები და იგი სიყვარულით, კეთილსინდისი-ერებით და დედნისადმი პატივისცემით გადმოუქართულებია.

რაფ. ერისთავის გადმოკეთებული პიესები იმდენად კარგი ქარ-თულითა და ეროვნული კოლორისტის დაცვითაა შესრულებული. რომ მკითხველი საზოგადოება მათ ხშირად ორიგინალურ ნაწარმო-ებად ღებულობდა. მაგალითად, როცა 1868 წელს „ცისკარში“ რაფ. ერისთავის ორმოქმედებიანი ვოდევილი „ჩერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“ დაიბეჭდა, იგი ორიგინალურ ნაწარმოებად მიიღეს, ამის გამო ქუთაისში მყოფი მწერალი 1869 წლის 23 იანვარს, „ცისკარის“

რედაქციას სწერდა: „უფალო რედაქტორო! წასულს 1868 წელს „ცისკრის“ მეათე ნომერში იყო დაბეჭდილი ვოდვეილი: „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“, მაგრამ არ იყო მოხსენებული ეს ვოდვეილი არის ნამდვილი თუ გადმოთარგმნილი, ანუ გადმოკეთებული სხვა ენითგან. რადგან შევნიშნე ეს ნაკლოვანება და ის ვოდვეილი იყო გადმოკეთებული ჩემგნით რუსულის ენითგან ქართულს ენაზედ; გთხოვთ გამოაცხადოთ ეს შენიშვნა, რომ მკითხველთ არ იფიქრონ, ვითომც მე მიმეთვისებთ სხვა ავტორისაგან მოგონილი საგანი ვოდვეილისა. მე მხოლოდ გადმოვიღე როგორითაც შეესაბამებოდა ჩვეულებასა და ხასიათს იმ პირებისას, რომელნიც შიგ არიან გამოცხადებულნი“.

გადმოკეთებულ ვოდვეილებს შორის სოციალური ყოფის ამსახველი შინაარსით საინტერესოა ერთმომქმედებიანი ვოდვეილი „მასწავლებელი სოფლის სკოლისა“, რომელიც 1887 წელს გადმოუკეთებია რაფ. ერისთავს პ. ა. კარატიგინის რუსული თარგმანიდან (ამ უკანასკნელმა იგი ფრანგულიდან გადმოაკეთა): ამ პიესის თარგმნა დრამატიულ საზოგადოებას დაუვალეზია რაფიელ ერისთავისათვის 1887 წლის ივლისში, ამის შესახებ გაზეთი „ივერია“ წერდა: დრამატიულმა საზოგადოებამ რამდენიმე პიესა დაარჩია გადასათარგმნელად „ქართულ ენაზე“. „Бедная невеста“ ოსტროვსკისა დაუვალეზიათ ნ. ავალიშვილისათვის, ხოლო ოსტროვსკის მეორე პიესისა — „Не все коту масленица“ ა. მირიანაშვილისათვის. ამავე განცხადებაში ჩანს, რომ გარდა კარატიგინის „მასწავლებელი სოფლის სკოლისა“ რაფ. ერისთავს მიუღია დაუვალეზა ეთარგმნა ოსტროვსკის „Бешенные деньги“ („ივერია“, 1887 წ., № 207).

„მასწავლებელი სოფლის სკოლისა“ იმდენად სწორად გამოხატავს ცარისტული რუსეთის დროის ქართული სკოლისა და სახალხო განათლების უმწეო მდგომარეობას და ისეთი კოლორიტული ნიშნები აქვს, რომ იგი ერთი შეხედვით არ ტოვებს გადმოკეთებულ ნაწარმოების შთაბეჭდილებას.

ამ ნაწარმოებით რაფ. ერისთავმა მწარედ დასცინა სახალხო განათლების ძველ რეჟიმს; სასკოლო სისტემაში გამეფებულ მოსწავლეთა სწავლების სიმანხინჯეს (ზეპირობა, მოსწავლეთა ცემა, დაჩო-

ქება, ურის აწევა და სხვა); სოფლის მასწავლებლის (სოფრომ ჩერ-ჩეტაძე) უმწეო მდგომარეობას, რომლის სოფელში ყოფნა პრისტავ-ზეა (ქაიხოსრო მართალაძე) დამოკიდებული; სკოლების ზედამხედ-ველის (ევგენი ყრუაძე) სიყვეყჩეს და სხვა.

გარდა ამისა, ამ ვოდევილში სრული დამაჯერებლობითაა აღწე-რილი სახალხო განათლების სისტემის აპარატის მუშაკთა ტრალიკო-მიკური სახეები. მათი უვიცობა, სიყვეყჩე და ამ სისტემაში გამეფე-ბული მამამებლობა, მლიქვნელობა, მექრთამეობა.

პიესის ასეთი მამხილებელი ხასიათი ვერ დამალა ვოდევილური ეანრის ფორმამ, ამიტომ იგი მხოლოდ რამდენჯერმე დაიდგა სცენაზე და მალე აიკრძალა მთავრობის მიერ.

გარდა ამისა, რაფ. ერისთავი წერდა რეცენზიებს, მიმოხილევებს ცალკეული დადგმებისა და თეატრალური სეზონის დაწყების თუ დამთავრების შესახებ. 1880 წლის 9 იანვარს ნ. გაბუნიას საბენეფი-სოდ წარმოდგენილი იყო აკაკი წერეთლის „კინტო“ და რაფ. ერის-თავის „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“.

რაფ. ერისთავმა საყურადღებო მოსაზრებები გამოსთქვა აკაკი წერეთლის „კინტოს“ დადგმის გამო. სტატიის „თეატრი“<sup>1</sup> სამართ-ლიანად აღნიშნავდა, რომ კინტოს ტიპები, ხასიათები და ყოფა სრულყოფილად აქვთ მოცემული თავიანთ ნაწარმოებებში: სუნდუ-კიანცს („პეპო“), ა. ცაგარელს („რაც გინახავს, ველარ ნახავ“), ან-ტონოვს („მზის დაბნელება საქართველოში“). აკაკი წერეთლის „კინტო“ რომ ენახე—„ვერ ვიცან ნიჭიერი აკაკის კალამი და იმისი მშვენიერი ხელოვნება, რომლებსაც ჩვეული ვიყავიო“. რაფიელს მოსწონებია „კინტო“—ს პირველი განყოფილება, ხოლო მეორე და მესამე განყოფილებები, აღნიშნავს რაფიელი, ნაძალადევი: განსა-კუთრებით მეორე მოქმედება შემოტანილია პიესაში „მხოლოდ იმი-სათვის, რომ კინტოების ლხინით შთაბეჭდილება მოახდინოს მაცუ-რებელზე“.

ამ რეცენზიაში რაფიელი უსაყვედურებს თეატრის დასს „კინ-ტოს“ ნაუცუბათეველ მომზადებას: „ზოგჯერ ოჯახში, რომ პური და-

<sup>1</sup> რაფ. ერისთავი, თხზ. ტ. III, გვ. 172, 1937 წ., შ. რადიანის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით.

აკლდებათ და სახელდახელოდ ლავაშებს მიაკრავენ, იმასა ჰგავდა „კინტოს“ მომზადებაც და მისი გაზეპირებაც თათარიზხნად!..“.

ამ რეცენზიაში რაფ. ერისთავმა რეალისტური შეფასება მისცა აკაკის „კინტოს“, რომელიც მის ნაწერებთან შეფარდებით, არა მარტო მხატვრულობის თვალსაზრისით მოიკოჭლებს, არამედ პერსონაჟთა მოქმედებითაც.

ამ წერილში მოცემულია, აგრეთვე, ა. ცაგარელის პიესის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ მართებული შეფასება. „ცაგარელს რომ ქორწილი ბოლოს მოექცია, ზოგიერთი მკვახე და უადგილო სიტყვებისათვის შალაშინი გაეკრა, უფრო მშვენიერი პიესა დადგებოდა და ნამდვილი ცხოვრების სურათს უფრო განაცხოველებდაო“.

საინტერესოა რაფ. ერისთავის წერილი ქართული თეატრის წარსული სეზონის (1887 წ.) შესახებ<sup>1</sup>. ამ მოკლე მიმოხილვაში რეალისტურადაა განხილული ქართული თეატრის მაშინდელი მდგომარეობა, ეკონომიური სივიწროვე. თეატრი იძულებული გახდა, აღნიშნავს რაფიელი, „თავადაზნაურობის კრებისათვის გაეშვირა ხელი შემწეობისათვის“. რაფიელი სინანულით აღნიშნავს საზოგადოების ერთი ნაწილის მიუტყევებელ გულგრილობას, როგორც თეატრის, ისე ეურნალ-გაზეთებისა (ამ შემთხვევაში „მეურნის“) და სხვა საზოგადო საქმეებისადმი; „მაშინ როდესაც ზოგი ვაჟბატონი ერთი წლის „მეურნის“ საფასეს არ დაზოგავს შესწიროს ან „პიკნიკს“ ან მეზურნეს, ან ბანქოს!..“

ამ სეზონში, განაგრძობს რაფიელი, „ოპერას უფრო ელტვოდნენ ქალები, „ვინაიდან მათ ყურთა სმენას ატკობდა იტალიელი მომღერალი, შესანიშნავი ტენორი გვარად ლოდი. ლოდის გასტროლები მეტად პოპულარული ყოფილა 80-იან წლებში თბილისის ოპერის თეატრში. ლოდისადმი საზოგადოების გადაჭარბებული გატაცების გამო რაფ. ერისთავმა მოსწრებული ზმით გაკიცხა თბილისის ზოგიერთი მანდილოსნის საქციელი; რომ ჩვენი ქალები ქართულ თეატრს ნაკლებად წყალობენ, სამაგიეროდ—„გულში ჭდეთ აჩნდათ ლოდი“. და ასეთი სიტყვებით იგონებდნენ ამ მსახიობს:

<sup>1</sup> რაფ. ერისთავი, თხზ., ტ. III, გვ. 184, 1937 წ.

„ბაღში რად არ მელოდია?..  
მიყვარს შენი მელოდია..  
მასაკუთრეთ მე ლოდია,  
ანუ გულზე მე ლოდია!..“

რაფ. ერისთავის არქივში მოიპოვება ამ ლექსის ასეთი ავტოგრაფიული ვარიანტი:

„მიყვარხარ და მესურვები, მიყვარს შენი მელოდია,  
ნეტარ იმ დღეს, ბედნიერსა, შენ რომ ბაღში მელოდია...  
ვერ დაუთმობ ვერავისა, მასაკუთრეთ მე ლოდია,  
მისს დათმობას მირჩევნია გულს დამედოს მე ლოდია!..“<sup>1</sup>

\* \* \*

რაფ. ერისთავმა დაგვიტოვა საკმაოდ მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა. მწერლის თხზულებათა ავტოგრაფები, რომლებიც გაბნეულია სხვადასხვა არქივებსა და მუზეუმებში, წარმოადგენს ძვირფას განძს რაფ. ერისთავის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად. რაფ. ერისთავის ლიტერატურული მემკვიდრეობა საინტერესოა არა მარტო ლიტერატურის თვალსაზრისით, არამედ ძვირფას მასალას იძლევა საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევისათვისაც. მწერლის ნაწარმოებთა ავტოგრაფების შესწავლით ახლოს ვეცნობით რაფ. ერისთავის შემოქმედებით ლაბორატორიას, ვიგებთ თუ რა მონდომებით მუშაობდა პოეტი თავის ნაწარმოებთა მხატვრული ქსოვილის შექმნაზე, სხვადასხვა ლექსიკონების შედგენაზე და სხვ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ და სხვ. მრავალი მასალის გარდა არქივში მოიპოვება მწერლის მხატვრული შემოქმედების ნიმუშები. მათ შორის რამდენიმე დაუბეჭდავი ლექსი და ცალკეული ლექსების ვარიანტები. ჩვენ სხვადასხვა არქივებიდან ამოვკრიფეთ და 1958 წელს დავბეჭდეთ ზოგი მათგანი<sup>2</sup>. აღნიშნულ მასალებში, გარდა რაფიელ ერისთავის ჩვეულებრივი სასიმღერო ხალხური ლექსებისა, ყურადღებას იქცევს რაფ. ერისთავის — „მოსწრებული სიტყვები“, გაგრძელება ლექსისა „დათვი და ცხვრები“, დაუმთავრებელი პიესა „ნუგზარ“ (ლიბრეტო ოპერისათვის) და სხვა.

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაფ. ერისთავის ფონდი, № 101.

<sup>2</sup> „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XI, 1958 წ. გვ. 213.

დრამატურგიის ისტორიისათვის საინტერესოა რაფ. ერისთავის აღნიშნული პიესა „ნუგზარ“, რომელშიც ჩართულია ხალხური სასიმილერო ლექსები, გალობები, რომლებიც პოეტს საფუძვლიანად გადამუშავებია. ეს პიესა რაფიელს ოპერის ლიბრეტოდ ჰქონია გამიზნული. მისი მოკლე შინაარსი ასეთია: დიდი მთის მპყრობელს ნუგზარს შეუყვარდება ჯიმშერ ფუტკარაძის ასული თამარი, რომელსაც ლომისობის დღესასწაულზე გაიცინობს. თამარის სილამაზით მოხიბლული ნუგზარი დიდი ამალით გაემგზავრება ქალის მოსატაცებლად. პიესის დასაწყისი გვაფიქრებინებს თამარის გამო კონფლიქტს ნუგზარსა და ლევანს შორის, მაგრამ ლიბრეტო დაუმთავრებელია და ნაწარმოებში ეს არ ჩანს. შემდეგ მოსდევს ნუგზარისა და ლევანის დიალოგი. ოპერისათვის ლიბრეტოს დამუშავება ქართულ ენაზე, რაც რაფ. ერისთავს განუზრახავს, პირველი ცდაა ქართული დრამატურგიის ისტორიაში.<sup>1</sup>

## ს ც ე ნ ე ბ ი

„სცენებს“ რაფ. ერისთავის დრამატიულ შემოქმედებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ და თავის დროზე მოწონებით სარგებლობდნენ თურმე. როგორც „დროების“ ფურცლებიდან ვტყობილობთ, 1880 წელს აპრილში მოწყობილ სალიტერატურო საღამოზე რაფ. ერისთავს საჯაროდ წაუკითხავს თავისი სცენები, რითაც მომეტებულად გაურთვია საზოგადოება<sup>2</sup>. თუ მის პიესებსა და ვოდევილებში უმთავრესად ქალაქის წვრილ მოხელეთა და თავადაზნაურული წრეების წარმომადგენელთა სახეებს ვხვდებით, ხოლო გლეხობის წარმომადგენლებისა და მათი სოციალური მდგომარეობის ჩვენებას კომედია-ვოდევილებში ნაკლები ადგილი ეთმობა, სცენებში უფრო მეტად სწორედ გლეხობის ყოფაცხოვრების ამსახველი სურათებია.

<sup>1</sup> იხ. ავტოგრაფი, საქართველოს თეატრალური მუზეუმი, ფ. 3, საქ. № 10809.

<sup>2</sup> „დროება“, 1880 წ., № 83. ამ სალიტერატურო საღამოზე, რომელიც კოტე მესხის საპატივცემლოდ ყოფილა მოწყობილი, აკ. წერეთელს ზეპირად წაუკითხავს თავისი ლექსები, კოტე მესხს შეუსრულებია გოგოლის „შემცდარი დღიური“.

სცენებში რაფ. ერისთავმა მეტად რეალისტურად და პირუთვნელად გვიჩვენა ქართველი გლეხობის დაბეჩავებული ყოფა. მართალია, აქ ხშირად ცენზურის თვალის ასახვევად ყურადღების ცენტრი თითქოს ვოდვეილურ ამბავზეა გადატანილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაფ. ერისთავის „სცენები“ მართლად გვიჩვენებს ქართველი გლეხობის დაბეჩავებულ ყოფა-ცხოვრებას.

ასეთია მაგალითად, 1871 წელს გამოქვეყნებული „რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“. გაჭირებული გლეხის ცოლი თავის მეზობელს სესხად პურსა სთხოვს, „ბაღლები მიტირიან შიმშილითაო“, მაგრამ არც მეზობელია უკეთეს მდგომარეობაში „ერთი კვირაა ჭინჭართ და მხლით გამოვდივართო“ და პურზე კი არა, ნაცრიან კუტებზედაც უარს ეუბნება. გლეხი ქალების ლაპარაკიდან ირკვევა, რომ ასეთ მდგომარეობაში მარტო ისინი კი არ არიან, არამედ თითქმის მთელი სოფელი შიმშილობს, „შიმშილით წივიანო“, — ამბობს ერთ-ერთი დედაკაცი სოფლის მოსახლეებზე. მაგრამ სოფელში ყველა ასეთ მდგომარეობაში როდია. მამასახლისი, რომელსაც „დურა წყავე წამოუსხამს, ამოუჩრია ილღიაში ყავარჯენი და ისე დაიარება, თითქოს ორბთხელმწიფის შვილი იყოს“, სოფელში უსამართლობას ჩადის და გაჭირებული გლეხების ხარჯზე ხელს ითბობს; ამიტომაც, რომ მის ცოლს „ქათიბი ჩაუცომს და თონეში პურის ჩაკვრასაც კი აღარა კადრულობს“!... გლეხ ქალთა ამ საუბარს ავტორი იყენებს ერთგვარ ხერხად, რომ სოფლის სიდუხჭირე გვაჩვენოს. საუბარში ის შიგადაშიგ ვითომც მცირე და უმნიშვნელო დეტალების სახით, გვაწვდის სოფლის ცხოვრების დამახასიათებელ მეტყველ შტრიხებსა და კოლორიტულ ნიუანსებს.

ირკვევა, რომ სოფელი სავსებით უპატრონოდაა მიგდებული, რომ „ნაჩალნიკი“ სოფელში არ დაბრძანდება და გლეხებს არავითარი საშუალება არა აქვთ, რომ უსამართლობაზე იჩივლონ. გლეხკაცობას საკმელი პური არა აქვს. „აღარც ჩასაკრავი გვაბადია და აღარც ამოსაკრავიო“ — მოსთქვამენ გლეხის ქალები. ადგილობრივი ხელისუფლება მექრთამე, გაიძვერა და ქურდი ადამიანებისაგან შედგება. ასე, მაგალითად, მამასახლისის ერთმა გლეხმა „კაი ვაცი მიართ-

<sup>1</sup> „დროება“, 1871 წ., № 3.



ვა. სამუშაოში ნუ გამგზავნიო, მაგრამ მამასახლისმა ყველაზე უწინ იმას უკრა თავი და ვაციც იმასვე შერჩა“...

„სცენების“ ნიუანსებში ჩანს რეფორმის შემდეგდროინდელი სოფლის ცხოვრების ერთი მეტად საყურადღებო დეტალიც, თავდაზნაურობისა და გლეხობის ურთიერთობა. უშინაყმებოდ დარჩენილ თავადიშვილის ოჯახს ერთ-ერთი გლეხისათვის ბარევაში დახმარება უთხოვნია, მაგრამ გლეხს არ უშველია. — „ისიც მეყოფა, რაც აქამდინ მაგათთვის ვმუშაობდიო... ეხლა ხომ ბატონები აღარ არისო?.“

რაფ. ერისთავი გვიჩვენებს, რომ გლეხკაცობის გაჭირვებული ცხოვრება, ლუკმა პურზე მუდმივი ზრუნვა, მათ ერთმანეთის მიმართ დაუნდობელ ადამიანებად ხდის, როცა ძმა ძმაზე ხანჯალს ლესავს და მზადაა მეზობელი მიადრჩოს, ოღონდ რაიმე სარგებლობა ნახოს. სცენა თავდება მეზობლების ჩხუბით. ეს ჩხუბი კარგად გამოხატავს რევოლუციამდელი ქართული სოფლის მეკიდრთა გაჭირვებულ ყოფას, გლეხკაცობის შუღლს, დაქსაქსულობას, ურთიერთ გაუტანლობას და ძვალსა და რბილში გამჯდარ ვიწრო წვრილ მესაკუთრულ ინსტინქტებს.

ქართველი გლეხობის გაჭირვებული ყოფის რეალისტური და უაღრესად შთამბეჭდავი სურათია დახატული რაფ. ერისთავის მეტად საყურადღებო ნაწარმოებში „ახალგაზრდა გლეხის ნაამბობი“, რომელიც პირველად დაიბეჭდა ი. ქავჭავაძისეულ „ივერიის“ 1877 წლის-მე-7, მე-9 და მე-12 ნომრებში.

სცენისათვის დაწერილი ეს ნაწარმოები (რასაც ავტორისეული მინაწერი ცხადყოფს) ხასიათდება განსაკუთრებული სისადავით, ხალხურობითა და მხატვრულობით.

თუ მწერლის ზოგიერთ პროზაულ ნაწარმოებში რაფ. ერისთავის ენა მძიმეა, აქ იგი ერთიანი ქართული ხალხური ენის საუკეთესო ნიმუშს გვაძლევს. ავტორს აქ მიზნად დაუსახავს ერთიანი ქართული სალაპარაკო ენის მთელი სიმდიდრის, მრავალფეროვნების, ლექსიკური სიმავილისა და პლასტიურობის ჩვენება და მან ეს მართლაც შესანიშნავად შეესძლო. „ახალგაზრდა გლეხის ნაამბობი“ მწყზარობით, სიმსუბუქით და მიმზიდველი სურათოვნობით ხასიათდება. ეს მცირე ფორმის ნაწარმოები დაწერილია პირველ პირში თხრობის

სტილით, რაც მას გულწრფელობის იერსა სძენს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რაფ. ერისთავი პირველ პირში თხრობისას გაცილებით მეტი ექსპრესიით წერს, ვიდრე მოვლენათა აღწერის შემთხვევაში.

„ახალგაზრდა გლეხის ნაამბობი“ მახვილი ხალხური იუმორით გამოირჩევა. გლეხების მჩაგვრელთა სახე დამაჭრებელ, სატირულ ფორმებშია დახატული. ახალგაზრდა გლეხი ასე მიმართავს მკითხველ-მსმენელს: „ალბათ გლეხი კაცის გაჩენაში ღმერთი არა რეულა, თორემ ეს როგორი კალონი და სამართალია... ლამის, ამ დასაქცევმა გზირებმა სულ ერთიანად დამღუპონ და დამაქციონ“... გლეხკაცი ჩივის, რომ მას განუკითხავად ყვლეფენ, რომ სხვადასხვა გადასახადებმა — ნადელის ფულმა, ფოსტის ფულმა, ღვდლის ფულმა, გლეხკაცი ლამის წელში გაწყვიტოს. ადგილობრივი მმართველები და ბობოლა გლეხები მას წურბლებივით სისხლსა წოვენ და უკანასკნელი მონაგარი მიაქვთ: „ერთი ქოსმანი მყვანდა, დამიკლეს და შეთქვილფეს, ერთი ქვაბიც გირაოდ წაიღეს და წავიდნენ,—ერთი ქოცო ზედაშედა მეგულეზოდა, სულ ერთიან ამოწრუტეს, ერთი ფარდაგიც გირაოდ წაიღეს და წავიდნენ“. მას სისტემატურად ართმევენ მღვდლის ფულს, მაგრამ „ჩვენთვის წირვა არსად არის და ლოცვაო,—ჩივის იგი,—არც თავის დროზედ სახლის განათვლა და ზიარება; ნათლობასა და ქორწილში ხომ, სულ ცეცხლს წაგვიკიდებენ ხოლმე... მაშ რალაში მიაქვთ ეს ფულები?!“

აქვეა გამოთქმული პროტესტი ახალგაზრდობის არამშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ: „მომდგომიან კარებზედ და შვილის ოსტატის ფულს თხოულობენ. ნეტავი ქართულს მაინც ასწავლიდნენ... ან ფულს ვინლა ჩივის, სადილიც გვაქამეო. მე თითონ რომ არა მაქვს რა, იმათ რა ვაქამო?..“

მართალია, ავტორი თავის სცენებში უმთავრესად მეფის მთავრობის წვრილ მოხელეებს ესხმის თავს, მაგრამ აქაც პროტესტი საგნებით გარკვეული და არა ორაზროვანია. სასოწარკვეთილებამდე მისული გლეხი პირდაპირ ამბობს: „რა ვქნა სული როგორ წავიწყმინდო, თორემ მე ვიცოდრი, რასაც ჩავიდენდი... ეს ალოც არ გამომიყვანია... რა ვქნა, უჩივლო, რა გამოვა, თუ არა და ვიღუბები ბეჩაივი...“

ხალხის სიღუბჭირე, ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა,

სიბნელე და საზოგადოებრივი მაჯისცემის სრული მოღუწება მკვეთრად და გაკიცხული სადად და გულწრფელად დაწერილ სურათში „კახეთში გახლდით“<sup>1</sup>. ავტორი საქართველოს ამ კუთხეს ბუნებით „მდიდარსა და მშვენიერს“, მაგრამ გაღარიბებულს უწოდებს. რაფ. ერისთავი ცდილობს ჩასწვდეს კახეთის მძიმე მდგომარეობის მიზეზებს და დაანახვოს ხალხს მათი გამოსწორების საშუალებანი. მას ამ კუთხის ერთ-ერთ სავალალო მდგომარეობად უგზობა მიაჩნია. ავტორი მკაცრად კიცხავს მექრთამე ჩინოვნიკებს, რომელთა ქურდობის გამო ჭიანჭურდება გზის მშენებლობა. „მეორედ მოსვლის დროს თუ ელირსება ორთქლის მატარებლის ხმაურობაო“. ავტორი ირონიით აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1845 თუ 1846 წელს აღუთქვა ვორონცოვმა საზოგადოებას გზის გაყვანა, და ჯერაც უჯარმას არ გამოსცილებია — „ან კი ვის ეჩქარებაო!“. რაფ. ერისთავი დასცინის მეფის უწყებათა „სიჩქარესა“ და ოპერატიულობას „ვორონცოვის აქეო წელიწადში ვერსტ-ნახევარი გზა არის გაკეთებული“ და ვინ იცის რამდენი ფული არის ამაზე დახარჯულიო.

მწერალი ნამდვილი მამულიშვილური მზრუნველობით უყურებდა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ საჭირბოროტო საკითხს და პირუთვნელად ეხმაურებოდა. ამავე წერილში იგი ეხება კახელი გლეხკაცობისათვის საჭირბოროტო საკითხებს, რომელიც ღვინით ვაჭრობასა და მევახშე-გადაძვივლებთან ბრძოლას ასახავს. „კალია არ სცილდება კახეთსო... პოლოსა, მიკირტუმა, გეურქა და სხვანი— აი, ეს კალიები დასევიან და ძირიანათ ამოჭფხვრიან კახელებს და თუ კი ამ კალიებს გადაურჩა რამ, ისიც, თითქმის იმავე ჯიბეში გაივლისო“.

რაფ. ერისთავი საქმის ცოდნით და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ამხელს ჩარჩ-ვაჭრების გაიძვერულ სპეკულიაციურ ხრიკებს ღვინით ვაჭრობაში, რომელიც, როგორც აღნიშნავს ავტორი, კახელების „უმთავრეს შემოსავალ წყაროს“ წარმოადგენდა. ნარკვევს ახლავს დიდი ოსტატობით შესრულებული სცენა, რომელშიც ავტორი მხატ-

<sup>1</sup> „დროება“, 1883 წ., № 122.

ვრულ სახეებსა და სიტუაციებში გადმოგვეცემს იმას, რასაც აქამდე პირველი პირით გვიამბობდა.

სცენა მწერლის საგულისხმო შექაზილით მთავრდება: „კმარა ეს ნიმუში, ვიკმაროთ ამ უსინდისო და საზარელის სურათის ცქერა. „წავიდნენ გახარებულნი და წურბელასავით გამძღარნი ავაქი და მიხაკა ავაზაკზაროვები“. ამავე სცენაში „კახეთში გახლდით“ რაფ. ერისთავს დაჭერილი აქვს მეტად დამახასიათებელი დეტალი მაშინდელი ცხოვრებისა: როგორ მდიდრდებიან და სახეს იცვლიან გუშინდელი მაწანწალა წვრილი ვაჭრუკანები, რომლებიც შემდეგში მსხვილ ექსპლოატატორთა კლასად იქცევიან. რაფ. ერისთავი რამდენიმე ფრაზაში ხატავს ამ დიდი სოციალური თემის სილუეტებს, რომელსაც დიდტანიანი რომანები და მოთხრობები მიეძღვნა: „თელავში ვიყავ, გავიხედე — და გავოცდი!.. ავაქა და მიხაკა, უწინ მენახა გაქონილს ნაშურის ახალუხებში ამოწუწულები და ეხლა კი „ბობროვი ვარატნიკებიან“ ქურქებში გახვეულიყვნენ ეს „კინტოკრატები“, თავს აწონებდნენ ხალხსა და ისე წყნარად და ქვე-ქვეით დასეირნობდნენ „ბულვარში“, როგორც ჩასუქებული ბატები, როცა სადამოხედ შინათკენ დაბრუნდებიან ხოლმე“.

მართალია, რაფ. ერისთავი ამ წერილში შემამულეთა გაჭირვებას ეხება, მაგრამ თუ თავადაზნაურობა ასეთ დღეში იყო, რაღა მდგომარეობაში იქნებოდა გაძვალტყავებული ქართველი გლეხკაცობა, რომელსაც წურბელა ჩარჩ-ვაჭრები უფრო ადვილად და უფრო თამამად დაჩაგრავდნენ. ამიტომ ავტორის უკანასკნელი სიტყვები დიდი სოციალური რეზონანსის მატარებელია და მიუხედავად იმისა, რომ ავტორი „წამალს“ არ გვთავაზობს, ისინი გარკვეულ პროტესტს წარმოადგენენ.

რაფ. ერისთავის სცენებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართველი თავადაზნაურობის ყოფაცხოვრების ამსახველ სურათებს, სადაც ავტორი გვიჩვენებს თავადაზნაურობის გადატაკებასა და დეგრადაციას, დასცინის მათ კუდაბზიკობასა და ამპარტავენობას, გვისურათებს მათ სულიერ სიღარიბესა და გონებრივ ჩამორჩენილობას. 1870 წლის „ღროების“ № 32-ში გამოქვეყნებულ „რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“ აზნაურიშვილების ქაიხოსრო ქვე-

ლიძისა და პაპუნა ზავთიანის შეხვედრის სცენაში რაფ. ერისთავმა გვიჩვენა თანამედროვე საზოგადოებრივი ინტერესებისაგან სავე-  
ბით მოწყვეტილი ადამიანები, რომლებიც მართო ძველის მოგონე-  
ბითლა სულდგმულობენ. ამ ხანებში მწერალმა შექმნა მთელი რიგი  
სახეები გალატაკების გზაზე დამდგარი იმერელი თავადაზნაურებისა,  
რომლებიც დ. კლდიაშვილის მომავალი გმირების ლიტერატურულ  
პროტოტიპებად გვევლინებიან.

ზემოთ დასახელებულ „სურათებში“ მთელი სიმძაფრით დგას  
თავადაზნაურულ წრიდან გამოსული ქალების გათხოვების პრობლე-  
მაც, რომელიც იმავე დრამატიულ სამოსელშია გახვეული, როგორ-  
შიაც დ. კლდიაშვილთან. ორი „კნენია“ მელანია და მათა ერთმანეთს  
შესჩივიან, რომ სასიძოვები მზითევში „მეტისმეტად ბევრსა თხოუ-  
ლობენ“, და რომ ქალიშვილების გათხოვება მეტისმეტად გაჭირდა.

რაფ. ერისთავი ოსტატურად აღწერს თავადაზნაურობის გაუთა-  
ვებელ დავას ადგილმამულებზე. მისი ერთ-ერთი პერსონაჟი აზნა-  
ური ბარძიმ ხბოსფეხაშვილი ჩივის, რომ მისმა მოდავე აზნაურმა  
„ჭერ ძველ სასამართლოებში მათრია... თითონაც წახდა და მეც წა-  
მახდინა... დავილუპენით... ახლა კიდევ ახალი სასამართლოები გაჩნ-  
და და იქ დამიბარესო“, მაგრამ კარგი, რომ ღვთის წყალობით ყვე-  
ლაფერი კეთილად დამთავრდაო<sup>1</sup>. ამ ფელეტონში რაფ. ერისთავმა  
ამხილა ბიუროკრატიული „სუდის“ მართლმსაჯულება, ქართველი  
ხალხისათვის გაუგებარ ენაზე საქმის წარმოება და სხვ.

„სცენებში“ სატირულ ფერებშია დახატული ქარაფშუტა და  
უსაქმო თავადაზნაურობა, რომლებიც გაუთავებელ ნადირობასა  
და ქეიფებში არიან გართული. აი, მაგალითად როგორ აღწერს ავტო-  
რი ნადირობას გადაყოლილი ერთ-ერთი თავადის გარეგნობას: „ფარ-  
ნაოზ ცრუაძე აუჩქარებლივ, გაგრძელებით და პტყლათ მოლაპარა-  
კეა; ისეთი გრძელი და განიერი ულვაშების მქონებელია, რომ თითო  
ულვაშიდან თითო ბაწარი დაიგრიხებაო“.

რაფ. ერისთავი მეტყველ გვარებს აძლევს თავადაზნაურობიდან

<sup>1</sup> „დროება“, 1870 წ., № 43.

ადებულ პერსონაჟებს — ცრუაძე, ზარმაცაძე, ფუქსავატიშვილი, დაუდევრაძე, ჰორიატუაძე და სხვა.

1873 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებულ ნაწარმოებში „სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“, დახატულია მთვლემარე, ზარმაცი და გონებაჩლუნგი თავადის ტიპიური სახე. ერთ-ერთი მათგანი ნატრობს „ნეტავი ერთი მილიონი მომცაო“. ამ ნატვრას სხვებიც ეხმაურებიან და იმართება სჯა-კამათი იმაზე, თუ ვინ რას შეიძენს ამ მილიონით. ერთ-ერთი თავადიშვილი ნატრობს ერთი მილიონი რომ მქონდეს „სულყოველდღე მაროქნისა ვკამდიო“, მეორე ამაზე რეზონურად პასუხობს: „რძე შინა მაქვს და თოვლი აგერ გარეთ არისო, ამისათვის იმეტებ მილიონებსო?“<sup>1</sup> მაგრამ ამ სულელურ ნატვრაზე უკეთესს ვერც სხვა თავადიშვილები იგონებენ. მათ ჯანსაღი ოცნებაც კი არ შეუძლიათ და ამაშიც კი ფუქსავატობის მეტს ვერას. ამჟღავნებენ. მეორე თავადიშვილის სიტყვით მილიონს იგი ასეთნაირად მოიხმარდა: „ვიყიდოდი კარგ ყარაბაღის ცხენებს, კარგს თოფ-იარაღს, გავაჩენდი კაი ქორ-მეძებრების ჯოგებს, კარგ სახლს ავაშენებდი, ნათესავებს ას-ას თუმანს ვაჩუქებდი და მე ხან იქით გაურკვევდი, ხან აქეთ“. ამრიგად, დარბაისელ თავადების ოცნება ძაღლებზე, ცხენებზე და დროსტარებაზე ფიქრს ვერ სცილდება.

ავტორი გვიჩვენებს, რომ ისინი სერიოზულ საქმისათვის სრულიად გამოუსადეგარნი არიან და მხოლოდ ფუჭი ოცნება შეუძლიათ. „მე ერთ ალაგას ხაზინა მითხრეს დაფლულიაო, მგონია ხუთი მილიონიც იყოს თუ მივაგენ!...“. და შემდეგ განაგრძობს რა ოცნებას; მსჯელობს „ჯერ როგორ მოიხმარდა ამ ხუთ მილიონს: საცა ძველი ეკლესიებია იმათ გავამშვენეიერებდი, მერმე ზოგს იერუსალიმში გავაგზავნიდი და ზოგს მე მოვიხმარდი“. როცა თავადები ამ საუბარში არიან გართულები, შემოდის სომეხი ვაჭარი სარქის მექონიანცი. „იმისათვის მოვსულვარ ჩემი ფული მომცე, ძალიან მჭირდებაო“ — ამბობს იგი. გაყოყნიებული ვაჭარი გიორგი ერისთავის პერსონაჟების მსგავსად თამამად ამხელს ფუქსავატ ქართველ თავადაზნაურობას.

<sup>1</sup> „დროება“, 1873 წ., № 3.

ძლიერადაა გაკიცხული ფეოდალურ საზოგადოებაში მძლავრად. ფეხმოკიდებული პროტექციონიზმი. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა რაფ. ერისთავის სცენა „ვიზიტი“<sup>1</sup>, სადაც ოსტატურადაა დახატული არისტოკრატების ფარისეველი სახე, რომელთა ყოველი სიტყვა ყალბია და მხოლოდ საჩვენებელი ზრდილობის გამომხატველია. „ივან გერმანიჩს ადგილი გაეხსნა თანაშემწისა და ერთი ორი სიტყვა ჩემთვის დახარჯეთ“ — ემუდარება ერთი აზნაური მეორეს და მზადაა პირად დამცირებაზეც, ოღონდ გავლენიან ნაცნობს თავისი კარიერისათვის ხელის შეწყობა გამოსტყუოს.

რაფ. ერისთავის სცენებსა და სურათებში დიდი ადგილი ეთმობა ძველი სასამართლოს, დაწესებულებებისა და მოსამართლეების ჩვენებას, ამასთან ერთად ავტორი ოსტატურად გვიხატავს სასამართლოში მოწინააღმდეგე და მუდამ მომჩივან თავადაზნაურობის წარმომადგენლებს.

გაკოტრების გზაზე დამდგარი ქართველი ფეოდალური კლასის წარმომადგენელთა წვრილმანობის, უვიცობისა და აშკარა დეგრადაციის სურათებს გვიხატავს 1871 წლის გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული „რამდენიმე სურათი“. რაფ. ერისთავი საქმის ცოდნითა და რეალისტური სურათოვნებით გვაჩვენებს თვითმპყრობელური რეჟიმის დროინდელ სასამართლოს წუწკ მოხელეებს, ადვოკატებს, თარჯიმნებს, სხვადასხვა გადამწერებსა და გაიძვერა ჩინოვნიკებს, რომლებიც ღარიბი ხალხის ისედაც ღუბჭირ ცხოვრებას კიდევ უფრო აუტანელსა ხდიან.

1879 წლის „კრებულში“ გამოქვეყნებულ „სურათების“ ერთ-ერთი ფრაგმენტი წარმოადგენს ადვოკატისაგან გლეხის წვალებისა და მოტყუების სცენას. საყურადღებოა, რომ აქ ავტორი კვლავ ენიშნება მახინჯებას აკრიტიკებს.

რაფ. ერისთავი მახვილად კიცხავს უნიათო თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ წრეს, რომელიც სწავლას იმისათვის კი არ ღებულობს, რომ ქვეყანასა და ხალხს რაიმეში გამოადგეს, არამედ მას უყურებს, როგორც თავის გამოჩენის, პირადი ბედ-

<sup>1</sup> „დროება“, 1881 წ., № 186.

ნიერებისა და კარიერისათვის სარგებლიან საქმეს. ერთ-ერთ სცენაში რაფ. ერისთავმა გაეცხა ზარმაცი სტუდენტობა და უვიცი აზნაური-შვილები. ამ იუმორულ სცენაში დახასიათებულია, როგორც უქნარა „შვილები“, ისე უვიცი „მამები“.

რაფ. ერისთავი არაერთხელ უბრუნდება სწავლა-განათლების საქმეს, აგრეთვე ქართველ ქალთა ემანსიპაციის საკითხს და მულამ პროგრესული აზრების პროპაგანდისტად გვევლინება. ქალთა ემანსიპაციის საკითხში კონსერვატორულ შეხედულების კრიტიკაა მოცემული რაფ. ერისთავის ერთ-ერთ „სურათში“, რომელიც 1878 წელს დაიბეჭდა „დროებაში“ (№ 142). ავტორი სატირულ შტრიხებში ხატავს თავმომწონე, ამაყ, მაგრამ ცხოვრებას ჩამოშორებულ მოხუცი მანდილოსნის სახეს, რომელიც დრომოკმეული, მავნე ადათ-წესების დამცველად დახატული. საინტერესოა გარეგნულად თითქოს ვუაღრიებული, მაგრამ მამხილებელი ძალის სიტყვები, რომლებიც იმ დროის ქალების მდგომარეობისა და უუფლებობის კრიტიკას შეიცავენ.

რაფ. ერისთავი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ჟანრულ სცენებს. ეს სცენები დაწერილია ცხოვრების ღრმა ცოდნით, დიდი დაკვირვებულობითა და გონებამახვილობით. ამ ჟანრულ ხასიათის სურათებში არაიშვიათადაა მხილებული უსამართლო ყოფა, ხალხის დაჩაგრული მდგომარეობა და ცხოვრების სიღუბჭირე. ასეთია, მაგალითად, სცენა შეშის გამყიდველისა და „გილდის კუპეცის“ ვაჭრობისა. გაიძვერა და ამასთან გაყოყოჩებული ვაჭრის უხეში შემოტევებით მოთმინებიდან გამოსული გლეხი ასე პასუხობს: „ჩვენ, შვილოსა, ხელმწიფეს ვემსახურებით, ქვეყანასა, ჯარსა, ჯამაათსა, ცოლშვილსა, მიწის პატრონსა... ახლა ლესნიჩიო, ახლა კილენ რალაც თითო ბლავანი გვეყანდა, სულ ჭირმა გაგვიწყვიტა და შენ კი იძახი ღმერთი აღარ იციო!! აბა ჩემს ხელებს შეჭხედე? — მეჭეჭებითა მაქვს საესე... ოთხი ღლეა, ამ სიცივეში, ურემს ვეჯაჯგურები, აი! შენ კი იძახი „ასე და ისეო...“

როგორია ადამიანების გაჭირვება, სიძვირე და პირველ მოხმარების საგნების ხელმიუწდომლობა (განსაკუთრებით რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში) კარგადაა ნაჩვენები მყიდველსა და ვაჭარს,



შორის გამართულ დიალოგში. ამ სცენას მრავალმეტყველი რეპლიკით ამთავრებს სიძვირით შეწუხებული მყიდველი: „არა, ჩემო ძმაო! თქვენთან ვაჭრობა აღარ შეიძლება!.. გაჭირდა ცხოვრება და სიცოცხლეო“...<sup>1</sup>

ქანრული ხასიათის სცენის თემა მრავალფეროვანია, ავტორი იუმორულ-სატირულ ხაზებში იძლევა ქორიკანა ქალების, გაიძვერა ვაჭრების, ლოთი ყარაჩოღელების, ქალაქის მეშჩანების, უვიცი თავად-აზნაურების და სხვათა მართალ სახეებს.

რაფიელ ერისთავი იღია ჰავკვაძესთან და აკაკი წერეთელთან ერთად გვევლინება ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთ დამამკვიდრებლად. იგი აქტიურად და თავგამოდებით იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის. რაფიელ ერისთავმა მოგვცა მთელი რიგი სცენებისა, სადაც იგი ჰკიცხავს უნიათო ქართველი თავად-აზნაურების მიერ შშობლიური ენის მივიწყებას და დამახინჯებას. იგი აქტიურად გამოდიოდა დენაციონალიზაციისა და ენის „წარყენა-აღრევის“ წინააღმდეგ.

ერთ-ერთ „სურათში“ მწერალი შესანიშნავად გვიხატავს ინსტიტუტდამთავრებული ახალგაზრდა ქართველი „კნენების“ საუბარს, რომლებიც ერთმანეთს დამახინჯებული ქართულით ელაპარაკებიან.

ენის პრობლემას განსაკუთრებით ვრცლად ეხება რაფ. ერისთავის „სურათი“ დაბეჭდილი „კრებულის“ მე-7 წიგნში 1872 წელს. აქ ავტორმა ერთმანეთს დაუპირისპირა ორი იმდროინდელი აზრი ქართული სალიტერატურო ენის მდგომარეობისა. ერთ-ერთი პერსონაჟის (სერგოს) საშუალებით მწერალი მართებულ მოსაზრებას გამოსთქვამს ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარების შესახებ. აღსანიშნავია, რომ აქ წლებში კვლავ გრძელდებოდა კამათი ენის საკითხებზე თაობათა შორის. მოპირდაპირე თაობების წარმომადგენელთა დიალოგის ფორმით ავტორი მრავალ საყურადღებო და პრინციპულად მართებულ აზრს გამოსთქვამს ენისა და ლიტერატურის საკითხებზე.

ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს სერგოს ესტუმრება მოხუცე-

<sup>1</sup> „ღრობა“, 1878 წ., № 40, 41 („აზრის სცენები“).

ბული ბიძა — თავადი მზექაბუკი, რომლისათვისაც მეზობელს მამულის თაობაზე დავა აუტეხია, თანაც „სიბრძნე სიცრუის“ გალექსვადანუზრახავს (ეტყობა უსაქმობისაგან) და აი, სწორედ ამ საკითხის ირგვლივ იმართება დავა სერგოსა და მზექაბუკს შორის.

მობუცი ბიძა უსაყვედურებს ძმისწულს, რომ ეხლანდელი სწავლულების ენა და აზრი არ მესმისო: „მე თქვენს ნაწერში ქართულს ვერა ვხედავო, ისეთი სიტყვები შეგხვდება, რომ არაბულს რომ ვკითხულობდე, უფრო გავიგებდი, მანამ თქვენს ნაწერს... სიტყვები კი ღმერთმა შეინახოს... ცივილიზაცია, პროკლამაცია, ირრიგაცია. ამთენი აცია ვირსაც არ ეთქმისო“.

ახალგაზრდა სერგო (იგი ქართველი ინტელიგენციის იმ პროგრესული ნაწილის განმასახიერებელია, რომელიც ქართულ ენაში ახალი ნორმების დადგენას ცდილობდა) მას ასე უპასუხებს:

„ჩვენი ენა თუმცა მდიდარია, მაგრამ თორმეტს საუკუნის შემდეგ ისე ჩამორჩა სხვა ენებს, ნამეტნავად განათლებულის ხალხის ენებს, რომ თუ იმათგან არ მივიღეთ ზოგიერთი სიტყვები, სახელწოდება ნივთთა, მოქმედებათა, იარაღთა და სხვათა ამ გვართა, ჩვენ ვერ გამოვხატავთ სრულს აზრს და თუ იყო როდესმე დრო, როდესაც მივიღებდით სხვადასხვა სიტყვას არაბთა და სპარსთა და განათლებულ ბერძენთაგან, რა მიზეზია, რომ ეხლა უკუ-შევსდგეთ, ვითაკილოთ და არ შევიძინოთ ჩვენზედაც და მათზედაც უფრო დაწინაურებულის და განათლებულის ხალხის სიტყვები და მით არ შევამკოთ ჩვენი ენაც“. ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრების აქ გამოთქმულ აუცილებლობაში და ამ გამდიდრების ერთ-ერთი გზის მინიშნებაში, ნეოლოგიზმების შექმნის აუცილებლობაში უდავოდ ქვეშარიტების ქადაგებაა და ამ შემთხვევაში სერგოს პირით თვით რაფიელ ერისთავი ლაპარაკობს.

მზექაბუკი დაეჭვებულა და ეკითხება სერგოს „აიტანს კია მაგას ჩვენი კუჭიო და საკმაოდ რეზონულ რეპლიკებსაც ესვრის მოწინააღმდეგეს (ამ რეპლიკის უკანაც ავტორი უნდა იდგეს): ერთბაშად მრავალი უცხო სიტყვის შემოტანა „იმას ეგვანება, ახალ მორჩენილ ავადმყოფს რომ ერთბაშად მიაყარო სხვადასხვა საქმელები — ცოტა-ცოტა უნდა, დრო-დროთ უნდაო“.

მზეჭაბუკი, რომელიც კონსერვატორული სიჭიუტით იცავს ძველ ენას, ასეთ ხერხს მიმართავს თავისი პოზიციის გასამართლებლად: „რათ გვინდა ეგ ახალი სიტყვები, — ამბობს იგი, — ჩვენს ძველებს უმაგათოდ უცოცხლიათ, უკითხავთ და უწერიათ“. სერგო საკმაოდ გონებამახვილურად ასაბუთებს ახალი სიტყვების შემოტანისა და შექმნის აუცილებლობას. იგი აჩვენებს ბიძას ფოტოსურათს და ეუბნება: „ თქვენ არ შეგიძლიათ არა, ერთი იმ წამლებთაგანის სახელი სთქვათ ქართულად, რომელთა თვისებითაც ეს სახე არის გადაღებულთ“. ასევე აჩვენებს იგი თერმომეტრს და ეუბნება აბა მიბრძანეთ ქართულად ამის სახელი. ამაზე ჯიუტი და ზანტკონებიანი კონსერვატორი ასე უპასუხებს თავის ძმისწულს: „რათ მინდა, სიცივეს და სიცხეს განა უმაგისოთ კი ვერ ვიგრძნობ?“.

კამათი გადადის საერთო ლიტერატურულ საკითხზე, აქაც მზეჭაბუკის კონსერვატიულ შეხედულებებს უპირისპირდება მისი ძმისწულის ახალგაზრდა მეცნიერის პროგრესული შეხედულებები. მზეჭაბუკი ბრალად უყენებს ახალ თაობას, რომ „ქართულს ძველს წიგნებს ყურს აღარ უგდებთ და რაღაცეებს გვითარგმნითო“. ამაზე სერგო ასე პასუხობს: „ჩვენი სურვილია, ღირსეულ წიგნებში ძველიც დავბეჭდოთ და ახლებიც გავაცნოთ, მაგრამ შემწეობას და თანაგრძნობას ვერა ვხედავთ — სად არის ძველი წიგნები? ...ბევრსა აქვს მაგრამ ამაოდ ალბობენ ზანდუკებშიო“.

სერგოს სიტყვებში კეთილშობილური მამულიშვილური გრძნობა მოსჩანს. მის მიერ თავადაზნაურული წოდების დახასიათებაში საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი აპატიის ის კრიტიკა მოჩანს, რომელიც ნიშნეული იყო ქართველი პროგრესიულ მოღვაწეების იმ ჯგუფისათვისაც, რომელთაც თვით რაფიელ ერისთავიც ეკუთვნოდა.

სერგო გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „ჩვენში არ არის სურვილი კითხვისა, აღარც ხალისი წერისა და ფულს ზომ ვინდა გაიმეტებს, რომ შეეწიოს ჩვენს ლიტერატურას!.. ცარიელი ყვედრება იცით და თანაგრძნობაში კი უგრძნობელი ხართ... თქვენ რომელს ეურნალსა ან გაზეთსა უფრო კითხულობთ ახლა? „დროებას“, „მნათობს“, „ცისკარს“ თუ „სასოფლო გაზეთს“? ამ კითხვით დაბნეული მზეჭაბუკი ცოტა შეცბუნებული ასე პასუხობს: „მე? მე? მე წელს

არც ერთი არ დამიბარებია... სხვაგან ვიყავი... შარშან კი დავაპირე დაბარება, მაგრამ... ფული ჩემს შვილს წაეღო და...”

მზეჭაბუკის ამ მრავალსმეტყველ „აღსარებას“, (რომელიც ზარმაცი და უქნარა, მშობლიური ლიტერატურისადმი გულგრილად მაცურებელი თავადაზნაურობის ტიპური მაჩვენებელია), მოყვება ავტორისეული რემარკის მნიშვნელობის მქონე შეძახილი: „ღმერთო ჩემო!!! აი, ჩვენი მკითხველები და მკიცხველები!...”

თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი რაფ. ერისთავი არა ერთხელ გამოსთქვამდა გულის ტკივილს ვიწრო კუთხურობისა და სამშობლო-ქვეყნის ბედისადმი ინდიფერენტისმის წინააღმდეგ, რამაც „სცენებშიც“ ჰპოვა მხატვრული გამოვლინება. ერთ-ერთ სცენაში რაფ. ერისთავი აგვიწერს ქართლელისა და კახელის დავას და მოხერხებულად დასცინის ქართველების იმ სამარცხვინო თვისებას, როცა ერთი კუთხის მკვიდრი ამრეზით, ათვალწუნებით და ზოგჯერ მტრულადაც კი ექცევა თავის თანამემამულეს. ამ სცენის დასასრულსაც ავტორის რემარკაა, რომელიც კარგად გადმოგვცემს მწერლის ჩანაფიქრს: „ვა ჩვენი ბრალი,—ამბობს იგი,—როდის (და) რა გვეშველებო“. ავტორი დასძენს — „ამით თავდება ეს სამწუხარო და უგუნური დავაო“<sup>1</sup>

ავტორის მამულიშვილური გულისტკივილი იგრძნობა მეორე სცენაშიც, სადაც ნაჩვენებია ორი ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტის საუბარი. ისინი ქართული ენის გაშალაშინების აუცილებლობაზე მსჯელობენ და თვითონ კი ისეთი ქართულით საუბრობენ, რომ ყოველ მეორე სიტყვას ფრანგული ან რუსული ენიდან სესხულობენ<sup>2</sup>.

აი, როგორ ატარებს დროს ერთ-ერთი ქართველი ინტელიგენტი: „დილით სამსახურში ვარ, საღამოთი ხან ნაცნობებთან, ხან „თეატრში“ და — მეტი დროც არ დარჩაო“. ამით ამართლებს იგი თავის საზოგადოებრივ უმოქმედობასა და პასიურობას.

მაგრამ, ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ

<sup>1</sup> „დროება“, 1870 წ., № 20.

<sup>2</sup> იქვე.

რათ. ერისთავის ზოგიერთი სცენები დაცლილია იდეური შინაარსისაგან, საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით მათ მეტად მცირე ღირებულება აქვთ. ასეთი სცენები, რომელნიც უმცირესობას შეადგენენ, რათ. ერისთავის შემოქმედებაში მხოლოდ და მხოლოდ უანრული სცენების ღირებულებისა არიან. ასეთია, მაგალითად, ორი კინტოს ბანდოსა და ნაგლეჯუას დიალოგი. ანდა ბაზარში კინტოების ვაჭრობის სურათი, რომელიც მხოლოდ იმით იფარგლება, რომ გვაჩვენოს როგორ ყვირიან კინტოები „ჩერეშნის“, „ციპლინკას“, „სპიჩკის“ და სხვ.

სცენაში — „რამოდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდამ“, ორი ახალგაზრდა ინტელიგენტის დიალოგში რათ. ერისთავმა კარგად გადმოგვცა სამოცდაათიანი წლების ქართული პრესისა და ლიტერატურის მდგომარეობა. მწერალი ამჩნევს ერის ცხოვრებაში ნომხდარ ცვლილებებს, ბრძოლას ძველსა და ახალ მიმართულებებს შორის, სხვადასხვა დაჯგუფებებს, რაც ასახულია იმდროინდელი პრესის — „ცისკრის“, „დროებისა“ და „მნათობის“ ფურცლებზე. ერთ-ერთი პერსონაჟის აზრით, ამ გამოცემათა პრინციპების შერეგება-შეერთება, ერის საერთო ინტერესებისადმი დამორჩილება, სკესებით შესაძლებელია, ხოლო მის მოკამათეს ასეთი შერიგება შეუძლებლად მიაჩნია.

„პირველი ყმაწვილი კაცი. ...Нет!.. ჯერ ჩვენს ენას ძალიან გაშალაშინება უნდა...“

მეორე. Да, но... განა არ შეიძლება!..

პირველი. შეიძლება, რასაკვირველია, შეიძლება, მაგრამ არავინა სწერს, ეს არის უბედურება... Надобно-ны разработать язык... .

მეორე. აკი სწერენ... ენა ძალიან შეამუშავა „დროებამ“... ოცი წილი მაინც ევროპიული სიტყვებია შემოტანილი, ასე რომ ამ ათს წელიწადში გაანახევრებს ქართულს!..

პირველი. „მნათობი“ რალასა შვრება?.. Кажется. редакция მეცადინეობს?

მეორე. Пока ничего... .

პირველი. ყოჩაღ, ბიჭო!

მეორე. თუ აგრე გააგრძელა თავისი საქმეები, კაი ჟურნალი დადგება!

პირველი. А что „ცისკარი“?

მეორე. ნულარ მკითხავ!.. რა ქნას? ხელის მომწერლები ალაჲ ჰყავს, თანამშრომლებიც, მგონია, ნაკლებად არიან და...

პირველი. Грустно!.. Кончится тем, что они убьют друг друга — да аларც ერთი алარ გამოვა!.. წავიდნენ და იჩანჩალონ!.. რატომ არ შეერთდებიან?..

მეორე. — ეგ იმას ეგვანება, в роде басни: «Лебедь, щука и рак». მაგრამ საძაგლები კი ვართ ქართველები!.. ჩვენ რომ იგრევე ვამბობთ, რედაქტორებმა რაღა ქნან?“!..

ადვილი შესამჩნევია, რომ მწერლის პოზიცია აქ გარკვეული წინააღმდეგობის შემცველია, რაც ეპოქის თავისებურებით იყო გაპირობებული, მაგრამ ისიც უდავოა, რომ რაფ. ერისთავი ცდილობდა ყოველგვარი აზრთა სხვადასხვაობა ერის ინტერესების საკეთილდღეოდ გადაწყვეტილიყო.

რაფ. ერისთავის „სცენები“, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა 1870—1880-ანი წლების „დროებისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე სხვადასხვა სათაურით, თავისი მრავალფეროვანი შინაარსით მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო რაფ. ერისთავის ცხოვრებაში, არამედ ამ წლების ქართულ ლიტერატურაში. რაფ. ერისთავის მახვილი იუმორი, რომელიც მან სრულად გამოამჟღავნა „სცენების“ ენარის ნაწარმოებებში, ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის თითქმის ყველა სფეროს მიწვდა, ყველა ფენის წარმომადგენელს შეეხო. მას არ ავიწყდება, არც ახალი სამრეწველო მშენებლობანი — რკინიგზა, შავი ქვის (მარგანეცი) წარმოება და მის გამო ატეხილი კომერციული საქმოსნობა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მისი სცენების პერსონაჟთა მოქმედების არე სცილდება საქართველოს საზღვრებს. ასეთია 1881 წელს დაწერილი „ფელეტონი“ („დროება“ № 158). რაფიელის მეტად გონებამახვილურად და შორსმჭვრეტელი ალღოთი ხატავს დასავლეთის უცხო სახელმწიფოების „განათლებულ“ წარმო-

<sup>1</sup> „დროება“, 1870 წ., № 20.

მადგენელთა მზაკვრულ კოლონიალურ მისწრაფებებს, მათ თავშეუ-  
კავებელ დამპყრობლურ ხასიათს. აი რას წერდა რაფ. ერისთავი  
ამის შესახებ: „სწორედ უცნაური ხალხია ეს უცხოეთის ქვეყნების  
ხალხი... მის ღღეში დახეტიალობენ და რომ მიადგებიან ერთს ქვე-  
ყანას, აგი ჩემიაო-და წააქდებიან ზედ თავზე! მე რომ წავიდე და სა-  
ფრანგეთი ვიპოვო, კი არავინ დამანებებს... ერთი ვინცხა მოვიდა და  
ჩვენებურს ცხრამზის ხეს „მედველიანა“ დაარქო!.. მე მოვანსენე, ბა-  
ტონო, აგი ცხრამზია და ცხრამაზითყო, მარა ვინ გიყაბულა!.. მე ასე  
უნდა მოვნათლოვო!.. გადარეულები არიან თუ არა, დასტურ აბდე-  
ლები კი არა ვართ!..“

ჩვენს მიერ მოცემულ რაფიელი ერისთავის „სცენების“ მიმო-  
ხილვა ვერ ამოსწურავს მათ მნიშვნელობას, ისინი, როგორც აღვნიშ-  
ნეთ, საყურადღებო მოვლენაა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების  
ისტორიაში და სათანადო განხილვას მოელის შემდეგში, რასაც უად-  
გილობის გამო ჩვენ ვერ ვახერხებთ.

რაფ. ერისთავის სცენებში არის ნატურალური მანერით შესრუ-  
ლებული პასაჟებიც. ასეთია ქანრული ტიპის სცენები და ეთნოგრა-  
ფიული ყოფის გადმომცემი სურათები. მაგალითად 1870 წელს  
„დროებაში“ დაბეჭდილი რამდენიმე „სცენა“ ნატურალისტურ იერს  
ატარებს. აქ თითქმის სიტყვასიტყვითაა გადმომცემული ფშაველი  
სუცესის „დამწყალობების“ თემა. ასეთივეა ხევსური მომტირალის  
გოდება გარდაცვლილ ძმაზე<sup>1</sup> და სხვ.

რაფ. ერისთავის „სცენები“ ქართული ლიტერატურის კრიტიკის  
ყურადღების ცენტრში იყო. მათ დიდი დაინტერესება გამოიწვიეს  
მკითხველ საზოგადოებაში. საზოგადო მოღვაწე და მწერალი სერ-  
გეი მესხი 1872 წელს მართებულად აფასებდა რაფ. ერისთავის „სცე-  
ნებს“: „ამ სცენებიდან ცხადად დაინახავს ყოველი მკითხველი, რომ  
რ. ერისთავს მახვილი კალამი და დაკვირვებული თვალი აქვს. ამჟა-  
მად ჩვენში ორ-სამ მწერალს გარდა არავინ გვეგულება ისეთი, რო-  
მელიც ჩვენს ცხოვრებას რაფიელ ერისთავზე უკეთ იცნობდეს და  
უკეთ ზატავდეს ამ ცხოვრების სურათებსა და ხასიათს... საზოგადოდ,

<sup>1</sup> „დროება“, 1870 წ., № 27.

რაფ. ერისთავის სურათები იმით არიან შესანიშნავი, რომ მარტო სიცილს არ აჩერებენ მკითხველს: ყოველი გონიერი და მოაზრე მკითხველი, უეჭველია, დაფიქრდება, როდესაც ზოგიერთ ამ სცენებს წაიკითხავს. როგორ არ დააფიქრებს, მაგალითად, კაცს ის ზემოხსენებული სცენა ორ სოფლელ ქალს შუა, რომელშიაც ასე ცხადათ იხატება ჩვენი გლეხების გაჭირვებული ცხოვრება და იმათი სიღარიბე, როგორ არ დააფიქრებთ იმისთანა ახალგაზრდა ქართველი ქალების დანახვა, რომელნიც ქართულს ისე ლაპარაკობენ, თითქო ამერიკელი ქალები იყვნენ და სალაპარაკო საგნათ მუდამ ის აქვთ, რომ დღეს რა გააკეთონ, ხვალ ვისთან წავიდნენ დროს გასატარებლათა და ზეგ ვის წაყვნიენ ცოლათა? ან კიდევ ის სურათი, როგორ ატყვილებს საწყალ უმეცარ გლეხს გაქნილი და ცხოვრებაში ნათრევი ვილაც ადვოკატი.

ერთი სიტყვით რაფ. ერისთავის „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“ შესანიშნავი არიან როგორც ფოტოგრაფიული სურათი ჩვენი ცხოვრებისა...“<sup>1</sup>

რამდენიმე სიტყვა „სცენების“ ტრადიციის საკითხზე. გამოთქმული იყო მოსაზრება, თითქოს „სცენები“ პირველად ქართულ ლიტერატურაში რაფ. ერისთავმა შემოიტანა 70 — 80-იან წლებში. ცხადია, რაფ. ერისთავს დიდი დამსახურება მიუძღვის „სცენების“ თემატიკის განახლებასა, გაშლასა და გამრავალფეროვანებაში, მაგრამ რაფ. ერისთავის „სცენებზე“ ადრე ქართულ ლიტერატურაში უკვე იყო ტრადიცია „სცენების“ ტიპის ლიტერატურული ნიმუშების შექმნისა. ასეთია, მაგალითად, ლ. არდაზიანის „მოგზაურობა თბილისის ტროტუარებზე“, რომელიც 1862 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“ „ბიძია თორნიკეს“ ფსევდონიმით. „მოგზაურობა თბილისის ტროტუარებზე“ „სცენების“ ტიპის დრამატული ნაწარმოებია, რომელიც შედგება 9 სცენისაგან. სცენებში დიალოგის ხერხით გადმოცემულია რეალისტური სურათები თბილისის ცხოვრებიდან.

გარდა ლავრენტი არდაზიანისა, „სცენების“ ტიპის ნაწარმოებები შექმნა ილია ჭავჭავაძემაც. 1863 წლის „საქართველოს მოამბეში“

<sup>1</sup> „დროება“, 1872 წ., № 19.



(№ 7) „გ. ჩ.“ ფსევდონიმით დაიბეჭდა ილიას „სხარტულა“, ხოლო უფრო გვიან 1867 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა ილიასავე „გლებთა განთავისუფლების პირველი დროის სცენები“.

ის გარემოება, რომ ამ საქმეში მწერალს ყავდა წინამორბედები, სრულებით არ ამცირებს რაფ. ერისთავის „სცენების“ მნიშვნელობას. რაფ. ერისთავის დიდი დამსახურებაა ის, რომ იგი არ შემოიფარგლა ვიწრო თემატიკით, მის მიერ შექმნილი „სცენების“ და „სურათების“ სისტემატურ ციკლში მხატვრულ სახეებშია გადმოცემული არა მარტო სოფლის ყოფა, არამედ ქალაქის ცხოვრებაც. ამდენად მწერლის მხატვრულ ტილოზე შედარებით სრულად აისახა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი სურათები.

\* \* \*

რაფ. ერისთავმა უკვდავი სახელი დაიმკვიდრა ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში. ჰუმანისტმა მწერალმა და უანგარო საზოგადო მოღვაწემ უმწიკვლოდ მოიხანდა ვალი სამშობლოს წინაშე, რითაც მთელი ერის სამართაობის სიყვარული დაიმსახურა. ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ღირსეულად დაათმავა იგი და ჩვენი დიდი მოამაგეების ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის მეთაურობით, 1895 წ. საყოველთაო ზეიმის აღმით იდღესასწაულა მისი ლიტერატურული და საზოგადო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილე.

ჩვენმა თანამედროვეობამ მიიღო და სათანადოდ დაათმავა რაფ. ერისთავის ლიტერატურული მემკვიდრეობა. გამოიცა მწერლის ნაწარმოებთა ოთხტომეული, რჩეულ თხზულებათა კრებულები. 1951 წელს საბჭოთა ხალხმა ფართოდ აღნიშნა რაფ. ერისთავის გარდაცვალების ორმოცდაათი წლისთავი — დაარსდა მისი სახლმუზეუმო, მოეწყო გამოფენები; შეცნირული შესწავლის საგნად იქცა მისი მრავალმხრივი ღვაწლი ქართული მწერლობისა და კულტურის განვითარებაში.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორისაგან	5
შესავალი	6
ცხოვრება და მოღვაწეობა	11
წინაპართა ისტორიული წარსულიდან	13
ოჯახური გარემო. ყრმობა. სიკვამლე	19
საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი წლები (1845—1857 წწ.)	31
1857 — 1870 წლები	49
1870 — 1880 წლები	62
80-იანი წლები	78
90-იანი წლები	101
პოეტის სიცოცხლის უკანასკნელი წლები	112
შემოქმედება	119
პოეზია	121
პროზა	187
დრამატურგია	220

რედაქტორი ნ. ინასარიძე  
ტექნიკური ე. აბდუშელიშვილი  
კორექტორი თ. ახალაია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XII-62 წ.  
ქალაქის ზომა 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>.

ნაბეჭდი თაბახი 16,5. სააღრ.-საგამომცემლო  
თაბახი 11,93. საავტორო თაბახი 11,55.

უგ 00541 ტირაჟი 2.000 შუკვ. № 588

ფახი 70 კაპ.

---

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი.

Типография № 4, Тбилиси, Медгородок.